ლევან სანიკიძე

ანჯიკური ქვეყნების ისტორია

პუნიკური ომების ეპოქა

დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტთათვის



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა"
თბილისი — 1963

რედაქტორისაგან

ანტიკური ქვეყნების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ისტორიული განვითარების გაგებისათვის. ანტიკური ცივილიზაცია საფუძვლად დაედო საერთო ევროპული ცივილიზაციის განვითარებას. როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, „...ბერძნებისა და რომის იმპერიის მიერ ჩაყრილი საფუძველის გარეშე თანამედროვე ევროპა ვერ აშენდებოდა“.[1] ამდენად, ანტიკურმა საზოგადოებამ უდიდესი წვლილი შეიტანა საერთო მსოფლიო ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში.

ანტიკურ საზოგადოებათა შორის ძველი რომის სახელმწიფოს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. რომში ჩამოყალიბდა ყველაზე განვითარებული კლასიკური მონათმფლობელური ურთიერთობა. რომმა შეითვისა ბერძნულ-ელინისტური კულტურა, განავითარა იგი და მემკვიდრეობად დაუტოვა ევროპას. საუკუნეთა მანძილზე რომის სახელმწიფო მსოფლიოში უმთავრესი იყო, მის პოლიტიკურ გავლენას ემორჩილებოდა მრავალი ხალხი როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. რომის სახელმწიფოში წარმოქმნილი საზოგადოებრივი წყობილება, პოლიტიკური ინსტიტუტები საფუძვლად დაედო ბევრი ხალხის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბებას. მრავალი ქვეყნის ისტორიული ცხოვრება საუკუნეების მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული რომთან... და სწორედ ამით აიხსნება ის უდიდესი ინტერესი, რომელსაც მსოფლიოს ისტორიოგრაფია ანტიკური რომის, მისი ისტორიის ცალკეული ეტაპების შესწავლისადმი იჩენს.

რომის სახელმწიფოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ხანას ე. წ. „პუნიკური ომების“ ეპოქა წარმოადგენდა, როდესაც ხმელთაშუა ზღვის აუზში ერთმანეთს შეეჯახა მაშინდელი მსოფლიოს ორი უდიდესი სახელმწიფო—რომი და კართაგენი.

რომი ამ დროისათვის (ძვ. წ. III საუკუნის შუა ხანები) აღმავლობის გზაზე იდგა, მის ბატონობას უკვე მთელი აპენინის ნახევარკუნძული ემორჩილებოდა და იგი გაბედულად გამოდიოდა ხმელთაშუა ზღვის აუზის პოლიტიკურ სარბიელზე.

აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მდებარე მდიდარი კართაგენი დიდი ისტორიული ტრადიციების მქონე სახელმწიფოს წარმოადგენდა და აქამდე განუყოფლად ბატონობდა დასავლეთ ხმელთაშუა ზღვეთში. ამ ორი მეტოქის ინტერესები ისე მკვეთრად დაუპირისპირ-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტიდიურინგი, 1933, გვ. 148.

და ერთმანეთს, რომ მათ შორის შეტაკება გარდუვალი იყო. თითქმის 120 წელიწადი გაგრძელდა მათი ბრძოლა და ამ ხნის განმავლობაში ეს ბრძოლა მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე მთავარი მოვლენა იყო.

პუნიკურმა ომებმა და ამ ომებში რომის გამარჯვებამ განაპირობა ფაქტიურად უკანასკნელის გაძლიერება და მსოფლიო სახელმწიფოდ გადაქცევა, ხმელთაშუა ზღვის აუზსა და ახლო აღმოსავლეთში გაბატონება. ამ ომებს დიდი როლი განეკუთვნება, მათი შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია ანტიკური ისტორიის გაგებისათვის.

ლ. სანიკიძის წინამდებარე წიგნში მოცემულია პუნიკურ ომთა წარმოშობის მიზეზების ანალიზი, გადმოცემულია ომების მსვლელობისა და მათთან დაკავშირებული სხვა მოვლენების სრული სურათი. მკითხველს ეძლევა საშუალება ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდის სწორი გაგება-გააზრებისა.

მიუხედავად პუნიკური ომების ესოდენი მნიშვნელობისა, ჩვენ დღემდე არ გაგვაჩნდა სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევა რომის ისტორიის ამ მონაკვეთის შესახებ. ლ. სანიკიძის წიგნი ამ მიმართულებით პირველ ცდას წარმოადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რომის არმიათა გამარჯვებებით და „დიადი რომის სახელმწიფოს“ საზღვრების ძლევამოსილი და სწრაფი გაფართოებით გატაცებული ბურჟუაზიული მკვლევარები თავის შრომებში არ უთმობენ ადგილს კართაგენის, ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და ესპანეთის ხალხთა გმირულ ბრძოლას რომაული აგრესიის წინააღმდეგ. ლ. სანიკიძემ კარგად გვიჩვენა, რომ პუნიკური ომები ორივე მხრიდან იმპერიალისტური ომები იყო (ლენინი), ამასთან ერთად გვიჩვენა აგრეთვე რომის მიერ დაპყრობილ ხალხთა ფართო მასების თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ჩვენ ამჟამად ნაკლებად მოგვეპოვება ძველ ისტორიაში ქართულ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ლ. სანიკიძის წინამდებარე წიგნი, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტებს რომის ისტორიის კურსის უკეთ მომზადებაში, სასემინარო-პრაქტიკულ მეცადინეობაში, საკურსო და სადიპლომო შრომების დაწერასა და, ერთი სიტყვით, ძველი ისტორიის უკეთ შესწავლაში. ამასთან ერთად, იგი საინტერესო საკითხავი წიგნი იქნება ფართო მკითხველი საზოგადოებისათვისაც.

შესავალი

რომი და კართაგენი „პუნიკური ომების“ წინ

ზოგადი მიმოხილვა

რომი

აპენინის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში, ე. წ. ლაციუმის ოლქში, მდ. ტიბრზე ძველი წელთაღრიცხვის[1] VIII ს-ში დაარსდა ქალაქი რომი (Roma), რომელიც მალე დაწინაურდა სხვა ლათინურ ქალაქთა შორის.

რომს პირველად მეფეები განაგებდნენ. სულ შვიდი მეფის (რომულუსი, ნუმა პომპილიუსი, ტულუს ჰოსტილიუსი, ანკუს მარციუსი, ტარქვინიუს პრისკუსი, სერვიუს ტულიუსი და ტარქვინიუს ამაყი—სუპერბუს) მმართველობის ისტორია შემოგვინახა ლათინურმა ტრადიციამ.

მეფეთა ხანა გვაროვნული წყობილების დაშლისა და რომის სახელმწიფოს წარმოშობის ხანას წარმოადგენს. კერძოდ, VI ს-ში მეექვსე მეფის, სერვიუს ტულიუსის რეფორმით საბოლოოდ დამკვიდრდა რომის სახელმწიფოებრივი წყობილება. მალე ამის შემდეგ (509 წ.) რომში მეფის ხელისუფლება დაეცხო და მონათმფლობელურ-რესპუბლიკური წყობილება დამყარდა.

რესპუბლიკური კონსტიტუციით სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა სახალხო კრება, რომელიც ღებულობდა და ამტკიცებდა კანონებს, იხილავდა და სწყვეტდა ომისა და ზავის საკითხებს, ირჩევდა უმაღლესი თანამდებობის პირებს (მაგისტრატებს) და სხვ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა სენატი, უხუცესთა საბჭო (სიტყვისაგან senex — მხცოვანი), რომელიც რომის არისტოკრატთა—პატრიციების და საერთოდ ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერი სოციალური ფენის, შემდეგში ე. წ. ნობილიტეტის,

[1] წიგნში მოხსენებული ამბები მთლიანად ჩვენს წელთაღრიცხვამდე მიმდინარეობდა. ამიტომ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია ყველა თარიღთან დაკავშირებით ამის აღნიშვნა.

ბირთვს წარმოადგენდა. სენატი 300 სენატორისაგან შედგებოდა. მასში შედიოდნენ უმაღლეს მაგისტრატურაგავლილი პირები: ყოფილი დიქტატორები, კონსულები, პრეტორები, ქვესტორები და სხვ.

სენატი დიდი უფლებებით სარგებლობდა. მისი მოწონების (auctoritas patrum) გარეშე სახალხო კრების დადგენილება კანონად არ ითვლებოდა. განსაკუთრებული საშინაო ან საგარეო საფრთხის შემთხვევაში სენატი აცხადებდა საგანგებო მდგომარეობას და ასეთი საფრთხის აღკვეთის მიზნით ნიშნავდა საგანგებო უმაღლეს მაგისტრატს, დიქტატორს. სენატის სხდომაზე იხილავდნენ და საზღვრავდნენ არმიის შეკრების, მისი შედგენის, მომარაგებისა და დაფინანსების საკითხებს, ტრიუმფით აჯილდოებდა ან უარს ეუბნებოდა გამარჯვებულ სარდლებს. სენატი იხილავდა და ამზადებდა ომისა და ზავის საკითხებსაც სახალხო კრებაზე გატანამდე. რელიგიურ და სამოსამართლო საქმეებზე ზედამხედველობაც ისევ სენატს ევალებოდა. ამგვარად, სენატი იყო რომის სახელმწიფოს უმაღლესი ადმინისტრაციული და საკონტროლო ორგანო.

აღმასრულებელ ხელისუფლებას უმაღლესი თანამდებობის პირები, მ ა გ ი ს ტ რ ა ტ ე ბ ი ახორციელებდნენ. მ ა გ ი ს ტ რ ა ტ უ რ ე ბ ი განიყოფოდა ორად: ორდინალურად (ჩვეულებრივი) და ექსტრაორდინალურად (საგანგებო).

რესპუბლიკის უმაღლეს მაგისტრატებად და სახელმწიფოს ოფიციალურ მეთაურებად ითვლებოდნენ კ ო ნ ს უ ლ ე ბ ი. რომაელები ყოველწლიურად ირჩევდნენ ორ კონსულს. კონსულები აღჭურვილი იყვნენ უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლებით. ისინი კოლეგიალური წესით განაგებდნენ საშინაო საქმეებს და სარდლობდნენ არმიებს ომის დროს; უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ არმიების დაკომპლექტებას, სამხედრო მეთაურთა დანიშვნას; საჭიროების შემთხვევაში იწვევდნენ სახალხო კრებასა და სენატის სხდომებს; მათი სახელების მიხედვით ხდებოდა წელთაღრიცხვა; ქალაქის გარეთ მათ განუსაზღვრელი უფლებები ენიჭებოდათ. მოქალაქეთა სიკვდილით დასჯაც კი შეეძლოთ („სიკვდილ-სიცოცხლის უფლება“ — Jus vitae necisque). მათი უმაღლესი იმპერიუმის აღსანიშნავად თვითეულ მათგანს წინ მოუძღოდა 12 ლ ი ქ ტ ო რ ი, ანუ საპატიო მცველი, მსახური— წკეპლების კონებით, რომლებშიაც ქალაქიდან გასვლისას ჩარჭობილი ჰქონდათ ცულები; გარდა ამისა, კონსულის ატრიბუტებს წარმოადგენდა ძოწეულის არშიამოვლებული წამოსასხამი და სპილოს ძვლით მოჭედილი საკარძელი.

კონსულთა შემდეგ მოდიოდნენ უმცროსი მაგისტრატები: პ რ ე ტ ო-

რ ე ბ ი (ევალებოდათ ქალაქში წესრიგის დაცვა და სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა ხელმძღვანელობა), ე დ ი ლ ე ბ ი (ქალაქის ეკონომიური ცხოვრების, მომარაგების, ბაზრების, სანახაობათა მოწესრიგება), ქ ვ ე ს ტ ო რ ე ბ ი (სახელმწიფო ხაზინის, შემოსავალ-გასავლის დოკუმენტების, არქივებისა და ომში წასული არმიების ფინანსთა მესვეურები). ორდინალურ მაგისტრატთა ჯგუფს ეკუთვნოდნენ ც ე ნ ზ ო რ ე ბ ი ც, რომელთაც სხვა თანამდებობის პირთაგან განსხვავებით ირჩევდნენ ხუთი წლის ვადით. ცენზორებად, ჩვეულებრივ, ირჩეოდნენ ყოფილი კონსულები. ისინი არავის წინაშე არ იყვნენ ანგარიშვალდებული. ცენზორები აწარმოებდნენ სენატის სიების გადასინჯვას და ხელახლა შედგენას, მოქალაქეთა ცენზის დადგენას და ტრიბებზე მიწერას; მეთვალყურეობას უწევდნენ მოქალაქეთა ზნეობრივ ქცევას; ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფო ქონების დაცვას და საზოგადოებრივი სამუშაოების წარმოებას.

საგანგებო მდგომარეობის შექმნის დროს (ომის, შინაგანი მღელვარების, შიმშილობისა თუ სხვა მსგავს შემთხვევაში) სენატი ირჩევდა ექსტრაორდინალურ მაგისტრატს, დ ი ქ ტ ა ტ ო რ ს. რომელსაც ემორჩილებოდა ყველა თანამდებობის პირი და მის ხელში იყრიდა თავს მთელი სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სადავეები. ის სარგებლობდა განუსაზღვრელი ძალაუფლებით; აღჭურვილი იყო უმაღლესი ხელისუფლების მთელი სისრულით (summum imperium). ამიტომაც იყო, რომ რესპუბლიკური კონსტიტუციით დიქტატორის რწმუნებათა ვადა მკაცრად იყო განსაზღვრული ექვსი თვით. დიქტატორს წინ მიუძღოდა 24 ლიქტორი, ხელში ნაჯახიანი წკეპლების კონებით. დიქტატორი ნიშნავდა თავის მოადგილეს, რომელიც იმავდროულად ითვლებოდა ცხენოსანი კ ა ვ ა ლ ე რ ი ი ს უ ფ რ ო ს ა დ.

რომაულ მაგისტრატურათა შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ს ა ხ ა ლ ხ ო ტ რ ი ბ უ ნ ა ტ ს, რომლის წარმოშობა პატრიციებსა და პლებეებს შორის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლების შედეგს წარმოადგენს. ყველა ზემოთ აღნიშნული თანამდებობის დაჭერა პირველ ხანებში შეეძლოთ მხოლოდ პატრიციებს. ამიტომ პლებეების ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად საკითხს მათთვის განსაკუთრებული უმაღლესი თანამდებობის დაწესება წარმოადგენდა (რა თქმა უნდა, ისინი ამავე დროს ცდილობდნენ, რომ ყველა სხვა დაწესებულ მაგისტრატურაზე არჩევის დროსაც თავიანთი კანდიტატების წამოყენებით პატრიციების თანაბარი ყოფილიყვნენ, რასაც ბოლოს მიაღწიეს კიდეც). მართლაც, სახალხო პლებეურმა მასებმა აქტიური ბრძოლით მოიპოვეს თავიანთ უფლებათა დამცველი მაგისტრატების არჩევა. ასეთები იყვნენ სახალხო ტრიბუ-

ნები, რომელთაც (პირველად ორს, შემდეგში ათს) ირჩევდნენ ყოველწლიურად.

სახალხო ტრიბუნებს ირჩევდა პლებეური ს ა ხ ა ლ ხ ო კ რ ე ბ ა (comitia tributa). ტრიბუნის მოვალეობად ითვლებოდა სახალხო მასების, პლებეების ინტერესების დაცვა. მისი სახლი დევნილთა და დაჩაგრულთა (მხოლოდ არა მონათა) თავშესაფარებლად დღე-ღამეების განმავლობაში ღია უნდა ყოფილიყო. ტრიბუნის პიროვნება და მისი ქონება ხელშეუხებლად ითვლებოდა. სახალხო ტრიბუნს უფლება ჰქონდა, გარდა დიქტატორისა და ცენზორისა, ყველა მაგისტრატის საქმიანობაში ჩარეულიყო (Jus intercessionis). მას უფლება ჰქონდა „ვ ე ტ ო“ (veto — „ეკრძალავ“) დაედო და ამით გაეუქმებინა სენატისა და სახალხო კრებისაგან მიღებული ყველა კანონი; შეეძლო მაგისტრატთა დაპატიმრება, სახელმწიფო ხაზინის დალუქვა და სხვ. მაგრამ სახალხო ტრიბუნებს არავითარი უფლება აღარ ჰქონდათ ქალაქის საზღვრის გარეთ.

რომი მეფეთა ხანაში ლათინურ ქალაქთა ფედერაციაში შედიოდა, სადაც გაბატონებული მდგომარეობა ქ. ა ლ ბ ა-ლ ო ნ გ ა ს ეჭირა. მაგრამ მეფეთა უკანასკნელ პერიოდში (VI ს.) რომი თანდათანობით წინაურდება და ლაციუმის ქალაქთა ჰეგემონობაზე აცხადებს პრეტენზიას.

VI ს-ის დასასრულს და V ს-ის დასაწყისში რომაელები სისტემატურ ბრძოლას აწარმოებენ ჩრდილოეთით ეტრუსკების წინააღმდეგ, აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით — ვოლსკების, ექვებისა და საბინების წინააღმდეგ. ეს ომები მთელი საუკუნე გაგრძელდა და რომის გამარჯვებით დამთავრდა.

IV საუკუნე აპენინის ნახევარკუნძულზე ძლიერი ტომების, გ ა ლ ე ბ ი ს (იგივე კელტები) შემოსევით დაიწყო. გალების ერთ-ერთი განშტოება, სენონების ტომი შუა იტალიაში შეიჭრა და ალყა შემოარტყა ეტრუსკულ ქალაქ კლუზიუმს, რომელმაც დახმარება სთხოვა რომს. მაგრამ მალე გალები თვითონ რომისაკენ დაიძრენ. 390 წლის ზაფხულზე მდ. ტიბრის მარცხენა შენაკად ა ლ ი ა ს თ ა ნ მოხდა ცნობილი ბრძოლა, სადაც რომაელები სასტიკად დამარცხდნენ („ალიას დღე!“). მეორე დღესვე გალებმა აიღეს რომი, იგი სასტიკად გაძარცვეს და ააოხრეს. მხოლოდ კაპიტოლიუმის ციტადელი იცავდა თავს. გალები შვიდი თვის განმავლობაში იდგნენ კაპიტოლიუმის გარშემო, მაგრამ ვერ აიღეს იგი. ბოლოს ისინი, იმის გამოც, რომ ჩრდილოეთიდან ახალი ტომები შემოიჭრენ და მოალყეთა შორის ეპიდემიაც გაჩნდა, იძულებული შეიქნენ რომაელთაგან გამოსასყიდს დასჯერებოდნენ და ქალაქი დაეტოვებინათ.

რომაული დიპლომატია საგარეო პოლიტიკაში იმთავითვე ანხორციელებდა შემდგომში ცნობილ პრინციპს: „დ ა ჰ ყ ა ვ ი დ ა ი ბ ა ტ ო ნ ე!“

(divide et impera!). სანამ რომი ეტრუსკებს ებრძოდა, მანამდე ლათინურ ქალაქებთან ჰქონდა კავშირი. როცა იტალიაში კელტები შემოიჭრნენ, რომაელებმა ეტრუსკებთან და სხვა იტალიურ ტომებთან კავშირში შესძლეს კელტების დამარცხება და მთელი ცენტრალური იტალიის დამორჩილება. ასეთივე გაქნილი დიპლომატიის მეოხებით ისინი თანდათანობით მიიწევენ სამხრეთისაკენ.

ამ მიმართულებით რომაელებს დიდი ბრძოლები ელოდათ იტალიურ ტომებთან, სამნიტებთან. მათ წინასწარ კავშირი შეჰკრეს კართაგენთან


I ომნაუელის ბრძოლა
II ომნაუელის ბრძოლა
ლეგიონები
ლეგიონები
1
2
3
4
ეფემერიდები
ეფემერიდები
ეფემერიდები



ლეგიონი — კოჰორტებად დაწყობილი.

ორასი წლის მანძილზე წარმოებული მძიმე ომების პერიოდში ჩამოყალიბდა ძლიერი, იმ დროისათვის პირველხარისხოვანი რომაული არმია.

ტრიარიები და პრინციპები.

რომის არმიის უმსხვილეს სამხედრო გაერთიანებას წარმოადგენდა ლ ე გ ი ო ნ ი, რომელიც სხვადასხვა დროს 3000-დან 6000-მდე მეომ-

რისაგან შედგებოდა. ლეგიონში შედიოდა 10 კოჰორტა. ყოველ კოჰორტაში 3 მანიპული, ხოლო ყოველი მანიპული 2 ცენტურიისაგან იყო შემდგარი, ე. ი. ლეგიონში შედიოდა 10 კოჰორტა, 30 მანიპული და 60 ცენტურია.

ბრძოლის წინ მებრძოლები არმიაში ასაკისა და გამოცდილების მიხედვით ჯგუფდებოდნენ და სამხედრო დანაყოფებიც ამის მიხედვით იყო შედგენილი. პირველ რიგში დგებოდნენ ყველაზე ახალგაზრდები, ე. წ. ჰასტატები, ანუ შუბოსნები (hasta—შუბი), შემდეგ — ბრძოლებში ნაწრთობი, ასაკში შესული ვაჟკაცები, ე. წ. პრინციპები (principes — უპირველესნი) და სულ ბოლოს — მხცოვანი მეომრები, რომელთაც ტრიარიები (triarii—მესამენი) ეწოდებოდათ. ჰასტატების და პრინციპების რიცხვი ყოველ მანიპულში შეადგენდა 120 მეომარს, ხოლო ტრიარიებისა — 60 მეომარს. გარდა ამისა, ყოველ ცენტურიაზე მოდიოდა 20 მსუბუქად შეიარაღებული მებრძოლი, ე. წ. ველიტები. ლეგიონს ემატებოდა 300 ცხენოსანი, დაყოფილი 10 ტურმად, ე. ი. თითოეულ ტურმაში 30 ცხენოსანი.

რომაელი ლეგიონერი.

საერთოდ ნორმალური ლეგიონის სურათი ასეთი იყო[1]:

ჰასტატები	. . . .	10 მანიპული, თითოეულში	120	კაცი—1200 კაცი
პრინციპები	. . . .	10 „ „	120	„ —1200 „
ტრიარიები	. . .	10 „ „	60	„ —600 „
ველიტები	. . .	60 ცენტურიიდან თითოეულზე	20	„ —1200 „
სულ: ქვეითი	. . . . .			4200 კაცი
ცხენოსანი	. . . . .			300 „
		სულ		4500

რომაელ მოქალაქეთაგან შემდგარი ლეგიონების გარდა არმიაში შედიოდნენ ე. წ. „მოკავშირენი“ (socii), ე. ი. იტალიის დამორჩილებულ ტომთა მეომრები. ყოველ ლეგიონს ემატებოდა „მოკავშირეთა“

[1] С. И. Ковалев, История Рима, 1948, გვ. 160.

5000 მეომარი და 900 მხედარი, მაშასადამე. გაცილებით მეტი, ვიდრე თვით რომაული ლეგიონი იყო.



რომაელი ველიტი.

თითოეული კონსულის, ომის შემთხვევაში იგივე სარდლების, არმიები ძირითადად ორ-ორი ლეგიონისაგან შედგებოდა, ე. ი. რომაელთა გაერთიანებული არმია ოთხი ლეგიონისაგან იყო შემდგარი. უფრო გვიან ლეგიონების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა.

არმიების გაერთიანების შემთხვევაში კონსულები რიგრიგობით მთავარსარდლობდნენ. მათ ჰყავდათ მოადგილეები, რომელთაც ლ ე გ ა ტ ე ბ ი ეწოდებოდათ. ექვსი სამხედრო ტრიბუნი რიგრიგობით მეთაურობდა ლეგიონს. მანიპულებს ცენტურიონები უდგნენ სათავეში, ხოლო ასეულების მეთაურები ცენტურიონთა მოადგილეებად ითვლებოდნენ.

რომაელი მხედარი.

მძიმედ შეიარაღებული რომაელი ლეგიონერი აღჭურვილი იყო ორლესული მოკლე მახვილით, ხანჯლითა და შუბით. გარდა ამისა, ჰასტატებს ჰქონდათ ორი მეტრის სიგრძის სასროლი შუბი, ე. წ. პილუმი, სათხედი. ლეგიონერებს თავზე ეხურათ ლითონის ჩაფხუტები; ტანზე ეცვათ ტყავის ჯავშანი, ლითონის ფურცლებით შეჭედილი; ფეხებსა და მკლავებზე — ლითონის საბარკულები და ხელში — ტყავით და ლითონით დაფარული ხის ნახევარცილინდრისებური ფარი. მსუბუქად შეიარაღებულს თავზე ეხურა ტყავის ჩაფხუტი და თავს იცავდა მსუბუქი მრგვალი ფარით, შეიარაღებული იყო მახვილითა და სათხედებით.

საინტერესო იყო რომაელთა სამხედრო ბანაკი (castra). ბრძოლის ადგილზე მისვლისას თუ დასვენებისას რომაელები აგებდნენ ბა-



რომაული სამხედრო ბანაკი.

ნაკს, რომელიც ოთხივე მხრიდან შეკრული იყო ღრმა თხრილებითა და მიწაყრილებით, ყოველ მხარეზე მტკიცედ დაცული კარებით. ბანაკში მტკიცედ იყო განსაზღვრული ყოველი სამხედრო შენაერთის ადგილი, სარდალთა და სამხედრო მეთაურთა კარვები, საკრებულოები და სხვ. ძალიან ძნელი იყო რომაელთა სამხედრო ბანაკის აღება.

ასეთი იყო რომის არმია, რომის ძლიერების ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი. ამასთან ერთად მთელი იტალიის დაუშრეტელი მატერიალური სიმდიდრენი და ომში გასაწვევ ადამიანთა

სათხედის სროლა.

კონტინგენტების სიმრავლე რომს აქცევდა იმ დროისათვის მეტად მძლავრ სამხედრო და პოლიტიკურ ძალად.

. . .

ასეთი იყო რომი, როდესაც მან მთლიანად დაიმორჩილა იტალია და სიცილიის სანაპიროებს მიადგა... „იმ ხანძრის მსგავსად, რომელიც ჰბუგავს მის გზაზე მდებარე ტყეებს და მდინარის პირას მისული დროებით შენელდება ხოლმე, ასევე რომაელი ხალხიც, იტალიის დამამარცხებელი, მივიდა თუ არა სრუტემდე, ერთი წუთით შეჩერდა. მაგრამ ძალე თავისი თვალი სიცილიას მიაპყრო. ეს იყო მდიდარი ნადავლი, რომელიც ცხვირწინ ედო და თითქოს მოწყვეტილი იყო იტალიის ხმელეთს. ის აღიგზნა სურვილით, სიცილია კონტინენტისათვის დაებრუნებინა. ფიქრობდნენ, რომ ომი და იარაღი გააკეთებდნენ იმას, რის გაკეთებაც ვერ შესძლეს ვერც ხიდებმა და ვერც გზებმა“.[1]

რომაელებმა ხარბი თვალი მიაპყრეს კუნძულ სიცილიას, მაგრამ მისი დაპყრობისათვის ხელის აღმართვა ნიშნავდა ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან სამკვდრო-სასიცოცხლო დუელში გასვლას, როგორთანაც რომს ჯერ კიდევ საქმე არა ჰქონია.

ეს იყო კ ა რ თ ა გ ე ნ ი.

კართაგენი

X — IX საუკუნეებში ფინიკიელებმა, რომელთაც რომაელები „პ უ ნ ე ბ ს“ (poeni—აქედანვე სიტყვა „პ უ ნ ი კ უ რ ი“) უწოდებდნენ, ძველი მსოფლიოს „ზღვის მეეტლეებმა“ და სახელგანთქმულმა ვაჭრებმა, მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი და მისი სანაპიროები სავაჭრო კოლონიებით დაასახლეს. ფინიკიელთა კოლონიზაცია განსაკუთრებით ძლიერი იყო ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთ ესპანეთის სანაპიროებზე.

IX საუკუნის ბოლოს (814 წ.) აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე ფინიკიის ძლიერი ქალაქის — ტ ი რ ო ს ი ს მცხოვრებლებმა დააარსეს ქ. კ ა რ თ ა გ ე ნ ი, ანუ „ ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი“ (ფინიკურად — „ ქ ა რ ტ ხ ა დ ა შ ტ“, ბერძნულად — „ კ ა რ ხ ე დ ო ნ“, ლათინურად — „ კ ა რ თ ა გ ო“).

კართაგენს შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა ტ უ ნ ი ს ი ს ყურეში და საუკეთესო ნავსადგურს წარმოადგენდა. ხმელეთიდან მას გარს ერტყა მდ. ბაგრადით კარგად მორწყული და გაპოხიერებული, მოსავლით უხვი სამიწათმოქმედო ოლქი.

[1] ფ ლ ო რ უ ს ი, II, 2.

VII — VI საუკუნეებიდან კართაგენი სწრაფად ძლიერდება. მან ხელში ჩაიგდო მთელი დასავლეთ ხმელთაშუა ზღვა, ჩრდილოეთ აფრიკის, სამხრეთ ესპანეთის, ბალეარის, სარდინიის, კორსიკისა და სიცილიის ფინიკიური ქალაქები.

ამგვარად, თანდათანობით საფუძველი ჩაეყარა კართაგენის მძლავრ მონათმფლობელურ, სავაჭრო-საზღვაო სახელმწიფოს.

კართაგენის ეკონომიკის ძირითად საფუძველს საშუამავლო ვაჭრობა წარმოადგენდა. კართაგენელი ვაჭრები მაშინდელი მსოფლიოს ყველა კუთხესთან ვაჭრობდნენ. მათ მსოფლიოს ბაზრებზე გაჰქონდათ სახელგანთქმული ფინიკიური ძოწეული (პურპური) და იისფერი ქსოვილები, საღებავები, თევზი, ხე-ტყე; მცირე აზიის, ესპანეთისა და სარდინიის ლითონები; ლიბიის (იგივე აფრიკა), სიცილიის, სარდინიის, ეგვიპტისა და იტალიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები; სუდანისა და ეთიოპიის სპილოს ძვალი და ოქროს ქვიშა; საბერძნეთის ზეთი და მხატვრული ნაკეთობანი; ცენტრალური აფრიკის ფარშევანგები და არაბული ნელსაცხებლები; ეგვიპტური კერამიკა და ხალიჩები; ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების სანაპირო ქვეყნების კალა და ქარვა. ისინი ვაჭრობდნენ მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან მორეკილ მონათა კონტინგენტებით. ანტიკური დროის წყაროები კართაგენს მოიხსენიებენ როგორც მსოფლიოში უმდიდრეს ქალაქს.

კართაგენის ეკონომიურ სიძლიერეს, ვაჭრობის გარდა, მაღალ საფეხურზე მდგომი სოფლის მეურნეობაც შეადგენდა. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენამდე მოღწეულია კართაგენელთა მიერ სპეციალურად შედგენილი სასოფლო-სამეურნეო ტრაქტატები. ჩრდილოეთ აფრიკის ის ოლქები. სადაც კართაგენი და კიდევ უფრო ძველი ფინიკიური ქალაქი უტიკა მდებარეობდა, მიწათმოქმედებისათვის საუკეთესო ბუნებრივი პირობებით ხასიათდებოდა. ეს რაიონები მოფენილი იყო მსხვილ კართაგენელ მიწათმფლობელთა სახნავ-სათესი მიწებით, ხორბლეულის კულტურების პლანტაციებით, ვენახებითა და ბაღ-ბოსტნებით. მათი მეურნეობა ძირითადად მონურ შრომაზე იყო დამყარებული. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ კართაგენი მონათმფლობელობის კლასიკურ ქვეყნად ითვლება. ამავე დროს კართაგენელთა მიწებს ამუშავებდა ადგილობრივი დამორჩილებული მოსახლეობა: ლიბიელები, მავრიტანელები, გეტულები, ნუმიდიელები და სხვა აფრიკული ტომები.

• • •

კართაგენის პოლიტიკური წყობილება წმინდა ო ლ ი გ ა რ ქ ი უ ლ ი ხასიათისა იყო. სახელმწიფოს მთელი ძალაუფლება ხელთ ეპყრა მდიდარ ფინანსიურ და მიწათმფლობელურ არისტოკრატიას.

ქვეყნის უმაღლეს აღმასრულებელ ძალაუფლებას ანხორციელებდა ორი ს უ ფ ე ტ ი (ფინიკიური shoietim — მოსამართლე), რომელთაც რომაელები და ბერძნები მეფეებს უწოდებდნენ. სუფეტები თავიანთი უფლებებითა და მოვალეობით უფრო რომაელ კონსულებს მოგვაგონებდნენ. მათ ირჩევდნენ ერთი წლის ვადით, ისინი მშვიდობიანობის დროს განაგებდნენ სამოქალაქო საქმეებს, ხოლო ომის შემთხვევაში სარდლობდნენ არმიასა და ფლოტს.

ადრე კართაგენის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს სახალხო კრება წარმოადგენდა, მაგრამ IV — III საუკუნეებში ოლიგარქები მას უკვე აღარაფერს ეკითხებოდნენ. სახალხო კრებას იწვევდნენ იშვიათად და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა სუფეტებს ირჩევდნენ ან სუფეტებსა და სენატს შორის რაიმე განხეთქილება ჩამოვარდებოდა.

კართაგენის ფაქტიურ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა 300 მდიდარი არისტოკრატისაგან შემდგარი ს ე ნ ა ტ ი, რომელიც სწყვეტდა სახელმწიფოს ყველა ძირითად საქმეს, ომისა და ზავის საკითხებს, სცემდა ყველა სახის კანონს. მიმდინარე საქმიანობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა სენატისაგან სპეციალურად გამოყოფილი 30 კაცისაგან შემდგარი ოლიგარქიული კომიტეტი.

კართაგენში არსებობდა, აგრეთვე, ე. წ. ა ს ო თ ხ ი ს საბჭო. ეს ორგანო ისმენდა ცალკეულ უწყებათა უფროსების ანგარიშებს, ამზადებდა საკითხებს სენატსა და სახალხო კრებაზე გასატანად და კონტროლს უწევდა სახელმწიფოში გამოცემული კანონების ცხოვრებაში გატარებას.

სახელმწიფოს მმართველ ოლიგარქიაშიც არ არსებობდა სრული თანხმობა და ერთსულოვნება. იგი ძირითადად ორი მიმდინარეობისაგან შედგებოდა: ს ა ვ ა ჭ რ ო-ფ ი ნ ა ნ ს ი ს ტ ი რ ი და მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ს ტ ი რ ი. რასაკვირველია, ასეთი დაყოფა გამომდინარეობდა კართაგენის ზემოხსენებული ეკონომიური სტრუქტურისაგან. ამ ორ დაჯგუფებას შორის ძალიან ხშირი განხეთქილებები ხდებოდა. ოლიგარქიის სავაჭრო-ფინანსურ ნაწილს ყოველთვის ფართო საგარეო პოლიტიკის, ხშირი ომებისა და მსოფლიოს ახალი ბაზრების დაპყრობისაკენ ეჭირა თვალი, მაშინ როცა კონსერვატიულ-აგრარული არისტოკრატია ფართო საომარი პოლიტიკის გატარებას, რასაც ხშირად შედეგად სამეურნეო ნგრევა მოსდევდა, შიშის თვალით უცქერდა და ყოველ ხელსაყრელ მომენტში ენერგიულადაც ებრძოდა მას.

• •

კართაგენის სახმელეთო არმია ძირითადად დაქირავებული მეომრებისაგან შედგებოდა. მასში შედიოდნენ ლიბიელები, ნუმიდიელები,

ესპანელები, კელტები, იტალიკები, ბერძნები და სხვ. ისინი გაწვრთნილი და მამაცი პროფესიონალი მეომრები იყვნენ და თუ კი კარგ ფასს მისცემდნენ და მდიდარი ნადავლის პერსპექტივას დაუხატავდნენ, სიამოვნებით ყიდდნენ თავიანთ სისხლს კართაგენელების საომარ გეგმათა განხორციელებისათვის. ასეთი არმია ძლიერი სამხედრო ძალა იყო, მაგრამ ხანგრძლივი, გაჭიანურებული ომის პირობებში დაღლილობას მალე გრძნობდა, უხალისოდ იბრძოდა და დრტვინვას იწყებდა.

კართაგენს რომის მსგავსად სამოქალაქო ლაშქარი არ ჰყოლია, რადგან მას თავისი, საკუთარი მკვიდრი გლეხური მოსახლეობა არ ჰყავდა, ხოლო თვით ქალაქის მცხოვრებნი ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ და საომარ საქმეს იშვიათად ეტანებოდნენ. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ მოჰკიდებდნენ ისინი იარაღს ხელს. ამდენად რომის არმია, რომელიც მთლიანად მკვიდრი რომაელი მოქალაქეებისაგან და იტალიელი მოკავშირეებისაგან შედგებოდა, კართაგენის სახმელეთო არმიაზე უფრო ძლიერი და ბრძოლისუნარიანი იყო. განსაკუთრებით ეს უპირატესობა იგრძნობოდა ხანგრძლივ ომებში.

სამაგიეროდ, იმ დროს, როდესაც რომს საკუთრად თითქმის არც ერთი სამხედრო და სავაჭრო გემი არ გააჩნდა და მხოლოდ იტალიელთა და ბერძენთა ხომალდებით სარგებლობდა, კართაგენს მთელს მსოფლიოში უძლიერესი და უპირველესი საზღვაო ფლოტი ჰყავდა. კართაგენს საჭიროების შემთხვევაში შეეძლო რამდენიმე ასეული სამხედრო გემი გამოეყვანა შესანიშნავად დახელოვნებული საზღვაო ეკიპაჟებით. მათი სამ და ხუთბაქნიანი გემები ამაყად სერავდნენ ხმელთაშუა ზღვას, გადიოდნენ ჰიბრალტარის სრუტეში, რომელსაც ისინი მ ე ლ კ ა რ ტ ი ს ს ვ ე ტ ე ბ ს ეძახდნენ, უშიშრად დანავარდობდნენ ატლანტის ოკეანეში და მის მოსაზღვრე ქვეყნებში.

* * *

ამგვარად, III საუკუნის 60-იანი წლებისათვის ხმელთაშუა ზღვის აუზში ორი მძლავრი სახელმწიფო არსებობდა — რომი და კართაგენი.

კართაგენი შეშფოთებული იყო რომაელთა წინსვლით სამხრეთისაკენ, სიცილიისაკენ. ის განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდა იმას, რომ იტალიის ბერძნული ქალაქები, რომლებიც მუდამ კართაგენის მეტოქეები და მოსისხლე მტრები იყვნენ, ახლა რომის სამფლობელოთა ორბიტში შედიოდნენ. მაშინ როცა კართაგენელები თვითონ არაერთგზის ცდილან იტალიის კოლონიზაციას, ახლა მთელი იტალია, რომის მეთაურობით, თვითონ უქმნიდა საფრთხეს მის საზღვაო და სავაჭრო ძლიერებას ხმელთაშუა ზღვაზე.

კართაგენი მით უფრო უნდა ცდილიყო რომის მხრივ საფრთხის

აღკვეთას, რომ რომაელები მესენის სრუტეს მოადგნენ და, როგორც ეტყობოდა, სიცილიაზე ჯარების გადმოსასხმელად ემზადებოდნენ.

ახალგაზრდა რომის სახელმწიფო, იტალიის მთლიანად დამორჩილების შემდეგ, უშუალოდ შეეჯახა კართაგენის სავაჭრო-ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს ხმელთაშუა ზღვაზე. რომაელები და მისი „მოკავშირე“ მოვაჭრე ოლქები, განსაკუთრებით ბერძნული ქალაქები, დაჟინებით მოითხოვდნენ ფინიკიელებისაგან იტალიისა და სიცილიის გარშემო მდებარე საზღვაო გზებისა და მთელი ხმელთაშუა ზღვეთის განთავისუფლებას. ისინი განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდნენ იმას, რომ სიცილიის უდიდესი ნაწილი კართაგენელებს ეჭირათ.

რომისა და კართაგენის მთელი ეკონომიური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი პირველ რიგში სიცილიაში იყრიდნენ თავს.

ამ დროს სიცილიის აღმოსავლეთ ნაწილში ცნობილი ბერძნული ქალაქის, ს ი რ ა კ უ ზ ი ს ბატონობა სუფევდა. მაგრამ ჭ. სირაკუზი, რომელიც ერთ დროს ძლიერი და მთელი სიცილიის მფლობელობის მონოპოლისტი იყო, ახლა შედარებით სუსტი მმართველის, ტირან ჰ ი ე რ ო ნ II-ის ძალაუფლებას ემორჩილებოდა და კუნძულის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილზე ბატონობდა. III ს-ის პირველ მეოთხედში კართაგენელებმა ხელში ჩაიგდეს სიცილიის უდიდესი ნაწილი და დღედღეზე შთანთქმით ემუქრებოდნენ იმ აღმოსავლეთ რაიონებსაც, სადაც ჯერ კიდევ აფარებდნენ თავს ბერძნები.

კუნძული სიცილია რომისა და კართაგენის საბრძოლო „განხეთქილების ვაშლად“ იყო ქცეული. ორი მტაცებელი გაფაციცებით ელოდებოდა დროსა და საბაბს მისი სრული დასაკუთრებისათვის. როცა 276 წელს მეფე პიროსი სიცილიას სტოვებდა, მას უთქვამს: „ოო, როგორ საბრძოლო ასპარეზს ვუტოვებ მე კართაგენელებსა და რომაელებსო!“ პიროსი არ სტყუოდა. მისი სიტყვებიდან 12 წლის შემდეგ სიცილიაში ატყდა საბრძოლო ყიჟინა.

დაიწყო ხანგრძლივი ომები რომსა და კართაგენს შორის. ეს ომები ისტორიაში შევიდა „პუნიკური ომების“ სახელწოდებით.

თავი პირველი*

პირველი პუნიკური ომი

ომის პირველი წლები. ბრძოლა მილესთან

ომის დაწყების საბაბი ქ. მესანის ამბებს დაუკავშირდა.

ქ. მ ე ს ა ნ ა მდებარეობდა სიცილიის ჩრდილოეთის კონცხზე. ის მხოლოდ ვიწრო სრუტით იყო გამოყოფილი აპენინიდან და უახლოვდებოდა იტალიის უკიდურესი სამხრეთის ქალაქ რ ე გ ი უ მ ს. ამდე-



მესანა.

ნადაც მესანას დიდი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რომისა და კართაგენისათვის, ასევე სირაკუზისათვის.

ამ დროს მესანა ხელთ ეპყრათ კამპანიელ დაქირავებულ მეომრებს, ე. წ. მ ა მ ე რ ტ ი ნ ე ლ ე ბ ს, ე. ი. „მარსის[1] ხალხს“, როგორც ისინი უწოდებდნენ თავიანთ თავს.

---

[1] მ ა რ ს ი (რომაელებთან) ივიე ი ა რ ე ს ი (ბერძნებთან) — ომის ღმერთი.

მამერტინელები სირაკუზის ტირანის ა გ ა თ ო კ ლ ე ს (317 — 285) არმიაში მსახურობდნენ. აგათოკლეს სიკვდილის შემდეგ, 284 წ., ისინი წელიწადნენ მესანაში და აიღეს იგი. ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი გააძევეს; მათი ქალები და ბავშვები ურთიერთ შორის გაინაწილეს; ქონება დაიტაცეს; ქალაქი და მისი მიდამოები მთლიანად თავის საკუთრებად გაიხადეს.

სწორედ იმავე ხანებში კამპანიელი ავანტიურისტების მეორე ჯგუფმა სრუტე გადალახა და სცადა ხელში ჩაეგდო ქალაქი რეგიუმი, მაგრამ მალე მოუსწრეს რომაელებმა. მათ კამპანიელები გაანადგურეს და რეგიუმი თვითონ დაისაკუთრეს.

270 წ. მესანის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა სირაკუზის მეფემ ჰ ი ე რ ო ნ II-მ. მან რამდენიმე უშედეგო იერიშის შემდეგ ძლიერი ალყა შემოარტყა ქალაქს. მამერტინელები ხუთი წლის მანძილზე ებრძოდნენ შიმშილსა და გაჭირვებას. ბოლოს, როცა შეატყვეს, რომ საკუთარი ძალებით ალყისაგან თავის დაღწევა არ შეეძლოთ, გადაწყვიტეს რომელიმე ძლიერი ქვეყნისათვის ეთხოვათ დახმარება. ასეთ ჩამრევ ძალად მიჩნეული უნდა ყოფილიყო ან კართაგენი, ან რომი.

დიდი ბჭობისა და დავის შემდეგ, თუ ვისთვის უნდა ეთხოვათ დახმარება, რომისა თუ კართაგენისათვის, მამერტინელებმა ელჩები გაგზავნეს რომში.

რომმა გადაწყვიტა სიცილიის საქმეში ჩარევა, ე. ი. რომი ომის გზაზე დადგა.

264 წლის გაზაფხულზე კონსულ ა პ ი უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს ი ს სარდლობით რომაელთა არმია და მცირერიცხოვანი იტალიური ფლოტი მესანის სრუტეში შევიდა ქ. რეგიუმთან. მაგრამ აქ მათ შეიტყვეს, რომ მესანაში უკვე კართაგენელთა გარნიზონი იდგა.

სწორედ იმ დროს, როცა მამერტინელთა ელჩები რომისაკენ მიეშურებოდნენ, მესანის სრუტეში გამოჩნდა კართაგენელთა ძლიერი ფლოტი ჰ ა ნ ო ნ ი ს სარდლობით.

კართაგენელთა მომხრეებმა კარი გაუღეს ჰანონს, რომელმაც სრულიად უსისხლოდ ჩაიგდო ქალაქი ხელში და აკროპოლისშიც ძლიერი გარნიზონი ჩააყენა.

რომაელების ჩამოსვლამ გააგზნევა და გააძლიერა მათი მომხრე მოსახლეობის ნაწილი, რომელიც მესანის მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენდა. ამან ხელი შეუწყო აპიუს კლავდიუსის ენერგიული ნაბიჯის გადადგმას. მან, პირველი წარუმატებლობის მიუხედავად, მაინც მოახერხა სრუტის გადალახვა და ქალაქთან მისვლა. კართაგენელთა სარდალმა ვერ გამოიჩინა საკმაო ენერგიულობა და წინდახედულობა. ის აპიუს კლავდიუსის მიწვევაზე დათანხმდა და მის ბანაკში გამოცხად-

და. აქ რომაელებმა ჰანონი დააკავეს და აიძულეს თავისი გარნიზონისათვის განკარგულება მიეცა ქალაქის დატოვების შესახებ.

ჰანონმა შეასრულა რომაელის ბრძანება. ამგვარად, 264 წელს მესანა რომაელების ხელში გადავიდა. ჰანონს მისმა თანამემამულეებმა ბრალი დასდეს წინდაუხედაობასა და სიმხდალეში და ჯვარზე გააკრეს. ხოლო რომს ომი გამოუცხადეს.

იმავე წელს რომაელებმა ცალ-ცალკე გაანადგურეს კართაგენელთა ახალი ჯარები და მათი მოკავშირე ჰიერონ II. ამის შემდეგ ჰიერონი რომაელთა მხარეზე გადავიდა და სიკვდილამდე მათ ერთგულ მოკავშირედ დარჩა.

კართაგენელებმა სიცილიაში გადმოსხეს 50 000 მეომრისაგან შემდგარი არმია. 262 წლისათვის კართაგენელთა ეს არმია ჰანიბალ გისგონის ძის სარდლობით ძლიერ სამხედრო გარნიზონებად დაბანაკდა სიცილიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს ქალაქ ა გ რ ი გ ე ნ ტ უ მ შ ი.

რომაელებმა ხუთი თვის ალყის შემდეგ აიღეს ქალაქი აგრიგენტუმი. მათ ხელთ იგდეს მტრის მთელი ბანაკი, აღალი და სპილოების დიდი ნაწილი. მაგრამ თვიოონაც იმდენად იყვნენ დასუსტებული და გაჩანაგებული, რომ გაქცეული მტრის დევნა და მისი საბოლოოდ განადგურება აღარ შეეძლოთ.

აგრიგენტუმის აღების შემდეგ სიცილიის ქალაქები, მცირე გამონაკლისის გარდა, მთლიანად რომის მხარეზე გადავიდნენ. ამგვარად, თითქმის მთელი კუნძული უკვე რომის ძალაუფლებას ემორჩილებოდა.

მაგრამ რომაელებმა თითქოს ახლა შეამჩნიეს, რომ კართაგენი მაინც მთელი ხმელთაშუა ზღვის ბატონ-პატრონი იყო და ძლიერი საზღვაო ძალებით სისტემატურად დაუბრკოლებლად თავს ესხმოდა იტალიისა და სიცილიის სანაპიროებს.

რომაელები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ძლიერი ფლოტის გარეშე შეუძლებელია კართაგენთან საბრძოლო ასპარეზზე გასვლა. ამიტომ რომაელებმა არაჩვეულებრივი ენერგიითა და ენთუზიაზმით მოჰკიდეს ხელი სამხედრო ფლოტის მშენებლობას. მოკლე ხანში ბერძენი ოსტატების დახმარებით მათ ააგეს 100 ხუთბაქნიანი (პენტერა) და 20 სამბაქნიანი (ტრიერა) სამხედრო ხომალდი. მაგრამ რომაელთა ძძიმე და ნაკლებმოძრავი გემები ძლივს ცურავდნენ ზღვაზე და გაცილებით ჩამორჩებოდნენ ფინიკიელთა სწრაფმავალ, მანევრირებისუნარიან ხომალდებს. ამიტომ რომაელებმა ამის საწინააღმდეგო ხერხიც გამოიგონეს. მათ თავიანთ გემებს წინ. ცხვირებზე გაუკეთეს პატარა ხიდები, გვერდებზე მოაჯირითა და ბოლოებზე რკინის კაუჭით (ამიტომაც ჯარისკაცები მათ „ყვავებს" ეძახდნენ). ასეთი ხიდი ბრძოლაში ჩაბმამდე აღმართული და მიკრული იყო გემის ანძაზე. ხოლო როგორც კი მოწინა-

აღმდეგის ხომალდს მიუახლოვდებოდნენ, აუშვებდნენ მას და გადაისვრიდნენ მისკენ. კაუჭი მაგრად ჩაეჭიდებოდა მოწინააღმდეგის გემის ძგიდეს და ამგვარად დაბმულს ადგილზევე „გაჰყინავდა“, ხოლო ამასობაში გადაიჭრებოდნენ მასზე, ჩაუხტებოდნენ მოწინააღმდეგეს მათი გემების ბაქნებზე და იბრძოლებდნენ ისე, როგორც ხმელეთზე. ამგვარად. რომაელებთან საზღვაო ბრძოლა ბევრად აღარ იქნებოდა განსხვავებული სახმელეთო ბრძოლისაგან.

260 წელს მოხდა დიდი საზღვაო ბრძოლა. სადაც ახალგაზრდა რომაულმა ფლოტმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა. ეს იყო მესანის და-



რომაელი ხომალდი.

სავლეთით მდებარე კონცხ მ ი ლ ე ს თ ა ნ. აქ რომაელები და კართაგენელები ერთმანეთს შეხვდნენ მთელი თავისი საზღვაო ძალებით.

რომაელთა ფლოტს სათავეში ედგა კონსული გ ა ი უ ს მ ა რ კ უ ს დ უ ი ლ ი უ ს ი, ხოლო კართაგენელებს წინ მოუძღოდათ ჰანიბალი. პირველი შეტაკებისთანავე რომაულმა „ყვავებმა“ 30-მდე ფინიკიური ხომალდი „დააბეს“. დუილიუსის ლეგიონერები შეუკავებელ ნიაღვრად იჭრებიან მოწინააღმდეგეთა გემებზე და უწყალოდ ჟლეტენ მოულოდნელობით დაბნეულ მტრებს. რომელი მხრიდანაც არ სცადეს ჰანიბალის სწრაფმა „ზვირთებზე მფრინავმა“ ხომალდებმა მოწინააღმდეგის თითქმის უძრავად მდგარ ხის მასებზე თავდასხმა და ლითონის ქიმებით დაჯახება, იმავე მხრიდან ეშვებოდა საბედისწერო კაუჭიანი ხიდი.

დიდი იყო კართაგენელთა ზარალი. მათ 130 გემიდან დაჰკარგეს 50 თავისი საზღვაო ეკიპაჟებითურთ.

რომაელები დიდი ზეიმით შეხვდნენ მილეს ბრძოლის გმირსა და სარდალს. გაიუს დუილიუსს. ბის პატივსაცემად პირველად მოეწყო რომში საზღვაო ტრიუმფი. რომაელები საშინელი ღრიანცელით მისდევდნენ ტრიუმფში გატარებული ტყვე კართაგენელი მეზღვაურების რიგებს. დუილიუსის სარდლობით მოპოვებული გამარჯვების უკვდავსაყოფად სენატის დადგენილებით რომის ფორუმზე მოედანზე აღმართულ იქნა მარმარილოს სვეტი, რომელიც მორთული იყო გემების ლითონის ქიმებითა და მემორიალური წარწერით (columna rostrata Duilii). ამ პატივს ისიც მიუმატეს, რომ როცა დუილიუსი ღამით შინ ბრუნდებოდა, მას ყოველთვის წინ მიუძღოდნენ სპეციალურად გამოყოფილი მსახური ჩირაღდნით და მუსიკოსი ფლეიტის დაკვრით.

ლაშქრობა აფრიკაში

მილეს ბრძოლიდან სამი წლის მანძილზე სიცილიაში გულის გამაწყალებლად ჭიანურდებოდა გაუთავებელი შეტაკებანი. ქალაქები ხელიდან ხელში გადადიოდა და გადამწყვეტი შედეგი არ ჩანდა.

ბოლოს რომაელებმა უფრო გადამჭრელი ნაბიჯი გადადგეს, გადაწყდა განხორციელებულიყო იდეა, რომელზეც ადრე ოცნებობდა მეფე პიროსი: მოეწყოთ დიდი სამხედრო ექსპედიცია აფრიკაში, უშუალოდ კართაგენის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ასეთი გაბედული გეგმის განხორციელება საბოლოოდ დაშლიდა ამდენი ხნის დაჭიმულობისა და დამქანცველი უშედეგობის ატმოსფეროს.

რომაელებმა აფრიკაში სალაშქროდ ძლიერი საზღვაო ფლოტი გაამზადეს. ის შედგებოდა 330 სამხედრო გემისაგან და 100 000 მეომარ-მეზღვაურისაგან. ეს ფლოტი 256 წლის გაზაფხულზე დაიძრა სამხრეთისაკენ, გაიარა მესანის სრუტე და სიცილიის აღმოსავლეთ სანაპიროების გავლით შემოუარა პახინუმის კონცხს და შეჩერდა კუნძულის სამხრეთ სანაპიროზე, აგრიგენტუმის აღმოსავლეთით, მდ. ჰიმერას შესართავთან. აქ საზღვაო ეკიპაჟს მიემატა 40 000 მეომრისაგან შემდგარი სახმელეთო არმია, რომელსაც კონსულები მ ა რ კ უ ს ა ტ ი ლ ი უ ს რ ე გ უ ლ უ ს ი და ლ უ ც ი უ ს მ ა ნ ლ ი უ ს ვ ო ლ ს ო ნ ი სარდლობდნენ. უკვე ყველაფერი მზად იყო. კონსულებმა ბრძანება გასცეს და ის იყო გემებმა ღუზები აუშვეს, რომ დასავლეთის ჰორიზონტზე გამოჩნდა კართაგენელთა 350 გემისაგან შემდგარი ფინიკიური ფლოტი.

ამგვარად, 256 წლის გაზაფხულზე სიცილიის სამხრეთ სანაპიროზე, მდ. ჰიმერას შესართავთან მდებარე კონცხის ე კ ნ ო მ ი ს მახლობ-

ლად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ერთმანეთს შეხვდნენ მოწინააღმდეგეთა უზარმაზარი ძალები. ეს ბრძოლა ანტიკური მსოფლიოს ისტორიაში პირველი უდიდესი საზღვაო ბრძოლა იყო. რომაელთა ფლოტი 140 000 მეომრისაგან შედგებოდა; კართაგენელთა გემბანებზე 150 000 მეომარ-მეზღვაური იდგა. ამგვარად, ეკნომის ბრძოლაში ორივე მხრიდან დაახლოებით 300 000 კაცი ღებულობდა მონაწილეობას.

ეკნომთან ბრძოლა რომაელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. კონსულებმა არმიები აფრიკაში გადასხეს. ისინი დაუბრკოლებლად დათარეშობდნენ კართაგენის სამფლობელოებში. მათ ზვიადობას საზღვარი არ ჰქონდა. თვით რომშიც ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ დღეს თუ ხვალ კართაგენი იარაღს დაჰყრიდა. რომში იმდენად ძლიერი იყო უძლეველობის რწმენა, რომ საჭიროდაც აღარ ჩათვალეს აფრიკაში ორივე კონსულის, მათი არმიებისა და ფლოტის ერთდროული ყოფნა. ამიტომ ზამთრის დასაწყისში მოვიდა სენატის განკარგულება: ერთ-ერთი კონსული, სახელდობრ ლ. მანლიუს ვოლსონი, თავისი ლეგიონებითა და ფლოტის ნახევარი ნაწილით, აგრეთვე მონადქცეული ადამიანების კონტინგენტებით, დაბრუნებულიყო იტალიაში.

აფრიკაში დარჩა კონსული მარკუს ატილიუს რეგულუსი. კართაგენთან შემდგომი ომების საწარმოებლად მისი განკარგულების ქვეშ იმყოფებოდა 15 000 ქვეითი მეომარი, 500 ცხენოსანი და 40 გემი.

კართაგენის ხელისუფლებამ სეერიოზულად შეაფასა კარზე მომდგარი საშიშროება. რომაელთა შემოვრამ სწრაფი ნგრევა გამოიწვია ფინიკიური იარაღის ქვეშ მყოფი ლიბიური (აფრიკული) ოლქების გაერთიანებაში. კართაგენის კირთების ქვეშ მგმინავი აფრიკელი მოსახლეობა ჯანყდებოდა და რომაელთა მხარეზე გადადიოდა. სრული განადგურების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო მთელი სამხედრო შესაძლებლობათა კონსოლიდირება თვით აფრიკაში, ამიტომ სიცილიიდან გამოწვეულ იქნა საზღვაო ფლოტი და არმია, რომელიც იქ. ჰ ა მ ი ლ კ ა რ ი ს სარდლობით, უშედეგოდ ცდილობდა რომაელთა წარმატების შეფერხებას. ამგვარად, რეგულუსის წინააღმდეგ აფრიკაში ჩამოყალიბდა ძლიერი არმია, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ჰ ა ს დ რ უ ბ ა ლ ი (ჰანონის შვილი), ბ ო ს ტ ა რ ი და ჰ ა მ ი ლ კ ა რ ი.

256 წლის დეკემბერში რეგულუსმა ქ. ა დ ი ს თ ა ნ სასტიკად დაამარცხა კართაგენელთა არმია.

ადისის აღების შედეგად კართაგენის აფრიკულ სამფლობელოთა მნიშვნელოვანი ნაწილი ისევ რომაელთა ხელში გადავიდა. უკვე 74 ქალაქი და მრავალი სოფელი იმყოფებოდა რეგულუსის ბატონობის

ქვეშ. იმავე დეკემბრის თვეში მან ხელში ჩაიგდო ქ. ტუნესი (ტუნისი), საიდანაც რომაელები უკვე ხედავდნენ ლეგენდარული ქალაქის კედელთა კოშკებს და აკროპოლისის ცათამბჯენ ქონგურებს. რეგულუსმა რომის სენატს მისწერა, რომ მან შიშით ჩაჰკეტა კართაგენის კარები.

რეგულუსის ბანაკში საზავო მოლაპარაკებისათვის გამოცხადდნენ კართაგენის რჩეული მოქალაქენი.

რეგულუსმა კართაგენელ დესპანებს შემდეგი შინაარსის ზავის პირობები წაუყენა: კართაგენი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს და გადასცეს რომს სიცილია და სარდინია; ყოველწლიურად გადაიხადოს გარკვეული რაოდენობის ხარკი; ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე დააბრუნოს სამხედრო ტყვეები მაშინ, როცა აფრიკელი სამხედრო ტყვეები გათავისუფლებული იქნებიან მხოლოდ გამოსასყიდის გაღებით; უნდა მოისპოს კართაგენის საზღვაო ძლიერება; ყოველი საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში კართაგენმა რომს დამხმარედ უნდა გაუგზავნოს 50 სამხედრო გემი; და, რაც მთავარია, რომი ცხადდება კართაგენის უმაღლეს ხელისუფლად. რომის დაუკითხავად და თანხმობის გარეშე კართაგენს უფლება არა აქვს აწარმოოს საგარეო პოლიტიკა, გამოუცხადოს ომი ვინმეს ან დასდოს ზავი.

რეგულუსი.

კართაგენმა ასეთ ზავზე უარი სთქვა და არაჩვეულებრივი ენთუზიაზმით შეუდგა საომარ სამზადისს. სიცილიიდან გამოწვეულ იქნენ სამხედრო ნაწილები; თითქმის მთელი ფინანსური სახსრები გამოყოფილ იქნა დაქირავებული მეომრების შესაგროვებლად ესპანეთში, გალიაში, ლიბიასა და საბერძნეთში. შეიქმნა ძლიერი სახმელეთო არმია. მის რიგებს შემატა სპარტიდან ჩამოსული საუკეთესოდ გაწვრთნილი და იმ დროისათვის სახელგანთქმული ჰოპლიტთა რაზმები მამაცი მეომრისა და ჭკვიანი სტრატეგოსის ქსანთიპეს მეთაურობით. მთელს კართაგენში გავრცელდა ქსანთიპეს აზრი იმის შესახებ, რომ დღემდე კართაგენელმა სარდლებმა მეტი მარცხი თვითონ მიაყენეს თავის თავს, ვიდრე რომაელებმაო. სპარტანელი ამას სრულიად სამართლიანად და დასაბუთებულად სთვლიდა იმით, რომ კართაგენელმა სარდლებმა არ იცოდნენ სასმელეთო არმიების ხელმძღვანელობა; აფრიკის ფართო ველებზე ვერ იყენებდნენ

სპილოებსა და შესანიშნავ ნუმიდიურ კავალერიას, ე. ი. იმ ნაწილებს, რომლებითაც მათ სრული უპირატესობა უნდა ჰქონოდათ რომაელებთან ბრძოლაში.

ქსანთიპეს მტკიცება იმდენად პოპულარული შეიქნა, რომ მას კართაგენში ანგარიშს უწევენ და როგორი უკმაყოფილებითა და შურითაც არ უნდა აღვსილიყვნენ ქედმაღალი კართაგენელი სარდლები, მამაც სპარტანელს ახლად ჩამოყალიბებული არმიის მთავარსარდლად ნიშნავენ.

255 წლის გაზაფხულზე მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა.

ქსანთიპემ თავისი არმიის წინა ხაზზე ჩაამწკრივა სპილოები, იმ დროის საბრძოლო „ტანკები", მათ ზურგში მარცხენა ფლანგზე განალაგა კართაგენელ მოქალაქეთაგან შემდგარი ფალანგები, ხოლო მარჯვენა ფლანგზე — დაქირავებული მეომრები. სულ ბოლოს ორივე ფლანგის ფრთებზე დააწყო მსუბუქად შეიარაღებული მეომრები და აფრიკული კავალერია. ასეთი წყობის წინააღმდეგ რეგულუსმა თავისი არმია (15 000 ქვეითი და 500 ცხენოსანი) ჩვეულებრივზე უფრო მეტად შეამჭიდროვა და გააღრმავა. იმისათვის, რომ სპილოებს მისი რიგები ვერ გაერღვიათ. მანიპულები სქლად დააყენა ერთიმეორის ზურგში; სულ წინ განალაგა მსუბუქად შეიარაღებული მეომრები, ხოლო ფლანგებზე — კავალერია.

ქსანთიპემ მისცა ნიშანი და ბრძოლაც დაიწყო. სპილოები დაიძრენ რომაელთა რიგებისაკენ; აფრიკელთა კავალერია, მიცემული ბრძანების თანახმად, გაქანდა მტრის ფლანგებისაკენ. გამხეცებულმა სპილოებმა გაარღვიეს და გასთელეს რეგულუსის არმიის მარჯვენა ფრთა; რომაელთა არმია თითქმის მთლიანად განადგურდა. გადარჩა მხოლოდ 2 000 კაცი. მათ ძლივს გაარღვიეს რკინისებური რკალი და თავი შეაფარეს ქ. კლუპეას. კართაგენელებმა ტყვედ ჩაიგდეს თვით რეგულუსი 500 კაცის თანხლებით. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ 255 წლის ზაფხულში 350 ხომალდისაგან შემდგარი რომაული ფლოტი, რომელიც კლუპეაში ჩაკეტილი 2 000 რომაელის საშველად იყო წასული, სიცილიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ქარიშხალმა დალეწა.

ასეთი კრახით დამთავრდა რომაელთა პირველი სამხედრო ექსპედიცია აფრიკაში.

ისევ სიცილიაში

კართაგენი ზეიმობდა რომაელთა ფლოტის დაღუპვას. იგი მეტი მხნეობით შეუდგა ახალი სამხედრო ძალების შეკრებას. მოკლე ხანში მას მზად ჰყავდა 200 გემი, დიდი სახმელეთო არმია და 140 სპილო.

ასეთი ძალებით სარდალი ჰ ა ს დ რ უ ბ ა ლ ი (ჰანონის შვილი) გადავიდა სიცილიის დასავლეთ სანაპიროზე, ქ. ლ ი ლ ი ბ ე უ მ თ ა ნ. აქვე შეაერთა მან სიცილიაში მყოფი სხვა საომარი ძალებიც და შეუდგა მთელი არმიის გაწვრთნას.

რომაელებიც თავის მხრივ დიდი ენერგიით ემზადებოდნენ ხელახალი შეტევისათვის. 254 წელს 220 გემისაგან შემდგარი ფლოტი კონსულების — ავლუს ატილიუსისა და გნეიუს კორნელიუს სციპიონის სარდლობით მიადგა მესანას, სადაც მათ შეიერთეს გასული წლის კატასტროფისაგან გადარჩენილი 80 ხომალდი. აქედან კონსულები გაეშურენ სიცილიის დიდი ქალაქის პ ა ნ ო რ მ ი ს ა კ ე ნ. ისინი განაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგენ პანორმის ალყას როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან. საიერიშო და სატყორცნი მანქანების საშუალებით ზღვის ნაპირზე აღმართული მაღალი კოშკი დაანგრიეს და მძაფრი იერიშით პირველად აიღეს ქალაქის ის ნაწილი, რომელსაც „ახალქალაქს“ უწოდებდნენ, ხოლო მეორე ნაწილი — „ძველი ქალაქი“, რომელიც მიუვალ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, ძლიერ ალყაში მოაქციეს და შიმშილით დაიმორჩილეს. პანორმის მოსახლეობას, მის ყოველ მცხოვრებს რომაელებმა თავისუფლების გამოსასყიდად გარკვეული ხარკის გადახდა დაუწესეს. მხოლოდ 14 000 მცხოვრებმა შესძლო აღნიშნული გამოსასყიდის გადახდა, ხოლო დანარჩენებს, სულ 13 000 კაცს, გამარჯვებულებმა მონობის ბორკილები დაადეს.

პანორმის ბრძოლიდან ოთხი წლის შემდეგ, 250 წელს, ისევ პანორმთან რომაელებმა კვლავ სასტიკად დაამარცხეს კართაგენელები.

სიცილიაში კართაგენელთა უკანასკნელ თავშესაფარს ლილიბეუმი და დრეპანა წარმოადგენდნენ.

250 წელს ლილიბეუმის წინააღმდეგ დაიძრა დიდძალი რომაული ფლოტი და არმია კონსულების — გაიუს ატილიუს რეგულუსისა (ტყვედჩავარდნილის ნათესავი) და ლუციუს მანლიუს ვოლსონის (ტყვედჩავარდნილი რეგულუსის კოლეგა აფრიკაში) სარდლობით.

ლილიბეუმი მიუვალ ციხე-ქალაქს წარმოადგენდა როგორც ზღვიდან, ისე ხმელეთიდან. მას გარს ერტყა მაღალი ქვის კედლები და ღრმა თხრილი.

რომაელთა ახლადჩამოსულ ჯარებს სიცილიაში მანამდე მყოფი ძალებიც შეუერთდნენ და დაიწყეს ქალაქის ალყა. ზღვიდან 200 ხომალდი ცდილობდა ჩაეკეტა ის, ხოლო ხმელეთიდან ოთხი ლეგიონი და სიცილიელი მოკავშირეები ერტყმოდნენ გარს. ისინი ქალაქის მოპირდაპირე მხარეზე ორ ბანაკად იყვნენ გამაგრებული. ბანაკებს შორის, ქალაქის ნახევარ წრეზე, გაყვანილი იყო ღრმა, ფართო თხრილი ამაღლებული მიწაყრილებით. მაგრამ ლილიბეუმს მრავალრიცხოვანი მო-

სახლეობა და 10 000 მეომრისაგან შემდგარი კართაგენელთა გარნიზონი იცავდა მამაცი ჰიმილკონის მეთაურობით.

250 წლის შემოდგომაზე კართაგენელებმა ახალი ფლოტი ჩაუშვეს ზღვაში. მას სათავეში უდგნენ მამაცი და ჭკვიანი ადმირალები ატარბალი და ჰანიბალი. სიცილიის მახლობლად ფლოტი გაიყო. ერთი ნაწილი ატარბალის სარდლობით მიადგა დრეპანას და აქედან გადაუჭრა გზები ლილიბეუმთან დაბანაკებულ რომაელებს, ხოლო ჰანიბალი 50 გემითა და 10 000 მეომრით გაეშურა ლილიბეუმისაკენ.

რომაელებისათვის მტრის ახალი ძალების გამოჩენა მოულოდნელი იყო. მათ ვერც კი მოახერხეს ხელი შეეშალათ ჰანიბალის სწრაფი ხომალდებისათვის, რომლებმაც უეცრად გადასერეს რომაელთა საალყო ხაზი მათ მძიმე გემებს შორის და უვნებლად შეავიდნენ ლილიბეუმის ძველად მისადგომ ყურეში.

ალყაში მოქცეულები გამხნევდნენ, როცა მათ მხარში ამოუდგა ახალი 10 000 მეომარი. ჰიმილკონს ახლა ქალაქის მოსახლეობის გარდა 20 000 რეგულარული ჯარისკაცი ჰყავდა. მან ისარგებლა ქალაქის დამცველთა მორალური აღტყინებით და მათ წინაშე მგზნებარე სიტყვის წარმოთქმისა და საბრძოლო ამოცანების განაწილების შემდეგ დილით ადრე მთელი გარნიზონი გამოიყვანა ქალაქის გარეთ. რომაელებიც მოელოდნენ მათ გამოსვლას და საბრძოლოდ იყვნენ გამზადებული.

ბრძოლა იყო სასტიკი. ეს იყო რომაელთა ყველაზე დიდი მარცხი ზღვაზე.

კართაგენელებმა იტალიის საზღვაო ვაჭრობა გააკოტრეს. ისინი ამ დროს ფინანსურად იმდენად გაძლიერებულან, რომ ეგვიპტისაგან ნასესხები დიდი ვალებიც დაუფარავთ. კართაგენი იმედს არც იმაზე ჰკარგავდა, რომ მალე მოწინააღმდეგეს თავისი სიძლიერით ხმელეთზეც არ ჩამორჩებოდა და უმოკლეს დროში სიცილიიდანაც განდევნიდა მას.

ბარკა. კატულუსი. ზავი

247 წელს კართაგენიდან სიცილიაში ჩამოვიდა მთავარსარდალი, რომელმაც თავისი ენერგიით, სიმამაცით, სამხედრო და სახელმწიფოებრივი მმართველობის ნიჭით შორს ჩამოიტოვა ყველა მისი კართაგენელი თუ რომაელი თანამედროვე. ეს იყო ჰ ა მ ი ლ კ ა რ ბ ა რ კ ა („ე ლ ვ ა“).

ჰამილკარმა სიცილიაში ჩამოსვლა მტერს იმით აგრძნობინა, რომ საზღვაო ფლოტით თავს დაესხა იტალიის სამხრეთ ოლქების სანაპიროებს და საშინლად აოხრა ისინი. შემდეგ შემობრუნდა ისევ სიცილიაში და ხელში ჩაიგდო პ ა ნ ო რ მ ს ა და ე რ ი ქ ს ს შორის მდებარე.


ომის საერთო მიმოხილვა
ბრძოლა ეკბოლის კონსულთან
ქართაგენის ფლოტი
რომაული ფლოტი
ციმბრიული მაღლია
ალპები
ალეზია
ალბანეთი
ალბანეთი
ალბანეთი

პუნქტი ჰ ე ი რ კ ტ ე. რომელიც მდებარეობდა მაღლობზე, ჰქონდა საუკეთეო მისადგომი ზღვიდან. იგი ამავე დროს წარმოადგენდა მიუვალ ციტადელს და სათვალთვალო საიერიშო პუნქტს როგორც პანორამის, ასევე დრეპანა-ლილიბეუმის მიმართულებით. აქ გამაგრების შემდეგ ჰამილკარი ავიწროებდა სიცილიაში მოთარეშე რომაელებს, აწყობდა ხშირ თავდასხმებს იტალიის სანაპიროებზე თვით ლაციუმამდეც კი.

ბოლოს ჰამილკარმა კიდევ ახალი ძლიერი საბრძოლო საყრდენი გამოაცალა ხელიდან მოწინააღმდეგეს. მან ხელში ჩაიგდო ერიქსი. ჰამილკარი ზედგრად იგერიებდა ერიქსთან მოვარდნილი მტრის იერიშებს.

ასე გრძელდებოდა უკვე ხუთი წელი.

242 წლისათვის რომაელებს ჰყავდათ კარგად შეიარაღებული და სათანადო საზღვაო ეკიპაჟით გამზადებული 200 სამხედრო გემი.

ზაფხულის დამდეგს ეს ახალი ფლოტი კონსულ გ ა ი უ ს ლ უ ტ ა ც ი უ ს კ ა ტ უ ლ უ ს ი ს სარდლობით გამოჩნდა სიცილიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე.

კართაგენშიც აღიჭურვა ახალი საზღვაო ფლოტი და ჰანონის სარდლობით სასწრაფოდ დაიძრა სიცილიისაკენ.

ბრძოლა მოხდა კუნძულ ე გ უ ზ ა ს თ ა ნ 241 წლის 10 მარტს.

კართაგენელები სასტიკად დამარცხდნენ. რომაელებმა 50 ფინიკიური გემი ჩასძირეს, ხოლო 70 გემი 10 000 მეომრით ტყვედ ჩაიგდეს.

ეგუზასთან მომხდარმა ბრძოლამ გადამწყვეტი შედეგი მოიტანა. ეს იყო ფინალი 23 წლის განმავლობაში წარმოებული დამქანცველი ომებისა. ძლევამოსილების კვერთხი ხელთ ეპყრა რომს.

ჰამილკარმა, რომელიც ხედავდა, რომ ახლა მისი ქვეყნისათვის ყველაზე უკეთეს გამოსავალს ზავი წარმოადგენდა, დაუყოვნებლივ გამართა მოლაპარაკება კატულუსთან.

ზავი რატიფიცირებულ იქნა შემდეგი შინაარსით: კართაგენს სამხედრო კონტრიბუციის სახით 10 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა 3 000 ვერცხლის ტალანტი და სიცილიის გარდა უნდა დაეტოვებინა ყველა წვრილ-წვრილი კუნძული იტალიასა და სიცილიას შორის, ტირენის ზღვაზე.

ასე დამთავრდა პირველი პუნიკური ომი, პირველი რომაული ლაშქრობა იტალიის საზღვრებს გარეთ. ასე შეემატა რომის სამფლობელოებს პირველი კონტინენტგარეშე ქვეყანა — სიცილია. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა დაპყრობილი ქვეყნების რომაული მმართველობის ახალი სახე, განსხვავებით იტალიის ოლქების მმართველობის „ფედერაციული“ სისტემისაგან. სიცილიას „პროვინცია“ უწოდეს. სიტყვა

„პ რ ო ვ ი ნ ც ი ა“ „დავალებას“ ნიშნავს. პირველ რიგში ამ ტერმინის ქვეშ სამხედრო დავალება იგულისხმებოდა. ახლა მისი მნიშვნელობა უფრო ფართო და განსხვავებული შეიქნა. სიცილიის პირველი პროვინციის მმართველობისათვის რომის ხელისუფლების დავალებით ყოველწლიურად იგზავნებოდა უმაღლესი მაგისტრატი, პრეტორი, რომელიც ადგილზე განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა და მისი მართვა-გამგეობის საქმეებით ანგარიშვალდებული იყო სენატისა და სახალხო კრების წინაშე. პროვინციის მოსახლეობა რიმის ქვეშევრდომად ცხადდებოდა და მის სასარგებლოდ სისტემატურად გარკვეული რაოდენობის ხარკს იხდიდა, ხოლო პროვინციის მიწა სახელმწიფოებრივ საკუთრებად (ager publicus) ითვლებოდა.

ოცდასამწლიანმა სისხლისღვრამ რომს გამარჯვება მოუტანა. მაგრამ გამარჯვების შედეგი, ომის ხანგრძლივობასთან და ურაცხელ მსხვერპლთან შედარებით, მაინცდამაინც დიდი არ ყოფილა. კართაგენის კოლონიალური იმპერია მაინც იმპერიად რჩებოდა. მისი სამფლობელოების ძვირფას და მრავალფეროვან გვირგვინს მხოლოდ ერთი ძვირფასი თვალი მოაკლდა სიცილიის სახით. აფრიკიდან ჯერ კიდევ მოსალოდნელი იყო ახალი ძლიერი ქარიშხალი. კართაგენი ძნელად თუ შეურიგდებოდა ასეთ მარცხს. მასში მუდამ ჰღვიოდა სარევანშო ბრძოლის ცეცხლი. მალე უნდა დასმულიყო საკითხი მსოფლიოში გაბატონებისა ორი დიდი მტაცებლის პოლიტიკურ და საომარ შეჯახებათა ასპარეზზე.

თავი მეორე

კართაგენი და რომი პირველ და მეორე პუნიკურ ომებს შორის

აჯანყება აფრიკაში

კართაგენის ხელისუფლება ომის დამთავრების შემდეგ ნაკლებად ფიქრობს გაიღოს აღთქმული გამოსასყიდი, რომელიც მას წესისამებრ ქირის სახით უნდა მიეცა დაქირავებული მეომრებისათვის: ლიბიელების, ნუმიდიელების, ესპანელების, კელტების, ლიგურების, იტალიელების, ბერძნებისა და სხვათათვის. ის უარს ამბობს მათ მიერ დაღვრილი სისხლის საფასურის გაღებაზე, მით უფრო, რომ კართაგენს რომისათვის დიდძალი სამხედრო კონტრიბუცია ჰქონდა გადასახდელი.

შეუძლებელი იყო მოქირავნეთადმი ასეთი უმადურობა დაუსჯელი დარჩენილიყო. ამის ნიადაგზე აფრიკაში ატეხილმა საომარმა განგაშმა კართაგენი აიძულა დროებით ხელი აეღო რომის წინააღმდეგ სარევანშო ომის სამზადისზე და მთელი ენერგიის დაძაბვით ებრძოლა საკუთარი არსებობის გადარჩენისათვის.

ასე რომ, პირველი პუნიკური ომის დამთავრებისთანავე კართაგენის წინააღმდეგ დაიწყო დაქირავებულ მეომართა აჯანყება, რომელსაც შეუერთდნენ მონები და კართაგენის კირთების ქვეშ მყოფი ლიბიელი (აფრიკული) მოსახლეობა.

აჯანყებას სათავეში უდგნენ კამპანიელი მონა ს პ ე ნ დ ი უ ს ი და ლიბიელი დაქირავებული მეომარი მ ა თ ო ნ ი.

კართაგენის მდგომარეობა მძიმე შეიქნა. ხმელეთიდან მას გზა მოჭრილი ჰქონდა; ტუნისიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ზღვის ნაპირამდე აჯანყებულები ბატონობდნენ.

აჯანყების ჩაქრობის ხელმძღვანელობა კართაგენის ხელისუფლებამ მიანდო ჰ ა ნ ო ნ ს, რომელიც, პირველი წარმატების მიუხედავად, აჯანყებულებმა სასტიკად დაამარცხეს.

კართაგენელებმა ჰანონი გადააყენეს და მის ნაცვლად მთავარსარდლად ჰამილკარ ბარკა დანიშნეს.

ამასობაში მათონმა დაიჭირა იმ მაღლობების ყველა გასასვლელი, რომლითაც კართაგენი კონტინენტს უერთდებოდა.

ჰამილკარმა პირველ შეტაკებაში დაამარცხა აჯანყებულთა ის ნაწილი, რომელსაც სპენდიუსი მეთაურობდა.

მაგრამ კართაგენელებს ჯერ კიდევ დიდი ბრძოლები ელოდათ.

სპენდიუსმა და კელტი მეომრების ბელადმა ა ვ ტ ა რ ი ტ მ ა ტუნესიდან გამოიყვანეს 8 000 მეომრისაგან შემდგარი ჯარი და შეუდგნენ მაღლობებზე ლაშქრობას და კართაგენელთა არმიაზე თვალთვალს ხელსაყრელ დრომდე თავდასხმისათვის. რა თქმა უნდა, ჰამილკარისათვის ხელსაყრელი არ იყო პარტიზანული ბრძოლებით ომის გაჭიანურება, მაგრამ ერთმა შემთხვევამ ისევ მის სასარგებლოდ შემოაბრუნა საქმე. აჯანყებულთა ბანაკი დასტოვა და ჰამილკარის მხარეზე გადავიდა ნუმიდიელი ნ ა რ ა ვ ა თავისი 2 000 ნუმიდიელი მხედრით. გაძლიერებულმა ჰამილკარმა დაუყოვნებლივ, დასძრა არმია დასუსტებულ აჯანყებულთა ბანაკისაკენ. ორივე მხარე არაჩვეულებრივი წიმამაცითა და თავგანწირვით ჩაება ბრძოლაში. გადაწყვეტ მომენტში აშკარა უპირატესობა ისევ მოიპოვეს კართაგენელებმა, რომელთა სასარგებლოდ დიდი როლი ითამაშა მათ რიგებში მებრძოლმა ნუმიდიერმა კავალერიამ და სპილოთა კოლონებმა. ავტარიტი და სპენდიუსი გაიქცნენ ბრძოლის ველიდან. 10 000 აჯანყებული მოკლულ იქნა; 4 000 ტყვედ ჩავარდა.

ბოლოს ტუნესიდან სამხრეთ-დასავლეთით, ე. წ. პ რ ი ო ნ ი ს („ხერხი") რაიონში ჰამილკარმა მოახერხა ალყა შემოერტყა სპენდიუსისა და ავტარიტის სარდლობის ქვეშ მყოფი ძირითადი ძალებისათვის. ალყაშემორტყმულ ბანაკში დაიწყო შიმშილი. გაჩნდა კანიბალობა. შიმშილისაგან დაოსებული ადამიანები მოწინააღმდეგესთან მოლაპარაკების გამართვას მოითხოვდნენ. მეთაურები იძულებული გახდნენ ანგარიში გაეწიათ მათთვის და ჰამილკარს აცნობეს მოლაპარაკების სურვილი. ჰამილკარი დათანხმდა.

თვით სპენდიუსი, ავტარიტი, ზარზა და შვიდი კიდევ სხვა, სულ ათი კაცი გამოცხადდა კართაგენელი სარდლის ბანაკში. ჰამილკარმა მათ განუცხადა: თქვენი ბანაკიდან ჩვენ ვირჩევთ ათ კაცს, ხოლო დანარჩენებმა დაჰყარონ იარაღი და მხოლოდ ტუნიკებჩაცმულებმა დაუყოვნებლივ დასტოვონ აქაურობა. როცა ამ პირობაზე თანხმობა მიიღო, მან მიუთითა აჯანყებულთა წარმომადგენლებზე და სთქვა: პირობის თანახმად, თქვენ თვითონ რჩებით ჩვენს ხელში. ამგვარად, სპენდიუსი, ავტარიტი და აჯანყებულთა სხვა რჩეული მეთაურები ხელში ჩაუვარდნენ მტერს. ჰამილკარმა უმეთაუროდ დარჩენილთა ბანაკი შემზარავ სასაკლაოდ გადააქცია. 40 000 აჯანყებულისაგან სულ მალე სპილოები-

საგან გასრესილი და ნაკუწებად ქცეული ადამიანების გროვათა გარდა აღარაფერი დარჩენილა.

ძლევამოსილი კართაგენული არმია დაიძრა ტუნესისაკენ, სადაც ამ დროს გამაგრებული იყო თვითონ მათონი. კართაგენელებმა ორი სხვადასხვა მხრიდან ალყა შეუმარტყეს ტუნესს. მოალყეთა ერთ ნაწილს სარდლობდა ჰანიბალი, ხოლო მეორეს — თვით ჰამილკარი. კართაგენელებმა კედლებთან მიიყვანეს დატყვევებული სპენდიუსი და მისი ცხრა ძმისწულებლით ჯვარზე გააკრეს. მათონმა ისარგებლა თავის მეომართა გამძაფრებული ბრძოლის ჟინით და უეცრად დაესხა თავს ჰანიბალს. აჯანყებულები შეიჭრენ ჰანიბალის ბანაკში და გაანადგურეს ის. ბევრი კართაგენელი მოსრა, დანარჩენები გაიფანტნენ ან ტყვედ ჩავარდნენ. ტყვედ ჩავარდა თვით ჰანიბალიც. გააფთრებულმა აჯანყებულებმა სპენდიუსი ჯვრიდან ჩამოხსნეს და მის ნაცვლად საშინელი წამების შემდეგ იმავე ჯვარზე გააკრეს ჰანიბალი. ოცდაათი წარჩინებული კართაგენელი სპენდიუსის გვამს მსხვერპლად დააკლეს.

ცალკეულ შეტაკებათა შემდეგ მოწინააღმდეგენი გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ტუნესის სამხრეთით, აფრიკის სიღრმეში, ქ. ლ ე პ ტ ი ს ი ს მახლობლად. ორივე მხარე გრძნობდა, რომ ეს ბრძოლა უკანასკნელი, გადამწყვეტი შედეგის მომტანი იქნებოდა. ამიტომ ისინი უაღრესი თავგანწირულებით ჩაებნენ ბრძოლაში. სასტიკმა სისხლის ღვრამ გამარჯვება კართაგენს არგუნა. აჯანყებულთა უმრავლესობა ბრძოლის ველიდან ცოცხალი არ გასულა. ბევრი მათგანი ტყვედ ჩავარდა. კართაგენელებმა ხელში ჩაიგდეს თვით აჯანყების მამაცი ბელადი მათონი.

მალე ამის შემდეგ ჰამილკარმა და პანონმა აიღეს უტიკა და ჰიპონ ზარიტი.

აფრიკა კვლავ კართაგენის უღელქვეშ მოექცა. კართაგენი ძლივს გადაურჩა თითქმის სამწელიწადნახევრის მანძილზე მძვინვარე სახალხო აჯანყებისაგან წალეკვას; გადაურჩა ისეთ საშიშროებას, როგორიც მას რომთან მეოთხედი საუკუნის განმავლობაში წარმოებული ომების პერიოდშიაც კი არ უნახავს. კართაგენელთა ეს ძვირად მოპოვებული გამარჯვება აფრიკის სახალხო გმირის მათონისა და მისი თანამებრძოლების სისხლიანი მსხვერპლშეწირულებით დამთავრდა.

სარდინიის კრიზისი

კართაგენი შეუდგა ოცდაშვიდი წლის მანძილზე წარმოებული ომებისაგან მიღებული ჭრილობების მოშუშებას. მაგრამ მან, საშინლად დაღლილ-დაქანცულმა, სულის მოთქმაც ვერ მოასწრო, რომ ხმელთა-

შუა ზღვიდან კვლავ ახალი ომის საშიშროების ნიავმა დაჰბერა და სანუკვარი მშვიდობიანობის ატმოსფერო ააფორიაქა.

აფრიკის აჯანყებამ 240 წლიდან დიდი გამოძახილი ჰპოვა კუნძულ სარდინიაზე. აჯანყებულმა მოქირავნე მეომრებმა სარდინიაში კართაგენელთა ბატონობა დაამხეს. 239 წელს მათ გაანადგურეს კართაგენიდან გაგზავნილი დამსჯელი ექსპედიცია. მაგრამ აჯანყებულებმა იმის ნაცვლად, რომ თავის აფრიკულ თანამოაზრეთა მსგავსად ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა მოეპოვებინათ, მძარცველობითა და უწესრიგობით სარდინიის მკვიდრთა მტრობა დაიმსახურეს. როდესაც აჯანყებულებმა შეატყვეს, რომ მათი თარეში სულ მალე უნდა აღკვეთილიყო, ელჩები გაგზავნეს რომში და დახმარება სთხოვეს მას. ამგვარად, რომს შესაძლებლობა ეძლეოდა თითქმის უომრად ჩაეგდო ხელში ხმელთაშუა ზღვის ეს მეტად მნიშვნელოვანი კუნძულიც. მაგრამ, როგორც ჩანს, რომის ოლიგარქიამ ამჯერად მაინც ვერ გაბედა სარდინიისაკენ დაძვრა. ამის მიზეზი უთუოდ ის იყო, რომ აფრიკაში სახალხო აჯანყება ჯერ კიდევ (239 წ.) ძლიერი იყო და სარდინიის წართმევით კართაგენის დასუსტება, რომის მხრივ, აჯანყებულ ჩაგრულთადმი სოლიდარობის გამოცხადებას ნიშნავდა, რაც, როგორც ითქვა, რომის მონათმფლობელთა ინტერესების საწინააღმდეგო საფრთხეს ქმნიდა თვით იტალიაში.

სულ სხვა მდგომარეობა იყო შექმნილი 238 წლის გაზაფხულზე, როცა სარდინიის აჯანყებულებმა ხელმეორედ გაგზავნეს წარმომადგენლები რომში და განმეორებით შესთავაზეს კუნძულის „შევრდომება“. ამ დროს აფრიკის აჯანყება სუსტდებოდა, ხოლო კართაგენი ძალას იკრებდა.

რომის ხელისუფლებას ახლა შეეძლო სარდინიის საკითხი თავის სასარგებლოდ გადაეჭრა.

ამავე წელს რომაელთა ჯარები ჩავიდნენ სარდინიაში და სასწრაფოდ დაიჭირეს ყველა ის პუნქტი, რომლებიც ადრე კართაგენს ეკუთვნოდა.

როცა კართაგენმა აფრიკის აჯანყება ჩააქრო და რამდენადმე წელში გასწორდა, მან კვლავ მიაპყრო თვალი თავისი მფლობელობის ერთ-ერთ ძვირფას მარგალიტს. კართაგენის პორტში ფლოტი მზად იყო სარდინიისაკენ გასამგზავრებლად. მაგრამ კუნძული რომაელებს ეჭირათ...

და, აი, რომის სენატში გამოცხადდნენ კართაგენის ელჩები. მათ „მეგობრისა და მოკავშირის“ წინაშე წამოაყენეს სრულიად სამართლიანი მოთხოვნა სარდინიის განთავისუფლებისა და კართაგენისადმი მისი დაბრუნების შესახებ.

კართაგენი მოუთმენლად ელოდა რომიდან სულგრძელი, დამაკმაყოფილებელი პასუხის მიღებას და რამდენად თავზარდამცემი და აღმაშფოთებელი უნდა ყოფილიყო კართაგენელთათვის, როდესაც ელჩებმა მათ შეატყობინეს: ასეთი „თავხედური“ მოთხოვნისათვის რომი ომს უცხადებს კართაგენს!

ამგვარად, დადგა კრიზისი. სარდინიის გარშემო ახალი ომის საშიშროება შეიქნა. სარდინიას ახლა იგივე როლი უნდა ეთამაშნა, რაც სიცილიამ შეასრულა ოცდაშვიდი წლის წინათ, „განხეთქილების ვაშლის“ როლი. გამძლავრებული და სისხლმოწყურებული „მგლის ნაშიერნი“[1] ახალ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იწვევდნენ დაუძლურებული და სისხლისგან დაცლილ „მელკარტის შთამომავალთ“.[2]

მაგრამ ახალი დუელი არ შედგა, უფრო სწორად, გადაიდო. კართაგენი იძულებული შეიქნა უდრტვინველად შერიგებოდა სარდინიისა და მასთან კორსიკის დაკარგვას. რომი ამითაც არ დაკმაყოფილდა და დაჩოქილ მოწინააღმდეგეს დამატებით გადასახდელად 1200 ტალანტი დააკისრა. კართაგენმა ესეც უსიტყვოდ მიიღო. განუზომელი შურისძიების ბოღმა გულში ჩაიხვია და ახალი რევანშისტული გეგმების შედგენას გულმოდგინედ შეუდგა.

ამგვარად ჩაიგდო ხელში რომმა სარდინია და კორსიკა, დიდი ეკონომიური და სტრატეგიული პუნქტები ხმელთაშუა ზღვაში. ეს კუნძულები წარმოადგენდნენ კართაგენის სამხედრო დასაყრდენს იტალიაზე თავდასხმების საწარმოებლად. ახლა ისინი რომის საომარ პლაცდარმებად გადაიქცნენ ყველა მიმართულებით — აფრიკის, ესპანეთის, ჩრდილოეთ იტალიისა და გალიის მიმართულებით. წინათ სარდინია და კორსიკა წარმოადგენდნენ კართაგენის ცენტრალურ სავაჭრო პუნქტებს დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის ყველა მიმართულებით. ახლა ისინი რომის ეკონომიური სიძლიერის მნიშვნელოვან წყაროდ გადაიქცნენ. სარდინიამ სულ მალე გაითქვა სახელი როგორც ძველი მსოფლიოს მონათვაჭრობის ერთ-ერთმა ცნობილმა ცენტრმა. აქ მონებით ვაჭრობის ბაზრები ივსებოდა ყველა ქვეყნიდან მორეკილი დამონებული ხალხით. სარდინიიდან უწყვეტ რიგებად მიერეკებოდნენ ბორკილდადებულ ადამიანთა კოლონებს ანტიკური მსოფლიოს მონათმფლობელურ მეურნეობებში მათი სამუშაო ძალღონის საექსპლოატაციოდ.

---

[1] ლეგენდის მიხედვით რომაელთა წინაპრები და ქ. რომის დამაარსებლები — რ ო მ უ ლ უ ს ი და რ ე მ ი, მგლის ძუძუნაკმი იყვნენ. ამის გამო, ძალიან ხშირად, ანტიკურ ხანაში ამბობდნენ, რომ რომაელებს მგლის გაუმაძღარი მადა აქვთო. მაგალითად, ამას განსაკუთრებით უსვამდა ხაზს პონტოს მეფე მითრიდატე VI (121—63).

[2] მ ე ლ კ ა რ ტ ი — ფინიკიელთა ღმერთი ომიანობისა.

კარგა ხნის განმავლობაში სარდინიისა და კორსიკის მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევდა ახალი მბრძანებლების ძალმომრეობას. ეს ბრძოლა მთელი ათი წლის მანძილზე მიმდინარეობდა. ბოლოს, 227 წელს რომმა საბოლოოდ დაიმორჩილა ისინი და გამოაცხადა პროვინციად. „პროვინცია სარდინიის“ მმართველობისათვის რომიდან ყოველწლიურად იგზავნებოდა სპეციალურად არჩეული პრეტორი.

ჩრდილოეთ იტალია რომის ხელქვეით

სამხრეთითა და დასავლეთით მოპოვებული დიდი გამარჯვების შემდეგ რომაელებმა თვალი მიაპყრეს ჩრდილოეთ იტალიას.

ჩრდილოეთ იტალიაში მაშინ ორი ოლქი არსებობდა. მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იყო ლ ი გ უ რ ი ა, ხოლო მთელს დანარჩენ ჩრდილოეთ იტალიას რომაელები უწოდებდნენ გ ა ლ ე ბ ი ს (კელტების) ქვეყანას. მაგრამ გალები ალპებს იქითაც ცხოვრობდნენ და ამიტომ რომაელები ამ მთებს გადაღმა ქვეყანას ტ რ ა ნ ს ა ლ პ ი უ რ გ ა ლ ი ა ს (ალპებს იქეთა გალია) უწოდებდნენ. ხოლო ალპების სამხრეთით მდებარეს, ე. ი. ჩრდილოეთ იტალიას, — ც ი ს ა ლ პ ი უ რ გ ა ლ ი ა ს (ალპებს აქეთა გალია). ამ უკანასკნელს შუაზე ჰყოფდა მდინარე პ ა დ უ ს ი (დღევანდელი პო). აქედან მდინარის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის ნაწილს ტ რ ა ნ ს პ ა დ ა ნ ტ უ რ ი გ ა ლ ი ა (პადუსს იქეთა გალია) ერქვა, ხოლო სამხრეთს — ც ი ს პ ა დ ა ნ ტ უ რ ი გ ა ლ ი ა (პადუსს აქეთა გალია).

გალიაში მცხოვრები ტომები ჯერ კიდევ IV—III საუკუნეებში ხშირად იჭრებოდნენ ცენტრალურ იტალიაში, რომელსაც მათი ქვეყნისაგან აპენინის მთები ჰყოფდა. მეოთხე საუკუნის შუა ხანებში რომაელებმა დიდის გაჭირვებით აიღეს რევანში ალიასთან მიღებული დიდი მარცხისა და მშობლიური ქალაქის დარბევა-აოხრებისათვის. მათ ცისპადანტური გალიის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დაიპყრეს გალ-სენონთა მიწები ზღვის სანაპირო ქალაქ ა რ ი მ ი ნ უ მ თ ა ნ ერთად, სადაც ერთადერთი ყველაზე მოსახერხებელი გასასვლელი იყო ცენტრალური იტალიიდან ჩრდილოეთისაკენ.

მაგრამ რომს სრულებითაც არ მიაჩნდა ეს საკმარისად. ის ყოველთვის ფიქრობდა, რომ ხელში ჩაეგდო მდ. პადუსის ნოყიერი და მშვენიერი მიდამოები და თავის სამფლობელოთა საზღვრები საბოლოოდ გაეფართოებინა იტალიის ბუნებრივ საზღვრებამდე, ალპების მთებამდე.

ჩრდილოეთ იტალიის დაპყრობისათვის ბრძოლის დასაწყისი უშუალოდ დაუკავშირდა რომში დემოკრატიულ რეფორმათა გატარების საკითხს. პირველ პუნიკურ ომში გამარჯვების შედეგად მიღებული ტერიტორიები და მატერიალური დოვლათი ძირითადად ერთ მუჭა მსხვილ

ნობილებს ჩაუვარდათ ხელში. ხოლო ხალხის ძირითადი მასა, რომლის სისხლითაც რომაული ოლიგარქია გამარჯვებას გამარჯვებაზე პოულობდა, ხელცარიელი დარჩა. ამიტომ 232 წელს სახალხო ტრიბუნმა გაიუს ფლამინიუსმა, სენატისა და, საერთოდ, ოლიგარქიის წინააღმდეგობის მიუხედავად, სახალხო კრებაზე გაატარა კანონი, რომლითაც დამორჩილებულ გალ-სენონთა ქვეყანა, ე. წ. „გალიის მიწები" (ager Galicus) უნაწილდებოდა თავისუფალ რომაელ მიწათმოქმედ მოსახლეობას.



რომაული მახვილები.

სენონთა ოლქების გაანაწილება კელტთა ქვეყნების წინააღმდეგ რომაული აგრესიის პირველი ნაბიჯი იყო. ორივე მხარე მზად იყო სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებისათვის. კელტების ურდოების წინააღმდეგ რომს იმ დროს უზარმაზარი სამხედრო ძალების გამოყვანა შეეძლო. იტალიას მაშინ 700 000-ზე მეტი ქვეითი მეომრისა და 70 000-მდე მხედრის შეკრების საშუალება ჰქონდა. აქედან 273 000 წმინდა რომაელი მოქალაქე „ქვირიტი" იყო.

225—224 წლებში რომაელებმა საშინელ ბრძოლებში დაამარცხეს კელტბოიები.

223 წელს კონსულებად არჩეულ იქნენ პუბლიუს ფურიუსი და რომის სახალხო მასების საყვარელი კაცი ცნობილი რეფორმატორი გაიუს ფლამინიუსი. მათ ძლიერი არმიებით გადალახეს მდ. პადუსი და შეიჭრენ ტრანსპადანტურ გალიაში. კონსულთა მიზანს ამჯერად შეადგენდა ძლიერი კელტური ტომის ინსუბრების დამორჩილება.

222 წელს უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლები გაიმართა. სულ

70 000 კელტი მეომარი ელოდებოდა რომაელებთან ახალ ბრძოლებში ჩაბმას.

ამ წელს კონსულებად იყვნენ გ ნ ე უ ს კ ო რ ნ ე ლ ი უ ს ს ც ი პ ი- ო ნ ი და მ ა რ კ უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს მ ა რ ც ე ლ უ ს ი. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი გამოირჩეოდა სარდლობის ნიჭით, საბრძოლო ხელოვნებით, არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალღონითა და სიმამაცით. მან თავი ისახელა ჯერ კიდევ სიცილიის ბრძოლებში და ყველა სახის შეტაკებაში, განსაკუთრებით კი ორთაბრძოლაში, საომარი შემმართებლობისათვის დაიმსახურა სახელწოდება „მარცელუსი" (სიტყვისაგან marcialis, რაც „მეომარს" ნიშნავს).

222 წლის გაზაფხულზე კონსულებმა გადალახეს პადუსი და შეიჭრენ ინსუბრთა მიწა-წყალზე. პირველად ალყა შემოარტყეს ქ. აცერას. ცოტა ხნის შემდეგ მარცელუსი გამოეყო თავის კოლეგას და შეუტია ქ. კლასტიდიუმთან მოთარეშე კელტთა მრავალრიცხოვან რაზმებს. საბრძოლო ნაღარის დაკვრისთანავე კელტების ბელადმა, გოლიათური აღნაგობისა და ძვირფასი შეიარაღებით აღჭურვილმა ფ ი რ ი დ ო მ ა რ- მა დუელში გაიწვია კონსული. მარცელუსმა პირველ შეტაკებისთანავე ჩამოაგდო ის ძირს, მოჰკლა და ოქრო-ვერცხლით მოსილადებული იარაღი აჰყარა. კონსულის გამარჯვებამ აღაფრთოვანა რომაელები. მედგრად ეძგერენ ბელადის დაღუპვით შემკრთალ კელტებს და დაამარცხეს ისინი. შემდეგ მარცელუსი ისევ შეუერთდა თავის კოლეგას; გაერთიანებული ძალებით აიღეს ქალაქი ა ც ე რ ა. მას მოჰყვა გალთა ყველაზე დიდი ქალაქის მ ე დ ი ო ნ ა ლ ი ს დაცემა, რის შემდეგ მთელი ცისალპური გალია იძულებული შეიქნა რომაული ბატონობის უღელი ეკისრებინა.

ამგვარად, ჩრდილოეთით რომის საზღვარი ალპებს მიეგჯინა.

ილირიული ომები

სანამ ლეგიონები ჩრდილოეთს იმორჩილებდნენ, რომაულმა იარაღმა და დიპლომატიამ ადრიატიკისა და იონიის ზღვებსაც გადააბიჯა. რომის აგრესია აღმოსავლეთისკენაც დაიძრა.

III საუკუნის 40—30-ან წლებში ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში უკვე დაწლილ-დაქუცმაცებული და პოლიტიკურად დასუსტებული ბერძნული სამყაროს ჩრდილოეთის საზღვარზე ი ლ ი რ ი ი ს სახელმწიფო ბატონობდა. მწირი ილირიის მოსახლეობის დიდი ნაწილი მეკობრეობით ირჩენდა თავს. იმ დროს სწრაფი და მსუბუქი ილირიული კატარღები თავისუფლად დათარეშობდნენ ადრიატიკის, იონიისა და საბერძნეთის ზღვებზე; ძარცვავდნენ და ატყვევებდნენ ყველა ქვეყნის გემებს, რომლებსაც კი მოიხელებ-

დნენ და დაიმორჩილებდნენ; თავს ესხმოდნენ იტალიისა და საბერძნეთის სანაპიროებს, ძარცვავდნენ და იტაცებდნენ მოსახლეობას.

ილირია განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა ქვრივი დედოფალი ტ ე ვ ტ ა, მცირეწლოვანი ტახტის მემკვიდრის პ ი ნ ი ს დედა და რეგენტი. ილირიას ძალას მატებდა მაკედონიის ძლიერ მეფე დ ე მ ე ტ რ ე II-თან კავშირი.

რომს, სანამ მას ჩრდილოეთ იტალიის დამორჩილება დამთავრებული არ ჰქონდა, მანამ ბალკანეთის საქმეებში ჩარევის სურვილიც არ უნდა გასჩენოდა. მაგრამ თვით იტალიის სანაპიროებზე და იტალიის გემებზე ილირიელთა სისტემატურმა თავდასხმებმა რომი გადამჭრელ ღონისძიებათა მიღების გზაზე დააყენეს.

230 წლის შემოდგომაზე ილირიის დედოფლის წინაშე გამოცხადდნენ რომაელი ელჩები, ძმები გ ა ი უ ს და ლ უ ც ი უ ს კ ო რ უ ნ კ ა ნ ი უ ს ე ბ ი. მათ თავისი ხელისუფლების დავალებით მოითხოვეს ილირიელებს დაუყოვნებლივ აენაზღაურებინათ იტალიელ ვაჭართა გემებისათვის ახლახან მიყენებული ზარალი და პირობა დაედოთ, რომ ამიერიდან მსგავსი ყაჩაღობა აღარ განმეორებულიყო. ასეთ იმპერატიულ მიმართვას ზვიადმა დედოფალმა უპასუხა: ილირიაში წესად და ჩვეულებად არ არის ვინმეს დავუშალოთ ზღვაზე ნადავლის მოპოვება. ლუციუს კორუნკანიუსმა ტევტას ასეთ პასუხზე მიახალა: ჩვენ შეეცდებით ილირიელთა ასეთი ადათ-ჩვეულებანი უკეთესით შევცვალოთ. გაბრაზებულმა დედოფალმა შესწყვიტა მოლაპარაკება, ხოლო უკან დაბრუნებულ ელჩებს, მისი ბრძანებით, მდევრები დაეწივნენ და ლუციუსი მოჰკლეს. ეს სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ რომს ილირიისათვის ომი გამოეცხადებინა (229 წ.).

229 წლის გაზაფხულზე ილირიელთაგან ახლად დაპყრობილ კუნძულ კ ე რ კ ი რ ა ს თ ა ნ კონსულ გ ნ ე უ ს ფ უ ლ ვ ი უ ს ც ე ნ ტ უ მ ა ლ უ ს ი ს მეთაურობით გამოჩნდა 200 გემისაგან შემდგარი რომაული ფლოტი. კერკირაზე გაბატონებული ილირიული გარნიზონის უფროსი ბერძენი დ ე მ ე ტ რ ე ფ ა რ ო ს ე ლ ი მაშინვე რომაელთა მხარეზე გადავიდა და კუნძულიც მათ ჩააბარა. მალე ამის შემდეგ რომს მორჩილება გამოუცხადეს ა პ ო ლ ო ნ ი ა მ, დ ი რ ა ქ ი უ მ მ ა, ი ს ა მ და ადრიატიკის ზღვის, მისი აღმოსავლეთ სანაპიროების სხვა ქალაქებმა და კუნძულებმა. ამასობაში ილირიის სანაპიროებს მიადგა მეორე კონსულიც ლ უ ც ი უ ს პ ო ს ტ უ მ ი უ ს ა ლ ბ ი ნ უ ს ი 20 000 ლეგიონერითა და 2 000 მხედრით.

პირველი დარტყმებისთანავე ილირიამ იგრძნო თავისი უძლურება რომაული იარაღის სიძლიერის წინაშე. ტევტა გაიქცა და ქვეყნის სიღრმეში მდებარე ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში ჩაიკეტა.

ილირიაში ორივე კონსულის ყოფნა საჭიროც აღარ იყო. 229 წლის შემოდგომაზე ფულვიუსი უმეტესი ძალებით დაბრუნდა რომში, ხოლო პოსტუმიუსი 40 გემითა და რამდენიმე მანიპულით მთელი ზამთარი დარჩა ილირიაში.

მომდევნო წლის გაზაფხულზე ტევტამ საზავო მოლაპარაკების გამართვა ითხოვა. დაიდო ზავი, რომლის ძალით ტევტა ინარჩუნებდა ილირიის დედოფლობას. ამის საფასურად მას რომისათვის უნდა დაეთმო ადრიატიკის ზღვის სანაპირო ქალაქები და კუნძულები, რომლებიც რომაელებს უკვე ხელთ ეპყრათ; გადაეხადა სამხედრო კონტრიბუცია; ილირიელებს ადრიატიკის ზღვაზე ნაოსნობის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ ქ. ლისამდე და არავითარ შემთხვევაში მის სამხრეთით, თუ ამის შესახებ სპეციალურად რომის ნებართვა არ იქნებოდა.

რომს ჯერჯერობით ილირია პროვინციად არ გამოუცხადებია. ამის ძირითადი მიზეზი უთუოდ - კელტებთან ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ბრძოლები და კართაგენთან მოსალოდნელი ახალი დიდი ომი უნდა ყოფილიყო. რომს ჯერჯერობით ლოიალური დიპლომატიით უნდა დაეჭირა აღმოსავლეთის ქვეყნები.

მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთში პირველ შეტევას რომისათვის მაინც კარგი პირი უჩანდა.

ბარკიდები ესპანეთში

სანამ რომაელები ჩრდილოეთ იტალიისა და ილირიის საქმეებით იყვნენ გართული, სამხრეთსა და დასავლეთში უდიდესი მნიშვნელობის ამბები კალეიდოსკოპურად სცვლიდნენ ერთმანეთს.

პირველმა პუნიკურმა ომმა და აფრიკის აჯანყებამ კართაგენს ძლიერი დამბლა დასცა. ხმელთაშუა ზღვეთის ეკონომიური და პოლიტიკური მბრძანებლობის სადავეები მას ხელიდან გამოჰგლიჯეს; მსოფლიოს ყველა კუთხიდან მომავალი ფინანსურ სიმდიდრეთა არტერიები გადაუჭრეს; მსოფლიოში გაბატონების ძლიერი სტრატეგიული ფორპოსტებიდან სამუდამოდ გააძევეს.

ამ ამბებმა აფრიკის აჯანყების ჩაქრობისთანავე კართაგენში მწვავე სოციალური და პოლიტიკური კრიზისი წარმოშვა. კონსერვატიულ-ოლიგარქიული მმართველი პარტია, რომელსაც ჰანონი მეთაურობდა, ოავს ველარ ართმევდა ქვეყნის შიგნით არსებულ შეხლა-შემოხლას. მას გამოსავალი ვერ მოენახა დაღუპვის კართან მისული სახელმწიფოს გამოსაბრუნებლად. ამ ნიადაგზე განსაკუთრებით-გაძლიერდა სახალხო-დემოკრატიული პარტია, ომისა და აქტიური საგარეო პოლიტიკის ძლიერი კავშირი, რომელსაც სახელოვანი ჰ ა მ ი ლ კ ა რ ბ ა რ კ ა მეთა-

ურობდა. ჰამილკარი, სახალხო მასების მხარდაჭერითა და წაქეზებით ფრთებშესხმული, ენერგიულად ესხმოდა თავს ჰანიბალის კონსერვატიულობას, ააშკარავებდა ოლიგარქიის სიზანტესა და ამ მძიმე დღეებში უკიდურეს დაბნეულობას. კონსერვატორთა ყოველი ცდა, ჰამილკარის ავტორიტეტისა და დიდების შესალახავად, მარცხით დამთავრდა. ხალხის აქტიური ძალები აშკარად მოითხოვდნენ ჰამილკარისათვის განუსაზღვრელი ძალაუფლების გადაცემას.

ოლიგარქია იძულებული შეიქნა დათმობაზე წასულიყო. ჰამილკარი თითქმის განუსაზღვრელი უფლებების მპყრობელ მთავარსარდლად იქნა არჩეული. მას ემორჩილებოდა კართაგენის სამოქალაქო ლაშქარი, ე. ი. მთელი ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა და აფრიკელ სამხედრო წვეულთაგან ახლად შეკრებილი ჯარები.

ხმელთაშუა ზღვის ცენტრალური ეკონომიური და სტრატეგიული ცენტრების: სიცილიის, სარდინიისა და კორსიკის დაკარგვის შემდეგ კართაგენის ძლიერების აღდგენისა და რომის ძალაუფლების დასამხობელი ძირითადი ბაზისის როლის შესრულება ჰამილკარს ესპანეთისათვის უნდა დაეკისრებინა.

პირენეი ცნობილი იყო აურაცხელი სიმდიდრით, ნაყოფიერი ველ-მინდვრებით, ვენახებითა და ბაღ-ბოსტნებით, გემთმშენებლობისათვის საუკეთესო ხე-ტყისა და სხვადასხვა სახის ლითონების (ოქრო, ვერცხლი, რკინა და ტყვია) სიუხვით. ასეთი ქვეყნის დაპყრობით კართაგენელებს შეეძლოთ სწრაფად აღედგინათ თავიანთი სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერება და შეექმნათ მძლავრი საომარი პლაცდარმი რომის წინააღმდეგ გადამწყვეტი სარევანშო შეტევისათვის. ეს ძალიან კარგად ჰქონდა შეგნებული ჰამილკარ ბარკასა და მის სამხედრო პარტიას.

237 წელს ჰამილკარმა კართაგენიდან გაიყვანა კარგად გაწვრთნილი არმია, სპილოები და საზღვაო ფლოტი.

სახმელეთო არმია თვით მთავარსარდლის მეთაურობით აფრიკის სანაპიროებს დასავლეთისაკენ მიჰყვებოდა, მის პარალელურად მიემართებოდა საზღვაო ფლოტი, რომელსაც სათავეში ედგა ჰამილკარის სიძე (ქალიშვილის ქმარი) და უახლოესი მეგობარი ჰ ა ს დ რ უ ბ ა ლ ი.

მელკარტის სვეტებთან (ჰიბრალტარი) ჰამილკარმა თავისი არმია გემებში ჩასვა და გადაიყვანა ესპანეთში, ქ. გ ა დ ე ს თ ა ნ.

აქედან დაიწყო კართაგენელთა ენერგიული წინსვლა ესპანეთის დაპყრობისათვის. ჰამილკარი იარაღისა თუ დიპლომატიის მეშვეობით შეუდგა ესპანეთის მამაცი ტომების თანდათანობით დამორჩილებას და ქვეყნის სიღრმეში შეპრას.

მაგრამ ჰამილკარს არ დასცალდა მისი გრანდიოზული გეგმების განხორციელება. 228 წელს ესპანელ ტომებთან ერთ-ერთ სასტიკ ბრძოლაში გმირული სიკვდილით დაეცა ჰამილკარ ბარკა.

არმიამ და მისმა უფროსმა შემადგენლობამ ჰამილკარის ნაცვლად მთავარსარდლად გამოაცხადეს დემოკრატიის საყვარელი ბელადი ჰასდრუბალი.

ჰასდრუბალის საქმიანობით აღარ იგრძნობოდა მისი სახელოვანი სიმამრის სიკვდილი. ის დაუყოვნებლივ შეუდგა პირენეის ოკუპაციის კიდევ უფრო გაფართოებას. ესპანეთში კართაგენელთა ძლიერების ცენტრალურ პუნქტად გადაიქცა ჰასდრუბალის მიერ დაარსებული ქალაქი ახალი კართაგენი აღმოსავლეთით, ზღვის სანაპიროზე, მოხერხებულ მიუვალ ხმელეთის ყელზე ნაყოფიერი რაიონებითა და ვერცხლით მდიდარი მთებით გარშემორტყმული.

რომი კვლავ შეაშფოთა კართაგენელთა შეუჩერებელმა წინსვლამ ესპანეთში. 226 წელს ესპანეთში გაჩნდნენ რომაელი ელჩები და მოლაპარაკება გამართეს ჰასდრუბალთან. რომაელები ამჯერად დაკმაყოფილდნენ იმით, რომ ჰასდრუბალი დაითანხმეს არ გადაებიჯებინა მდინარე იბერის (ებრო) აღმოსავლეთისაკენ. ამგვარად, აღნიშნული მდინარის დასავლეთით კართაგენს უფლება რჩებოდა განეგრძო თავისი აგრესიული პოლიტიკა პირენეის ნახევარკუნძულზე.

221 წელს ჰასდრუბალი პირადი წყენინების საფუძველზე მოჰკლა ვიღაც კელტმა. მთავარსარდლის მცველებმა მკვლელი შეიპყრეს და საშინელი წამებით მოჰკლეს. მომაკვდავს, საძულველი კართაგენელის მოკვლით აღტაცებულს, სულის ამოხდომამდე პირზე ღიმილი არ მოშორებია.

იმავე დღეს კართაგენელებმა მთავარსარდლად გამოაცხადეს ჰანიბალი.

„საბუნების ცეცხლი"

ჰამილკარ ბარკა ესპანეთში ყოფნის დროს ხშირად წამოიძახებდა: მე რომის დასამხობად სამ ლომის ბოკვერს ვზრდიო. სამი ვაჟი—ჰანიბალი, ჰასდრუბალი და მაგონი—სახელოვანი მამის სამხედრო ბანაკებში იზრდებოდა. იქ ღებულობდნენ ისინი საბრძოლო წრთობას და ეჩვეოდნენ რომაელთადმი განუზომელ სიძულვილს. ძმებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა უფროსი, ჰანიბალი.

ჰანიბალის ყრმობის წლები სავსე იყო სამშობლო ქვეყნისა და მშობლიური ოჯახის საშინელ თავგადასავალთა შემაძრწუნებელი შთაბეჭდილებებით. პირველი პუნიკური ომის უკანასკნელი წლები... სიცი-

ლიიდან იარაღაყრილი და ბრაზით გამძვინვარებული მამის დაბრუნება... აფრიკის აჯანყების საშინელებანი და ქალაქის შიგნით მძვინვარე შეხლა-შემოხლა... ჰანიბალს მეხსიერებისა და აზროვნების გაჩენიდანვე სწამდა, რომ ყველაფერი ამის მიზეზი იყო სადღაც ჩრდილოეთში არსებული საძულველი ქალაქი რომი.

ჰანიბალი ცხრა წლისა იქნებოდა, როდესაც მამამისმა ჯარები შეკრიბა და ესპანეთში გასამგზავრებლად დაიძრა. ის მივარდა მამას და და-

ჰასიბალ ი.

უწყო ვედრება თან წაეყვანა ბრძოლის ველზე. ჰამილკარმა სიხარულით მიიღო შვილის თხოვნა და გამგზავრების წინ სამსხვერპლოს სისხლით შეღებილ საკურთხეველთან ფიცი დაადებინა. ყმაწვილმა შეჰფიცა, რომ იქნებოდა რომის დაუძინებელი მტერი და მის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას მთელ თავის სიცოცხლეს შესწირავდა („ჰ ა ნ ი ბ ა ლ ი ს ფ ი ც ი!“).

მამის დაღუპვის დროს ჰანიბალი უკვე ბრძოლის ქარცეცხლში ნაწრთობი 18 წლის ჭაბუკი იყო. ამის შემდეგ რამდენიმე ხნით მას ჩვენ კართაგენში ვხედავთ. მაგრამ სულ მალე ახალმა მთავარსარდალმა

ჰასდრუბალმა გაიწვია ესპანეთში თავისი ცოლის ძმა, რასაც ეს უკანასკნელი დიდი სიხარულით შეხვდა.

ესპანეთში მეორედ გამგზავრებისა და მრავალ ახალ ბრძოლაში მონაწილეობის მიღების შემდეგ გმირ ნიკიერ სიძესთან თანამებრძოლობაში საბოლოოდ დაიხვეწა დიდი სარდალი და გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწე.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური დროის წყაროები ჰანიბალისადმი დიდი სიძულვილითა და ტენდენციურობით არიან განწყობილი, მათში მაინც ადვილი ხდება გენიალური ფინიკიელის ნამდვილი სახის აღდგენა: ფიზიკური აღნაგობით ახოვანი და ჰერკულესის ძალ-ღონის პატრონი; საბრძოლო შემმართებლობით შეუდარებელი, მეთაურთა ბრძანებების სიტყვაშეუბრუნებელი მორჩილი ჯარისკაცი და თვით მკაცრად მომთხოვნი მეთაური; უპირველესი ქვეითი მეომარი და შეუდარებელი ჯიგიტი, ბრძოლის დასაწყისში უპირველესი და უკუქცევისას უკანასკნელი; დაუღალავი მცურავი და დაუმარცხებელი მოკრივე; სიცხე-სიცივის, შიმშილ-წყურვილის, უძილობისა და მძიმე ლაშქრობათა არაჩვეულებრივად ამტანი; ჯარისკაცთა ჭირისა და ლხინის თანაზიარი; ძვირფასი ტანსაცმლისა და სამკაულებისადმი გულგრილი, მაგრამ საუკეთესო იარაღისა და ცხენის მოყვარული; მიზნისაკენ თავზეხელაღებული მსწრაფველი, მაგრამ საფრთხეში მეტად ფრთხილი და წინდახედული; სხვა ენებისა და კულტურათა გარდა, ბერძნულისა და ლათინურის საუკეთესო მცოდნე და თაყვანისმცემელი; მოწინააღმდეგის გეგმისა და განზრახვის არაჩვეულებრივი შემცნობი; ყოველი ახალი ბრძოლისა და პოლიტიკური ნაბიჯის ნოვატორი და ორიგინალური შემოქმედი. აი, ასეთი იყო 25 წლის ჰანიბალი, როდესაც მას კართაგენელებმა ერთხმად ჩააბარეს მთავარსარდლობა.

თუ ყველაფერ ამას ზედ იმასაც დავუმატებთ, რომ კართაგენელთა ახალი მთავარსარდალი, აგრეთვე, შეუდარებელი იყო მოწინააღმდეგისადმი ზეადამიანური სისასტიკით და შეუბრალებლობით, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება, როგორ მტერთანაც მიეცა საქმე რომს.

ჰანიბალმა სწრაფი შეტევებით და დიპლომატიური ხერხებით კიდევ უფრო გააფართოვა კართაგენის სამფლობელოები პირენეიში. ასე რომ 220 წლის ბოლოსათვის მდ. იბერის დასავლეთით მთელი ესპანეთის უდიდესი ნაწილი ჰანიბალს ემორჩილებოდა.

მაგრამ მდ. იბერის სამხრეთით, ზღვის სანაპიროდან ორი კილომეტრის მანძილზე, საუკეთესო ადგილზე მდებარეობდა ქალაქი ს ა გ უ ნ ტ ი, რომელიც ჯერ კიდევ კართაგენს არ ემორჩილებოდა. იგი რომის „მფარველობის“ ქვეშ იმყოფებოდა.

საგუნტის მოსახლეობა ბერძნებისა და ლათინებისაგან შედგებოდა, და ამდენად რომს მასზე დიდი პრეტენზიების განცხადება შეეძლო. ის ხშირად ერეოდა საგუნტის საქმეებში და ყოველნაირად ცდილობდა ქალაქის სათავეში კართაგენისადმი მტრულად განწყობილი ხელისუფლება მდგარიყო.

საგუნტელები გრძნობდნენ, რომ ჰანიბალი, როგორც კი ესპანელი ტომების დამორჩილებას მორჩებოდა, მაშინვე მათკენ მიმართავდა მახვილს. ამიტომ საგუნტის ხელისუფლებამ არაერთხელ გაგზავნა ელჩები რომში, შეატყობინა მას მოსალოდნელი საშიშროების ამბავი და დახმარება სთხოვა.

220 წლის ბოლოს შორეული ლაშქრობიდან ახალ კართაგენში გამოსაზამთრებლად დაბრუნებულ ჰანიბალს სახლში რომაელი ელჩები დახვდნენ. ისინი სთხოვდნენ და აფრთხილებდნენ მას ხელი არ ეხლო რომის მფარველობის ქვეშ მყოფი საგუნტისათვის და ამავე დროს არ გადაელახა მდინარე იბერი, რომელიც ჰასდრუბალის დროიდან რომისა და კართაგენის სამფლობელოთა საზღვრად იყო აღიარებული. ჰანიბალმა მათ უპასუხა: უმჯობესია, რომაელები არ ერეოდნენ საგუნტის საქმეებში; ამას წინათ ქალაქში მომხდარი აშლილობისას რომაელებმა სრულიად უკანონოდ სიკვდილით დასაჯეს კართაგენის მომხრენი და ქვეშევრდომები. ამიტომ მე ასეთ უსამართლობას დაუსჯელად არ დავტოვებ, რადგან კართაგენი ყოველთვის დაჩაგრულების დამცველი და მოსარჩლეაო. ასეთი პასუხიდან აშკარად ჩანდა კართაგენელის განზრახვა. ის საგუნტზე თავდასხმას აპირებდა, ე. ი. რომს ომის დაწყების საბაბს აძლევდა.

რომი გამალებით შეუდგა ილირიის საქმეთა დასრულებას და კართაგენთან ომის სამზადისს.

219 წლის დამდეგს საგუნტის ელჩები კიდევ გამოჩნდნენ რომის ფორუმზე. ისინი გამოცხადდნენ სენატში და კვლავ აუწყეს მოსალოდნელი უბედურების ამბავი. სანამ სენატი ყოყმანობდა და საქმეს აჭიანურებდა, მოვიდა ახალი შეშაფოთებელი ამბავი: ჰანიბალი თავს დაესხა საგუნტს!

მართლაც, 219 წლის გაზაფხულზე ჰანიბალი 150 000 ჯარისკაცით ხმელეთის სამივე მხრიდან გარს შემოერტყა საგუნტს და დაიწყო მასზე გააფთრებული იერიშების მიტანა.

ბრძოლის ქარცეცხლში მყოფ ჰანიბალს შეატყობინეს, რომ რომიდან ჩამოვიდნენ დესპანები. სარდალმა უარი განაცხადა მათს მიღებაზე და შეუთვალა: თქვენთვის მეტად სახიფათო იქნება ასეთ ადგილზე გამოცხადება, სადაც ამდენი გამხეცებული ხალხი ერთიმეორეს

ელეტს და პასუხისმგებელი არ ვიქნები თქვენი უვნებლობის უზრუნველყოფაზე. იმავე დროს ჰანიბალმა, რომელმაც იცოდა, რომ ასეთი პასუხის შემდეგ რომაელი ელჩები უშუალოდ კართაგენში გაეშურებოდნენ, დაუყოვნებლივ აფრინა კაცები კართაგენში თავისიანებთან (ბარკიდულ-სამხედრო პარტია) და მისწერა მათ, რომ არ დაეშვათ რომაელთა წინაშე ოდნავი დათმობაც კი.

მართლაც, ესპანეთში უნაყოფო მგზავრობის შემდეგ, სენატისაგან მიცემული ინსტრუქციის თანახმად, რომაელი ელჩები პუბლიუს ვალერიუს ფლაკუსი და ქვინტუს ბებიუს პამფილუსი გაეშურენ აფრიკაში. ისინი გამოცხადდნენ კართაგენის სენატში და მოითხოვეს საგუნტის ომის შეწყვეტა და ჰანიბალის, როგორც ხელშეკრულების დამრღვევის, გადაცემა რომაელთა ხელში.

კართაგენის ხელისუფლებამ, სადაც ახლა ომის პარტიის ხმა ბატონობდა, უარი უთხრა რომის ელჩებს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. რომაელები ძალიან უსამართლოდ იქცევიან, თუ ისინი კართაგენთან კავშირს საგუნტელებს არჩევენო, — განუცხადეს დესპანებს.

ამასობაში ჰანიბალი შეუნელებელ იერიშებს აწარმოებდა ნანგრევებით გარშემორტყმულ ქალაქზე.

თითქმის იმავე დროს, როცა რომაელი ელჩები კართაგენიდან დაბრუნდნენ და სენატს ანგარიში მოახსენეს, ესპანეთიდანაც მოვიდა ამბავი ჰანიბალის მიერ საგუნტის დაპყრობის შესახებ.

კართაგენში ისევ გამოცხადდნენ ახალი ელჩები, რომში დიდად პატივცემული სენატორის ქ ვ ი ნ ტ უ ს ფ ა ბ ი უ ს მ ა ქ ს ი მ ე ს მეთაურობით.

ფაბიუს მაქსიმემ ყური არ ათხოვა კართაგენელ სენატორთა დიპლომატიურ სიტყვებს. ამაყად წამოდგა, ამოიწია ტოგის კალთა, ჩაჰყო მასში ხელი და შეჰყვირა: „კართაგენელებო, ჩვენ თქვენთვის მოგვიტანია ომი და მშვიდობა (bellum et pax). ამოირჩიეთ ერთ-ერთი, რომელიც გსურთ!“ — „შენ თვითონ ამოირჩიე“ — დაიღრიალეს კართაგენელებმა. მაშინ რომაელმა გააგდო კალთა ხელიდან და თითქოს იქიდან ამოიღოო: „მაშ, იყოს ომი,“—წამოიძახა. კართაგენის სენატის უმრავლესობამაც ერთხმად უპასუხეს, რომ ღებულობენ ომს და აწარმოებენ ისეთივე სიმამაცით, როგორც ხვდებიან მას.

ასე გადაწყდა ომის განახლება მოსისხლე მტრებს შორის... ასე დაიწყო მეორე პუნიკური ომი.

თავი მესამე

მეორე პუნიკური ომი

ცეცხლითა და მახვილით
Ferrum et ignique

ომის დასაწყისი. პირველი ალპიური ლაშქრობა

218 წლის დამდეგს მოწინააღმდეგენი სრულ მზადყოფნაში იმ-ყოფებოდნენ ომის განახლებისათვის.

რომში ადრევე ჰქონდათ შემუშავებული კართაგენის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული გეგმა. ეს გეგმა ითვალისწინებდა ერთდროულად დარტყმას ორი მიმართულებით: სამხრეთით — სიცილიის გავლით, უშუალოდ აფრიკაში, და დასავლეთით — ესპანეთში პირდაპირ ჰანიბალის წინააღმდეგ. ასეთი გაბედული და კარგად გამიზნული გეგმა სულ მალე დაიმსხვრა კართაგენელის ღრმად მოფიქრებულ საომარ მონასაზრზე.

ჰანიბალი ითვალისწინებდა ყველა იმ შეცდომას, რომლებიც კართაგენელებს დაშვებული ჰქონდათ პირველ პუნიკურ ომში; ითვალისწინებდა მტრის უპირატესობის, სიძლიერისა და სისუსტის ყოველ მხარეს. მისი სტრატეგიული გეგმა მიზნად ისახავდა: ჯერ ერთი, მტკიცედ ჩაეგდო ხელში სწრაფი შეტევების ინიციატივა და არ დაეთმო ის მოწინააღმდეგისათვის; მეორე, მოწინააღმდეგის სამხედრო ძალთა უპირატესობის პარალიზებისათვის, მისი მორალური განადგურებისა და, რაც მთავარია, რომის მბრძანებლობით შექმნილი იტალიის „კავშირის“ დანგრევის მიზნით, კართაგენელები უნდა შეჭრილიყვნენ თვით აპენინის ნახევარკუნძულზე და გადაექციათ ის ომის საშინელებათა ძირითად ასპარეზად; ჩამოეცილებინათ რომისათვის ყველა მისი „მოკავშირე“ დამორჩილებული იტალიელი ხალხები, ამგვარად დაენგრიათ რომის ძლიერების ბაზა და შემდეგ მარტოდ გარიყული ქალაქი თავისი ნებისათვის დაემორჩილებინათ; მესამე, თვით აფრიკისა და ესპანეთის უშიშროების უზრუნველყოფის შემდეგ იტალიაზე თავდასხმა უნდა

მომხდარიყო არა სამხრეთიდან და ზღვებიდან, არამედ ჩრდილოეთიდან, რომისადმი მტრულად განწყობილი კელტების ქვეყნებიდან.

ასეთი იყო ჰანიბალის გეგმა.

ომის დაწყებამდე ორივე მხარე ცდილობდა კარგად გაწვრთნილი შპიონაჟისა და დემაგოგიის მეოხებით განხეთქილება შეეტანათ მოწინააღმდეგის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცეულ ხალხებში, განეწყოთ ისინი მბრძანებლის წინააღმდეგ და გადაებირებინათ თავის მხარეზე. ამ მხრივაც ჰანიბალი აშკარად სჯობნიდა მოწინააღმდეგეს. მას ადრევე ჰყავდა გაგზავნილი თავისი მსტოვრები მთელს გალიაში, ჩრდილოეთ იტალიაში; გაბმული ჰქონდა ურთიერთობა კელტურ ტომებთან, ჰქონდა ცნობები რომაელთადმი მათს მტრულ განწყობაზე, ქვეყნის გეოგრაფიულ-ბუნებრივ პირობებზე, ხალხის ბრძოლისუნარიანობაზე და ადათ-ჩვეულებებზე; ინფორმირებული იყო იტალიაში ლაშქრობის მარშრუტებზე, ალპების გადასასვლელებზე და სხვ. ასე რომ, როდესაც კართაგენიდან ესპანეთსა და გალიაში ჩამოსულმა რომაელმა ელჩებმა ადგილობრივ მოსახლეობაში კართაგენის წინააღმდეგ აგიტაცია გამართეს (ასე ჰქონდათ დავალებული ფაბიუს მაქსიმესა და მის მხლებლებს), ისინი ყველგან მტრულ განწყობასა და აბუჩად აგდებას შეხვდნენ. მაგალითად, ესპანეთში ოლციანების ტომისაგან მათ ასეთი პასუხი მიიღეს: როგორ არ გრცხვენიათ, რომაელებო, გვირჩიოთ, რომ კართაგენელებთან კავშირს თქვენთან მეგობრობა ვამჯობინოთ, როცა თქვენ, საგუნტის მოკავშირეებმა, თქვენი გულგრილობითა და ღალატით მეტი საშინელება მიაყენეთ ამ უბედურ ქალაქს, ვიდრე კართაგენელებმა. ამიტომ გირჩევთ, რომ მოკავშირეები ეძიოთ იქ, სადაც ჯერ კიდევ არ იციან საგუნტის ტრაგედიის შესახებ; საგუნტის ნანგრევები ჩვენთვის იქნება საუკეთესო გაკვეთილი იმისა, რომ არავინ არ მიენდოს რომაელთა მფარველობასა და კავშირს. ასევე გალიაშიც რომაელები ხედავდნენ, რომ ჰანიბალს იქ თავის დროზე წარმატებით გაუმართავს აგიტაცია რომის წინააღმდეგ. კელტები მათ ზოგან დაცინვითა და სტვენით პასუხობდნენ, ზოგან კი, უკეთეს შემთხვევაში, ნეიტრალიტეტის დაცვასაც ძლივს აღუთქვამდნენ. უთუოდ იყვნენ კელტთა ისეთი ტომებიც, რომლებიც მტრულად უყურებდნენ როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს.

ჰანიბალი ითვალისწინებდა ალპებზე ლაშქრობის სიძნელეებსაც. მას მოკავშირე გალებისაგან დაწვრილებითი ცნობები ჰქონდა ალპების გადასასვლელებზე. იცოდა, რომ ალპებზე ლაშქრობა მეტად მძიმე იქნებოდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დაუძლეველი. ამიტომ ის ყურს არ უგდებდა ზოგიერთი თანამებრძოლის პესიმისტურ-

სკეპტიკურ მოსაზრებებს[1] და ამ უმძიმეს პუნქტს გაბედულად ხაზავდა ვრძელ და ხანგრძლივ ლაშქრობათა ეკლიან გზაზე.

ჰანიბალმა ესპანეთის მმართველობისათვის, მის შესანარჩუნებლად და ახალი საბრძოლო რეზერვების მოსამზადებლად დასტოვა თავისი ძმა ჰასდრუბალი და 218 წლის მაისის დამდეგს 90 000 ქვეითი მეომრით, 12 000 მხედრითა და 37 სპილოს თანხლებით გამოვიდა ახალი კართაგენიდან და სწრაფი მარშით დაიძრა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. პირენეის მთებთან არც კი იყო მისული, რომ არმიაში მყოფი მეომრების ნაწილმა უკვე დაიწყო დრტვინვა შორეული ლაშქრობის სიძნელისა და ხანგრძლივობის გამო. ჰანიბალმა გაითვალისწინა, რომ ასეთი დემორალიზებული მეომრები არც შემდგომ ბრძოლებში გამოდგებოდნენ და სხვა დისციპლინირებული არმიის ნაწილებზეც გამხრწნელ გავლენას მოახდენდნენ. ამიტომ მან ისინი გამოჰყო არმიიდან და გააბრუნა თავიანთ სახლებში.

ამგვარად, პირენეის მთები გადალახა და გალიაში (დღევანდელ საფრანგეთში) ფეხი შედგა ჰანიბალის 50 000 ქვეითმა ჯარისკაცმა და 9 000 მხედარმა. მაგრამ ესენი იყვნენ მრავალ ბრძოლაში ნაცადი და შესანიშნავად გაწვრთნილი ბარკიდული ვეტერანები.

რამდენადაც სწრაფად მოქმედებდა ჰანიბალი, იმდენად ნელა და ზანტად იძვროდნენ რომაელები. მათ, როგორც ჩანს, ჯერ კარგად არც იცოდნენ ჰანიბალის გეგმების შესახებ.

მხოლოდ ზაფხულის დამდეგს გაეშურენ კონსულები თავთავისი მიმართულებით. პუბლიუს კორნელიუს სციპიონი ორი ლეგიონითა და 60 გემით გაემართა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, ესპანეთისაკენ, სადაც მას, მისი ვარაუდით, უნდა მიესწრო ჰანიბალისათვის. მეორე კონსული ტიბერიუს სემპრონიუს ლონგუსი თავისი ლეგიონებითა და 160 გემისაგან შემდგარი ფლოტით დაიძრა სიცილიისაკენ, საიდანაც მას კართაგენზე თავდასხმა უნდა მოეწყო.

სციპიონი მივიდა მასილიაში და აუჩქარებლად შეუდგა ჯარების გადასხმას. აქ მას აცნობეს: ჰანიბალმა უკვე გადმოლახა პირენეის მთები. მაგრამ კონსული დარწმუნებული იყო, რომ კელტური ტომებით დასახლებულ ქვეყანაში მტერი დიდხანს ვერ გამოაღწევდა.

---

[1] პოლიბიოსთან დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ ერთ-ერთ სამხედრო თათბირზე, სადაც ალპებზე გადასვლისა და იტალიაში ლაშქრობის საკითხს იხილავდნენ, ჰანიბალს მისმა ერთ-ერთმა ახლო თანამებრძოლმა ვინმე ჰანიბალ მონომახოსმა უთხრა: იტალიაში შეკრისათვის საჭიროა მებრძოლები წინასწარ ადამიანის ხორცის ჭამას მიეჩვიონო. მაგრამ ასეთი თქმისათვის სარდალს ყურადღება არ მიუქცევია.

მალე მასილიაში შიკრიკები მოვიდნენ და მოიტანეს დაუჯერებელი ამბავი: ჰანიბალმა მდინარე რ ო ნ ა გადმოლახა. კონსულის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მას ადგილზე კართაგენელთა დაცარიელებული სანგრები და მხოლოდ ცეცხლის ნაშთები—ნაცარიღა დახვდა და შეიტყო: ჰანიბალი თავისი არმიით უკვე სამი დღის წინ წასულა ჩრდილოეთისაკენ. მხოლოდ ახლა მიხვდა სციპიონი, თუ რა სურდა ჰანიბალს! ის შეუჩერებლად მიისწრაფოდა იტალიისაკენ! საჭირო იყო მტრის ამ განზრახვის აღკვეთისათვის ზრუნვა.

სციპიონმა არმია ორ ნაწილად გაპყო და გემებში ჩასხა. მან თავისი ძმის გ ნ ე უ ს სციპიონის მეთაურობით არმიის ერთი ნაწილი ესპანეთში გაგზავნა იქიდან ჰასდრუბალის გასაძევებლად და რომაელთა დასამკვიდრებლად. არმიის მეორე ნაწილს თვითონ ჩაუდგა სათავეში და სასწრაფოდ დაძრა ჩრდილოეთ იტალიისაკენ. ის მივიდა ლიგურიაში და ქ. გენუასთან ვადმოსხა ჯარები. აქედან გაეშურა მდ. პ ა დ უ ს ი ს ა კ ე ნ; პლაცენციის მახლობლად შეიერთა იქ მდგარი ორი ლეგიონი, რომლებსაც პრეტორი მეთაურობდა, და დაუწყო ლოდინი ჰანიბალის ჯარებს.

სექტემბრის დამდეგს, რონის გადმოლახვის ადგილიდან 15 დღის ლაშქრობის შემდეგ. ჰანიბალი შეუდგა ალპების ციცაბოებს. პირველი დიდი დაბრკოლება. რომელიც კართაგენელებს წინ დახვდათ, იყო კელტები, მთიელი ალობროგები, რომლებიც კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ თავს დაესხნენ უკვე ლაშქრად გასულ კართაგენელებს. ამ პირველმა საძთო შეტაკებამ ჰანიბალს, მიუხედავად იმისა, რომ მან მოწინააღმდეგე სულ მალე სასტიკად დაამარცხა და გაჰფანტა, მაინც საგრძნობი ზარალი მიაყენა, განსაკუთრებით ცხენებისა და სატვირთო საქონლის სახით. დაჭრილი და ბარბაროსთა მგრგვინავი ყიჟინისა და გამაყრუებელი ეხოსაგან დამფრთხალი ცხოველები უფსკრულებისაკენ მიექანებოდნენ და თან მხედრებსაც ჩაიყოლებდნენ ხოლმე.

ოთხი დღის შემდეგ, როდესაც არმია მიადგა ერთ-ერთ, მეტად ვიწრო და საშიშ საცალფეხო გასასვლელს, რომელიც უზარმაზარი კლდის ძირში მიემართებოდა და, თავის მხრივ, თავს დაჰყურებდა უძირო უფსკრულს, უეცრად ყოველი მხრიდან წამოიშალნენ ჩასაფრებული მთიელები და მიესივნენ კართაგენელებს. ბარბაროსებმა ავანგარდზე თავდასხმა ვერ განავითარეს მათთვის უცხო და საშინელი ცხოველების — სპილოების შიშით, ხოლო ზურგში, სადაც მათ განსაკუთრებით ძლიერი იერიშები მიჰქონდათ, თვით ჰანიბალი თავისი ქვეითი მეომრების თანხლებით არაჩვეულებრივი სიმამაცით იგერიებდა მტერს. ბარბაროსები მაინც არ ცხრებოდნენ. ისინი მთელი დღის განმავლობაში გადადიოდნენ იერიშებზე; მთებიდან უზარმაზარ ლო-

დებს აგორებდნენ და გამაყრუებელი ღრიალით აფრთხობდნენ და უძირო ქარაფებისაკენ მიერეკებოდნენ საქონელს.

მეორე დღის დამდეგს ჰანიბალმა საბოლოოდ დაამარცხა დამხვდურნი. ზარალი მაინც საგრძნობი იყო; განსაკუთრებით ბევრი სატვირთო საქონელი და ცხენოსნები დაჰკარგეს. კართაგენელებმა დიდი ვაი-ვაგლახით გადაიარეს ხეობა. ამის შემდეგ კელტები მხოლოდ თარეშის ხასიათის თავდასხმებით აწუხებდნენ ჰანიბალს; გადამწყვეტ ბრძოლაში მასთან შებმას გაურბოდნენ.

მეცხრე დღეს კართაგენელთა არმიის ძირითადმა ნაწილმა მიაღწია უმაღლეს და უკანასკნელ უღელტეხილს, რის იქითაც იწყებოდა დაღმართი იტალიისაკენ. სარდალმა აქ ჯარები ორი დღით დააბანაკა, რათა დაღლილ-დატანჯულ მეომრებს დაესვენათ და ჩამორჩენილი და გზადაბნეული თანამებრძოლებისათვის დაეცადათ.

ალპები უკვე თოვლით იყო დაფარული. განუწყვეტლივ თოვდა. ჰანიბალმა შენიშნა, რომ მეომართა შორის ამდენი დაუსრულებელი ტანჯვა-წამებისაგან აპათია და ღრმა პესიმიზმი მკვიდრდებოდა. მესამე დღეს სარდალმა შეკრიბა ჯარები და კვლავ სცადა მათი გამხნევება: კართაგენელები ალპების მწვერვალებიდან, როგორც ცადატყორცნილი კრემლიდან, თავს დასცქერიან იტალიას, ალპების ძირში ჩანს მდინარე პადუსის მშვენიერი, თბილი და მდიდარი ველები; იქ ცხოვრობენ კართაგენელთა მეგობრები, გალები, უფრო ქვემოთ — რომი: ალპების გადასვლით კართაგენელები თვით რომის კედლებზე გადადიან; იტალიის ველებზე დაშვებისთანავე პირველი ან, უკიდურეს შემთხვევაში, მეორე შეტაკების შემდეგ უეჭველად დაეუფლებიან რომს და მთელ იტალიას...

დაიწყო ალპებიდან დაშვება. ეს კიდევ უფრო ძნელი და ზიანის მომტანი შეიქნა, ვიდრე მასზე ასვლა. მებრძოლები და ცხოველები მაღალ, თოვლით დაფარულ, მეტისმეტად ვიწრო და გაუვალ ხეობებში ველარ არჩევდნენ გზის სისწორეს და შეუკავებლად მიექანებოდნენ ქარაფებისაკენ.

ბოლოს, 218 წლის სექტემბრის დამლევს, დიდი ვაი-ვაგლახით კართაგენელებმა ფეხი ჩადგეს მდ. პადუსის ველზე. 15 დღის განმავლობაში გრძელდებოდა ჰანიბალის ალპური ლაშქრობა. 15 დღის მანძილზე ის, მის თანამოლაშქრეებთან ერთად ებრძოდა მიუვალ კლდე-ღრეებს, უძირო უფსკრულებს, გამჭვალავ ყინვა-ქარიშხალს, აუტანელ შიმშილ-წყურვილსა და მამაცი მთიელების თავდასხმებს. ჰანიბალის ლაშქრობა ახალი კართაგენიდან იტალიამდე 5 თვე გაგრძელდა. მოვიგონოთ, რომ ახალი კართაგენიდან მან 102 000 მეომარი (90 000 ქვეითი და 12 000 ცხენოსანი) გამოიყვანა; პირენეის მთების

გადმოლახვისას 59 000 მებრძოლი (50 000 ქვეითი და 9 000 ცხენოსანი) ჰყავდა; ხოლო ამათგან მდ. რონას გადალახვისას 46 000 კაცი (38 000 ქვეითი და 8 000 ცხენოსანი) ახლდა; ბოლოს, ალპების დამორჩილების შემდეგ იტალიაში 20 000 ქვეითი ჯარისკაცი და 6 000 მხედარი ჩამოიყვანა, ე. ი. სულ 26 000 კაცი (აქედან 12 000 აფრიკელი, 8 000 ესპანელი და 6 000 მხედარი).

რა თქმა უნდა, ამ ლეგენდარული ლაშქრობის მსხვერპლი დიდი იყო, მაგრამ ჰანიბალის გეგმის პირველი, მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი განხორციელებულია: მან იტალიის კარიბჭე გადალახა და მის ზღურბლზე შედგა ფეხი... .

მაშ, „იჩინა თუ არა თავი ესპანეთის წიაღში პუნიკური ომის საშინელმა სტიქიონმა და გაიელვა თუ არა საგუნტის ცეცხლმა, რაც უკვე დიდი ხნის გამზადებული იყო რომისათვის, მსწრაფლ მოულოდნელად ატყდა საშინელი ავდარი. მან გადალახა ალპების მთების თოვლით შემოსილი მწვერვალები და ცით მოვლენილი დაეშვა იტალიაზე“.[1]

ტიციენუსი და ტრებია

ახლა მივუბრუნდეთ რომაელებს. ზემოთ ითქვა, რომ კონსულმა პ. კორნელიუს სციპიონმა მასილიიდან თავისი არმიის უდიდესი ნაწილი ესპანეთში გაგზავნა ჰასდრუბალის წინააღმდეგ. ხოლო თვითონ დანარჩენი ძალებით გადავიდა ჩრდილოეთ იტალიაში. აქ მან შეიერთა პრეტორების ხელქვეით მყოფი ორი ლეგიონი, რომლებიც მანამდე აკანყებული გალ-ბოიების წინააღმდეგ იყვნენ გაგზავნილი, და მათი თანხლებით პლაცენციის დასავლეთით გადალახა მდინარე პადუსი, გადავიდა მის მარცხენა სანაპიროზე.

რომისათვის სრულიად მოულოდნელი იყო ამბავი, რომელიც მას იტალიაში დაბრუნებულმა სციპიონმა აცნობა. კიდევ უფრო მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო მრისხანე მტრის მიერ ალპების დამორჩილება და იტალიაში ჩამოსვლა. რომაელები დღითი-დღე ელოდნენ ერთი მხრიდან ესპანეთის დამორჩილების ამბავს, მეორე მხრიდან კართაგენის ალყას, მის დანგრევას და სულ მოკლე დროში ომის ძლევამოსილად დამთავრებას. მაგრამ ნათელი შეიქნა, რომ მოვლენები ახლა სულ სხვანაირად წარიმართა. მეტად საშიშმა ფრონტმა თვით იტალიაში გაშალა ფრთები, ამიტომ რომის წინასწარი სტრატეგიული გეგმა მთლიანად შეიცვალა. შეტევა ჯერ თავდაცვის გენერალური ხაზით უნდა შეცვლილიყო. საჭირო იყო მთელი ძალების კონცენტ-

[1] ფ ლ ო რ უ ს ი, II, 6.

რაცია ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც ალპებიდან საშინელი ქარიშხლის მომასწავებელი ფინიკიური ღრუბლები ჩამოწვნენ.

სენატმა დაუყოვნებლივ გაუგზავნა ბრძანება სიცილიაში მყოფ კონსულ ტ. სემპრონიუს ლონგუსს რაც შეიძლება სწრაფად წამოეყვანა მთელი თავისი ძალები და შეერთებოდა ჩრდილოეთ იტალიაში ჰანიბალის წინააღმდეგ მდგარ სციპიონის ჯარებს.

ამ დროს ჰანიბალი მის მოკავშირე კელტურ ტომებში, ინსუბრებში, თავის დაღლილ-დაქანცულ ჯარებს ასვენებდა, მათ რიგებს გალებით ავსებდა და ყოველნაირი შესაძლებლობით ძალას იკრებდა. მაგრამ ყველა კელტური ტომი არ დამეგობრებია კართაგენელებს. ზოგი მათგანი ყოყმანობდა, ზოგიც მტრულად ხვდებოდა მათ. ამ მხრივ განსაკუთრებით მტრულ პოზიციაზე დადგნენ ინსუბრთა მოსისხლე ტ ა ვ რ ი ნ ე ბ ი. ჰანიბალს მათთან დიპლომატიური კატა-თაგვობანას თამაშის დრო აღარ ჰქონდა: ის უეცრად დაესხა თავს ტავრინთა მთავარ ქალაქ ტ უ რ ი ნ ს და სამ დღეში აიღო იგი, მისი მოსახლეობის უმრავლესობა ამოჟლიტა და ამით მეზობელ გალურ ტომებს თავზარი დასცა. ამის შემდეგ გალების დიდი ნაწილი, რომლებიც მანამდე ყოყმანობდნენ, კართაგენელთა სამსახურში ჩადგნენ.

გალების ნაწილი რომაელებს უჭერდა მხარს, ხოლო მათმა უმრავლესობამ არ იცოდა ვის მხარეზე დამდგარიყო, რადგან ვინ იცის ვისკენ გადაიხრებოდა გამარჯვების სასწორი. როგორც ჰანიბალმა, ასევე სციპიონმა, კარგად იცოდნენ, რომ მთელი გალია მოუთმენლად ელოდა მათ შებმას და ეს ქვეყანა მაშინვე იმის მხარეზე დადგებოდა, ვინც გადაჭწყვეტ ბრძოლაში გამარჯვებას მოიპოვებდა. ამიტომ ორივე მხარე დაუყოვნებლივი ბრძოლის ცეცხლით იყო შეპყრობილი.

ჰანიბალი პადუსის მარცხენა სანაპიროზე, მის ზემო წელზე იყო დაბანაკებული. სციპიონმა თავისი არმია სპეციალურად გაწყობილი პონტონური ხიდების მეშვეობით გადაიყვანა პადუსის ჩრდილო შენაკადზე, მდ. ტ ი ც ი ნ უ ს ზ ე (Ticinus — დღ. ტიჩინო) და ბანაკი დასცა მის მარცხენა სანაპიროზე.

ბრძოლის დღე მოახლოვდა. ოქტომბერი იდგა...

სციპიონმა ცხენოსანთა და შუბოსანთა საკმაოდ დიდი რაზმები გამოიყვანა და მტრის პოზიციების დასაზვერად სამხრეთისაკენ დაიძრა. და აი, ტიცინუსის მარჯვენა სანაპიროს გაშლილ ველზე, შორს სამხრეთისაკენ, რომაელებმა შენიშნეს ზეცად ავარდნილი მტვრის კორიანტელი. ეს ჰანიბალი იყო. სწორედ იმავე მიზნით ჰანიბალსაც გამოეყვანა მხედართა ესკადრონები და სწრაფი მარშით მიჰქროდა ჩრდილოეთისაკენ. სციპიონმა სასწრაფოდ განამზადა საბრძოლველად თავისი ჯარი; წინ დააყენა ქვეითი მეომრები და გალების კავალერია, ხოლო უკან,

მეორე რიგში, რომაულ-იტალიური ცხენოსანი კორპუსები ჩაამწკრივა. ჰანიბალმაც შენიშნა მტრის მოახლოვება. მან ცენტრში დაყენებული ~~ყავდა~~ რეგულარული აფრიკული მხედრობა, ხოლო ფლანგებზე მსუბუქი და სწრაფი ნუმიდიური კავალერია.

იმ დროს, როდესაც კონსულს თავისი ჯარი აუჩქარებელი, დინჯი ნაბიჯით მიჰყავდა, კართაგენელები ელვისებური სისწრაფით ეძგერენ მას. სუსტი ყიჟინა აღმოხდა რომაელთა ფრონტს. მოწინააღმდეგეებმა მხოლოდ თითო სათხედის გასროლა მოასწრეს და შევარდენივით მოქროლავ მტერს უმალვე ზურგი აქციეს. ჰანიბალის შეტევა იმდენად სწრაფი და ძლიერი იყო, რომ მისი რაზმები დაჯახებისთანავე რომაელთა მეორე, მომდევნო რიგებში შეიჭრენ. მხედართა ერთი ნაწილი მოწინააღმდეგის დარტყმისთანავე ძირს ჩამოვარდა, ნაწილი კი ბრძოლის უფრო მოხერხებულად წარმოებისათვის თვითონ ხტებოდა ძირს. მალე ცხენოსანთა შეტაკება ქვეითთა ხოცვა-ჟლეტად იქცა. ბრძოლა, არაჩვეულებრივად თავგანწირული და ცხარე, მთელ დღეს გაგრძელდა. გადამწყვეტ მომენტში, როცა რომაელებმა კვლავ მოახერხეს საბრძოლო წესრიგის აღდგენა, ჰანიბალის ბრძანებით ფლანგებიდან სწრაფად დაიძრენ ნუმიდიელი მხედრები და ზურგიდან დაეცნენ მოწინააღმდეგეს. რომაელები ყოველი მხრიდან ალყაში მოექცნენ. მაგრამ ალყაშემორტყმულთ მხნეობა მაინც არ დაუკარგავთ, სანამ თვით სციპიონი მძიმედ დაჭრილი არ დაეცა ძირს. უეკველი სიკვდილის საფრთხეში მყოფი კონსული გადაარჩინა მისმა ჩვიდმეტი წლის შვილმა პუბლიუსმა, რომელიც შეუდარებელი სიმამაცით იბრძოდა მამის გვერდით[1]. მზის ჩასვლისას დაჭრილი კონსულის გარშემო მჭიდროდ შეკრულმა რომაელებმა დიდის გაჭირვებით მოახერხეს რკალის გარღვევა და ბრძოლის ველიდან გაქცევა. დაღამებისას მათ, დიდად დაზარალებულებმა და გაჩანაგებულებმა, მიაღწიეს თავიანთ ბანაკს.

სციპიონმა იგრძნო მოწინააღმდეგის კავალერიის აშკარა უპირატესობა, განსაკუთრებით მდ. პადუსის მარცხენა მხარის გაშლილ ველებზე. ამიტომ მან ღამით ბრძანება გასცა ბანაკი აეყარათ; რომაელები უკანვე გადავიდნენ მდ. ტიციენუსზე და შეუდგნენ პადუსის სამხრეთ ნაპირზე გადასვლას. ჰანიბალის მფრინავი რაზმები დაედევნენ მათ, მაგრამ მიუსწრეს მხოლოდ მაშინ, როცა სციპიონი მთელი თავისი ძალებით უკვე მდინარის მარჯვენა სანაპიროზე იყო გადასული, ხოლო მისივე ბრძანებით ხიდიც ინგრეოდა, რათა მასზე კართაგენელები არ გადასულიყვნენ. მაგრამ კართაგენელი მდევრები ხელცარიელი მა-

---

[1] ისტორიკოს ცელიუსის აზრით, დაჭრილი სციპიონი გადაარჩინა მონა ლიგურმა (იხ. ტიტე ლივიუსი, XXI, 46).

ინც არ დაბრუნებულან. მათ ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 6 000 მეომარი, რომლებიც ხიდის დანგრევას მეთვალყურეობდნენ.

ავადმყოფმა კონსულმა გადარჩენილი არმია ფრთხილად დასძრა პადუსის სამხრეთ შენაკადის ტ რ ე ბ ი ა ს მარჯვენა სანაპიროსაკენ, სადაც მას სრული უშიშროების უზრუნველსაყოფად საუკეთესო პოზიციები და ერთგული მოკავშირეები ეგულებოდა. მან გადალახა ტრებია და დაბანაკდა. ერთ-ერთ მაღლობზე, რომელსაც ღრმა თხრილები და მიწაყრილები შემოავლო. აქ განაგრძო მან ლოდინი მეორე კონსულის სემპრონიუსისადმი და გულმოდგინედ შეუდგა ახალი ლაშქრობით გართულებული ჭრილობების მოშუშებას. იგი ძალზე მოწყურებული იყო როგორმე პირადად მიეღო მონაწილეობა ჰანიბალთან მომავალ ბრძოლაში.

ჰანიბალმა მოწინააღმდეკის მოპირდაპირედ, ტრებიას მარცხენა სანაპიროზე დასცა ბანაკი.

სიცილიაში კონსული ტ. ს ე მ პ რ ო ნ ი უ ს ლ ონ გ უ ს ი უკვე მზად იყო აფრიკაში სალაშქროდ, რომ ამ დროს მიიღო სენატის ბრძანება: დაუყოვნებლივ წამოსულიყო მთელი თავისი არმიით და შეერთებოდა ჩრდილოეთ იტალიაში ჰანიბალის პირისპირ მდგარ სციპიონს. სემპრონიუსმა სიცილიისა და სამხრეთ იტალიის სანაპიროების დაცვა დაავალა თავის ლეგატს, თვითონ კი თავისი ლეგიონებით ჩრდილოეთ იტალიაში შეუერთდა სციპიონის არმიას. აქ კონსულებმა გამართეს მსჯელობა ბრძოლის გეგმათა შესახებ. სემპრონიუსი მოითხოვდა ბრძოლის დაუყოვნებლივ გამართვას, ხოლო სციპიონი, რომელსაც მტრისაგან კარგი გაკვეთილი ჰქონდა მიღებული, ჯერჯერობით სასტიკი წინააღმდეგი იყო გენერალური ბრძოლის გამართვისა.

სემპრონიუსმა არ იცოდა, რომ ჰანიბალისათვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო. კართაგენელი სარდალი მშვენივრად იცნობდა მოწინააღმდეგის შტაბში არსებულ აზრთა სხვადასხვაობას, იცნობდა სციპიონს. მშვენივრად აუღო ალღო ახლად მოსული კონსულის დაუკვირვებლობას, სიჩქარეს, პატივმოყვარეობისაგან შორსმჭვრეტელობის დახშულობას. სციპიონი მართალი იყო: ჰანიბალს გენერალური ბრძოლის გამართვა ეჩქარებოდა.

ახლა ფინიკიელმა კარგად იცოდა: ერთი მოხერხებულად ნასროლი ანკესი და... სემპრონიუსიც უმალვე წამოეგებოდა მას... ბრძოლაც დაჩქარდებოდა.

ჰანიბალმა თავის თანაშემწეთა თანხლებით წინასწარ დაათვალიერა და შეისწავლა მოწინააღმდეგე ბანაკთა შორის არსებული ლანდშაფტი. ყურაღღება მიაქცია ერთგან, მდინარის მარცხენა ნაპირზე ამაღლებულ ჭაობიან, ლერწმის ტყით დაფარულ რაიონს და მიმარ-

თა თავის უმცროს ძმას, ბავშვობიდანვე ბრძოლებში ნაწრთობ და მამაცობით განთქმულ მ ა გ ო ნ ს: აი, ეს ადგილი უნდა დაიჭირო შენ; საამისოდ აარჩიე ცხენოსნებსა და ქვეითებს შორის 100 — 100 კაცი და მათთან ერთად დაღამებისას ჩემთან გამოცხადდი. ახლა კი ძალების მოკრებას შევუდგეთო. დანიშნულ დროზე მაგონი 100 მხედრითა და 100 ქვეითი მეომრით გამოცხადდა სარდლის კარავში. ჰანიბალმა შეაქო მოსულები და უბრძანა: თითოეულმა თქვენგანმა 9—9 კაცი აირჩიოს ცხენოსანთა და ქვეითთა რაზმებშიო; შემდეგ მაგონი თქვენ გიჩვენებთ საფარს; თქვენი მტრები იმდენად ბრმები არიან, რომ ასეთ რამეს ვერ მოიფიქრებენო. სარდლის ბრძანება შესრულებულ იქნა. ამგვარად, მაგონი, ჰანიბალისაგან სათანადო ინსტრუქციის მიღების შემდეგ, 1 000 ცხენოსნითა და 1 000 ქვეითი მეომრით ნავახშმევს გაეშურა მისთვის მიჩნეულ საფარში.

გარიერაჟზე ჰანიბალმა სასწრაფოდ შეკრიბა ნუმიდიელი ცხენოსნები, მიმართა მათ მოკლე სიტყვით, ჩვეულებრივ აღუთქვა დიდი ჯილდოები და უბრძანა: დაუყოვნებლივ გადაელახათ მდინარე ტრებია, თავს დასხმოდნენ რომაელთა ბანაკს და გამოეწვიათ ისინი საბრძოლველად მანამ, სანამ რომაელები ისაუზმებდნენ და საბრძოლო წესრიგში ჩადგებოდნენ.

როგორც კი ნუმიდიელებმა გაქუსლეს, ჰანიბალმა განკარგულება გასცა, რომ მთელი ბანაკი ფეხზე დამდგარიყო. ცეცხლი გაეჩაღებინათ, რათა მებრძოლები კარგად გამთბარიყვნენ (დეკემბრის სუსხიანი დღე იდგა; თოვლჭყაპი მოდიოდა). საუზმე მიეღოთ, ტანი ზეთით დაეზილათ, საბრძოლო საჭურველი გაემზადებინათ. ცხენებისათვის საკვები მიეცათ და შეეკაზმათ.

რომაელებს ჯერ კიდევ ეძინათ, როცა ნუმიდიელებმა მდინარე გადალახეს და მათ ბანაკს ისრებისა და შუბების წვიმა დაუშინეს. ატყდა განგაში. სემპრონიუსმა თავდამსხმელთა წინააღმდეგ მთელი კავალერია გამოიყვანა. მას მიჰყვა 6 000 შუბმტყორცნელისაგან შემდგარი ქვეითი ჯარი, ხოლო სულ მალე კონსულმა მთელი არმია წამოჰყარა და გამოიყვანა ბანაკს გარეთ. ნუმიდიელებმა ზურგი აქციეს მტერს და უკანვე გადალახეს მდინარე. რომაელები თან მიჰყვნენ გაქცეულ მოწინააღმდეგეს; შეცვივდნენ წყალში. მდინარე ხშირი წვიმებისაგან და თოვლჭყაპისაგან ადიდებული იყო; ყინულივით ცივი წყალი მეომრებს მკერდამდე სცემდა. ასე რომ, როდესაც რომაელები მდინარის მეორე მხარეს გავიდნენ, მშივრები და სიცივისაგან აძიგძიგებულნი ხელში იარაღს ძლივს იჭერდნენ; კართაგენელები კი დანაყრებულნი, გამთბარნი, ძალამოკრებილნი, იარაღასხმულნი და ცხენებშეკაზმულნი სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ელოდებოდნენ მტრებს.

ჰანიბალმა სასწრაფოდ დარაზმა თავისი არმია. წინ გამოიყვანა 8 000 ალეარელი შუბოსანი, ხოლო მათ უკან აფრიკელთაგან, ესპანელთაგან



ბრძოლა მდ. ტრებიასთან.

და კელტთაგან შემდგარი ქვეითი ჯარები, სულ 20 000 კაცი. ფლანგებზე დააყენა 10 000 მხედრისაგან შემდგარი კავალერია, ხოლო სულ ბოლოს, კავალერიის წინ, სპილოები.

სემპრონიუსმა უკან გაიწვია შორს წასული გაბნეული კავალერია და თვითონაც საბრძოლო წესრიგში ჩააყენა არმია. ცენტრში იდგნენ ქვეითი ლეგიონები, სულ 36 000 მეომარი (16 000 რომაელი და 20 000 იტალიელი), ხოლო ფლანგებზე — 4 000 მხედარი.

ამგვარად, მოწინააღმდეგეებს თითქმის ერთნაირი ძალები ჰყავდათ:

თითოეულ მათგანს 40 000 მეომარი. კართაგენელთა უპირატესობა მის ძლიერ კავალერიაში მდგომარეობდა, რომაელებისა კი — ქვეით არმიაში. საქმე ის იყო, თუ როგორ გამოიყენებდნენ მოწინააღმდეგენი თავიანთ უპირატესობას.

კონსულმა ნელი ნაბიჯით დასძრა თავისი არმია მოწინააღმდეგისაკენ, ჰანიბალმა კი ჩვეულებრივი სისწრაფით. როგორც კი მოწინავე რიგებმა, შუბისმტყორცნელებმა ერთიმეორეს შეუტიეს, ბალეარელებმა აშკარად დასჯაბნეს მოწინააღმდეგე, რადგან რომაელი შუბოსნები უკვე დაქანცული იყვნენ ნუმიდიელებთან ბრძოლით, შიმშილით, სიცივით (ასევე იყო სემპრონიუსის მთელი არმია) და სათხედების მარაგიც დახარჯული ჰქონდათ. ბრძოლა განსაკუთრებით გახურდა, როცა მოწინააღმდეგეთა ძირითადი ძალები, მძიმედ შეიარაღებული ქვეითი არმიები შეებნენ ერთურთს. მაშინ ჰანიბალმა ფლანგებიდან მძლავრად დასძრა კავალერია. რომაელთა მხედრობა დამარცხდა და მათი უკან დახევისას ქვეითი არმიის ფლანგები გაშიშვლებული დარჩა. კვლავ დაწინაურდნენ ბალეარელი შუბოსნები და ნუმიდიურ კავალერიასთან ერთად მძლავრად დაჰკრეს მოწინააღმდეგის გახსნილ ფლანგებს. კარგა ხანს მაინც ძნელი გასარჩევი იყო, საით უნდა გადახრილიყო გამარჯვების სასწორი. სწორედ ამ დროს საფრიდან წამოიშალა 2 000 მეომარი მაგონის მეთაურობით და საშინელი ყიჟინით თავს დაესხა რომაელთა ზურგს. ამგვარად, სემპრონიუსის არმია რკალში მოექცა. კონსულს ერთხანს კელტთა სარეზერვო ძალების იმედი ჰქონდა, მაგრამ როცა ჰანიბალმა მათ წინააღმდეგ სპილოები გაგზავნა და ისინი გაჰფანტა, რომაელებმა საბოლოოდ დაკარგეს გამარჯვების იმედი. როგორც იქნა, კონსულმა 10 000 კაცის თანხლებით მოახერხა ალყის გარღვევა და გაქცევა. ბანაკში დაბრუნება მათ აღარ შეეძლოთ. მოვარდნილი წვიმისაგან და ქარიშხლისაგან მდინარე მეტისმეტად იყო ადიდებული. მისი გადალახვის ძალ-ღონე აღარ შესწევდათ. რომის არმიის დანარჩენი ნაწილები ბრძოლის ველზე დაეცა. ტყვედ ჩავარდა, უკან დახევისას მდინარეში ჩაიხრჩო, სპილოებისაგან გაისრისა ან გაიფანტა. პლაცენციაში სემპრონიუსს შეუერთდნენ განადგურებულ ლეგიონთა მცირე ნაშთები და ბანაკში დარჩენილი სციპიონი თავისი მცირე რაზმებით.

კართაგენელთა მსხვერპლი შედარებით მცირე იყო. უმეტეს წილად ბრძოლაში დაიხოცნენ კელტები. მაგრამ საშინელი ყინვებისაგან სამხრეთელთა არმია მაინც ზიანდებოდა. იხოცებოდნენ ცხენები და გამწევი საქონელი; დაიხოცა ყველა სპილო, გარდა ერთისა.

მიუხედავად ამისა, ტრებიასთან დიდი ბრძოლის მოგებამ დიდი სარგებლობა მოუტანა ჰანიბალის ბანაკს. ამ ბრძოლას დიდი მატერიალური და მორალური მნიშვნელობა ჰქონდა. ჩრდილოეთ იტალია ჰანიბალის

სამხედრო გეგმების შემდგომი წინსვლის ძლიერ პლაცდარმად იქცა. ყველგან ჰანიბალის ლეგენდარული პიროვნების შესახებ ლაპარაკობდნენ[1]. წყაროები გადმოგვცემენ, რომ ჰანიბალის საბრძოლო დროშის ქვეშ 60 000 ქვეითი და 4 000 ცხენოსანი კელტი მეომარი გამოცხადდა რომის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამგვარად, რომის წინააღმდეგ მუდმივად საომრად განწყობილი კელტური ტომების უდიდესი ნაწილი კართაგენელებს შეუერთდა. ცისალპიური გალიიდან რომაელებს მხოლოდ ცენომანები და ვენეტები უჭერდნენ მხარს.

მოვიგონოთ, რომ ფინიკიელი სარდლის საომარი გეგმა აპენინის ნახევარკუნძულზე შეჭრისას მიზნად ისახავდა განხეთქილება შეეტანა რომისა და იტალიელი ტომების ფედერაციაში და, ამგვარად, ძირი გაეთხარა მოწინააღმდეგის ძლიერებისათვის; დაეშალა ის მძლავრი მატერიალური და პოლიტიკური ბაზისი, რომელიც იტალიის ერთიანობის სახით რომის სიმძლავრის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა. ამ მხრივ დამახასიათებელია ჰანიბალის მოპყრობა სამხედრო ტყვეებისადმი, რომელთა რიცხვი, განსაკუთრებით ტრებიასთან ბრძოლის შემდეგ, დიდი იყო კართაგენელთა ბანაკში. სარდალმა ტყვედჩავარდნილთაგან ცალკე გამოჰყო მკვიდრი რომაელი მოქალაქენი და მონობის საშინელ პირობებში ჩააყენა ისინი. ხოლო დანარჩენი ტყვეები, რომლებიც წარმოშობით იტალიური ოლქებიდან იყვნენ, გაათავისუფლა და თავიანთ სამშობლოში გაუშვა. მათ უნდა გაევრცელებიათ ჰანიბალის მიზანი და განზრახვა: ის მოსულია მხოლოდ რომაელებთან საომრად და მიზნად აქვს დასახული მათი ძალმომრეობისაგან და კირთებისაგან გათავისუფლოს მთელი იტალია! ამრიგად, კართაგენელი სარდალი ყველა იტალიელს მოუწოდებს იარაღი აიხსნა და შეუკავშირდნენ მას მთელი ქვეყნიერებისათვის, საძულველ „მგლის ნაშიერთა“ წინააღმდეგ საბრძოლველად!

რომის ხელისუფლებისათვის ახლა, ე. ი. ძალიან გვიან, ყველაფერი ნათელი შეიქნა. სემპრონიუსის ცნობა, რომელიც იტყობინებოდა, რომ ბრძოლა არ წაგვიგია, არამედ მხოლოდ შევწყვიტეთ ცუდი ამინდის გამოო, მალე ყალბი გამოდგა: არმიები აღარ არსებობდნენ; გალია მტერს ემორჩილებოდა; ჰანიბალის საშინელი გეგმა იტალიის „კავშირის“ დანგრევის შესახებ ცნობილი იყო. პანიკით მოცული ხალხი დღე-დღეზე ელოდა რომის კედლებთან თვით ჰანიბალის გამოჩენას.

---

[1] ჰანიბალისადმი ასეთ ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებდა მისი საიდუმლოებით მოცული „მეტამორფოზები“. მას სხვადასხვა სახის პარიკები, გრიმები და ტანსაცმელი ჰქონდა. ხან როგორც ღრმა მოხუცი გამოეცხადებოდა ხალხს, ხან ჭაბუკი, ხან სარდალი იყო, ხან უბრალო მეომარი, ხან მსტოვარი, ხან კიდევ მათხოვარი.

კარგი ამბები არ მოდიოდა არც ესპანეთიდან, სადაც ჰასდრუბალის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნილი იყო გნეუს კორნელიუს სციპიონი, კონსულის ძმა. მართალია, მან ხელში ჩაიგდო რამდენიმე ოლქი იბერსა და პირენეის მთებს შორის, მაგრამ მაინც ვერ ბედავდა გადაელახა მდ. იბერი, რომლის დასავლეთით ჰანიბალის ღირსეული ძმა მტკიცედ ინარჩუნებდა თითქმის მთელ ნახევარკუნძულს და ახალ რეზერვებს ამზადებდა იტალიაში გასაგზავნად.

ამრიგად, 218 წლის დასასრულს რომში მორალური დაცემულობისა და სრული გულგატეხილობის ატმოსფერომ დაისადგურა. რელიგიის მსახურნი, „წინასწარმეტყველნი", ქადაგად დავარდნილნი, მკითხავები და ათასნაირი მეზღაპრენი თავზარდამცემ ამბებს ავრცელებდნენ ღვთის მოშიშ ხალხში და ამით კიდევ უფრო აფორიაქებდნენ ისედაც უიმედობისა და შემაძრწუნებელი კოშმარის მორევში ჩაძირულ ადამიანებს.

სემპრონიუსი და სციპიონი ძლივს ინარჩუნებდნენ პლაცენციას და კრემონას, სადაც ისინი მცირედი რაზმებით გამოსაზამთრებლად იყვნენ დაბანაკებული. პლაცენციის მახლობლად კართაგენელები ხშირად გამოიჭრებოდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ მოწინააღმდეგეს. ჰანიბალი სუსხიან ზამთართან ბრძოლის პირობებში სამხრეთისაკენ სალაშქროდ ემზადებოდა.

ტრაზიმენის ტბა

რომმა მალე დააღწია თავი პირველი ძლიერი დარტყმისაგან მიღებულ დაბნეულობას. ის დიდი ენერგიით შეუდგა საომარ სამზადისს მომავალი წლისათვის. ახალ წელს საბოლოოდ უნდა აღეკვეთა კართაგენული საშიშროება იტალიაში და საერთოდ ევროპაში.

დაიწყო ჯარების შეკრება. ჰანიბალის გამარჯვებასთან დაკავშირებით რომის ხელისუფლება ითვალისწინებდა კართაგენისაგან მოსალოდნელ თავდასხმებს სარდინიაში, სიცილიასა და ტარენტუმში. ამიტომ ყველა ამ პუნქტში დაგზავნეს სამპედრო ძალები. მზად იყო 60 გემისაგან შემდგარი საზღვაო ფლოტი. რომაელებმა დახმარება სთხოვეს სირაკუზის მეფე ჰიერონს, რომელმაც 500 კრეტელი და 1 000 ბერძენი მეომარი გაუგზავნა მათ. მზადდებოდა ყოველგვარი სახის საჭურველი და სურსათ-სანოვაგე.

217 წლისათვის კონსულებად აირჩიეს გ ნ ე უ ს ს ე რ ვ ი ლ ი უ ს ი და გ ა ი უ ს ფ ლ ა მ ი ნ ი უ ს ი, ჩვენთვის უკვე ცნობილი სახალხო ტრიბუნი (232 წ.) და ყოფილი კონსული (223 წ.). როგორც ზემოთ ითქვა, ფლამინიუსი მისი დემოკრატიულ-რეფორმატორული მოღვაწეობისათვის ძალიან სძულდა სენატს და საერთოდ რომაულ არისტო-

კრატიას, ხოლო ხალხთა მასებს მეტად უყვარდათ ის, როგორც თავისი პირმშო და მისი ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლი. ამ წელსაც სწორედ დემოკრატიულ მასათა მოთხოვნით იქნა ის არჩეული კონსულად. ფლამინიუსი შიშობდა, რომ ხრიკები არ მოეწყოთ მის გავლენიან მოწინააღმდეგეებს. ამიტომ თვით რომში კონსულობის მიღების ცერემონიებს მოერიდა და გაეშურა არიმინუმში, სადაც მას სემპრონიუსის ჯარის ნაწილები ელოდებოდა. აქ მან მიიღო კონსულობისათვის საჭირო ყველა ატრიბუტი. მალე აქვე ჩამოვიდა გნეუს სერვილიუსიც და სციპიონის ჯარები ჩაიბარა.

ა რ ი მ ი ნ უ მ ი რომაული არმიების შესაკრები პუნქტი შეიქნა. აქ თავი მოიყარა 13 ლეგიონმა.

ახალი საომარი გეგმის მიხედვით სერვილიუსი უნდა დარჩენილიყო არიმინუმში და ჩაეკეტა ეს მეტად მნიშვნელოვანი გასასვლელი ჩრდილოეთიდან ცენტრალური იტალიისაკენ. ხოლო ფლამინიუსი თავისი არმიით დაიძრა აპენინის მთების ცენტრალური უღელტეხილის დასაცავად, ა რ ე ც ი უ მ ი ს ა კ ე ნ.

ამგვარად, რომაელებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ჰანიბალი სამხრეთისაკენ გასაჭრელად მხოლოდ ამ ორი მოსახერხებელი გზიდან (არეციუმი და არიმინუმი) უსათუოდ ერთ-ერთს აირჩევდა. მაგრამ რომაელები კიდევ მოტყუვდნენ.

ჰანიბალმა იცოდა, სადაც იდგნენ მოწინააღმდეგის არმიები და რას ემყარებოდა მტრის ახალი საომარი გეგმა. ამიტომ მან შუა იტალიაში შესაჭრელად აირჩია ის გზა, რომელზეც რომაელები სრულებით არაფერს ფიქრობდნენ. ეს გზა მიემართებოდა ბონონიიდან, გადაივლიდა აპენინს, პისტორიას, ფლორენციას და მდ. ა რ ნ ო ს ველის გადაჭრის შემდეგ შედიოდა ცენტრალურ ეტრურიაში. ჰანიბალმა წინასწარ შეიტყო, რომ ეს გზა მეტად ძნელი სავალი იყო. მაგრამ მას სურდა მოულოდნელად შეეჭრილიყო შუა იტალიაში და სანამ რომაული არმიები გაერთიანდებოდნენ, ბრძოლაში ჩაეთრია ერთ-ერთი კონსული, სახელდობრ არეციუმთან დაბანაკებული ფლამინიუსი, რომელიც, მართალია, მამაცი ჯარისკაცი იყო, მაგრამ ამავე დროს ფიცხი, აჩქარებული და წინდაუხედავი სარდალი. ასეთი მხედართმთავარი ადვილად უნდა წამოჰგებოდა ცბიერი ფინიკიელის მიერ ნასროლ ანკესზე. შემდეგ კი ჰანიბალის უახლოეს ამოცანად სერვილიუსის განადგურების საკითხი იდგა.

გაზაფხულის დამდეგისთანავე ჰანიბალმა 50 000 მეომრისაგან შემდგარი არმიითა და ფურაჟით გადალახა აპენინის მთების დასავლეთი მთაგრეხილი და ეტრურიაში შევიდა. არმიის საავანგარდო ნაწილები აფრიკელებისა და ესპანელებისაგან შედგებოდა; მათ მოჰყვებოდნენ ჟელტები, ხოლო სულ ბოლოს ცხენოსანი კავალერია მაგონის მეთაურობით.

არიერგარდში მდგარ მაგონს ევალებოდა თვალყური ედევნებინა შუაში მოქცეული კელტებისათვის, რომლებიც, როგორც ჩანს, უკმაყოფილო ყოფილან ჰანიბალის მიერ არჩეული ძნელადსავალი გზით და შესაძლო იყო მათთვის ჩვეული მერყეობის საფუძველზე ლაშქრობიდან გაქცევაც მოეფიქრებინათ.

ქ. პისტორიის გავლის შემდეგ კართაგენელებმა ფეხი შესდგეს მდინარე არნოს ველზე. გაზაფხულის წვიმებისაგან და გამდნარი თოვლისაგან ადიდებული მდინარის ფართო ველი მთლიანად ჭაობებით იყო დაფარული. ოთხი დღისა და სამი ღამის განმავლობაში კართაგენელები მკერდამდე მიაპობდნენ საშინელ ლაქაშს. ჰანიბალი ჩქარობდა. ქანცგაწყვეტილი მეომრები შეუჩერებლივ მიიწევდნენ წინ. ისინი ლუკმის გადასაყლაპავად და ჩასათვლემად რამდენიმე წუთს თუ ჩაიმუხლებდნენ დახოცილ პირუტყვთა გვამებზე და აღალზე. ყინულობისა და დაქანცულობისაგან გატეხილი ადამიანები ეცემოდნენ და ჭაობებში იძირებოდნენ. განსაკუთრებით ბევრი დაიღუპა კელტი მეომრები. თვით ჰანიბალი, რომელიც ერთადერთ გადარჩენილ სპილოზე ამხედრებული წინ მიუძღოდა გაწამებულ არმიას, ძლივს გადარჩა დაღუპვას. საშინელ ციებ-ცხელებიან კლიმატში მას თვალების ანთება დაემართა. მას არ სურდა ერთი წუთიც კი დაეკარგა მკურნალობისათვის და ამგვარად ცალი თვალი მთლიანად დაუბრმავდა.

კართაგენელებმა არნოს ჭაობებს თავი დააღწიეს და ხმელეთზე ამოსვლისთანავე დაბანაკდნენ. სანამ არმია ისვენებდა, ჰანიბალმა მზვერავთა საშუალებით კარგად გამოიკვლია ფლამინიუსის ბანაკის პოზიციები, თვით კონსულისა და მისადმი რომის ხელისუფლების დამოკიდებულების ამბები, ცენტრალური ეტრურიის ბუნებრივი პირობები, სიმდიდრე და სალაშქრო გზები. როგორც ვთქვით, ჰანიბალს სურდა, რაც შეიძლება მალე ჩაეთრია ბრძოლაში ფლამინიუსი, სანამ მას მეორე კონსული შეუერთდებოდა.

კართაგენელთა არმია დაიძრა სამხრეთისაკენ. მათ მხარმარცხნივ ჩამოიტოვეს არეციუმი, სადაც ფლამინიუსი იყო დაბანაკებული. კართაგენელები ძარცვავდნენ და აოხრებდნენ ეტრურიის მდიდარ და მშვენიერ ველ-მინდვრებს, იტაცებდნენ დოვლათს, მიერეკებოდნენ საქონელს. რომაელთა შესახედავად და კონსულის მოთმინებიდან გამოსაყვანად ცეცხლს უკიდებდნენ და ნაცარ-ტუტად აქცევდნენ სოფლებს. ასე, ჰანიბალი ცეცხლითა და მახვილით მიიწევდა სამხრეთისაკენ.

კართაგენელის ვარაუდი გამართლდა: ფლამინიუსმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ შებმოდა მტერს.

ფლამინიუსის განზრახვა მის ბანაკში მყოფი ფრთხილი სამხედრო მეთაურების წინააღმდეგობას წააწყდა. ისინი ურჩევდნენ, რომ დაეცა-

დათ სერვილიუსისათვის და გაერთიანებული არმიებით დაერტყათ მტრისათვის, ხოლო მანამდე მის წინააღმდეგ მფრინავი თავდასხმები ეწარმოებინათ. მაგრამ კონსული სარგებლობდა ჯარისკაცების მხარდაჭერით და საშინლად გაგულისებული უარყოფდა სამხედრო საბჭოს წევრთა თათბირს.

ბოლოს ბრძანება გასცა მომზადებულიყვნენ სალაშქროდ. იგი 30 000 ლეგიონერითა და 3 000 ცხენოსნით დაედევნა მტერს.

ეტრურიის ადგილობრივი მოსახლეობა დიდი ამბით შეხვდა ფლამინიუსის გამოსვლას. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ უცხოელები იტალიაში სულ მალე ჰპოვებდნენ აღსასრულს. ხალხი ბორკილებითა და თოკებით მისდევდა არმიას კართაგენელთა გასაბაწრავად და მონებად წასაყვანად.

ჰანიბალმა სასწრაფოდ განსაზღვრა ბრძოლის ადგილი და დრო: ტ რ ა ზ ი მ ე ნ ი ს ტბა; 217 წლის 5 აპრილი.

არეციუმიდან მომავალი გზა გადირდა ტრაზიმენის ტბის ჩრდილოეთ სანაპიროზე, რომელიც ვიწრო დაბლობს წარმოადგენს. ამ დაბლობის ზოლს ჩრდილოეთიდან მაღალი მთები აკრავს, დასავლეთიდან შესასვლელი ვიწრო ხეობას წარმოადგენს, ხოლო აღმოსავლეთისაკენ გასასვლელი —ციცაბო ფლატეს. ამგვარად, ბუნებას ის თითქოს განგებ ჩასაფრებისა და თავდასხმის ადგილად გაუჩენია.

ჰანიბალმა ღამით ტბის სანაპირო ველზე შესასვლელ ხეობასთან კავალერია ჩაასაფრა; გასასვლელთან, აღმოსავლეთით — მსუბუქად შეიარაღებული მეომრები, ხოლო ჩრდილოეთით, მთებში ჩასაფრდნენ კართაგენელთა ძირითადი ქვეითი ნაწილები.

გარიჟრაჟისას, ტბიდან ამდგარი ნისლით შებურვილ დაბლობზე რომაელებმა სრულიად არხეინად, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყეს შესვლა. როცა რომაულმა არმიამ ვიწრო ველი მთლიანად გაავსო და მისი მოწინავე რაზმები უკვე აღმოსავლეთის კარს მიუახლოვდნენ, გაფანტულ ნისლში მხოლოდ მაშინ შენიშნეს ამ ადგილზე ჩასაფრებული მტერი. მაგრამ უკვე გვიან იყო. ჰანიბალმა შეტევის ნიშანი მისცა. კართაგენელები გრიალით წამოიშალნენ და სამივე მხრიდან თავს დაესხნენ მოწინააღმდეგეთ. მოულოდნელობით დაბნეული და პანიკით მოცული რომაელები ანგარიშმიუცემლად აირივნენ ერთმანეთში. გაჩაღდა არნახული ხოცვა-ჟლეტა. ფლამინიუსი მიხვდა, რომ მთელი არმია საშინელ სასაკლაოზე მოიყვანა. მაგრამ ის არაჩვეულებრივ სულიერ მხნეობას და სიმამაცეს ინარჩუნებდა, ყოველნაირად ცდილობდა დაბნეულობიდან გამოეყვანა, წესრიგში ჩაეყენებინა გონდაკარგული ჯარები. კონსული რაზმიდან რაზმში დაჰქროდა და ამხნევებდა ყველას:

მტკიცედ და მამაცურად იბრძოლოს! ყოველმა მეომარმა, რადგან აქედან ცოცხალი გასვლა შეიძლება არა ვედრებით და ღმერთებისადმი ლოცვა-კურთხევით, არამედ სიმამაცისა და მთელი ძალღონის დაძაბვით. მაგრამ საშინელ ხმაურში, იარაღის ჟღარუნში, საბრძოლო ყიჟინაში, მომაკვდავთა ღრიალსა და ცხენების თქარათქურში აღარავის არაფერი ესმოდა[1]. ყველაზე სახიფათო შეტაკებებში ჩაბმული ფლამი-


ქართაგენელთა არმია
ბანები
ბანები
ბრისარნი
ბანები
ბანები
ბანები

ნილი და ბრძოლის საშინელებით შეძრწუნებული რომაელი მეომრები, როცა სხვა გასაქცევი გზა არ იყო, გარბოდნენ შიგ ტბაში, იქ იარაღითა და ტანსაცმლით დამძიმებულნი იხრჩობოდნენ ან ხელებაპყრობილნი და სიცოცხლის შენარჩუნების მღაღადებელნი უწყალოდ იღუპებოდნენ მათზე დადევნებული კართაგენელი მხედრებისაგან, ან კიდევ ერთიმეორეს ხოცავდნენ, რომ გახელებული მტრისაგან წამებას გადარჩენილიყვნენ.

მთელი რომაული არმიიდან ტრაზიმენის სასაკლაოს თავი დააღწია მხოლოდ 6 000 მეომარმა, რომლებმაც საუკეთესო ორგანიზებულობით გაარღვიეს აღმოსავლეთის გასასვლელი და თავი შეაფარეს მახლობელ სიმაგრეს. ჰანიბალს არც მათი წასვლა გამოჰპარვია მხედველობიდან. დაუყოვნებლივ დაადევნა მათ ცხენოსანთა და ქვეითთა რაზმები მაჰარბალის მეთაურობით. მაჰარბალმა ალყა შემოარტყა სიმაგრეს და მალე შიმშილით შეწუხებული რომაელები სიცოცხლის შენარჩუნების პირობის მიღების შემდეგ დანებდნენ მტერს.

ამგვარად, ტრაზიმენის ტბასთან დიდი რომაული არმია მთლიანად მოისპო. 15 000 რომაელი ესვენა საბედისწერო ბრძოლის ადგილზე; ამდენივე ტყვედ იყო ჩავარდნილი. ჰანიბალმა მხოლოდ 1 500 კაცი დაჰკარგა და ისინიც უმეტეს წილად კელტები.

გამარჯვებულმა სარდალმა შეკრიბა ყველა სამხედრო ტყვე და მათ წინაშე წარმოსთქვა სიტყვა რომის ძალმომრეობისა და გაუმაძღრობის წინააღმდეგ. ამის შემდეგ, ჩვეულებრივად, ყველა რომაელ ტყვეს ბორკილი დაადო და სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ დააყენა, ხოლო ლათინები და სხვა იტალიელი მეომრები გაათავისუფლა. ამით კართაგენელმა კვლავ აუწყა, რომ ის მოსულია რომის ძალაუფლების დასამხობად და მისგან იტალიის ხალხთა გასათავისუფლებლად. შემდეგ ბრძანება გასცა მიწისათვის მიებარებინათ ყველა წარჩინებული მეომარი. მისივე ბრძანებით დახოცილთა შორის დიდხანს ეძებეს ფლამინიუსი, რომლის პატივით დაკრძალვას ფიქრობდა ჰანიბალი, მაგრამ კონსულის გვამი ვერ იპოვნეს.

ჰანიბალმა სამხედრო საბჭო მოიწვია და ახალი საბრძოლო გეგმის შემუშავებას შეუდგა.

დიქტატორი — „კუნქტატორი"

საშინელი მარცხის ამბავი სწრაფად მიეჭრა რომის კარიბჭეს. ჯერ კარგად არავინ იცოდა საქმის ნამდვილი შინაარსი. მხოლოდ ხმები დიდი უბედურების შესახებ ელვისებური სისწრაფით ვრცელდებოდა მოსახლეობაში. ხალხი, კაცი, ქალი თუ ბავშვი, პანიკით მოცული ერთმანეთს ეხეთქებოდნენ ქალაქის ქუჩებში; ერთურთს ეკითხებოდნენ

ჭორი იყო თუ სწორი მათ მიერ მოსმენილი თავზარდამცემი ამბავი. დაიმსხვრა ურყევი რწმენა მტრის უეჭველი განადგურებისა. სენატი, რომელსაც უკვე სარწმუნო ცნობები ჰქონდა ტრაზიმენის ტრაგედიის შესახებ, თავის სხდომაზე მთელი დღის განმავლობაში არჩევდა შემდგომ ღონისძიებათა საკითხებს. მზის ჩასვლისას, როცა სენატის სხდომები ჩვეულებრივ უნდა დასრულებულიყო, ხალხი გამაყრუებელი ჩოჩქოლითა და ღრიალით მიაწყდა სენატორთა შეკრების პუნქტს და მოითხოვეს სინამდვილის გამოქვეყნება. მაშინ ტრიბუნაზე ავიდა პრეტორი მარკუს პომპონიუსი და ხმამაღლა განაცხადა: „ჩვენ დავმარცხდით დიდ ბრძოლაში!“ ეს მოკლე განცხადება საკმარისი იყო ხალხი ისე აღელვებულიყო, როგორც მძლავრი ქარტეხილისაგან ფაფარაყრილი ზღვა. საშინელი მოთქმა-გოდება, ღრიანცელი, ბავშვების ტირილი, რომაელი მატრონების ისტერიული კივილი მთელი დღე-ღამის განმავლობაში აყრუებდა ქალაქს. შემთხვევით სიკვდილს გადარჩენილი და ქალაქში დაბრუნებული საშინელი სახის თითო-ოროლა მეომრები დაწვრილებით აღწერდნენ შემაძრწუნებელი ბრძოლის სურათებს. კონსულის დაღუპვას, მთელი არმიის განადგურებას, შემზარავ ჩეხვას.

სენატი ამაოდ ცდილობდა ხალხის მხნეობის აღდგენას. მაგრამ ერთხანს სენატმაც დაჰკარგა სიმტკიცე, როცა რომს, ტრაზიმენის ამბებიდან მესამე დღეს, კიდევ ახალი უბედურების ამბავი ეწვია.

ეს გახლდათ ის, რომ, როცა კონსულმა სერვილიუსმა ეტრურიაში ჰანიბალის შეჭრისა და მის წინააღმდეგ ფლამინიუსის გამოსვლის ამბავი შეიტყო, სასწრაფოდ გამოიყვანა თავისი არმია არიმინუმიდან და გაეშურა კოლეგის მისახმარებლად. მან გაიანგარიშა, რომ მთელი არმიით ვერ მიუსწრებდა ბრძოლის დაწყებას. ამიტომ გამოჰყო 4 000 მხედარი პროპრეტორ გაიუს ცენტენიუსის მეთაურობით და უბრძანა მათ სწრაფი მარშით დაძრულიყვნენ ფლამინიუსისათვის მისაშველებლად, სანამ თვითონაც მთელის არმიით მიუსწრებდა ბრძოლის ველს. მაგრამ ტრაზიმენის კატასტროფა უკვე დამთავრებული იყო, როცა ჰანიბალმა სერვილიუსის ამ ღონისძიების შესახებ შეიტყო. მან ცენტენიუსთან შესახვედრად სასწრაფოდ გაგზავნა მაჰარბალი ცხენოსანი და შუბოსანი რაზმებით. პირველსავე შეტაკებაში კართაგენელებმა 2 000 რომაელი მხედარი დახოცეს, დანარჩენები კი დაატყვევეს და ხელ-ფეხშეკრული ჰანიბალს მიჰგვარეს.

სერვილიუსმა ვეღარ გაბედა გამარჯვებით გალაღებულ მტერთან შეხვედრა.

ახლა რომში ყველას სჯეროდა, რომ ჰანიბალი დღეს თუ ხვალ ქალაქის კედლებთან გამოჩნდებოდა. ამიტომ უმძიმესმა მოსალოდნელმა

პერსპექტივამ რომაელი ხალხი კვლავ ამოიყვანა სულიერი დაცემულობის ჭაობიდან. ქალაქის მოსახლეობა დიდის ენერგიითა და ენთუზიაზმით შეუდგა თავდაცვისათვის სამზადისს. ამაგრებდნენ კედლებს, ანგრევდნენ ტიბრზე აგებულ ხიდებს, იარაღდებოდნენ ღრმადმოხუცებულებიც კი. იარაღი გამოჰქონდათ ტაძრებიდან, სადაც ის მანამდე ეწყო, როგორც გაძარჯვების ტროფეუმი და სამკაული. ასეთი დიდი საფრთხის წინაშე, როგორც ზემოთ ითქვა, რომაელები ექვსი თვის ვადით ირჩევდნენ დიქტატორს, რომლის ხელშიაც, საშიშროების აღსაკვეთად, თავს იყრიდა სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობისა და საბრძოლო შესაძლებლობათა ხელმძღვანელობა. ახლაც საშინელი „ფინიკიური ჭირის“ გასანადგურებლად და სახელმწიფოს გადასარჩენად რომაელებმა აირჩიეს დიქტატორი.

ეს იყო ქვინტუს ფაბიუს მაქსიმე, ჩვენთვის ცნობილი რომაელი ელჩების ბელადი კართაგენში მეორე პუნიკური ომის დასაწყისში. ფაბიუს მაქსიმე, პატრიციანული გვარის შთამომავალი, ხუთჯერ კონსულად ნამყოფი და არაერთგზის ტრიუმფატორი, პატივცემული სენატორი და სახელმწიფო საქმეთა საუკეთესო გამგებელი, ჭკვიანი, აუჩქარებელი, შორსმჭვრეტელი სარდალი და მამაცი მეომარი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რომაელთა და მათ ქვეშევრდომთა შორის. აი ეს კაცი, იმ დროს უკვე ხანში შესული, 60 წელს გადაცილებული, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდული ჯანღონით სავსე, ჭარმაგი შეიქნა რომის დიქტატორი.

დიქტატორის მოადგილედ, ანუ იგივე კავალერიის უფროსად დაინიშნა პლებეური ფენის წარმომადგენელი მარკუს მინუციუს რუფუსი. დიქტატორი ექვსი ლეგიონით დაიძრა ჰანიბალისაკენ.

ტრაზიმენთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ კართაგენელთა ბანაკშიც არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ჰანიბალი პირდაპირ რომზე მიიტანდა იერიშებს. მაგრამ სარდალი ძალიან კარგად გრძნობდა, რომ რომზე თავდასხმა ჯერ კიდევ ნაადრევი იყო. ჯერ კიდევ, როცა იტალიის ეკონომიურ-პოლიტიკური ერთიანობა თავის სახეს ინარჩუნებდა და ის სიუზერენ რომის მძლავრ ეკონომიურ-პოლიტიკურ ბაზისს წარმოადგენდა, რომზე თავდასხმა სრული უაზრობა იყო. ამიტომ ჰანიბალი მტკიცედ იდგა თავისი სტრატეგიული გეგმის გენერალურ ხაზზე: გადაეჭრა რომის სასიცოცხლო არტერიები, დაენგრია მისი ძლიერების საძირკველი და ამის საფუძველზე ყველასაგან მიტოვებული და ყოველმხრივ გაკოტრებული საძულველი ქალაქის არსებობისათვის საბოლოოდ დაედო ზღვარი.

ჰანიბალმა მხარმარჯვნივ ჩამოიტოვა რომი და უმბრიასა და

პ ი ც ე ნ უ მ შ ი გადავიდა. მებრძოლები ჭრილობებს იშუშებდნენ, ღრეობდნენ, მხიარულობდნენ, ქეცით დაავადებულ ცხენებს პიცენუმის ძველი ღვინოებით ბანდნენ.

შემდეგ ჰანიბალი ა პ უ ლ ი ა შ ი შევიდა და ქ. ა რ პ ი ს თ ან დაბანაკდა. ფაბიუს მაქსიმეც აპულიისაკენ დაიძრა. ის მიუახლოვდა კართაგენელთა ბანაკს და თვითონაც დაბანაკდა ქ. არპის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ მაღლობზე.

მტრის გამოჩენით მეტად ნასიამოვნებმა ჰანიბალმა სასწრაფოდ გამოიყვანა არმია, საბრძოლოდ გამზადებული მიუახლოვდა რომაელთა ბანაკს და გაიწვია ისინი ბრძოლის ველზე. მაგრამ რომაელები ადგილიდან არ იძროდნენ. ბრძოლას მოწყურებული კართაგენელები ათასგვარი შეურაცხმყოფელი სიტყვებით შეჰყვიროდნენ რომაელებს, უწოდებდნენ მათ ლაჩრებს, რომ მათ დაჰკარგეს „მარსის მეომრული სული“, ძალ-ღონე აღარ შესწევთ კართაგენელებთან შებრძოლებისა და სხვა ამდაგვარი. მაგრამ ფაბიუსი ყურადღებას არ აქცევდა თავისი მეომრების გაცეცხლებას, მათ დაჟინებით მოთხოვნას ბრძოლაში დაუყოვნებლივ ჩაბმის შესახებ, და მტკიცედ იდგა თავის განზრახვაზე. ჰანიბალი მწარედ ჩაფიქრდა.

საქმე იმაში იყო, რომ ამიერიდან რომაული სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა იცვლებოდა. ჰანიბალს, ფაბიუს მექსიმეს სახით, ძლიერი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. დიქტატორის მიერ შედგენილი სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებდა ომის გაჭიანურებას, ხოლო ტაქტიკა — მფრინავი და პარტიზანული ხასიათის ბრძოლებს. რომაელი სარდალი სამართლიანად ზომავდა მტრის უპირატესობას, მისი არმიის სიძლიერესა და განსაკუთრებით კავალერიის შეუდარებელ გაწვრთნილობას. მაგრამ ის იმასაც კარგად ხედავდა, რომ მტრის ეს ძლიერი არმია დღითიდღე სუსტდებოდა და ძალას ჰკარგავდა; შორეულ ქვეყანაში ღრმა ზურგს მოწყვეტილი არმია გაჭიანურებულ ომს ვერ გაუძლებდა, თუ ის ყოველდღიურად ახალ შევსებას არ მიიღებდა ან იმ ქვეყნიდან, საიდანაც ის წამოვიდა, ან კიდევ იქიდან, სადაც მას ამჟამად ფეხი ედგა. ამიტომ ფაბიუს მაქსიმეს გადაწყვეტილი ჰქონდა მცირე მოულოდნელი თავდასხმებით დაესუსტებინა მტერი, არ დაეშვა მასთან ახლოს რეზერვების შეერთება, დაეცვა იტალიელი მოკავშირენი და მტრისათვის საშუალება არ მიეცა ამ უკანასკნელთა გადაბირებისათვის; ამავე დროს მორიდებოდა გენერალურ ბრძოლას და შეენარჩუნებინა არმია. ფაბიუს მაქსიმე ჯერ კიდევ კონსულ ფლამინიუსს ურჩევდა ჰანიბალის წინააღმდეგ ასეთი ტაქტიკით ბრძოლის წარმოებას. შენ მოერიდე კართაგენელებთან გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმას, დაკმაყოფილდი მასზე მცირე მასშტაბის, მაგრამ ხანგრძლივი, უეცარი თავდასხმებით და

ჰანიბალის გამარჯვებათა ნაყოფნი ისე გაჰქრებიან, როგორც გამდნარი სანთელიო. მაგრამ ბედკრულმა კონსულმა არ დაიჯერა, ფაბიუსი კი მართალი აღმოჩნდა.

მაგრამ არც რომაელთა და არც კართაგენელთა ბანაკში არ გრძნობდნენ ფაბიუს მაქსიმეს საომარი გეგმის უპირატესობას. მას გრძნობდა მხოლოდ ერთი კაცი... ეს იყო ჰანიბალი. მას მშვენივრად ესმოდა ჭკვიანი რომაელის გეგმათა ღრმა აზრი და შორსმჭვრეტელობა. [ეგი დარწმუნებული იყო, რომ ახლა მის წინააღმდეგ იდგა არა ფლამინიუსის და სემპრონიუსის მსგავსი მცმუკავი სარდალი, არამედ დინჯი და წინდახედული მხედართმთავარი. ერთი რამ ყველაზე კარგად ესმოდა ჰანიბალს: ისე როგორც თვითონ სურდა რომის გარიყვა, გაკოტრება და შემდეგ მისი დამორჩილება, ასევე სურდა ფაბიუს მაქსიმეს კართაგენელთა არმიის ძლიერების საფუძვლის მოშლა, სისხლისაგან დაწრეტა და შემდეგ მოსპობა.] ამიტომ საჭირო იყო, რომ ჰანიბალს როგორმე გამოეყვანა მოწინააღმდეგე ამ საშიში თავშეკავებულობისაგან და ჩაეთრია ის გადამწყვეტ ბრძოლაში.

ამ მიზნით ჰანიბალი შეუდგა რომის „მოკავშირე" იტალიური ოლქების აოხრებას. თუ ფაბიუსი იტალიელებს არ მიეშველებოდა, ეს გამოიწვევდა რომისადმი მათ უკმაყოფილებას და შესაძლოა კართაგენელთა მხარეზე გადასვლასაც.

მაგრამ ჩანდა, რომ იტალიელები, გალებისაგან განსხვავებით, კართაგენელებს უფრო მტრულად ხედებოდნენ და ჯერჯერობით საჭიროებას არ ხედავდნენ რომაელთათვის ეღალატნათ და შორეული, უცხო და სასტიკი გადამთიელების უღელში გაეყოთ თავი.

ამრიგად, როცა ჰანიბალი იტალიის ოლქების აოხრება-აწიოკებასა და ძარცვას შეუდგა და რომაელთა არმიას ყოველი ძალით გადამწყვეტ ბრძოლაში იწვევდა, ფაბიუს მაქსიმე შორიახლო მისდევდა მას, ყოველთვის ხელსაყრელ პოზიციებს იჭერდა, შესაძლებლობის მიხედვით მფრინავი თავდასხმებით აწუხებდა, სასურსათო აღალს უსპობდა, მაგრამ ჰანიბალის გამოწვევას არ ღებულობდა.

მთელს იტალიაში ხმა გავარდა: დიქტატორს ჰანიბალის ეშინია. ის გაურბის მასთან შეხვედრას, აყოვნებს კართაგენელებთან გენერალური ბრძოლის გამართვას და მათს სრულ განადგურებას. სწორედ ამის ნიადაგზე ფაბიუს მაქსიმეს ზედმეტ სახელად უწოდეს „კუნქტატორი", რაც დამაყოვნებელს, შემანელებელს ნიშნავს. ჯარისკაცები დასცინოდნენ თავის სარდალს, უწოდებდნენ მას „ჰანიბალის ბიძას"; მის წინდახედულობას სიზანტედ თვლიდნენ, ხოლო სიფრთხილეს — სიმხდალედ; ნამდვილ მთავარსარდლად აღიარებდნენ დიქტატორის მოადგილეს, კავალერიის უფროსს მარკუს მინუციუს რუ-

ფუსს, რომელიც აშკარად გამოდიოდა მთავარსარდლის „კუნქტატორობის“ წინააღმდეგ და მოითხოვდა ჰანიბალთან გადამწყვეტ ბრძოლას.

მაგრამ ფაბიუსი ასეთ ძაგებას აინუნშიაც არ აგდებდა და მტკიცედ განაგრძობდა თავის პოზიციებზე დგომას. მის მისამართით წარმოთქმულ საძაგებელ სიტყვებს ის ასე პასუხობდა: მე უფრო მშიშარა ვიქნებოდი, ვიდრე ახლა მთვლიან, რომ სასაცილოდ აგდებისა და ლანძღვის შიშით უარი მეთქვა ჩემს გეგმაზე. სამშობლოსათვის შიშში სამარცხვინო არაფერიაო.

ასე განაგრძობდა ფაბიუსი თავისი გეგმის განხორციელებას. ამაოდ ცდილობდა ფეხმარდი ფინიკიელი ჭარმაგი „კუნქტატორის“ წონასწორობიდან გამოყვანას. ხან აქ, ხან იქ დაუხვდებოდა და დაეცემოდა ხოლმე კართაგენელი რომაელს, მაგრამ ეს უკანასკნელი პირველის პროვოკაციას ყურადღებას მაინც არ აქცევდა.

ჰანიბალმა აპულიის ჩრდილოეთ რაიონების დალაშქვრის შემდეგ სამნიუმში გადაინაცვლა. 50 წელზე მეტი ხანი გავიდა, რაც იტალიის ამ მდიდარ ოლქს ომი არ ენახა და აყვავებულ ბაღად ქცეულიყო. კართაგენელებმა აიღეს და გაძარცვეს სამნიუმის მდიდარი ქალაქები, ვენუზია, ბენევენტუმი და მრავალი სხვა დასახლებული პუნქტი. შემდეგ ჰანიბალმა, როცა ნახა ფაბიუსი მას კვლავ ფეხდაფეხ მისდევდა, მაგრამ ბრძოლას მაინც ვერ უბედავდა, გზა განაგრძო იტალიის უმდიდრესი და უმშვენიერესი ოლქისაკენ — კამპანიისაკენ. ჰანიბალის ამ განზრახვას ხელი შეუწყო აგრეთვე მის ბანაკში მყოფი რამდენიმე კამპანიელი მხედრის თათბირმაც. ესენი კართაგენელ სარდალს არწმუნებდნენ, რომ კამპანიის მთელი მოსახლეობა, განსაკუთრებით მათი მთავარი ქალაქი კაპუა, რომის ბატონობისადმი მეტად მტრულად არის განწყობილი და როგორც კი კართაგენელთა არმია იქ შეიჭრება, ადგილობრივი მცხოვრებლები დაუყოვნებლივ თქვენს მხარეზე დადგებიანო.

ჰანიბალი შეიჭრა კამპანიის ჩრდილოეთ ნაწილში მდინარე ვ ო ლ ტ უ რ ნ ი ს ნაყოფიერ ველებში. კართაგენელთა ვარაუდები არ გამართლდა: მოსახლეობა შიშით შეხვდა მათ ტერიტორიაზე საომარი ასპარეზის გახსნას. ფაბიუს მაქსიმე თავისი არმიით ფეხდაფეხ მიჰყვა მტერს და ერთ-ერთ მოხერხებულ მაღლობზე დაბანაკდა. ის იქიდან ხედავდა, თუ როგორ ძარცვავდნენ, აოხრებდნენ და სწვავდნენ ჰანიბალის ჯარები კამპანიის მდიდარ სოფლებს და მათ საშველად ძირს ჩამოსვლას არ ფიქრობდა. ის, მინუციუსისა და მის გარშემო შემოკრებილი სამხედრო ტრიბუნების მიერ გამოთქმული უკმაყოფილების პასუხად მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ მტრის პოზიციების დასაზვერად გაგზავნა 4 000 ცხენოსანი ახალგაზრდა ლ უ ც ი უ ს

ჰოსტილიუს მანციინუსის მეთაურობით. ჰანიბალმა, როგორც კი ეს შეიტყო, მანციინუსთან შესახვედრად გაუშვა ნუმიდიელ კავალერისტთა რაზმი კართალონის მეთაურობით. კართალონმა მოწინააღმდეგე სასტიკად დაამარცხა. რომაელ მზვერავთა უმეტესი ნაწილი ნუმიდიელებმა დახოცეს, დანარჩენები კი გაფანტეს. ფაბიუს მაქსიმეს ახალი საბუთი მიეცა თავისი გეგმის სამართლიანობის დასამტკიცებლად.

შემოდგომის მიწურულში აურაცხელი ალაფით და ნაძარცვით დატვირთული კართაგენელთა არმია კამპანიიდან ისევ ადრიატიკის ზღვისაკენ დაიძრა. იქ, აპულიაში, უნდა გაეტარებინა მას ზამთარი და მომზადებულიყო მომავალი წლის ბრძოლისათვის.

ჰანიბალმა იტალიელ გამყოლებს უბრძანა არმიას გასძღოლოდნენ კაზინუმისაკენ (დღ. ქ. კაზინო), რომელიც კამპანიიდან სამნიუმისაკენ ყველაზე კარგ გასასვლელად იყო ცნობილი. მაგრამ მალე კართაგენელთა არმია კაზინუმის მაგივრად კაზილინუმის ტაფობში აღმოჩნდა. ძნელი სათქმელია, მართლა იტალიელ მეგზურებს კარგად ვერ გაეგოთ ფინიკიური აქცენტით ნაბრძანები „კაზინუმი“ და მის ნაცვლად „კაზილინუმი გაიგონეს, როგორც ამას წყაროებში ვკითხულობთ, თუ ეს მეგზურები რომაელთა მოსყიდულნი იყვნენ ან საერთოდ კართაგენელთადმი მტრულად განწყობილნი მათ ხაფანგში გაბმას ფიქრობდნენ. ერთი რამ ცხადი იყო: ფაბიუს მაქსიმემ იცოდა, რომ ჰანიბალის არმია კამპანიიდან სამნიუმისაკენ უსათუოდ კაზილინუმის ხეობას გაივლიდა. ამიტომ მან აქ, მთაგრეხილთა შორის მდებარე ერთადერთი გასასვლელი 4 000 რჩეული ლეგიონერით ჩაჰკეტა, ხოლო თვითონ მთელი დანარჩენი არმიით მახლობელ მთაზე დაბანაკდა.

ჰანიბალი ჩიხში მოემწყვდა. მან მეგზურები ჯვრებზე გააკრა და ხაფანგიდან თავის დასაღწევი გზის მოფიქრებას შეუდგა...

ჰანიბალის ბრძანებით ღამით კამპანიიდან გამორეკილი 2 000 ხარი შეკრიბეს, რქებზე მაშხალები, ფიჩხის კონები მიაკრეს და ზედ ცეცხლი წაუკიდეს. ამ სახით ანთებული ნახირი მთისაკენ გარეკეს და თან გაჰყვნენ შუბოსანთა რაზმები, რომელთაც მაღლობი უნდა დაეკავებინათ. იმავე დროს ჰანიბალმა ბრძანება გასცა მთელი არმია და აღალი გასასვლელისაკენ ჩუმად დაძრულიყო.

ხეობაში ჩასაფრებულმა რომაელებმა შენიშნეს მთაზე შეფენილი სწრაფად მიმავალი ჩირაღდნები. მათ იფიქრეს, რომ ეს კართაგენელთა არმია გარბის თავის დასაღწევადო. ამიტომ ისინი საფრიდან წამოიშალნენ, გასასვლელი მიატოვეს და მთებზე შესეულ „მტრებს“ გამოედევნენ. მათს განცვიფრებას და დაბნეულობას საზღვარი არ ჰქონდა, როცა

ადგილზე მიაღწიეს და იქ ცეცხლისაგან გაშმაგებული ხარები დახვდათ! სწორედ ამ დროს მათ თავს დაესხნენ კართაგენელი შუბოსნებიც. ახლა რომაელებს ეგონათ, რომ მოწინააღმდეგის მთელი არმია იყო მათ წინააღმდეგ ჩასაფრებული. მაგრამ ისინი მაინც მხნედ დაუხვდნენ მტერს. სიბნელის გამო ბრძოლა მალე შეწყდა. ორივე მხარე გათენებას ელოდებოდა.

ამასობაში ჰანიბალის მთელმა არმიამ სრულიად არხეინად გაიარა მიტოვებული ხეობა. ფაბიუს მაქსიმე თავისი კარვიდან ხედავდა მოპირდაპირე მთებში მორიალე ცეცხლებს. იგი ფიქრობდა, რომ ეს მოხერხებული მოწინააღმდეგის რაღაც საიდარი ხრიკი იყო, მაგრამ ბანაკიდან აყრა და მტერზე თავდასხმა მაინც არ უცდია.

გათენებისთანავე ჰანიბალმა მთებზე გაგზავნილ თავისიანთა მისახმარებლად გაგზავნა სამთო ბრძოლებში გაწაფული ესპანელი მეომრები. ფიცხელ და თავგანწირულ შეტაკებაში რომაელებმა 1 000 კაცი დაჰკარგეს და ბრძოლის ველი დასტოვეს. გამარჯვებულ ესპანელთა რაზმები კვლავ შეუერთდნენ ჰანიბალის არმიას.

რომაელთა, განცვიფრებას და უკმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა. დიქტატორმა მტრის განადგურების კარგი შესაძლებლობა ასე სამარცხვინოდ გაუშვა ხელიდან: ის ასე გაამასხარავა ცბიერმა ფინიკიელმა.

„ჰანიბალის ბიძის“ უმოქმედობას მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი უკვე ეჭვის თვალით უცქერდნენ. ეს ეჭვები კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ჰანიბალმა აპულიის ველმინდვრების აოხრებისას ფაბიუს მაქსიმეს მფლობელობაში მყოფ მამულებს განგებ არ ახლო ხელი.

ფაბიუს მაქსიმე გულთან არ იკარებდა თანამოქალაქეთაგან მიღებულ დაცინვას და შეურაცხყოფას. „კუნქტატორი“ თავს ინუგეშებდა სტოიკური ფილოსოფიის ცნობილი დებულებით: „კარგი, პატიოსანი კაცი შეურაცხყოფაზე უფრო მაღლა დგას“.

ამ დროს ბევრი რამ საინტერესო ხდებოდა ესპანეთში.

ძმებმა პუბლიუსმა და გნეუსმა იმავე 217 წელს წარმატებით გადალახეს მდ. იბერი. მაგრამ ჰასდრუბალი ჯერ ისევ მძლავრად იყო პირენეიზე ფეხმოკიდებული და უთვალთვალებდა ხელსაყრელ დროს რომაელთა სრული განდევნისა და იტალიაში ჰანიბალისადმი დასახმარებლად.

ჰამილკარ ბარკას „ლომის ბოკვერთა“ და მათ თანამოაზრეთა წინაშე ესპანეთის მნიშვნელობის საკითხი ახალი, კიდევ მეტი სიგრძესიგანით წამოიმართა; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჰანიბალმა კართაგენიდან დახმარებაზე უარი მიიღო! საქმე იმაში იყო, რომ ფაბიუს მაქსიმე კუნქტატორის გაჭიანურებული ომის ნიადაგზე

ჰანიბალმა ბევრი მეომარი დაჰკარგა. მისი არმია სისხლისაგან იცლებოდა; იტალიაში გალაშქრების შემდეგ მას დამხმარე ძალის სახით არც კართაგენიდან, არც ესპანეთიდან ერთი მეომარიც კი აღარ მიუღია, მაშინ როცა რომის უზარმაზარი არმია, რომელიც „კუნქტატორის“ პოლიტიკის მეოხებით თითქმის ხელუხლებელი იყო, კიდევ ახალ-ახალი ძალებით ივსებოდა. ომის გაჭიანურებით კართაგენში ჰანონიდების კონსერვატიული პარტია სარგებლობდა და ჰანიბალის „ავანტიურის“ წინააღმდეგ ხმას იმაღლებდა. როცა ჰანიბალი იტალიიდან თავისი ბრწყინვალე გამარჯვებების ამბებს იტყობინებოდა და თან ახალ საბრძოლო ძალებს და ფინანსებს ითხოვდა, ის მწარე ირონიით აღსავსე პასუხს ღებულობდა: კართაგენის ხელისუფლებას არ ესმის, თუ რატომ ითხოვს ჰანიბალი დახმარებას. გამარჯვებულები ხომ ფულს არ ითხოვენ, პირიქით, მას სამშობლოს უგზავნიან; ჰანიბალი იწერება, რომ გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს და იმავე დროს ჯარებსა და ფულს ითხოვს!

ამიტომ ჰანიბალი ამიერიდან მთელ იმედებს ესპანეთზე ამყარებდა. ის სწერდა ჰასდრუბალს, რომ როგორმე გაზაფხულისათვის გადმოესხა ჯარები ჩრდილოეთ იტალიაში და ორმხრივი ძლიერი დარტყმით მოესპოთ რომი.

კანე. „ნამგალა მთვარე“

ორი წელი გავიდა საომარ მოქმედებათა დაწყებიდან. ორი წლის განმავლობაში კართაგენელი სარდალი უძლეველად იდგა აპენინზე და იტალიური ფედერაციის სიმტკიცითა და გაჭიანურებული ომით შეშფოთებული ახალი გენერალური ბრძოლის მოგებაში ეძებდა ბარკიდების ძველთაძველი ანდერძის განხორციელებას.

სანამ გამოსაზამთრებლად დაბანაკებული მოწინააღმდეგეთა არმიები ერთიმეორის პირისპირ იდგნენ, რომში მომავალი წლის საომარი საქმიანობისა და მისი წარმართვის საკითხებზე მწვავე სოციალური ბრძოლა იყო. არისტოკრატია და დემოკრატია ერთმანეთს განსაკუთრებული სისასტიკით ებრძოდნენ კონსულ-მთავარსარდალთა პოსტებზე თავიანთი წარმომადგენლების არჩევანზე. ბოლოს, როგორც იქნა გადაწყდა და კვლავ კომპრომისული შეთანხმება მოხდა: კონსულებად აირჩიეს დემოკრატიის კანდიდატი გაიუს ტერენციუს ვარონი და სენატის კანდიდატი ლუციუს ემილიუს პავლე.

ტერენციუს ვარონი ხორცით მოვაჭრის შვილი იყო. პლებეურ მასებს ის ძალიან უყვარდათ, როგორც მათი წარმომადგენელი და მათი ინტერესებისათვის სენატორთა წინააღმდეგ მედგარი მებრ-

ძოლი. ვარონი მტკიცე ხასიათის, ცოცხალი, მოძრავი და მამაცი კაცი იყო. იგი თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა ფაბიუს მაქსიმეს „კუნქტატორულ“ პოლიტიკას და მოითხოვდა მრავალრიცხოვანი არმიით ჰანიბალთან გადამწყვეტი ბრძოლის დაჩქარებას. ვარონი ხშირად გაიძახოდა სახალხო კრებებზე: კართაგენელებთან ომი მანამ არ დამთავრდება, სანამ რესპუბლიკა მთავარსარდლებად ფაბიუსების დანიშვნას არ შესწყვეტსო.

სრულიად სხვა ხასიათისა და მრწამსის კაცი იყო მეორე კონსული, ემილიუს პავლე, ბრწყინვალე პატრიციული გვარის შთამომავალი და კონსერვატიულ-არისტოკრატიული ბანაკის ერთ-ერთი ბელადთაგანი. პავლემ ჯერ კიდევ 219 წელს, მისი პირველი კონსულობის დროს გაითქვა სახელი ილირიელებისა და დემეტრე ფაროსელის წინააღმდეგ ომებში. ის ფაბიუს მაქსიმეს ტიპის სარდალს წარმოადგენდა; მის მსგავსადვე ჰანიბალთან გაჭიანურებული ომის ტაქტიკის თვალსაზრისზე იდგა. პავლე ყურადღებით უსმენდა აწ გადამდგარ „კუნქტატორს“, რომელიც მას ასე აფრთხილებდა: სამშობლოსათვის ბრძოლა, პავლე. პირველ რიგში უფრო ტერენციუს ვარონთან მოგიხდება, ვიდრე ჰანიბალთან; ორივენი იჩქარიან გენერალური ბრძოლის გამართვას; ტერენციუსი იმიტომ ჩქარობს, რომ მან არ იცის თავისი ძალები, ხოლო ჰანიბალი იმიტომ, რომ მან იცის თავისი სისუსტე. გახსოვდეს, პავლე, ჰანიბალს, რომელსაც მე უკვე ვიცნობ. ვიდრე ტერენციუსი, თუ ამ წელს გადამწყვეტ ბრძოლას, არ გავუმართავთ. ის ან სრულიად დაიღუპება, ან სულ გადაიხვეწება იტალიიდან: მართალია, ჰანიბალი დღემდე გამარჯვებულად ითვლება, მაგრამ იტალიელთაგან მაინც არავინ მიმხრობია და კართაგენიდან ჩამოყვანილი მისი არმიიდან მხოლოდ ერთი მესამედი დარჩა.

პავლე აღუთქვამდა ფაბიუს მაქსიმეს, რომ რამდენადაც შესაძლებლობა ექნებოდა, შეეცდებოდა მისი საომარი ტაქტიკით მოქმედებას.

216 წლის გაზაფხულის მიწურულში კონსულები დიდი არმიებით გავიდნენ რომის კარიბჭიდან. ისინი კარვა დიდ მანძილზე გააცილეს თავიანთ პარტიათა წარმომადგენლებმა: პავლე — სენატორებმა, ტერენციუს ვარონი — პლებეებმა.

კონსულებმა შეიერთეს აპულიაში დაბანაკებული ლეგიონებიც და, ამგვარად, სულ რვა ლეგიონისაგან შემდგარი არმიით გაეშურნენ კანეს მიმართულებით. ორ კილომეტრზე მიუახლოვდნენ კანეს და დაბანაკდნენ. რომაელთა არმიის უდიდესი ნაწილი დაბანაკებული იყო მდ. აუფიდუსის მარჯვენა სანაპიროზე, რამდენადმე ამაღლებულ ადგილზე, ხოლო მის პირდაპირ მდინარის მარცხენა ნაპირზე განლაგებული იყო რომის არმიის ერთი მესამედი ნაწილი.

ჰანიბალი გრძნობდა ბრძოლის სიახლოვეს და ფიქრობდა, რომ მოწინააღმდეგეს კანეს გარშემო მდებარე ველზე შეხვედროდა.

ჯერ დაბანაკებული არც კი იყვნენ, რომ კონსულებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა ბრძოლის ადგილისა და დროის დანიშვნასთან დაკავშირებით. ემილიუს პავლე არწმუნებდა თავის კოლეგას მორიდებოდნენ ბრძოლის გამართვას ფართო ველზე, განსაკუთრებით კი აუფიდუსის მარცხენა სანაპიროზე, სადაც ჰანიბალს შესაძლებლობა ექნებოდა მისი შესანიშნავი კავალერიის მანევრირებისათვის, და შებრძოლებოდნენ სხვა დროს, როცა ხელსაყრელი პოზიციები საამისო საშუალებას მისცემდა. ვარონი კი მოითხოვდა დაუყოვნებლივ გადაეყვანათ მთელი არმია მდინარის მარცხენა სანაპიროზე და შებმოდნენ მტერს. მას სრული რწმენა ჰქონდა, რომ ასეთი უზარმაზარი არმიით ადვილად გასრესდა ორჯერ უფრო მცირერიცხოვან მოწინააღმდეგეს.

ტერენციუს ვარონს თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ერთი და გადამწყვეტი შესაძლებლობა ჰქონდა: დაეწყო შეტევა იმ დღეს, როცა მას რიგით მოუწევდა მთავარსარდლობა (კონსულები დღეგამოშვებით, რიგრიგობით მთავარსარდლობდნენ).

ჰანიბალმა იცოდა, რომ მის მოწინააღმდეგეს ორი სხვადასხვაგვარად მოაზროვნე თავი ედგა. ამიტომ მას ადვილად შეეძლო თავისი განზრახვის განხორციელება. პირველად ჩვეულებრივ საბრძოლო ხრიკებს მიმართა: მსუბუქი კავალერიით რამდენჯერმე დაესხა თავს რომაელთა ბანაკს და მტრის შემოგებებისთანავე უკუიქცა. ვარონს სჯეროდა, რომ მოწინააღმდეგე მათ ძალებს სინჯავდა და შეშინებული უკან გარბოდა. ის ყველას თანდასწრებით, მთელი არმიის წინაშე ლანძღავდა ემილიუს პავლეს. ბრძოლას მოწყურებული არმიის უდიდესი ნაწილიც ვარონს უჭერდა მხარს.

ბოლოს, ტერენციუს ვარონის მთავარსარდლობის დღეს, ემილიუს პავლეს მტკიცებისადმი ანგარიშგაუწეველად გადაწყდა გენერალური ბრძოლის გამართვა.

216 წლის 2 აგვისტო, სახელოვანი ბრძოლა კ ა ნ ე ს თ ა ნ.

მზე კარგად არც კი ამოწვერილიყო, რომ პატარა ბორცვზე მდგარი ახლო თანამებრძოლებით გარშემორტყმული ჰანიბალი მოწინააღმდეგის ბანაკში ატეხილ საომარ ფაციფუცს გასცქეროდა. აი, ამოძრავდნენ ალისფერი რომაული საბრძოლო დროშები; აბრწყინდნენ ლეგიონთა ვერცხლის არწივები; საომრად მოკაზმული და ამხედრებული ტერენციუს ვარონი წინ მოუძღვის უკვე ბანაკიდან გამოსულ არმიას. რომაელებმა გადალახეს მდინარე და გადავიდნენ მის მარცხენა სანაპიროზე. აქვე დაიწყო არმიის საბრძოლო განლაგება: მარჯვენა ფლანგზე,

მდინარის ახლოს, დადგნენ მძიმედ შეიარაღებული რომაელი ცხენოსნები; მარცხენა ფლანგზე დაეწყვნენ იტალიელ მოკავშირეთა მხედრობა; ცენტრში დალაგდნენ რომის არმიის ძირითადი ნაწილები, მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ლეგიონები; ისინი მჭიდრო მანიპულებად იდგნენ ერთიმეორის ზურგში და მტკიცე, გაურღვეველ, გრძელ და განიერ კორპუსს ჰქმნიდნენ; მთელს წინა ხაზზე ჩამწკრივდნენ მსუბუქადშეიარაღებული ქვეითი მეომრები, რომელთაც უნდა დაეწყოთ ბრძოლა. ფლანგებს სარდლობდნენ კონსულები: მარჯვენას — ემილიუს პავლე, მარცხენას — ტერენციუს ვარონი; ცენტრს სათავეში უდგნენ გასული წლის კონსულები გნეუს სერვილიუსი და ატილიუს რეგულუსი.

ეს იყო უზარმაზარი არმია, როგორიც რომს მანამდე ერთ ბრძოლაში არასოდეს გამოუყვანია. სულ 80 000 ქვეითი მეომარი და 6 000 ცხენოსანი. ხოლო ჰანიბალი თავის ბანაკში ორჯერ ნაკლებ საომარ ძალებს ითვლიდა: 40 000 ქვეითი და 10 000 მხედარი. ამიტომაც, ბუნებრივი უნდა ყოფილიყო ის პირველი შეკრთომა, რომელიც უგრძვნია კართაგენელთა შტაბს მოწინააღმდეგის უზარმაზარი. მრისხანე არმიების დანახვისას. ამის შესახებ ერთი წყარო, პლუტარქე, შემდეგს გადმოგვცემს. როცა ჰანიბალი თავისი თანაშემწეებით მოწინააღმდეგის საბრძოლო განლაგების პროცესს ხედავდა, ერთმა მისმა მხლებელმა, სახელად გ ი ს კ ო ნ მ ა, მეტად მამაცმა მეომარმა, გაკვირვება გამოთქვა რომაელთა მრავალრიცხოვნობაზე; ჰანიბალმა შუბლი შეიკმუხნა და ჰკითხა: „სხვა ვერაფერი შენიშნე საკვირველი, გისკონ?“ „სახელდობრ რა?“ — იკითხა თავის მხრივ გისკონმა. „ის, რომ რომაელთა მთელს ამ მასაში არ მოიძებნება არავინ, რომელსაც შეიძლებოდა გისკონი რქმეოდა“ — უპასუხა ჰანიბალმა. სარდლის ასეთმა ხუმრობამ, მტრის სიძლიერისადმი მისმა გულგრილობამ, საერთო მხიარულება გამოიწვია. მალე ჰანიბალის ეს სიტყვები კართაგენელთა მთელმა არმიამ იცოდა. ყველა მხნედ ელოდა ბრძოლის დაწყებას.

ჰანიბალმაც სასწრაფოდ გადაიყვანა თავისი არმია მდინარის მარცხენა სანაპიროზე და საბრძოლოდ განალაგა ის. მარცხენა ფლანგზე, მდინარის ახლოს დადგნენ კელტი და ესპანელი ცხენოსნები; მარჯვენა ფლანგზე — ნუმიდიელი მხედრები; ცენტრში — მთელი ქვეითი არმია: პირველ რიგში კელტები და ესპანელები, მეორე რიგში — რომაულ ყაიდაზე შეიარაღებული აფრიკელი მეომრები. ჰანიბალის მთელი არმია დაწყობილი იყო ნ ა მ გ ა ლ ა მ თ ვ ა რ ი ს. მსგავსად, რომლის ამოზნექილი ნაწილი, ცენტრში შედარებით სქლად განლაგებული ქვეითი მეომრებით, ზიმართული იყო მოწინააღმდეგის ცენტრისაკენ. „ნამგალა მთვარის“ წვეროები, სადაც კავალერიის ნაწილებიც

ედგნენ. თანდათანობით უკან იხრებოდნენ. ჰანიბალი ვარაუდობდა, რომ „ნამგალა მთვარე" შეტაკებისას შეიზნიქებოდა, თანდათანობით შებრუნებულ სახეს მიიღებდა და ბოლოს წრედ შეიკვრებოდა.

კართაგენელთა ცხენოსანთა ესკადრონებს, ე. ი. ფლანგებს სარდლობდნენ: მარცხენას — ჰ ა ს დ რ უ ბ ა ლ ი,, მარჯვენას — მ ა ჰ ა რ ბ ა-


ბრძოლის ველი
ზღვა
ზღვაზე ნავსადგური
ბანაკი
ბანაკი
ბანაკი

დან ძლიერი ქარი ქროდა და საშინელი მტვრის ბუღი თან მიჰქონდა. ჰანიბალის არმიას ქარი ზურგიდან სცემდა, ხოლო რომაელებს შიგ სახეში უტევდა.

ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც კართაგენელთა სარდალს ჰქონდა გათვალისწინებული.

გაისმა საბრძოლო ნაღარის ხმა. მოწინააღმდეგენი გამაყრუებელი საბრძოლო ყიჟინითა და იარაღის ზათქით ეკვეთნენ ერთურთს. ბრძოლა გახსნეს მოწინავე, მსუბუქად შეიარაღებულმა მეომრებმა. რამდენიმე ხანს ორივე მხარე არაჩვეულებრივი სიმძაფრითა და თავზეხელაღებით იბრძოდა და უკან დახევას არც ერთი მათგანი არ ფიქრობდა. სწორედ ამ დროს ელვის სისწრაფით დაიძრა კართაგენელთა მარცხენა ფლანგი (ჰასდრუბალი), კელტი და ესპანელი მხედრობა, და ეკვეთა რომაელთა მარჯვენა ფლანგს (ემილიუს პავლე). შეტაკებისთანავე ბრძოლამ დაჰკარგა საკავალერიო ბრძოლის სახე. მოწინააღმდეგენი არ ფიქრობდნენ ჩვეულებრივი ცხენოსნური მანევრირებისათვის მიემართათ; ისინი ერთმანეთს უკანდაუხევლად ებმებოდნენ, ეჭიდებოდნენ, ცხენებიდან ცვივოდნენ და მიწაზე დაგორებულნი ერთიმეორეს ზედ აკვდებოდნენ. განსაკუთრებით ცხენოსნობაში ნაკლებად გაწვრთნილი რომაელები ამჯობინებდნენ ასეთი სახის ბრძოლას. ამასვე ხელი შეუწყო იმანაც, რომ პირველ შეტაკებისთანავე ცხენიდან გადმოვარდა თუ გადმოხტა თვით კონსული ემილიუს პავლე. მას შიჰბაძეს მისი ამალის წევრებმა და ბოლოს მთელმა მარჯვენა ფლანგმა. როცა ჰანიბალმა შეიტყო, რომ კონსულმა თავის მეომრებს უბრძანა დაქვეითებულიყვნენ. წამოიძახა: „ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა, მას რომ ისინი ხელ-ფეხშეკრული გადმოეცა“. მართლაც, მეტად მწარე და მძაფრი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ რომაელთა მარჯვენა ფლანგი დამარცხდა. მათი უმრავლესობა დაიხოცა. დანარჩენებს კი ჰასდრუბალი მდინარის გასწვრივ მიერეკებოდა და სჩეხდა.

ამასობაში ბრძოლა ცენტრში კიდევ უფრო გახურდა. კარგა ხანს კელტი და ესპანელი ქვეითები შამაცურად უმკლავდებოდნენ რომის მრისხანე ლეგიონების მიწოლას. მაგრამ ბოლოს მაინც გატყდნენ და დაიწყეს უკან დახევა. რომაელთა სქლად და ღრმად შეკრული „სწორკუთხედი“ თანდათანობით ზნექავდა კართაგენელთა „ნამგალა მთვარეს“ და შეუკავებლად მიიწევდა მასში. აი, მათ უკვე გაარღვიეს მოწინააღმდეგის მოწინავე ხაზი, ფორმა შეუცვალეს მის უცნაურ წყობას; წარმატებით გამხნევებული რომაელები „უახლოვდებიან“ გამარჯვებას... და ამ დროს ჰანიბალმა მათ წინ აღმართა აფრიკელ „ლეგიონერთა“ მტკიცედ დარაზმული ხაზი. ცხარე ბრძოლისაგან, სა-

შინელი სიცხე-პაპანაქებისაგან და მტვრის კორიანტელისაგან უკვე დაღლილ რომაელებს წინ გადაუდგნენ სრულიად ახალი, დასვენებული და ბრძოლის ცეცხლით ანთებული, ყველაზე საუკეთესოდ გაწვრთნილი ჯარები. ჩანდა, რომ ჰანიბალი მაშინ იწყებდა ბრძოლას, როცა ის რომაელებს დამთავრების პირზე მისული ეგონათ...

ბრძოლა ახალი სიშმაგით გაჩაღდა. როცა აფრიკელ მეომართა ცენტრალური ნაწილი მოწინააღმდეგის თავგანწირულ დაწოლას აკავებდა, მისი ფლანგები თანდათან მიიწევდნენ წინ და მჭიდრო რკალად ეკვროდნენ რომაელთა გვერდებს. მთელი რომაული არმია რკინისებურ სალტეში მოექცა. აღარსად გასასვლელი, აღარსაიდან დახმარება საშინელი ტომრიდან თავდასაღწევად. რომაელებმა დაჰკარგეს თავიანთი უპირატესობის — რიცხობრივი სიმრავლისა და ბრძოლისუნარიანობის ძალა. მათ, ამ პირობებში, კიდევ უფრო ხელს უშლიდა და აბრკოლებდა მათი მრავალრიცხოვნობა; ღრმად და სქლად ჩაწყობილი რაზმები ერთმანეთს ხელს უშლიდნენ, მტერთან იარაღით ჩაბმასაც ვერ ახერხებდნენ. ამის საშუალება მხოლოდ სანაპირო ხაზებზე მყოფთ ჰქონდათ, ხოლო თვითონ ისინი, შუაში მოქცეულნი, ყოველმხრივ გარშემორტყმულნი და წინააღმდეგობის საშუალებას მოკლებულნი უწყალოდ იყლიტებოდნენ, თუნდაც ალალბედზე ნასროლი მტრის ისრებისაგან, სათხედებისაგან, შუბებისაგან, ქვებისაგან.

ამ დროს ჰასდრუბალმა მთლიანად გაანადგურა რომაული კავალერია და ამგვარად სრული გამარჯვება მოიპოვა მტრის მარჯვენა ფლანგზე. აქ მას მტერი უკვე აღარ ჰყავდა. ამიტომ შეამჭიდროვა თავისი მხედრები, ზურგიდან ჩაუქრილა ალყაშემორტყმულ რომაელ ქვეითთა არმიას და მოულოდნელად ზურგიდან თავს დაესხა მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგს, იტალიურ კავალერიას, რომელსაც კონსული ტერენციუს ვარონი სარდლობდა.

კონსულის სარდლობის ქვეშ მყოფი მარცხენა ფლანგი, რომელსაც ჯერ კიდევ ბრძოლის დასაწყისში შეეჯახა ნუმიდიური კავალერია (მაჰარბალი), უკვე დაღლილი და დეზორგანიზებული იყო; ეს უმეტესად საკავალერიო ბრძოლის იმ ხერხებით და მეთოდებით, როგორიც ნუმიდიელებს სჩვეოდათ, სახელდობრ, ნუმიდიელები თავიანთი პატარა, მაგრამ გამძლე, შიმშილ-წყურვილისა და სიცხე-სიცივის ამტანი და ელვასავით სწრაფი ცხენებით, არწივებივით დაუქროლებდნენ მტერს, გაიტყუებდნენ დევნაში, აშლიდნენ მის რიგებს, ტყუილუბრალო ჯირითში და კენწლაობაში დაღლიდნენ, კვლავ მიუხდებოდნენ და ა. შ. სწორედ ამ სახით დაექანცათ მაჰარბალის ნუმიდიელ მხედრებს იტალიელთა კავალერია იმ დროისათვის, როცა მათ ზურგში ჰასდრუბალის კელტი და ესპანელი მხედრობა გამოჩნდა.

ორივე მხრიდან ძლიერი დარტყმების ქვეშ მოქცეულმა ტერენციუსის კავალერიამ საბოლოოდ დაჰკარგა გამარჯვების რწმენა. იტალიელთა რიგები მთლიანად აირივნენ და სასოწარკვეთილნი გალაღებული მტრების იერიშებს ზვარაკად ეწირებოდნენ. მათი უდიდესი ნაწილი გაიჟლიტა, ხოლო დანარჩენები გაიქცნენ და დიდის ვაი-ვაგლახით დაღწიეს თავი ნუმიდიელთა დევნას.

ჰასდრუბალმა მეორედ შეაკრიბა და შეამჭიდროვა თავისი მხედრობა. მოწინააღმდეგის კავალერია მთლიანად განადგურებული იყო. რომაელთა ფლანგები აღარ არსებობდნენ. ახლა ჰასდრუბალი მთელი თავისი მხედრობით უკვე ალყაში მოქცეული რომაული ლეგიონების ზურგს მიესია. ნუმიდიელთა კავალერიის ნაწილი ალყის გარშემო დაჰქროდა და სიცოცხლეს ასალმებდა ყველას, ვინც იქიდან ფეხის გამოდგმას მოახერხებდა.

ახლა ბრძოლის მთელი მსვლელობა ერთ ადგილზე იყო კონცენტრირებული, საშინელ სალტეში. ბრძოლა, რაც დასასრულს უახლოვდებოდა, მით უფრო სასტიკი და მძაფრი ხდებოდა. თვით ჰანიბალი თავისი სიმამაცითა და მხნეობით ცეცხლს უკიდებდა თავისიანებს და იმ უბანზე, სადაც ის გამოჩნდებოდა, შიშის ზარს სცემდა რომაელებს. რომაელთა სარდლებიც, სერვილიუსი, რეგულუსი და თვით კონსული ემილიუს პაველ, რომელმაც მასზე გაპიროვნებული მხედრობა ჰასდრუბალის იერიშებს შეაჟლიტა და თვითონ ქვეითი არმიის რიგებში საბრძოლველად გადავიდა, თავიანთი პირადი მაგალითითა და გამამხნევებელი შეძახილებით ამაგრებდნენ უფსკრულისაკენ მიმავალ ჯარებს. მაგრამ კატასტროფა ახლოვდებოდა. ჰანიბალმა პირველ შეტაკებაში გაფანტული კელტი და ესპანელი ქვეითები ისევ შეამჭიდროვა და ახალი ძალით მიუსია მტერს ყოველი მხრიდან. ტომარაში მოქცეულები უკანასკნელი სისხლის წვეთებისაგან იცლებოდნენ. საშინელი სალტე თანდათან ვიწროვდებოდა, უკან შემზარავ სისხლის გარემოს სტოვებდა. გადარჩენილ რომაელთაგან იარაღის დაყრაზე არავინ ფიქრობდა. მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა რაღაც მანქანებით მოახერხა თავის დაღწევა. მოსაღამოვდა. ათასაათიანი, არნახული სიმძაფრითა და მძვინვარებით წარმოებული ხოცვა-ჟლეტა დასრულდა. ძლევამოსილებით დამთვრალი და სისხლით გამძღარი ფინიკიელი ამაყად დაჰყურებდა დახოცილ ადამიანთა გროვებით სავსე სასაკლაოს.

რომაელებმა მანამდე არნახული დამარცხება და ზარალი ნახეს. უზარმაზარი რომაული არმია ესვენა კანეს ველზე. დახოცილი იყო ყველა სარდალი და უფროსი მეთაურები, მათ რიცხვში წინა წლის კონსულები სერვილიუსი და რეგულუსი. თვით ტერენციუს ვარონმა,

ამ საბედისწერო ბრძოლის მოთავემ, 50 თუ 70 კაცის თანხლებით მოახერხა გაქცევა და კატასტროფისაგან თავის დაღწევა. ხოლო კონსულმა ემილიუს პავლემ სიცოცხლე შესწირა ბრძოლას, რომლის მოგების იმედი მას არ ჰქონია და მისი სასტიკი წინააღმდეგიც იყო. პავლე. მაშინ როცა ბრძოლის ჩარხი უკვე რომაელთათვის უკუღმა ტრიალდებოდა. თავში მძიმედ დაჭრილი და სისხლით შეღებილი ქვაზე მისვენებული უნახავს ერთ-ერთ სამხედრო მეთაურს, ახალგაზრდა პატრიციუსს გნ. კორნელიუს ლენტულუსს. ის სასწრაფოდ ჩამომხტარა ცხენიდან და იგი მიურთმევია.სასიკვდილოდ განწირული კონსულისათვის; უთხოვნია მასზე შეჯდომა და გაქცევა, რათა ეს „დამარცხება უფრო არ გაშავბნელდეს კონსულის სიკვდილით. უამისოდაც საკმაოა დარდი და ცრემლიო". მაგრამ პავლემ გაქცევაზე უარი სთქვა. მან მადლობა გადაუხადა ლენტულუსს და უბრძანა ესარგებლა დარჩენილი წუთებით, გადაერჩინა თავი და გადაეცა სენატისათვის, რათა ეზრუნათ ქალაქის გამაგრებისა და ქვეყნის ხსნისათვის; თან გადაეცი ფაბიუს მაქსიმეს, რომ მე თავგამოდებით ვიცავდი მასზე მიცემულ სიტყვას. „მაგრამ დავმარცხდი ჯერ ვარონისაგან, შემდეგ ჰანიბალისაგან." ამ სიტყვების თქმა ძლივს მოასწრო, რომ მოაწყდნენ მტრის რაზმები და ემილიუს პავლე ისრებით განგმირული დაეცა ძირს. ბრძოლაში დაიღუპნენ ორივე კონსულის ქვესტორები, 29 სამხედრო ტრიბუნი, მრავალი უმაღლეს მაგისტრატურაგავლილი კონსულიარი, მათ შორის გასული წლის კავალერიის უფროსი, ფაბიუს მაქსიმეს მეტოქე მარკუს მინუციუსი; ამათ გარდა ბრძოლაში სიკვდილი ჰპოვა 80 სენატორმა, რომლებიც მოხალისეებად იყვნენ არმიაში ჩაწერილი. სულ 80 000-ანი არმიიდან რომაელებმა მარტო მოკლულთა სახით 70 000 კაცი დაჰკარგეს; დანარჩენები ტყვედ ჩავარდნენ ან გაიფანტნენ. ჰანიბალის ზარალი 6 000 კაცსაც არ აღწევდა და აქედანაც 4 000 კელტი მეომარი იყო.

რომაელთა ზარალი მეორე დღეს კიდევ გაიზარდა. ჯერ ბრძოლის დაწყებამდე რომაელთა დიდ (მდინარის მარჯვენა სანაპიროზე) და მცირე (მარცხენა სანაპიროზე) ბანაკებში 10 000 ჯარისკაცისაგან შემდგარი გარნიზონი იდგა. 2 აგვისტოს ღამით მათ უკვე იცოდნენ ბრძოლის საბედისწერო შედეგები. ბანაკში საშინელი კოშმარი ჩამოწვა. უმეთაუროდ დარჩენილმა მეომრებმა აღარ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ. ერთხანს შიკრიკები ბანაკიდან ბანაკში გადარბოდნენ და გაერთიანებას მოითხოვდნენ, რათა, სანამ გამარჯვებითა და ღრეობით დაღლილ მტერს ღრმად ეძინა, გაერთიანებული ძალებით ეშველათ თავისათვის. ბოლოს, როგორც იქნა 6 000 კაცმა სამხედრო ტრიბუნ პუბლიუს სემპრონიუს ტუდიტანუსის მეთაურობით გაბედა ბანაკიდან

გამოსვლა და ნუმიდიელ გუშაგთა „ცეცხლის ხაზიდან“ ორგანიზებულად თავის დაღწევა. მათ როგორც იქნა მიაღწიეს ბრძოლის ველიდან რამდენიმე კილომეტრზე მდებარე ციხე-სიმაგრე კანუზიუმამდე.

მეორე დღეს. გათენებისთანავე. კართაგენელები შეუდგნენ გამარჯვების ნაალაფევის შეგროვებას, დახოცილთა იარაღისა და ამუნიციის აყრას და რომაელთა ორივე ბანაკის აღებისათვის სამზადისს. თვით შეუბრალებლობით განთქმულ ფინიკიელთათვისაც შემზარავი იყო სასაკლაო, სადაც ადამიანთა სისხლის ტბა ჯერ კიდევ არ შეშრობოდა დედამიწას. ბრძოლის ველი ჯერ კიდევ გმინავდა. ზოგიერთი მძიმედ დაჭრილი. გრძნობადაკარგული ადამიანი ძილის სიოს და გრილ ჰაერს გაშოეცოცხლებინა. ისინი შველას ითხოვდნენ ან წყალა-კრულვას უთვლიდნენ ყველას და ყველაფერს. სისხლში მოსვრილნი და დაფლეთილნი წამოდგომას ან ზედდახვავებულ მკვდართა გვამებიდან გამოძრომას ცდილობდნენ, მაგრამ ულმობელი მტერი სიცოცხლეს უსწრაფებდა მათ. ზოგს ნახულობდნენ ფეხებ და თეძოებ დასხეპილ-დამსსვრეულთ, სისხლისაგან დაცლილთ და ნახევრად ცოცხლებს. ისინი იღადრავდნენ ყელს და ზედწამდგარ მტრებს ეხვეწებოდნენ გამოედინათ მათთვის უკანასკნელი სისხლის წვეთები. რათა სამუდამოდ დაესვენათ ჯოჯოხეთური წამებისაგან. ზოგს, მძიმე ჭრილობებით გამწარებულს ფრჩხილებით გაეთხარა მიწა და შიგ თავდაღმაჩამხობილს შეეწყვიტა სუნთქვა. ერთგან იპოვნეს ჯერ კიდევ ცოცხალი ცხვირ და ყურებდაჭმული ნუმიდიელი. მას ზედ დასწოლოდა ხელებდაჭრილი მკვდარი რომაელი, რომელსაც გაშმაგებისაგან სულის ამოხდომამდე კბილებით უბრძოლია თავის მტერზე.

იმავე დღეს ჰანიბალი მიადგა რომაელთა მცირე ბანაკს მდინარის მარცხენა სანაპიროზე და ალყა შემოარტყა მას. პანიკით მოცული და სულიერად დაცემული გარნიზონი უბრძოლველად დანებდა მტერს. სანამ კართაგენელები ახალი ნადავლის შეგროვებას და ტყვედჩავარდნილთა შებორკვას აწარმოებდნენ, მდინარის მარჯვენა ნაპირიდან, რომაელთა დიდი ბანაკიდან 4 000 ქვეითმა მეომარმა და 200 მხედარმა მოასწრო გაქცევა. ზოგმა ორგანიზებულად. ზოგმაც დაქსაქსულად, დიდის ვაი-ვაგლახით მიაღწია კანუზიუმს და იქ შეუერთდა ღამით გაქცეულ რომაელებს.

ჰანიბალმა მალე ჩაიბარა რომაელთა მთავარი ბანაკიც. ამგვარად, გენერალური ბრძოლის მეორე დღეს კართაგენელებმა ხელთ იგდეს 5 200 ტყვე და მდიდარი დავლა. ჰანიბალმა მტრის ორივე ბანაკი თავის ჯარისკაცებს მისცა საძარცვავად. ტყვედჩავარდნილნი წარმოშობისა და ხარისხების მიხედვით დაჰყო და მათზე გამოსასყიდი ფასები დააწესა. შემდეგ მან ბრძანება გასცა პატივით დაესაფლავებიათ მი-

სი არმიიდან დახოცილი ყველა მეომარი. ხოლო რომაელთაგან მისი ბრძანებით მიწას მიაბარეს კონსული ემილიუს პავლე.

განადგურებული და გაფანტული რომაული არმიის ერთმა ნაწილმა, დაახლოებით 1 300-მდე კაცმა, როგორც ითქვა, კანუზიუმში მოიყარა თავი. მათი ერთი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, მორალურად დაცემულნი და დაფანტულნი. რომში დაბრუნებასაც აღარ ფიქრობდნენ. ასეთებს სათავეში ედგა ლუციუს ცეცილიუს მეტელუსი. ის თანამოაზრეებს მოუწოდებდა დაეტოვებინათ იტალია და თავი შეეფარებინათ რომელიმე ქვეყნის მეფისათვის. მაგრამ ეს განზრახვა შეიტყო კანუზიუმის თავშეფარებულთა უფროსად არჩეულმა სამხედრო ტრიბუნმა პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა, ჩვენთვის ცნობილმა გმირმა, რომელმაც ტიცინუსის ბრძოლაში უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა თავისი მამა. ახალგაზრდა სციპიონი მახვილამოწვდილი შეიჭრა მეტელუსის კარავში, სადაც იტალიიდან გასაქცევად გამზადებულთა თათბირი მიმდინარეობდა, და შეჰყვირა: ვფიცავ. მე არ დავტოვებ ჩემს ხალხს და ქვეყანას და ამის ნებას არ მივცემ არც სხვა რომაელ მოქალაქეს. თუ მე შეგნებულად დავარღვევ აქ ფიცს, მაშინ შენ, ყოვლისმძლე იუპიტერო, გამანადგურე მე, ჩემი სახლი, ჩემი ოჯახი, ჩემი ქონება. მე მოვითხოვ ფიცს ამავე ფორმულით შენგან, ლუციუს ცეცილიუსო, და ყველა აქ დამსწრეთაგან, ხოლო ვინც არ მოისურვებს ფიცის დადებას, მან იცოდეს, რომ ეს მახვილი გაშიშვლებულია მის გასაგმირავადო.

შეთქმულები ისე შეშინდნენ, „თითქოს მათ თავიანთ წინაშე იხილეს ძლევამოსილი ჰანიბალი“. ყველამ შეჰფიცა, რომ არ მიატოვებდნენ მშობლიურ ქვეყანას ასეთ მძიმე დღეებში, როცა ყოველი მებრძოლი სამშობლოსათვის დაუფასებლად ძვირი იყო.

გაფანტულთა მეორე ნაწილი კონსულ ვარონის მეთაურობით თავს აფარებდა ქ. ვენუზიას, მდ. აუფიდუსის ზემო წელზე. ვარონის გარშემო თანდათანობით შეგროვდა 4 500-მდე კაცი. როცა მან მიიღო სციპიონის შეთავაზება, ის გაეშურა კანუზიუმში და შეიერთა იქ დაბანაკებულნი. ამგვარად, კონსულის ხელში დაახლოებით ერთმა ლეგიონმა მოიყარა თავი.

კანეს სისხლიანი ტრაგედიის ამბავმა საშინელი თავზარი დასცა რომს. არც ერთ მანამდელ დიდ დამარცხებებს, თვით „ალიას დღესაც“ და ტრაზიმენის კატასტროფასაც, არ შეეძლოთ რომისათვის იმდენად მძიმე დარტყმის მიყენება, როგორიც კანეს დარტყმა იყო. ასეთ საშინელებას არავინ მოელოდა რომში. ამ რამდენიმე დღის წინ ყველა დიდის ოპტიმიზმითა და გამარჯვების სრული რწმენით აცილებდა უზარმაზარ არმიას მტრის გასასრესად. ყველა გულდამშვიდებით მოელო-

და ამ არმიის ძლევამოსილად დაბრუნებას, დიდებულ ტრიუმფებს... და აი, თითქოს მოწმენდილ ცაზე მეხმა დაიჭექაო, რომს თავს დაეცა საშინელი ამბავი: ორივე კონსული დაიღუპა. უზარმაზარი არმიიდან არც ერთი კაცი ცოცხალი არ დარჩენილა; აპულია და სამნიუმი ჰანიბალს ემორჩილება; მძვინვარე მტერს აღარაფერი აბრკოლებს დღეს თუ ხვალ მთელის საშინელებით თავს დაატყდეს თვით რომს. შიში, დაბნეულობა, სასოწარკვეთილება და სრული მორალური დაცემულობა გამეფდა ქალაქში.

პრეტორებმა პუბლიუს ფურიუს ფილუსმა და მარკუს პომპონიუსმა სასწრაფოდ მოიწვიეს სენატი. გაჩაღდა ბჭობა, თუ რა ექსტრაორდინალური ღონისძიებები მიეღოთ ქალაქში შექმნილი დაბნეულობა-დაცემულობისა და კარზე მომდგარი საშინელი უბედურების თავიდან ასაცილებლად. მოხუცი ფაბიუს მაქსიმეს წინადადებით დადგენილ იქნა სასწრაფოდ გაეგზავნათ ცხენოსანი რაზმები ქალაქიდან, შეეტყოთ მომხდარი ამბების სინამდვილე. თვითონ სენატორები გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე, შლიდნენ შიშით აქოთქოთებული ბრბოების ჯგუფებს, სახლებში აბრუნებდნენ ატირებულ ქალებს და ბავშვებს, ამშვიდებდნენ ხალხს, ავალებდნენ ყველას, რომ ყოველი ახალი ცნობა ღაუყოვნებლივ შეეტყობინებინათ სენატისათვის. ქალაქის კარიბჭეებთან დაყენებულ იქნენ შეიარაღებული მცველები, რომელთაც არავისათვის არ უნდა მიეცათ ქალაქიდან გასვლისა და გაფანტვის უფლება.

ამასობაში მოვიდა კონსულ ტერენციუს ვარონის წერილიც, რომელშიც ყველაფერი სინამდვილით იყო გადმოცემული: მოკლულია კონსული ემილიუს პავლე, განადგურებულია მთელი არმია, ხოლო თვითონ, არმიის ნაშთებით, კანუზიუმში იმყოფება. აქედანვე ჩანდა, რომ ჰანიბალი ჯერ არ დასდგომია რომისაკენ მიმავალ გზას. კონსულის წერილის შინაარსი გააცნეს ხალხს. მოსახლეობა კვლავ საშინელმა გლოვამ და გოდებამ მოიცვა. არ იყო არც ერთი სახლი, არც ერთი ოჯახი, რომელსაც ბრძოლაში დაღუპული მამა, შვილი, ძმა ან სხვა ახლობელი არ ჰყოლოდეს. სენატის დადგენილებით 30-დღიანი გლოვა გამოცხადდა, რის შემდეგ აკრძალული იყო ყოველგვარი ვაი და ვიში. საჭირო იყო სულიერი მხნეობა და მთელი ენერგიის დაძაბვა ქალაქზე ჰანიბალის თავდასხმის უკუსაგდებად, თავდასხმისა, რაშიც ეჭვი არავის ეპარებოდა.

მაგრამ ჰანიბალმა ყველასათვის, როგორც რომაელთა, ასევე კართაგენელთა განსაცვიფრებლად, კვლავ უარი სთქვა უშუალოდ რომის წინააღმდეგ გალაშქრებაზე.

როცა ბრძოლა დასრულდა და ძლევამოსილმა ჰანიბალმა სამხედრო

საბჭო მოიწვია, არც ერთ მის გენერალს და რიგით მეომარს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს საბჭო რომისაკენ ლაშქრობის საკითხს მიეძღვნებოდა. მაჰარბალი მზად იყო კიდეც იმავე წუთში თავისი სწრაფი, ნემიდიური კავალერიით დაძრულიყო რომისაკენ. „მეხუთე დღეს შენ კაპიტოლიუმში ინადიმებ, ძლევამოსილო!“ — უთქვამს მას ჰანიბალისათვის. მაგრამ სარდალმა ერთგული თანამებრძოლი ასეთი გაბედულებისათვის მხოლოდ შეაქო, მაგრამ დასძინა, რომ ის ჯერ კიდევ შეუძლებლად თვლის რომზე გალაშქრებას. მაშინ გულდაწყვეტილ მაჰარბალს უთქვამს: „როგორც ჩანს, ღმერთები ერთსა და იმავე ადამიანს ყველაფრით არ აჯილდოვებენ: გამარჯვება შეგიძლია, ჰანიბალო, მაგრამ გამარჯვებით სარგებლობა კი არ შეგძლებია!“

ეს ცნობილი დიალოგი და ჰანიბალის „უცნაური“ გადაწყვეტილება—კანეს დიდი გამარჯვებიდან უშუალოდ რომზე გალაშქრების უგულებელყოფა—მრავალჯერ ყოფილა მსჯელობის საგანი როგორც თანამედროვეთა, ასევე შემდეგი დროის ისტორიკოსთა და სამხედრო თეორეტიკოსთა შორის. მაგრამ ყოველთვის ის მოსაზრება რჩებოდა გაბატონებულად, რომელიც ჰანიბალის გადაწყვეტილებას სამართლიანად მიიჩნევს. გენიალური სარდალი მტკიცედ იდგა თავისი ერთხელ და სამუდამოდ აღებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე. მან იცოდა, რომ ჯერ კიდევ არ იყო განხორციელებული ის წინაპირობები, რომლებიც უსათუოდ წინ უსწრებდნენ რომზე უშუალო ლაშქრობას. ჰანიბალის გეგმაში ქ. რომის დაპყრობა საბოლოო პუნქტი იყო. გრანდიოზული ლაშქრობის უძვირფასესი, მაგრამ უმძიმესი გზით მოსაპოვებელი გვირგვინი... ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იტალიური ფედერაცია, რომის სიძლიერის ძირითადი საფუძველი, დაურღვეველი იყო, და კანეს ბრძოლის შედეგიც იმ სახით, როგორსაც ჰანიბალი მოელოდა, შეუცნობელი იყო, უდიდესი ავანტიურისტობა და დაღუპვის მომასწავებელი რისკი იქნებოდა ხალხმრავალ, მამაც და მტკიცე ციხე-ქალაქ რომზე თავდასხმა. მოულოდნელობის ფაქტორიც არ გამოდგებოდა რომის დასაჩოქებლად. კაპიტოლიუმში სადილის მირთმევას რომ თავი დავანებოთ, ჰანიბალის მთელი არმია კანედან რომის კედლებამდე ხუთი დღის განმავლობაში მაინც ვერ მიაღწევდა, ამას ათი-თორმეტი დღე მაინც დასჭირდებოდა. რაც მთავარია, ჰანიბალის არმიას არ შეეძლო რომის აღება, ყველა იმ აუცილებელი წესისა და საშუალების საფუძველზე, რასაც მძლავრი ქალაქის ალყა და იერიში მოითხოვს. კანეს მეორე დღეს კართაგენელთა საბრძოლო დროშების ქვეშ მხოლოდ 35 000 მეომარი იდგა; აქედან ერთი მესამედი ცხენოსნები და მსუბუქად შეიარაღებული იყვნენ, ე. ი. ისეთი ნაწილები, რომლებიც ალყისა და კედლებზე იერიშისათვის ნაკლებად გამოსადეგი

არიან; შემდეგ ის 20 000 ტყვე. რომლებიც კართაგენელთა ხელში იყო, სპეციალურ საყარაულო რაზმებს მოითხოვდა; ბოლოს, ჰანიბალის არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი შედგებოდა კელტი მეომრებისაგან, რომლებიც, მართალია, ბრძოლაში მამაცი იყვნენ, მაგრამ საალყო სამსახურისათვის გულარძნილნი და უვარგისნი, განსაკუთრებით კი ისეთი ხანგრძლივი ალყისათვის, რასაც უსათუოდ მოითხოვდა რომისებრ მიუვალი ციხე-სიმაგრე. გარდა ამისა, ბრძოლის ადგილიდან რომამდე გაჭიმულ 300-კილომეტრიან გზაზე მრავლად იყო ძლიერი ციხე-ქალაქები, რომლებიც ჯერ ისევ რომისადმი ერთგულებას ინარჩუნებდნენ და მძულვარებით ეკიდებოდნენ გადამთიელ სასტიკ მოძღურებს. ამიტომ იტალიის ამ მწარე მიწაზე ლაშქრობისას ჰანიბალის ისედაც მცირერიცხოვან არმიას საკმაო მსხვერპლი უნდა გაეღო ყოველი მხრიდან წარმოებული დარტყმებისათვის... საერთოდ ჰანიბალი შორს იყო ისეთი ავანტიურიზმისაგან, როგორიც ჰქონდა მეფე პიროსს. რომაელებთან პირველი წარმატების შემდეგ.

ჰანიბალი კანეს გამარჯვების მოპოვებით თავისი ძლიერების მწვერვალზე იდგა. თუ მისი გეგმა ოდესმე უნდა განხორციელებულიყო, საამისოდ ყველაზე დიდი შესაძლებლობა სწორედ ახლა არსებობდა. მართალია. იტალიის ზოგიერთი ოლქი და ქალაქი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჰანიბალის მხარეზე დადგა. მაგრამ ეს იტალიის ფედერაციის დანგრევას ჯერ კიდევ მაინც არ ნიშნავდა. ჰანიბალი უსათუოდ გრძნობდა, რომ მისი ვარაუდი რომის ძლიერების ძირის გამოთხრის გზებზე არც ისე სწრაფად მართლდებოდა. ამას დიდი, გაჭიანურებული ომები და კოლოსალური ძალები სჭირდებოდა, ხოლო ჰანიბალს არც ერთისა და არც მეორის შესაძლებლობა არ ჰქონია. ამიტომ მან. თავისი ძლევამოსილების მწვერვალზე მყოფმა. ნიადაგი .მოსინჯა: ხომ არ შეიძლებოდა დაშარცხებულ მოწინააღმდეგესთან საზავო მოლაპარაკების გამართვა?!

როგორც ყოველთვის, ჰანიბალმა ახლაც იტალიელი სამხედრო ტყვეები რომაელთაგან გამოჰყო და სათანადო დემაგოგიური ახსნა-განმარტების შემდეგ უსასყიდლოდ გაუშვა თავიანთ სახლებში, ხოლო მკვიდრი რომაელი მოქალაქენი შეკრიბა და მანამდე უჩვეულო, ტკბილი სიტყვით მიმართა: მე რომთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ არ ვაწარმოებ ომს, — ამბობდა იგი, — არამედ ვედავები მას ჰეგემონობისა და დიდებისათვის. სრულებით არ მაინტერესებს რომაელთა ამოჟლეტა და განადგურება. ამიტომ მე შესაძლებლად ვთვლი, თქვენ, რომაელმა ტყვეებმა თავი გამოისყიდოთო. თან აწესებდა გამოსასყიდ ფასებსაც: ყოველი მხედრისათვის 500 დენარი, ქვეითი ლეგიონერისათვის 300 დენარი და მონისათვის 100 დენარი. ტყვეები აღფრთოვანებით შეხვ-

დნენ ფინიკიელის ასეთ „წყალობას“. თვითონ ამოირჩიეს სენატში ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად გასაგზავნი წარმომადგენლები ათი კაცის შემადგენლობით. ჰანიბალმა ყოველ მათგანს გამგზავრების წინ რჩევართვა ფიცი, რომ რომში მოგზაურობის შემდეგ ისინი უსათუოდ დაბრუნებულიყვნენ უკანვე, ტყვეობაში. ამით ჰანიბალს სურდა ფულიც აეღო (რაც მას ძალიან ესაჭიროებოდა), ზედმეტი საყარაულო ტვირთიც მოეშორებინა თავიდან და, რაც მთავარია, რომსა და მას შორის მოლაპარაკების შესაძლებლობისათვისაც გაესვა ხაზი. ამასთან დაკავშირებით, უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ რომში გაგზავნილ ტყვეებს თან გააყოლა თავისი უახლოესი პირი, კართალონი, რომელსაც დავალებული ჰქონდა რომის ხელისუფლებისათვის საზავო პირობები წაეყენებინა იმ შემთხვევაში, თუ სენატი აქეთკენ მიდრეკილებას გამოავლენდა.

ამასობაში რომმა გაიძრო სამგლოვიარო თალხები და კვლავ დიდის ენერგიით შეუდგა მტრის წინააღმდეგ კონტრლონისძიებათა გატარებას. პირველ რიგში ქვეყნის გადარჩენისა და თავდაცვისათვის ბრძოლის ორგანიზაციას სათავეში ჩაუყენეს მრავალ ბრძოლაში ნაცადი პრეტორი მარკუს კლავდიუს მარცელუსი, რომელიც ამ დროს ნავსადგურ ოსტიაში, ტიბრის შესართავთან, ფლოტის სათავეში იდგა და სიცილიისაკენ სალაშქროდ ემზადებოდა. მარცელუსი, 222 წ. კონსული, ყველასათვის ცნობილი სახელოვანი სარდალი იყო. განსაკუთრებით მას იცნობდნენ გალიის წინააღმდეგ წარმოებული უკანასკნელი ომებით, როცა ის მტრის ბელადებს ორთაბრძოლაში ხოცავდა და მათს საჭურველს რომის წმინდა ტაძრებს სწირავდა. მან ჭაბუკობის წლებიდან გაითქვა სახელი და არაჩვეულებრივი სიმამაცისათვის მრავალჯერ დაიტვირთა გამარჯვების ჯილდოებით. მტკიცე ნებისყოფით, მოსაზრებულობით, ჯანსაღი სხეულითა და მძიმე მუშტით თავიდანვე იპყრობდა ის

მარცელუსი.

თანამემამულეთა და მტრების უურადღებას. ჯარისკაცებს ძლიერ

უყვარდათ სარდალი; მათ მტრისაგან მიყენებული ჭრილობაც კი ისეთ ტკივილს ვერ აყენებდა, როგორც მარცელუსის საყვედური.

მარცელუსმა სენატის ბრძანების მიღებისთანავე ფლოტის სარდლობა და სიცილიაში გამგზავრება დაავალა პრეტორ პუბლიუს ფურიუს ფილუსს. ფლოტიდან წინასწარ გამოიყვანა 1 500 მეომარი და გაგზავნა რომში ქალაქის დაცვაში მონაწილეობის მისაღებად. თვითონ ერთი ლეგიონით, რომელიც აგრეთვე სიცილიაში სალაშქროდ იყო გათვალისწინებული, დაუყოვნებლივ გაემართა კანუზიუმისაკენ, სადაც მას მთავარსარდლობა და ყველა სამხედრო ძალა უნდა მიეღო კონსულ ტერენციუსისაგან.

ხალხის მორალური სიმტკიცის უფრო ამაღლებისათვის ხელისუფლებამ მრავალი რელიგიურ-საკრალური ღონისძიების გატარებასაც მოჰკიდა ხელი. ყველას სჯეროდა, რომ ამდენი უბედურება ღმერთების წყრომის შედეგად ატყდებოდა ქალაქს. ამიტომ მთელი მოსახლეობა გართული იყო „გამწყრალ ღმერთდამი" მსხვერპლშეწირულებით, ლოცვებით, მისტერიებითა და სხვ.

რომში გაცხოველებით ამზადებდნენ ახალ არმიებს. ეს საქმე და. საერთოდ, ახალი მძიმე მდგომარეობის თავიდან აცილების ხელმძღვანელობა რომაელებმა ჩააბარეს ახლად დანიშნულ დიქტატორს მ ა რ კ უ ს ი უ ნ ი უ ს პ ე რ ა ს; მის მოადგილედ, კავალერიის უფროსად დაინიშნა ტ ი ბ ე რ ი უ ს ს ე მ პ რ ო ნ ი უ ს გ რ ა კ ხ უ ს ი. დაიწყო გაწვევა. არმიაში იწვევდნენ 17-წლიან და ხშირად უფრო მცირეწლოვან ჰაბუკებსაც. გამზადდა ოთხი ლეგიონი და 1 000 ცხენოსანი. აგრეთვე მოკავშირე იტალიელთაგან ახალი საბრძოლო ძალები შეიკრიბნენ. სახელმწიფოს ხარჯზე შეძენილ იქნა 8 000 ჯანსაღი, ბრძოლისუნარიანი მონა და მათგან ახალი საჯარისო ნაწილები შექმნეს. ტაძრებიდან და დარბაზიდან გამოჰქონდათ იქ შეწირული საჭურველი და აიარაღებდნენ მეომრებს. იარაღის სახელოსნოებში დღედაღამ სჭედდნენ საბრძოლო საჭურველს.

რომმა საშინელი საფრთხის პირობებში დროებით დაივიწყა ის სოციალური წინააღმდეგობანი, რომლებიც მუდამ თან ახლდა მას არსებობის მთელს მანძილზე. ამის კარგი გამოხატულება იყო ინსცენირება, რომელიც მოაწყო სენატმა კონსულ ტერენციუს ვარონთან შეხვედრის დროს. მას შემდეგ. რაც მარცელუსმა მთავარსარდლობა ჩაიბარა, დარცხვენილი და მორალურად დაცემული ტერენციუსი მცირე ამალის თანხლებით მიუახლოვდა რომის კარიბჭეს. რამდენად უნდა განცვიფრებულიყო ის, როდესაც ქალაქიდან, რომელსაც მან ამდენი ვნება მიაყენა და საიდანაც ის საშინელ შერცხვენასა და მსჯავრ-

დებას მოელოდა. უეცრად გამოეგება მთელი ხალხი. მათ დიდებული წყობითა და სახით წინ მიუძღოდა მთელი სენატი. სენატორები მიეახლენ ამხედრებულ კონსულს, გადაუხადეს მას მადლობა და შეასხეს ქება, რომ მას „არ დაუკარგავს ქვეყნის გადარჩენის იმედი", მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა დაღუპვის პირზეა. იგი დაბრუნდა, რათა სათავეში ჩაუდგეს სამშობლოს გადარჩენისათვის ბრძოლის სამზადისს...

როდესაც კართალონმა სამხედრო ტყვეთა წარმომადგენლებთან ერთად რომის გარეუბანს მიაღწია, მას წინ შეხვდა ლიქტორი და დიქტატორის განკარგულებით უბრძანა დაღამებამდე გასცლოდა ქალაქის რაიონებს. ამგვარად რომმა კატეგორიულად უარი სთქვა ჰანიბალის ელჩის მიღებაზე და მასთან საზავო მოლაპარაკებაზე.

ტყვეთა წარმომადგენლობას დიქტატორმა ნება დართო სენატში აუდიენციაზე. აქ სიტყვა წარმოსთქვა წარმომადგენელთა მეთაურმა მარკუს იუნიუსმა. ის გულისამაჩუყებელი სიტყვებით ითხოვდა რომაელ მოქალაქეთა შევრდომებასა და საშინელი ტყვეობისაგან დახსნას. ხალხი ღრიალით შემოეხვია კურიას, სადაც სენატის სხდომა მიმდინარეობდა. და მოითხოვდნენ სიკვდილს გადარჩენილი შვილების, ძმების, ქმრებისა თუ სხვა ახლობლების გამოხსნას. სენატში ორი აზრი ებრძოდა ერთმანეთს. ერთნი მოითხოვდნენ განწირულთა შესყიდვას, მეორენი — უარის თქმას. ამ უკანასკნელის აზრის მოთავე შეიქნა ტიტე მანლიუს ტორკვატუსი, ლეგენდარული მრისხანე ტორკვატუსის[1] შთამომავალი და უკიდურესი რიგორიზმით სახელდებული. მან მკაცრი საბრალდებულო სიტყვა წარმოსთქვა ტყვედჩავარდნილთა წინააღმდეგ; უწოდა მათ მშიშარები, უვარგისნი როგორც ბრძოლაში, ასევე მშვიდობიანობაში; შეარცხვინა ისინი, რომ საზიზღარ ტყვეობას სიკვდილი არ ამჯობინეს და სხვ. გადაწყდა უარი ეთქვათ ტყვეთა გამოხსნაზე. განწირულთა დეპუტაცია მოთქმა-გოდებით მიაცილეს ქალაქის კარიბჭემდე. მათ საბოლოოდ დასტოვეს რომი[2].

ასეთი იყო რომის პასუხი ჰანიბალის გრანდიოზულ გამარჯვებაზე.

---

[1] რომსა და ლათინურ ქალაქებს შორის ომის დროს (ე. წ. ლათინური ომები, 340 — 338) კონსულმა ტიტე მანლიუს ტორკვატუსმა თავი მოაკვეთა საკუთარ შვილს, რომელმაც სარდლის ნებადაურთველად მიიღო მტრის გამოწვევა ორთაბრძოლაში.

[2] გადმოგვცემენ, რომ ერთი მათგანი, რომელმაც ჰანიბალის ბანაკიდან გამგზავრების წინ რაღაც მოიმიზეზა, ბანაკში შებრუნდა და ამით ფიცისაგან „თავი გაითავისუფლა". რომიდან დაბრუნებას აღარ აპირებდა. ეს კაცი სენატის ბრძანებით და ვეშაგთა თანხლებით მიჰგვარეს ჰანიბალს.

კანეს შემდეგ ჰანიბალის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ახალი გრანდიოზული ძალების მოკრება, ურომლისოდაც მძლავრი მოწინააღმდეგის წაქცევა შეუძლებელი იყო. ის ცდილობდა ოთხი ძლიერი ძალა გაეერთიანებინა რომთან საომრად: აფრიკა, ესპანეთი, იტალია და ბერძნულ-მაკედონური სამყარო, სადაც ამ დროს მეფე ფ ი ლ ი პ ე V მძლავრ სამხედრო პლაცდარმს ჰქმნიდა იტალიისაკენ სალაშქროდ. ამგვარად, საომარ მოქმედებაში უნდა ჩაბმულიყო მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი. ეს იქნებოდა ანტიკური სამყაროს მსოფლიო ომი...

ჰანიბალმა, კანეს ბრძოლისა და სამხრეთ იტალიის ოლქებში ლაშქრობის შემდეგ, კართაგენში გაგზავნა თავისი ძმა მაგონი. მაგონი გამოცხადდა სენატში. სადაც მან მოახსენა კართაგენის ხელისუფლებას: განადგურებულია მტრის ექვსი არმია; მტრის ექვსი მთავარსარდლიდან მოკლულია ხუთი და დაჭრილია ერთი. ნახევარი იტალია ჩვენთან კავშირშია. ამასთან, მაგონმა სენატორების წინაშე ერთიანად დაახვავა იტალიიდან ჩამოტანილი ძვირფასი ოქროს ბეჭდები, რომლებიც კართაგენელებმა ხელიდან წააძვრეს ბრძოლებში დახოცილ და ტყვედ წამოყვანილ მტრებს. ოქროზე დახარბებული ფინიკიელები აღტაცებაში მოვიდნენ. უფრო დიდი შთაბეჭდილების მოსახდენად მაგონმა სთქვა, რომ ასეთ ბეჭდებს რომაელთა შორის მხოლოდ წარჩინებული მხედრები ატარებენ. მაგრამ, — დასძინა მაგონმა, — რომ დიდებულად დაწყებული ომი ასევე დიდებულად დამთავრდეს და ჩვენი საძულველი მტერი საბოლოოდ მოისპოს, საჭიროა ჰანიბალს გავუგზავნოთ სურსათი, ფინანსები, საომარი ძალები, ჯარები.

სენატის უმრავლესობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გაეგზავნათ ჰანიბალისათვის 4 000 ნუმიდიელი მხედარი, 40 სპილო და ფული ჯარისკაცთა ხელფასისათვის. გარდა ამისა, ესპანეთში გაგზავნილ იქნა მაგონი, რომელსაც ჰასდრუბალთან ერთად სასწრაფოდ უნდა შეეგროვებინა 20 000 ქვეითი მეომარი, 4 000 ესპანელი მხედარი და გადაესროლათ ისინი იტალიაში ჰანიბალთან შესაერთებლად.

მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც იტალიური ოლქების პოზიციას ენიჭებოდა.

ამ დროს ჰანიბალის მხარეზე იყვნენ: ბრუტიები, სადაც ჰანიბალმა ადრევე გაგზავნა თავისი ძმა მაგონი; ლუკანების დიდი ნაწილი; ჰირპინები; თითქმის მთელი სამნიუმი, რომელიც იტალიაში ოდითგანვე ყველაზე უფრო მტრულად იყო რომისადმი განწყობილი; განსაკუთრებით დიდი როლი კართაგენელებთან სოლიდარობისა და რომთან ბრძოლის საქმეში შეასრულა კ ა პ უ ა მ, კამპანიის მდიდარმა და მშვე-

ნიერმა მთავარმა ქალაქმა, რომელიც თავის თავს რომზე ნაკლებად არ სთვლიდა და მუდამ ეტოქებოდა მას იტალიაში ჰეგემონობაზე.

კაპუასთან კავშირის დადებისთანავე ჰანიბალმა ბრძოლის ფრონტი კამპანიის ტერიტორიებზეც გაშალა. მან ჯერ კიდევ კაპუაში შესვლამდე სცადა კამპანიის მეტად მნიშვნელოვანი ნავსადგურის ნ ე ა პ ო ლ ი ს ხელში ჩაგდება, მაგრამ ნახა, რომ ამ კარგად გამაგრებული ქალაქის აღება ძალიან დიდხანს დააყოვნებდა და ჯერჯერობით კაპუაში მოპოვებული გამარჯვებით დაკმაყოფილდა.

კაპუის დახმარებით, რომელსაც შეეძლო 30 000 ქვეითი მეომარი და 4 000 მხედარი გამოეყვანა, ჰანიბალს სურდა მთლიანად ჩაეგდო ხელში კამპანიის ოლქი. მან განაახლა იერიში ნეაპოლზე, მაგრამ კვლავ უშედეგოდ.

215 წლის გაზაფხულზე ჰანიბალმა კაპუიდან გამოიყვანა არმია, რომელიც ფუფუნებაში გატარებული ზამთრისაგან გაზანტებული აღარ ჰგავდა ძველ ფოლადისებრ ნაწრთობ არმიას. სარდალმა ისევ გამოაფხიზლა თავისი მეომრები, როცა მან იერიშები განაახლა მდ. ვ ო ლ ტ უ რ ნ უ ს ი ს ზემო წელზე მდებარე ქ. კ ა ზ ი ლ ი ნ უ მ ზ ე. ქალაქი მდინარის ორივე მხარეზე მდებარეობდა და კართაგენელებმაც ორივე მხრიდან მოაქციეს იგი მტკიცე ალყაში. ვერც კონსული გრაკხუსი და ვერც პრეტორი მარცელუსი, რომლებიც თავიანთი არმიებით კაზილინუმის მახლობლად იდგნენ, ვერ ბედავდნენ ჰანიბალთან შებმას. ქალაქში დაიწყო საშინელი შიმშილი. ხალხი სჭამდა ყველაფერს, რასაც კი მოახელებდა, ბალახს, ფოთოლს, ნეკერს, ხავსს, ხარშავდნენ ტყავებს, რომლებსაც აძრობდნენ საბრძოლო ფარებს და სხვ. რომაელები ერთ ხანს ღამით მდინარეში ყრიდნენ პურით სავსე კასრებს და ალყაშემორტყმულნი იჭერდნენ მათ. მაგრამ ეს საშუალებაც მოისპო, როცა კართაგენელებმა ესეც შენიშნეს. ჰანიბალმა შეიტყო, რომ ხალხი ქალაქის შიგნით ბოლოკს სთესდა და ამგვარად ალყის გახანგრძლივების პირობებში ახალი წინააღმდეგობისათვის ემზადებოდა. „ნუთუ, აქ მანამდე უნდა ვიჯდე, სანამ ეს ბოლოკი არ გაიზრდებაო“ — წამოუძახნია გაცოფებულ ჰანიბალს. მან ახალი გადამწყვეტი იერიში მიიტანა ქალაქზე. ბოლოს, მცხოვრებლები იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ: ჩაებარებინათ ქალაქი და თვითეული მოქალაქის სიცოცხლის შესანარჩუნებლად კართაგენელთათვის გადაეხადათ გარკვეული რაოდენობის გამოსასყიდი. ჰანიბალმა კაზილინუმში 700 მეომრისაგან შემდგარი გარნიზონი ჩააყენა.

ჰანიბალს ჯერ კიდევ კანეს ბრძოლის შემდეგ ჰქონდა ურთიერთობა მაკედონიის ძლიერ მეფე ფ ი ლ ი პ ე V-თან, რომელიც მანამდე დიდის

გულისყურით ადევნებდა თვალს ორი მძლავრი სახელმწიფოს თავგამეტებულ ჭიდილს და თავის სიმპათიებს მუდამ ფინიკიელთა სარდლის მიმართ ამჟღავნებდა.

215 წლის ადრიან გაზაფხულზე ფილიპე მაკედონელმა ელჩები გაგზავნა ჰანიბალთან. ისინი მოერიდნენ ტარენტუმთან და ბრუნდიზიუმთან გადასვლას, რადგან ამ პუნქტებთან რომაელები ფხიზლად დარაჯობდნენ, და იტალიაში აპულიის გზით შევიდნენ. კამპანიაში, ლუცერიის მახლობლად, მაკედონელი ელჩები ხელში ჩაუვარდათ რომაელებს, პრეტორ მარკუს ვალერიუს ლევინუსს. მაგრამ დაკითხვის დროს ელჩთა მეთაურმა მოხერხებულმა ბერძენმა ქსენოფანემ მშვიდად განაცხადა, რომ ისინი ფილიპესაგან გამოგზავნილი არიან რომის სენატორთან და ხალხთან კავშირ-მეგობრობის დასადებად. გახარებულ რომაელ პრეტორს ოდნავი ეჭვიც არ შეპარვია ქსენოფანეს თვალთმაქცობაში. მან დიდის პატივით გააცილა ელჩები და ასწავლა მათ გზა რომისაკენ.

აქგვარად, მალე ელჩები გამოცხადდნენ კართაგენელთა ბანაკში, ჰანიბალმა სიამოვნებით მიიღო სასურველი სტუმრები. მოლაპარაკების შედეგად შეთანხმდნენ და შეჰფიცეს: მტკიცედ გაერთიანებულიყვნენ რომის წინააღმდეგ საბრძოლველად; არც ერთ მათგანს, არც ფილიპეს და არც ჰანიბალს სეპარატიულად არ უნდა გაემართათ რაიმე მოლაპარაკება რომთან. მაკედონელი ვალდებულებას კისრულობდა დაუყოვნებლივ გაეგზავნა 200 გემისაგან შემდგარი ფლოტი იტალიის ნაპირებისაკენ და სისტემატურად ეწარმოებინა ომი რომაელთა წინააღმდეგ როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე. როდესაც გაერთიანებული ძალებით რომს დაამხობდნენ, მთელი აპენინის ნახევარკუნძული, რომი, იტალია, რჩებოდა ჰანიბალის მფლობელობის ქვეშ, ხოლო ამის შემდეგ კართაგენელები თავის მხრივ უნდა დახმარებოდნენ ფილიპეს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გაბატონებისათვის ბრძოლაში.

ასეთი პირობებით გამოვიდნენ მაკედონელი ელჩები კართაგენელი სარდლის კარვიდან. მათ, თვით მეფესთან ამ კავშირის განმტკიცების მიზნით, ჰანიბალმა თავისი ელჩებიც გააყოლა. ყველა ისინი კვლავ რომაელებს ჩაუვარდათ ხელში.

შემდეგნო 214 წლისათვის რომში კონსულებად აირჩიეს ფ ა ბ ი უ ს მ ა ქ ს ი მ ე კ უ ნ ქ ტ ა ტ ო რ ი (მეოთხედ) და მ ა რ კ უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს მ ა რ ცე ლ უ ს ი (შესამედ). პირველი — „ფარი“ რომისა, მეორე — „მახვილი“ მისი.

ამ წელს რომს 18 ლეგიონი, ე ი. დაახლოებით 110 000 მეომარი ჰყავდა ომზად.

214—212 წლებში საომარ მოქმედებათა ერთ-ერთ საყურადღებო ასპარეზად კვლავ სიცილია გადაიქცა.

უკვე ითქვა, რომ სირაკუზის ახალმა ტირანმა ჰ ი ე რ ო ნ ი მ ე მ რომაელებთან ურთიერთობა გასწყვიტა და კართაგენის მოკავშირე შეიქნა. ამას მოჰყვა სიცილიის ცალკეულ ქალაქთა ისევ კართაგენელთა და სირაკუზელთა მხარეზე გადასვლა. ჰიერონიმემ პირველ რიგში ხელში ჩაიგდო სირაკუზის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მნიშვნელოვანი პუნქტი, ქ. ლ ე ო ნ ტ ი ნ ი, რომელიც მანამდე რომაელებს ეკუთვნოდათ.

მაგრამ ახალგაზრდა სირაკუზელი ტირანის მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. დემოკრატიული წესწყობილებისათვის თავგამოდებით მებრძოლ ბერძნულ მოსახლეობას არ შეეძლო დიდხანს მოეთმინა თვითნება, თავგასული ჰიერონიმეს მბრძანებლობა. სირაკუზელთა აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჰიერონიმე, თეთრცხენებიან ოქროს ეტლში მჯდომარე, ბრწყინვალე ამალით გარშემორტყმული, ქალაქის ქუჩებში დაჰქროდა, ყველას აბუჩად იგდებდა და აწიოკებდა.

მალე ჰიერონიმე შეთქმულების მსხვერპლი შეიქნა, თავისი მმართველობის ერთი წლის თავზე ის ქ. ლეონტინში შუბებით დაცხრილეს.

მაგრამ ამ ამბავს სიცილიის საკითხი რომის სასარგებლოდ მაინც არ შეუცვლია. პირიქით, სირაკუზი, რომლის ხელისუფლების სათავეში ახლა იდგნენ ჰანიბალის თაყვანისმცემლები — ჰ ი პ ო კ რ ა ტ ე და ე პ ი კ ი დ ე, კიდევ უფრო აქტიურად შეუდგა რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლას და კართაგენელებთან კავშირიც უფრო მეტად გააძლიერა.

ამგვარად, რომისათვის შეიქმნა საშიშროება, რომ მთელი სიცილია ისევ კართაგენს უვარდებოდა ხელში. ამგვარად, სამხრეთიდან იქმნებოდა მძლავრი პლაცდარმი, საიდანაც იტალიაში ფეხმოდგმულ ჰანიბალს ახალი დამხმარე რეზერვი უნდა მიეღო.

რომში კარგად შეაფასეს სიცილიიდან მოსალოდნელი საფრთხე. 214 წლის გაზაფხულზე სამხრეთისაკენ დაიძრა ძლიერი რომაული არმია და ფლოტი კონსულ მ. კლავდიუს მარცელუსის სარდლობით.

სიცილიაში ჩამოსულ მარცელუსთან გამოცხადდნენ კანეს ბრძოლის მონაწილე სამხრეთში გადასახლებული ლეგიონერები: ევედრებოდნენ სარდალს მიეღო ისინი არმიაში, რათა საშუალება ჰქონოდათ თავგახწირული ბრძოლით გამოესყიდათ თავიანთი „დანაშაული". მარცელუსმა ამის შესახებ აცნობა სენატს და თვითონაც ითხოვდა დაეკმაყოფილებინათ პატივაყრილ თანამოქალაქეთა თხოვნა. მაგრამ მან სენატისაგან ასეთი პასუხი მიიღო: რომს სახელმწიფოს დაცვისათვის მშიშრები არ სჭირდება; მარცელუსს შეუძლია გამოიყენოს და იმსახუროს ისინი. მაგრამ მათ იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ დაიმსახურებენ გამარჯვების

გვირგვინებს, ჯილდოებს „მამაცობისათვის“ და მიიღებენ თავისუფლებას. მარცელუსი დიდად ნაწყენი დარჩა სენატის ასეთი პასუხით და შემდეგ, გვიან, როცა ის რომში დაბრუნდა, მუდამ გამოსთქვამდა ამ მხრივ უკმაყოფილებას. სენატმა, მიუხედავად ამდენი დამსახურებისა, საშუალება არ მომცა შემემსუბუქებინა მძიმე მდგომარეობა ამდენი თანამემამულისათვისო, — გულისტკივილით იტყოდა ხოლმე მარცელუსი.

პირველად მარცელუსი თავს დაესხა ლეონტინს და იერიშით აიღო ის. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა,



„დესანტი“.

რომაელებმა ერთიანად ამოჟლიტეს. შემდეგ მარცელუსი და პრეტორი აპიუს კლავდიუს პულხერი მთელი არმიითა და ფლოტით მიადგნენ სირაკუზს. მისი აღება ლეონტინის მსგავსად ერთი იერიშით შეუძლებელი აღმოჩნდა; რომაელები შეუდგნენ სირაკუზის ალყას. ისინი ფიქრობდნენ, რომ ხუთი დღით მაინც დაყოვნდებოდნენ ქალაქის ალყით. მაგრამ ესეც ცუდი ფიქრი იყო.

სირაკუზს, ბუნებრივად მიუვალ ციხე-ქალაქს, გარს ერტყა ისედაც მაღალ კლდეებზე აღმართული ქვის სქელი კედლები. მასზე ამაოდ მიჰქონდათ იერიშები სახელოვან ათენელ მეზღვაურებსა და ჰოპლიტებს. მას შემდეგ ორასმა წელმა განვლო და ახლა რომაული ლეგიონები და საზღვაო ესკადრები იდგნენ სირაკუზის ვარშემო. რაც ვერ შესძლეს

ბერძნებმა, ფიცხელმა ალკიბიადემ და დინჯმა ნიკიასმა[1], მის განხორციელებას ფიქრობდა რომის „მახვილი“ მარკუს კლავდიუს მარცელუსი.

სირაკუზის მოსახლეობა არაჩვეულებრივი სიმამაცითა და ორგანიზებულობით იყო თავდაცვისათვის მომზადებული. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გენიალური ადამიანი, რომელმაც თავისი მეცნიერული ნიჭი და მოსაზრებულობა მშობლიური ქალაქის გმირულ დაცვას მოახმარა. ეს იყო ახალგაზრდა მათემატიკოსი ა რ ქ ი მ ე დ ე. უდიდესი სწავლულის აზრი მედგრად დაუხვდა უხეშ რომაელთა სიკვდილისმთესველ მახვილს.

არქიმედემ ჯერ კიდევ ჰიერონის დროს გამოამჟღავნა თავისი ნიჭი და ხელოვნება ყველა საბრძოლო სახის — როგორც შეტევითი, ასევე თავდაცვითი მანქანების, მექანიკური იარაღების, ქვის სატყორცნი კატაპულტებისა და სხვა „ჯადოსნური“ დანადგარების გამოგონებაში. ახლაც. როცა მარცელუსმა სირაკუზზე ზღვიდან და ხმელეთიდან იერიშები მიიტანა, ქალაქის შიგნიდან სეტყვასავით წამოვიდა უზარმაზარი მეგალითები, ხის ნამორები, კუნძები, ლითონისა და ტყვიის გუნდები და ბასრი ისრების „ცეცხლი“. რომაელთა სამოცი გემისაგან შემდგარი ფლოტის შეტევა, რომელსაც უშუალოდ კონსული სარდლობდა, უმალვე დაიმსხვრა. მარცელუსი ამაოდ ცდილობდა თავი აერიდებინა ქალაქიდან მომავალი ქვისა და ლითონის სეტყვისათვის და ისე მიახლოებოდა მის კედლებს. მან უფრო მტკიცე და ურყევი იერიშებისათვის ერთად შეჰკრა რვა გემი, მოაწყო მათზე საიერიშო მანქანა, ე. წ. „სამბუკა“, მის გარშემო დარაზმა მთელი ფლოტი და დაიძრა ქალაქისაკენ. მაგრამ არქიმედემ კედლებზე აღმართა სრულიად უცნაური მანქანები, რომელთაც შორს გაეწვდინათ სწრაფად მოძრავი კაუჭები და „ტორები“. ისინი უეცრად დაეშვნენ და მოწინააღმდეგის გემებს „ხელი ჩასჭიდეს“ შიგ ცხვირებში და ასწიეს. ზოგი მათგანი მაღლა ჰაერში მიექანებოდა: შიშისაგან შეძრწუნებული რომაელები ერთიმეორეს ზედ ეხეთქებოდნენ, წყალში ცვივოდნენ და იხრჩობოდნენ; ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ეს უცნაური „რვაფეხა“ მანამ აჯანჯღარებდა ხელში ჩაბღუჯულ გემს, სანამ ეკიპაჟისაგან მთლიანად არ გასცლიდა, შემდეგ კი გაუშვებდა. და მაღლიდან დაცემული, გადაყირავებული გემი იძირებოდა; ან ზოგ ხომალდს, ზევით აწევამდე, წინიდან ააყირავებდა და თავის ეკიპაჟიანად ჩასძირავდა.

არანაკლები ზიანი ნახა აპიუს კლავდიუს პულხერმა, რომელიც ხმელეთიდან უტევდა სირაკუზს.

---

[1] ა ლ კ ი ბ ი ა დ ე და ნ ი კ ი ა ს ი იყვნენ ათენის საზღვაო ექსპედიციის მეთაურები სირაკუზის წინააღმდეგ (415—413) პ ე ლ ო პ ო ნ ე ს ი ს ო მ ე ბ ი ს დროს (431—404).

მარცელუსმა უკან დახევის ბრძანება გასცა. მან მოიწვია სამხედრო საბჭო, თათბირი გამართა, თუ რა ღონისძიება გაეტარებინათ ამ უცნაურ, მანამდე არნახულ „ჯადოსნურ“ საშინელებათა წინააღმდეგ. ერთი რამ ყველას შეემჩნია: არქიმედეს მექანიკური იარაღები, ჩანდა, მხოლოდ შორს მანძილზე აზიანებდა მტერს, რადგანაც ამ „არტილერიას“ ჯურვების გასასროლად გრძელი მანძილი ესაჭიროებოდა. ამიტომ გადაწყდა, რომ ღამით იდუმალ მიჰპარვოდნენ ქალაქის კედლებს და ახლო მანძილიდან მოეწყოთ იერიში. ასეც მოიქცნენ.

მაგრამ, ეტყობოდა, რომ დიდ მექანიკოსს ესეც გათვალისწინებული ჰქონდა და ახლოს მოსული მტრის იერიშთა უვნებელსაყოფად სხვა სპეციალური მანქანებიც გამოუგონებია. როგორც კი რომაელები ქალაქს მიადგნენ, არქიმედემ კედლებში, დაბალზე, ადამიანის სიმაღლეზე გამოჭრილი ხვრელებიდან გახსნა „ცეცხლი“. ამავე დროს, კედლების ზემოდან, ვერტიკალურად ეშვებოდნენ ქვის უზარმაზარი ლოდები. რომაელები იძულებული შეიქნენ ისევ უკანდახევა დაეწყოთ. გაქცეულ მტრებს სირაკუზელებმა ისევ შორსმსროელი „არტილერია“ დაუშინეს. რომაელები დიდად დაზარალებული შეეფარენ ბანაკებს.

შეშფოთებული მარცელუსი მწარედ დასცინოდა თავის „ინჟინრებს“, ტექნიკოს-მექანიკოსებს და ამბობდა: „ხომ არ შევწყვიტოთ ბრძოლა მათემატიკის ცენტიმანთან?[1] ის ზღვიდან იტაცებს ჩვენს გემებს, დაცინვით ძირავს ჩვენს სამბუკებს, გვიშენს საშინელ, მომაკვდინებელ სეტყვას, ხოლო თვითონ უვნებლად იტოვებს მითოლოგიურ ასხელებიან გოლიათებსო“. მარცელუსი იძულებული იყო ანგარიში გაეწია თავისი დაშინებული მეომრებისათვის, რომლებიც უბრალო ბაგირის, ნატყორცნი ქვისა თუ ისრის დანახვაზეც კი შიშისაგან თრთოდნენ.

ასე გაგრძელდა მთელი წელი. სირაკუზის აღების იმედი მარცელუსს რაიმე შემთხვევითობაზე უნდა დაემყარებინა. ის იძულებული გახდა მხოლოდ სუსტი ალყა განეგრძო ამაყი ქალაქის წინააღმდეგ. სიცილიაშიც, ისე როგორც იტალიის ფრონტზე, ომი ჭიანურდება.

214 წლის გაზაფხულზე ჰანიბალმა დასტოვა ზამთრის ბანაკები და აპულიიდან ისევ კამპანიაში გადავიდა. აქ ის კვლავ უნაყოფოდ ცდილობდა ზღვის სანაპირო ზოლის ხელში ჩაგდებას. სამხრეთ კამპანიაში მისი ყოფნის დროს რომაელებმა ხელში ჩაიგდეს ქ. კაზილინუმი. კონსულმა ფაბიუს მაქსიმე კუნქტატორმა სამნიუმში კართაგენელებს წაართვა რამდენიმე ქალაქი, ხოლო ტიბერიუს გრაკხმა მონებისაგან შემდგარი ლეგიონებით ქ. ბენევენტუმთან დაამარცხა კართაგენელთა ჯარე-

---

[1] ცენტიმანი მითოლოგიით ასხელიანი და ორმოცდაათთავიანი გოლიათი.

ბი, რომელთაც ჰანონი მეთაურობდა. გამარჯვებულებმა ზეიმითა და ღრეობით გადასთელეს ბენეევენტუმის ქუჩები.

214 წელიც მიიწურა. ჰანიბალი ისევ აპულიაში გაეშურა გამოსაზამთრებლად. კამპანიაში მას მხოლოდ ქ. კაპუა რჩებოდა ხელთ. არც ერთი მხრიდან არ მოსდიოდა ჰანიბალს მაშველი ძალები. ერთხანს ფილიპე მაკედონელი გამოჩნდა მოიმედე ვარსკვლავად, მაგრამ სუსტი მეტეორივით ეს იმედიც უმალვე ჩაქრა. ფილიპე შეიჭრა ილირიაში, აიღო ქალაქი ორიკუმი[1] და გაჩნდა აპოლონიასთან, მაგრამ პრეტორმა მარკუს ვალერიუს ლევინუსმა დაამარცხა და განდევნა ის ილირიიდან.

213 წელს კონსულებად არჩეულ იქნენ ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსი (მეორედ) და ახალგაზრდა ქვინტუს ფაბიუს მაქსიმე, კუნქტატორის შვილი. არც ერთი მათგანი არჩევნებს არ ესწრებოდა. მოხუცი კონსული ფაბიუს კუნქტატორი თვითონ გაეშურა თავისი შემცვლელის, შვილის ბანაკში, სადაც ის მანამდე ლეგატის სახელწოდებით სარდლობდა ერთ ლეგიონს. კუნქტატორი ცხენზე ამხედრებული უახლოვდებოდა ახლად არჩეულ კონსულს; ეს დაუშვებელი იყო, მაგრამ მამა-შვილს შორის ჩამწკრივებული ლიქტორები ვერ ბედავდნენ „ჩამოხე!" ეთქვათ დიდებული მოხუცისათვის. მაშინ კონსულმა უბრძანა მეთორმეტე ლიქტორს, რომელსაც უკვე გაუსწორდა კუნქტატორი, შეესრულებინა მისი მოვალეობა. ახალგაზრდა ფაბიუსის ბრძანება შესრულდა. კუნქტატორი ჩამოხტა ცხენიდან, მიეახლა შვილს და უთხრა: „შვილო ჩემო, მე მხოლოდ მსურდა გამომეცადე, თუ რამდენად შეგიძლია კონსულის მოვალეობა შეასრულო".

213 წელიც უფერულად და უშედეგოდ წავიდა. ჰანიბალი სამხრეთ იტალიაში ტარენტუმის ოლქებში დათარეშობდა. რომაელებმა ხელში ჩაიგდეს აპულიის ქალაქი არპი. იტალიაში საერთო მდგომარეობა თითქმის არ იცვლებოდა. ამავე დროს სიცილიაში სირაკუზის ალყა რომაელებს ჯერჯერობით არაფერ შედეგს არ აძლევდა. მაგრამ მარცელუსმა მაინც ჩაიგდო ხელში სიცილიის რამდენიმე ქალაქი, მათ შორის დიდი ქალაქი ჰენა. მან რამდენჯერმე დაამარცხა კართაგენელთა საზღვაო და სახმელეთო ძალები, რომელთაც ჰიმილკონი მეთაურობდა.

მოვლენათა მრავალფეროვნებით გასულ სამ წელს სჯობნიდა 212 წელი, რომელიც პირველად რომაელთათვის მეტად უსიამოვნო ამბებით დაიწყო, თუნდაც იმით, რომ ორი დღე-ღამის განმავლობაში რომში საშინელი ხანძარი მძვინვარებდა და ქალაქის რამდენიმე უბანი დაიწვა

---

[1] მეტად საინტერესოა, რომ ორიკუმი და ილირიის კიდევ სხვა ორი ქალაქი (პოლა || კოლაII და კოლხინიუმი), პლინიუს უფროსის ცნობით, კოლხების მიერ დაარსებული ქალაქები ყოფილა.

გაუთავებელი ომებით დაქანცული მოსახლეობა ხშირად უიმედობის ჭაობში ეშვებოდა. ცხოვრება აუტანელი და უცნაური ხდებოდა. ხალხის ფიქრით, „თვით ღმერთებიც სხვანაირი წეიქნენ". ამის ნიადაგზე თავს იჩენდა მრავალი სხვადასხვა სახის რელიგიური ცრუ ქადაგება, „წინასწარმეტყველება", მაგიური ფანატიზმი.

ახალმა კონსულებმა, გ ა ი უ ს ფ უ ლ ვ ი უ ს ფ ლ ა კ უ ს მ ა (მესამედ) და ა პ ი უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს პ უ ლ ხ ე რ მ ა აღკვეთეს ქალაქში

ტარენტუმი.

არსებული უწესრიგობა და ახალი ჯარების შეკრებას შეუდგნენ. ამ წელს რომის საბრძოლო დროშების ქვეშ 23 ლეგიონი იდგა, ე. ი. დაახლოებით 140 000 მეომარი.

ამავე წელს რომაელთათვის ძლიერ დარტყმას წარმოადგენდა სამხრეთ იტალიის დიდი საზღვაო ქალაქის — ტ ა რ ე ნ ტ უ მ ი ს დაკარგვა.

რომი ყოველთვის უნდობლად უცქერდა ტარენტუმისა და მეორე ბერძნული ქალაქის — თურიუმის ერთგულებას. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხმა დაირხა, რომ ჰანიბალს ურთიერთობა აქეს გაბმული ტარენტუმის მოსახლეობის დიდ ნაწილთან, რომელიც კართაგენული ორიენტაციის გზაზე იდგა და ქალაქში ჩაყენებულ რომაულ გარნიზონს მტრულად უყურებდა. ჰანიბალი უკანასკნელ ხანებში ტარენტუმის ოლქებს არ შორდებოდა და უცდიდა ხელსაყრელ დროს, რათა ხელში ჩაეგდო ეს მეტად მნიშვნელოვანი ზღვის სანაპირო ქალაქი, საიდანაც მას საშუალება ექნებოდა მჭიდრო ურთიერთობა გაება აფრიკასთან, სიცილიასთან და მაკედონიასთან. ამიტომ რომაელებს მუდამ ჰყავდათ ტარენტუმისა და თურიუმის მძევლები, მათი წარჩინებული მოქალაქენი და მმართველ ოჯახთა შვილები.

ერთ დღეს ხმა გავარდა, რომ მძევლებს რომიდან გაქცევა მოუხერხებიათო. მაგრამ ისინი მდევარმა მალე შეიპყრო. გასამართლების შემდეგ ჯერ სასტიკად გაროზგეს და შემდეგ ცნობილი კაპიტოლიუმის ტაძრის გვერდით ტარპეუმის ულდეზე გადასჩეხეს.

სანამ რომაელები ახალ მძევლებს მოითხოვდნენ, ტარენტუმის მოსახლეობამ თავისი განზრახვა აღასრულეში მოიყვანა. ტარენტუმიდან სამი დღის სავალზე დაბანაკებულ ჰანიბალთან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა ქალაქის ერთ-ერთი გავლენიანი მოქალაქე ფ ი ლ ე მ ე ნ ე, რომელიც ხალხის ფართო მასების მხარდაჭერით სარგებლობდა. იგი, რომაელთა და მათი მომხრეების თვალის ასახვევად, იარაღასხმული, ძაღლების თანხლებით ციდიოდა ქალაქგარეთ; სანადიროდ მივდივარო, — ასე ავრცელებდა ხმას. ასეთი კონსპირაციული წესით ხვდებოდა ჰანიბალს და თათბირობდა მასთან. საღამოს ფილემენე ნანადირევით დატვირთული, რაშიაც კართაგენელებიც ეხმარებოდნენ, ბრუნდებოდა ქალაქში და ნანადირევის დიდ ნაწილს რომაელთა გარნიზონის უფროსს გ ა ი უ ს ლ ი ვ ი უ ს ს მიართმევდა. ჰანიბალი თანახმა გახდა ტარენტუმისაგან მიეღო ისეთივე პირობები, როგორიც კაპუასთან შეთანხმებით ჰქონდა: ტარენტუმი ინარჩუნებდა სრულ ავტონომიას და კართაგენელთაგან ჩაურევლობას, სამაგიეროდ ჰანიბალს გადასცემდნენ რომაულ გარნიზონს და ერთგული კავშირით შეეკვროდნენ ერთურთს. გადამწყვეტ დღეებში ხმა გავარდა, რომ ჰანიბალი ავად გამხდარა და ლოგინად არის ჩავარდნილიო. ამან კიდევ უფრო მოადუნა რომაელთა გარნიზონის სიფხიზლე.

დანიშნული დღისათვის ჰანიბალმა თავისი არმიიდან ამოარჩია 10 000 ყველაზე მამაცი ქვეითი და ცხენოსანი მეომარი. ყველაფერი შესანიშნავად იყო გათვალისწინებული და გააზრებული. იმ დღეს შეთქმულებმა ნადიმობა გამართეს და გარნიზონის უფროსი გაიუს ლივიუსი თავისი უახლოესი თანამებრძოლებით უგრძნობლად დაათვრეს. გვიან ღამით ჰანიბალი შეუმჩნევლად მიადგა ქალაქის აღმოსავლეთის კარებს და სინათლით სიგნალი მისცა შეთქმულებს. მათ, საპასუხო ნიშნის მიცემისთანავე, კარებთან ზდგარი გუშაგები დახოცეს და ალაყაფის კარი გააღეს. კართაგენელები შეიჭრენ ქალაქში. ამასობაში ტარენტუმის მეორე, დასავლეთის კარებთან რომაელმა გუშაგმა გაიგონა ჩვეულებრივი სტვენა და ძახილი; ეს ფილემენე ეძახდა მას: ჩამოდი, კარი გამიღე, ნანადირევი მოვიტანეო. გუშაგმა, სრულიად დაარხეინებულმა, გააღო კარები და, როგორც კი მან ნანადირევს ცნობისმოყვარეობით დაუწყო სინჯვა, ზურგიდან მას ხანჯალი დასცეს. 1 000 კაცისაგან შემდგარი კართაგენელთა რაზმი აქედანაც შეიჭრა ქალაქში.

გარეთ, ქალაქის კედლებთან, ჰანიბალმა დასტოვა 2 000 მხედარი,

რომელთაც თავიდან უნდა აეცილებინათ გარედან მოსალოდნელი ყოველგვარი საფრთხე. ყველა დანარჩენ ნაწილებს მან თავი მოუყარა ქალაქის ცენტრში, მოედანზე. აქ სარდალმა გაანაწილა ჯარები; ყველას მიუჩინა თავისი ამოცანა, დაიკავა ყველა გასასვლელი და აცნობა ქალაქს, რომ მოსულია რომაელთა გასანადგურებლად და მათგან ტარენტუმის გასანთავისუფლებლად. ის ამშვიდებდა მცხოვრებთ, ცდილობდა ქალაქში პანიკა არ გავრცელებულიყო. მართლაც ასე მოხდა. დილით ყველა დაშოშმინებული იყო. ქუჩებში ეყარნენ დახოცილი, იარაღაყრილი რომაელები. ჰანიბალმა ბრძანება გასცა ტარენტუმის მცხოვრებთა ყველა სახლზე აღენიშნათ სიტყვა „ტარენტუმელი" (სიკვდილით დაისჯებოდა, ვინც მოტყუებას შეეცდებოდა), რათა ყველა დანარჩენი სახლი, ე. ი. რომაელებისა, დაენგრიათ.

გარნიზონის ძირითადი ნაწილი, . ახლადგამოფხიზლებული ლივიუსის მეთაურობით, თავს აფარებდა ქალაქის აკროპოლისს, რომელიც ზღვიდან შესავალს ჰკეტავდა. კართაგენელებმა ქალაქის მცხოვრებლებთან ერთად დაიწყეს აკროპოლისის წინააღმდეგ დიდი თხრილის გაჭრა და მიწაყრილების აღმართვა. რომაელებმა ერთ-ორჯერ სცადეს ხელი შეეშალათ ხმელეთიდან ბლოკადისათვის, მაგრამ ჰანიბალმა ისინი სასტიკად დაამარცხა და იძულებული გახადა უკანვე შებრუნებულიყვნენ. მალე კართაგენელებმა ამ მხრიდან კედელიც აღმართეს და აკროპოლისი ზღვიდანაც ხიმალდთა ესკადრებით ჩაჰკეტეს.

ჰანიბალმა ტარენტუმში გარნიზონი დასტოვა, ხოლო თვითონ წინანდელ ბანაკში გაეშურა. მალე ამის შემდეგ ჰანიბალის მხარეზე გადავიდნენ ზღვის სანაპირო ქალაქები: თურიუმი, მეტაპონტი და ჰერაკლეა.

კონსულები მიზნად ისახავდნენ ალყაში მოექციათ და რაც შეიძლება მალე ჩაეგდოთ ხელში კაპუა. ჰანიბალს ესმოდა თუ რას მოაყვანებდა კაპუის მოსალოდნელი დაცემა. ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა კონსულთა განზრახვის განხორციელება. მან მტრის უზარმაზარ, მაგრამ იტალიის სხვადასხვა ოლქებში გაფანტულ არმიებზე ახალი გამარჯვებები ჰპოვა. აპულიაში მთლიანად გაანადგურა სამხედრო ტრიბუნის ცენტენიუსის 8 000 მეომრისაგან შემდგარი მოხალისეთა ჯარი; ბრძოლაში დაიღუპა თვით ცენტენიუსი. იმავე ოლქში ჰანიბალმა სასტიკად დაამარცხა პრეტორ გნეუს ფულვიუსის დიდი არმია. 18 000 მეომრიდან მხოლოდ 2 000 რომაელი გადარჩა. ასევე, კართაგენელებმა ლუკანიაში გაანადგურეს მამაცი პროკონსული ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსი, რომელმაც ერთ-ერთი ლუკანიელის მოღალატური რჩევით მტერს საშუალება მისცა საფარში შეეტყუებინათ ის. გრაკხუსის მეომართაგან ცოცხალი აღარავინ დარჩენილა.

უკანასკნელი დაეცა თვით გრაკჩუსი. ჰანიბალმა დიდის პატივით დაკრძალა მამაცი მტერი.

ამ ბედკრულ წელს რომაელებმა მხოლოდ სიცილიიდან მიიღეს სასიხარულო ამბავი.

212 წლის გაზაფხულზე მარცელუსი ახალი ენერგიით შეუდგა სირაკუზის ალყას. მის ბანაკში გამოცხადებული ხოვიერთი სირაკუზელისაგან ის დიდი გულისყურით სწავლობდა ყოველ დეტალს. ასე, მაგალითად. მან შეამჩნია, რომ ქალაქის დასავლეთი კედლის ერთი ნაწილი შედარებით დაბალი, აღვილად გადასალახავი და ნაკლებად დაცული ჩანდა. მარცელუსმა ისიც შეიტყო, რომ მალე სირაკუზელები არტემიდეს[1] სახელობის დღესასწაულით გაერთობოდნენ. ამასთან დაკავშირებით სირაკუზელები სამი დღის განმავლობაში ღვინის განუზომელი სმითა და ღრეობით თავდავიწყებას მიეცემოდნენ. სწორედ ამ დროისათვის მარცელუსმა თავისი არმია რამდენიმე რაზმეულად დაპყო და ნაწილ-ნაწილ საიდუმლოდ დასძრა ქალაქისაკენ. შუაღამისას კედლის აღნიშნულ ნაწილზე რომაელთა მეწინავეებმა საიერიშო კიბეები მიადგეს და ქალაქში ჩავიდნენ. სულ მალე კედელს გადაღმა გადავიდა მთელი არმია. ქალაქში ბრძოლა და სისხლისღვრა რამდენიმე კვირა გაგრძელდა. ეს იყო ერთ-ერთი უსაშინელესი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც კი სამხედრო ისტორიის საშინელებებს მუდამ თან ახლავს. რომაელებმა მათთვის ჩვეული სიმხეცის შეუდარებელი მაგალითები აჩვენეს ისტორიას. არ ინდობდნენ არავის, კაცსა თუ ქალს, მოხუცსა თუ ჩვილ ბავშვს. მშვენიერი ბერძნული ქალაქი, ანტიკური კულტურის შესანიშნავი ტაძარი მთლიანად სისხლის მორევში და ნანგრევებში ჩაიძირა. თვით მარცელუსი ამაოდ ცდილობდა შეეჩერებინა მეომართა სიმხეცე; მას ყურს არავინ უგდებდა. სისხლით მოსვრილი მძვინვარე ლეგიონერები საშინელი ღრიალით

არქიმედე.

[1] ა რ ტ ე მ ი დ ე (ბერძნებთან) იგივე დ ი ა ნ ა (რომაელებთან) — ნადირობის ქალღმერთი, აპოლონის და.

ეშუქრებოდნენ ყველას, ვინც კი შეეცდებოდა ხოცვა-ყლეტაზე და ძარცვა-გლეჯაზე მათს შეყენებას. იტაცებდნენ ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებოდათ და წაღება შეიძლებოდა; ანადგურებდნენ ყველაფერს, რის მოტაცება და წაღება შეუძლებლად ეჩვენებოდათ.

აურაცხელ მსხვერპლთა შორის იყო უძვირფასესი — არქიმედე. იგი მიწაზე მჯდარი ღრმად იყო გართული მის მიერვე სილაზე დახაზული გეომეტრიული ფიგურების, რაღაც თეორემების ამოხსნით, როცა თავს წაადგა რომაელი მეომარი გასისხლიანებული მახვილით და უბრძანა მას — სამხედრო ნადავლს — წამომდგარიყო ფეხზე. „ხელს ნუ მიშლი ამოცანის ამოხსნაში!“—შეჰყვირა თავის აზრებში ღრმად ჩაფლულმა არქიმედემ. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. იელვა მახვილმა და გენიალური მათემატიკოსის თავი მისსავე თეორემით შეთხზულ ნახაზზე დაეცა.

რომაელებმა სირაკუზში აურაცხელი ნადავლი ჩაიგდეს ხელში. ბერძნული ხელოვნების, კულტურის მრავალი ძეგლით აავსო მარცელუსმა რომის ტაძრები.

სირაკუზის დაცემის შემდეგ რომაელებმა აიღეს აგრიგენტუმი და მომდევნო წელს მთელი სიცილია კვლავ გასწმინდეს კართაგენელთაგან.

ამგვარად, ჰანიბალმა ისევ დაჰკარგა სამხრეთის ძლიერი პლაცდარმი და ხიდი აფრიკიდან იტალიისაკენ.

„ჰანიბალი კარიგბეზეა!“

იტალიაში 212—211 წწ. საომარ მოქმედებათა ცენტრალურ პუნქტს ქ. კ ა პ უ ა წარმოადგენდა. თუ ჰანიბალი ამ უნიშვნელოვანესი ქალაქის შენარჩუნებას შესძლებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ იტალიის ფედერაციის დაშლას თუ მთლიანად ვერ მიაღწევდა, მას იმ სახით მაინც დაინარჩუნებდა, როგორადაც მოპოვებული ჰქონდა. ხოლო, თუ კაპუას, რომაელთა ალყისა და აღებისაგან ვერ გადაარჩენდა, რასაც უთუოდ მისი მკაცრად დასჯაც მოჰყვებოდა, მოსალოდნელი ხდებოდა, იტალიის ის ქალაქები, რომლებიც მას მხარს უჭერდნენ. ზურგს შეაქცევდნენ და ისევ რომთან შერიგების გზაზე გადავიდოდნენ.

ამიტომ კაპუის გარშემო მოწინააღმდეგენი დიდი სიმძლავრით ებრძოდნენ ერთურთს. რომაელი კონსულები 212 წელს შეუდგნენ კაპუის ალყას. ქალაქის გარშემო ოლქები მთლიანად აოხრებული. და გაპარტახებული იყო. ალყაში მოქცეულებს შიმშილით დაღუპვა ელოდა, ხოლო დანებების შემთხვევაში—საშინელი ნგრევა-განადგურება. ისინი, კართაგენელთა გარნიზონთან ერთად, თავგამოდებით იცავდნენ ქალაქს, ხშირად გარეთაც გამოიჭრებოდნენ და თავგანწირულ ბრძოლებს უმართავდნენ მტრებს. ხშირად მოწინააღმდეგეთა მხარე-

ებიდან ფალავნებიც გამოდიოდნენ და ორთაბრძოლებს მართავდნენ. რომაელები ქალაქის გარშემო ღრმა თხრილებსა და მაღალ მიწაყრილებს ავლებდნენ. კაპუის მცხოვრებლები ჰანიბალთან ზედიზედ გზავნიდნენ შიკრიკებს და თავიანთი გაჭირვების ამბავს ატყობინებდნენ, დახმარებას სთხოვდნენ.

ჰანიბალმა პირველად გაგზავნა თავისი ერთ-ერთი სარდალი ჰანონი და უბრძანა მიშველებოდა კაპუას, პირველ რიგში მისთვის მიეწოდებინა სურსათ-სანოვაგე. მაგრამ ჰანონმა ვერ მოახერხა დავალების შესრულება. იგი რომაელებთან ერთ-ერთ შეტაკებაში დამარცხდა და ისევ სამხრეთისაკენ გაბრუნდა. მაშინ ჰანიბალი, რომელმაც დაასრულა ტარენტუმის ხელში ჩაგდება, თვითონ გაეშურა კაპუის გადასარჩენად. როგორც კი კონსულებმა ბრისხანე მტრის მოახლოება შეიტყვეს, სასწრაფოდ მოხსნეს ალყა და ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლეს. მაგრამ ჰანიბალს მთელი არმიით არ შეეძლო დიდხანს დარჩენილიყო აოხრებულ და დამშეულ კამპანიის ოლქში. მან პურის მარაგი დაუტოვა კაპუის მცხოვრებლებს, გაამხნევა ისინი, რჩევა-დარიგებანი მისცა გარნიზონის უფროსებს ბოსტარსა და ჰანონს და თვითონ ისევ სამხრეთისაკენ გაეშურა.

211 წლისათვის ქვინტუს ფულვიუს ფლაკუსსა და აპიუს კლავდიუს პულხერს, ყოფილ კონსულებს, რომაელებმა პროკონსულთა უფლებები მიანიჭეს და უბრძანეს განეგრძოთ კაპუის ალყა. მართლაც. როგორც კი ჰანიბალი კამპანიიდან წავიდა, ფულვიუსი და აპიუსი ახალი გაზრდილი ძალებით კვლავ რკინისებურ წრედ შემოერტყნენ კაპუას. ქალაქში დაიწყო აუტანელი შიმშილი. დიდის გაჭირვებით მოხერხდა ჰანიბალთან კაცის გაგზავნა და მისთვის ხმის მიწვდენა. კართაგენელმა შეატყო, რომ, თუ არ იჩქარებდა, კაპუა დღეს თუ ხვალ მისი აღარ იქნებოდა. ამიტომ მან არმიიდან აპოარჩია ყველაზე უფრო სწრაფი ქვეითი და ცხენოსანი მეომრები და „მგლურით“ დაიძრა კამპანიისაკენ. ის შეუმჩნევლად მივიდა ტიფატის მთაზე, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა კაპუას. აქედან მოულოდნელი დარტყმით ხელში ჩაიგდო იქვე მდებარე ერთ-ერთი ციხე-სიმაგრე და იქიდან გამოდევნა რომაული გარნიზონი; მაშინვე აცნობა კაპუის დამცველებს თავისი მოსვლა და დაუნიშნა დღე, როდის უნდა გამოსულიყვნენ ქალაქის შიგნიდან რომაელთა წინააღმდეგ (იმ დროს, როცა თვითონ გარედან დაჰკრავდა მტერს).

ჰანიბალის ახალმა გამოჩენამ ძრწოლა მოჰგვარა რომაელთა ბანაკებს. მაგრამ სარდლებს ამჯერად ალყის მოხსნა არ უფიქრიათ. მათ გაინაწილეს ბრძოლის ხელმძღვანელობა: აპიუს კლავდიუსი თავისი ლეგიონებით შეებრძოლებოდა ქალაქიდან გამოსულ კაპუელებს; ფულ-

ვიუსი კი დაუხვდებოდა ჰანიბალს. ამავე დროს, პრეტორი კ ლ ა ვ დ ი-უ ს ნ ე რ ო ნ ი ერთი ლეგიონით (მე-6 ლეგიონი) უნდა გამოსულიყო ბანაკს გარეთ და პირველი ბრძოლა გაემართა ჰანიბალთან, ხოლო ლეგატი ფ უ ლ ვ ი უ ს ი (არაპროკონსული) იტალიური მხედრობით უნდა შებმოდა ნუმიდიელ ცხენოსნებს.

ბრძოლის დაწყებისთანავე ჰანიბალმა მძლავრი იერიშებით სასტიკად დაამარცხა ნერონისა და ლეგატის ჯარები. ისინი იძულებული შეიქნენ ისევ ბანაკებისათვის შეეფარებინათ თავი. ჰანიბალი ნუმიდიური კავალერიით დაჰქროდა რომაელთა ბანაკების გარშემო; ისრის სეტყვას უშენდა და ბრძოლაში იწვევდა მათ, მაგრამ რომაელებმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღეს: არავითარ შემთხვევაში არ გამოსულიყვნენ ჰანიბალთან გაშლილ ველზე საბრძოლველად, სადაც მათ უეჭველი დამარცხება ელოდათ, ხოლო კართაგენელებს რომაელთა ბანაკში შეჭრა არ შეეძლოთ.

ჩაფიქრდა ჰანიბალი. ბანაკიდან მოწინააღმდეგის გამოტყუება არ ხერხდებოდა, არც მათში შეჭრა; ისიც მოსალოდნელი იყო, რომ ახალ კონსულთა არმიები მოვიდოდნენ და თავის მხრივ ალყაში მოაქცევდნენ ჰანიბალს; კაპუა კი დაღუპვის კარზეა მისული; საჭიროა როგორმე იხსნას ტანჯული ქალაქი, რომლის დაცემასაც მისთვის, შესაძლოა, მრავალი უსიამოვნო შედეგი მოჰყვეს.

და აი, პირველად მთელ თავის ლაშქრობათა პერიოდში, ჰანიბალმა აიღო გეზი ამ ლაშქრობათა საბოლოო მიზნისაკენ, რომისაკენ! რასაკვირველია, მას სრულებით არ უფიქრია, რომ ახლა ასეთ პირობებში მოხერხდებოდა რომის ხელში ჩაგდება. ეს ხომ მას არ უფიქრია ტრაზიმენისა და, განსაკუთრებით, თავისი ძლიერების მწვერვალზე ყოფნის დროსაც. კანეს ბრძოლის შემდეგ, ჰანიბალის რომზე ლაშქრობის მიზანი ამჯერად წმინდა პროვოკაციული ხასიათისა იყო: ამით მას სურდა თავზარი დაეცა რომისათვის და აეძულებინა იგი მოეხსნა კაპუის მოალყე არმიები საკუთარი თავის დასაცავად. ამგვარად კაპუა გადარჩებოდა. ამიტომაც ჰანიბალის განზრახვა სრულებით არ ატარებდა საიდუმლო ხასიათს, პირიქით, იგი, კამპანიაში ჩამოსვლიდან მეხუთე დღეს, საქვეყნოდ ყველასათვის, და განსაკუთრებით რომისათვის, აშკარად დაიძრა პირდაპირ რომისაკენ.

ჰანიბალმა პირველ რიგში ეს ამბავი შეატყობინა კაპუას, რათა მას კართაგენელთა მოულოდნელი წასვლით მხნეობა არ დაეკარგა და იარაღი არ დაეყარა; შეატყობინა კაპუელებს, თუ რა მიზანს ისახავდა მისი წასვლა კამპანიიდან.

ჰანიბალმა არაჩვეულებრივი სისწრაფით გაიარა სამნიუმი, გადაუხ-

ვია ჩრდილო-დასავლეთით და დაადგა რომისაკენ მიმავალ ე. წ. „ლ ა-თ ი ნ უ რ გ ზ ა ს“ (via Latina).

ფულვიუსმა დაუყოვნებლივ მისწერა სენატს ჰანიბალის რომისაკენ წასვლის ამბავი. ხალხისაგან საიდუმლოდ შეიკრიბა სენატის სხდომა. გაიმართა კამათი, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ამ მოულოდნელი და თავზარდამცემი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. სენატორთა ერთი ჯგუფი მოითხოვდა სასწრაფოდ მოეხსნათ კაპუის ალყა და იქ მდგარი არმიები გადმოესროლათ რომის დასაცავად. მოხუცი ფაბიუს მაქსიმე კუნქტატორი კი გაიძახოდა: ძნელი დასაჯერებელია, რომ ჰანიბალმა ახლა, როცა მან კაპუასთან ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია, გაბედოს რომზე წამოსვლა მაშინ, როცა მან ეს ვერ გაბედა კანესთან უბრწყინვალესი გამარჯვების შემდეგო. ხოლო, თუ ის მართლა რომზე მოდის, მაშინ ეს მისი, რაღაც ჩვეულებრივი ხრიკი, იქნება და სხვა არაფერიო. ბოლოს ისევ კომპრომისული წინადადება მიიღეს: უნდა გაეგზავნათ ბრძანება კაპუის მოალყე არმიების ბელადებისათვის ერთი მათგანი თავისი არმიით დარჩენილიყო ალყის გასაგრძელებლად, ხოლო მეორე არმია თავისი სარდლით სასწრაფოდ წამოსულიყო რომში. ასეც მოხდა. კაპუასთან დარჩა აპიუს კლავდიუსი, რომელსაც უკანასკნელ ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან მგზავრობა არ შეეძლო, ხოლო ფულვიუსი 15 000 ლეგიონერითა და 1 000 ცხენოსნით მოკლე გზებით სწრაფი მარშით გაეშურა რომისაკენ. მას უნდა ჩაესწრო ჰანიბალისათვის რომში.

გზადაგზა ჰანიბალი საშინლად აოხრებდა ახლომახლო ოლქებს. პანიკით მოცული მცხოვრებთა ბრბოები მიაწყდა რომის კარიბჭეებს და თავშესაფარებლად შეიჭრენ მასში. ჰანიბალი ექვსი კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდა რომს და ბანაკი დასცა. რჩეული ნუმიდიური ესკადრონებით ის ელვის სისწრაფით გაჩნდა ქალაქის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კარიბჭესთან, კოლონის კარებთან.

ერასოდეს რომს ასეთი შიში და ძრწოლა არ უგრძვნია. მის კედლებთან იდგა უსაშინელესი მტერი, რომლის სახელის ხსენებაც კი თავზარსა სცემდა ყოველ რომაელს. „ჰ ა ნ ი ბ ა ლ ი კ ა რ ი ბ ჭ ე ზ ე ა!“ (Hannibal ante portas!), „ჰანიბალი კარიბჭეზეა!“[1] განუწყვეტლივ ყვიროდნენ ქალაქის ყოველ კუთხეში. ქუჩებში, სახლებსა თუ ტაძრებში ისმოდა ხმამაღალი გოდება, ისტერიული ტირილი, ღმერთებისადმი ღაღადი და ლოცვა-ვედრება. ქალები მუხლებზე ეცემოდნენ საკურთხევლების წინაშე, ხელებს იწვდიდნენ ზეცისაკენ, თმებით წმენდდნენ, ხეხავდნენ

[1] ეს გამოთქმა ახლაც ფართოდაა გავრცელებული. როცა რაიმე საფრთხე შეიქმნება, იტყვიან: „ჰანიბალი კარიბჭეზეაო“.

ტაძრების იატაკებს და შესასვლელებს, ღმერთებს ავედრებდნენ თავიანთ შვილებს.

მაგრამ, ამავე დროს, ხელისუფლებას არასოდეს არ გამოუჩენია ისეთი ორგანიზებულობა და მხნეობა, როგორც ახლა, უკიდურესი საფრთხის პირობებში. სენატი დღე-ღამეების განმავლობაში იდგა ფორუმ რომანიუმზე და განკარგულებებს აძლევდა მაგისტრატებს, რაზმავდა ხალხს ქალაქის კედლებისა და კარიბჭეების გასამაგრებლად. რომაელთა საბედნიეროდ, სრულიად შემთხვევით იმ დროს ქალაქში აღმოჩნდა ოთხი ლეგიონი; იმ დღეებში კონსულებს ჯარების შეკრება ჰქონდათ. ნაბრძანები და ჰანიბალიც სწორედ მაშინ მოვიდა, როცა რომაელთა ლეგიონები უკვე ფორმირებული იყვნენ. ამას ზედ ემატებოდა კაპუიდან ფულვიუსის მიერ ჩამოყვანილი არმია და რომის მრავალრიცხოვანი მცხოვრებნი, ყველანი იარაღასხმულნი მშობლიური ქალაქის გადასარჩენად.

ჰანიბალისათვის საკვირველი არც უნდა ყოფილიყო რომის მომზადებული დახვედრა. მისთვის ყველაზე დიდი საფიქრებელი ის იყო, რომ მისმა ხერხმა ნაყოფი არ გამოიღო: კაპუა კვლავ ალყაში რჩებოდა. იქ დარჩენილ რომაულ არმიას სრული შესაძლებლობა ჰქონდა წარმატებით მოეგერიებინა ყოველივარი თავდასხმა ქალაქის შიგნიდან იქნებოდა ის, თუ გარედან.

ბრაზმორეულმა ფინიკიელმა ხელი მიჰყო რომის გარეუბნების აოხრებას. კონსულებმა, გნეიუს ფულვიუს ცენტუმალუსმა და პუბლიუს სულპიციუს გალბამ, რამდენჯერმე გამოიყვანეს არმიები კართაგენელებთან საომრად. მაგრამ მცირედი შეტაკებებისა და გაკენწლავების შემდეგ ისევ ქალაქში შევარდებოდნენ და კარებს ჰკეტავდნენ.

ჰანიბალი ამაოდ დაჰქროდა მის მიერვე ნაცარტუტად ქცეულ ველზე. რომის სრულ სიძლიერესა და დაარხეინებულობაში ის კიდევ უფრო დარწმუნდა, როცა შეიტყო, რომ რომაელებმა, ასეთი საფრთხის პირობებში, არმიის ნაწილი ესპანეთში საომრად გაგზავნეს. ჩანდა, რომ ისინი აინუნშიაც არ აგდებდნენ დაუპატიჟებელი სტუმრის უეცრად მოვარდნას, რომელიც, თურმე, არც ისე საშიში ყოფილა... ჰანიბალის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან სხვა უცნაური ამბავიც შეიტყო: რომში ახლა გაუყიდიათ მიწის ის რაიონი, სადაც კართაგენელთა ბანაკები იყო განლაგებული! ამის გამგონე ჰანიბალმა თვითონაც საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ის ჰყიდის რომის ფორუმთან მდებარე ოქრო-ვერცხლის ნივთთა მაღაზიებს.

დიდხანს ასე ვერ გაგრძელდებოდა. ჰანიბალმა ბანაკი აჰყარა და სასწრაფოდ დასტოვა ლაციუმი. ის კვლავ სამხრეთისაკენ გაეშურა. კონ-

სულებმა გამოიყვანეს არმიები და ფეხდაფეხ დაედევნენ მტერს. როცა ჰანიბალი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კაპუის ალყა ისევ გრძელდებოდა და მისი ხსნის იმედებიც ამოწურული იყო, გაცოფებულმა უეცრად შემოაბრუნა არმია და სრულიად მოულოდნელად შეუტია დადევნებულ კონსულებს. კვლავ იელვა მრისხანე ფინიკიელის ძლევამოსილმა მახვილმა. რომაელები სასტიკად დამარცხდნენ და დიდად დაზარალებული უკუიქცნენ.

ჰანიბალმა საბოლოოდ დასტოვა კამპანიის ველები; კაპუის ხსნის ფიქრზეც საბოლოოდ აიღო ხელი. ის დაეშვა სამხრეთით, ბრუციუმისაკენ.

ამგვარად ჩაჭრა სუსტი, მაგრამ მეტად საშიში ნაპერწკალი, რომელიც პუნიკურმა გრიგალმა ტიციენიუს-ტრებიისა, ტრაზიმენისა და კანეს ზეცადატყორცნილ ხანძართაგან აიტაცა და ძლივს მიიტანა რომის კარიბჭესთან. ჰანიბალმა მხოლოდ დაჰყნოსა მტრის „ჯადოსნური“ უძლეველობა და საშინელი კოშმარით შეპყრობილი უმალვე უკუიქცა, რის შემდეგაც უკვე გავლილი, დაწყევლილი გზით ხელახლა აღარასოდეს გაივლიან. მან საბოლოოდ დასტოვა რომი, სადაც მის შესახებ დარჩა მხოლოდ საშინელი შეძახილი: „ჰანიბალი კარიბჭეზეა!“ რითაც შემდეგ რომაელი მატრონები და გადიები ახირებულ, გააზიზებულ და ატირებულ ბავშვებს აშინებდნენ.

კაპუის მოსახლეობამ საბოლოოდ დაჰკარგა ჰანიბალისაგან დახმარებისა და საერთოდ ხსნის ყოველგვარი იმედი. ალყა კიდევ უფრო მძიმე შეიქნა. როცა ფულვიუს ფლაკუსი ისევ დაბრუნდა რომიდან და თავისი არმიით მოალყეებს შეუერთდა. საშინლად დამშეული ხალხი მოედანზე იკრიბებოდა და სენატისაგან რაიმე ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა, ზოგი რომთან შერიგების წინადადებას აყენებდა, ზოგიც სიკვდილამდე ბრძოლის განგრძობის მომხრე იყო. ქალაქის ხელმძღვანელობა. სენატი ვეღარ ართმევდა თავს მეტისმეტად დამძიმებულ მდგომარეობას. ყველაზე გავლენიანმა სენატორმა, რომაელთა უდიდესმა მოძულემ და მათ წინააღმდეგ უპირველესმა მებრძოლმა ბ ი ბ ი უ ს ვ ა რ ი უ ს მ ა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ხალხის წინაშე. იგი ყველას მოუწოდებდა არ ეფიქრათ რომთან შერიგებაზე, ეს შეუძლებელიც იყო, და ებრძოლათ მანამ, სანამ არ დაიხოცებოდნენ. შემდეგ ბიბიუსმა ყველა სენატორი, რომელსაც კი არ სურდა რომაელთა სამარცხვინო ტყვეობაში ჩავარდნილიყო, მიიწვია თავის სახლში, ვახშამზე, რათა იქ, ნადიმის შემდეგ, ყველას თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე. მართლაც, 27 მთვრალმა სენატორმა საწამლავით სავსე თასები დასცალეს. ბოლოს ერთმანეთს გადაეხვივნენ, დალუპული სამშობლო დაიტირეს და სიკვდილს მინებდნენ. ზოგიერთი

მათგანი ეზოში სპეციალურად გამზადებულ კოცონზე დასწვა მსახურმა. ასეთი იყო ბიბიუსის ანდერძი. ზოგი კი, ვინც მოისურვა, თავიანთ ოჯახებში დაბრუნდნენ და იქ დალიეს სული.

სენატორთა უმრავლესობა რომთან შერიგების იმედს არ ჰკარგავდა. მათ გაგზავნეს ელჩები რომაელთა ბანაკში და, სიცოცხლის შენარჩუნების საფასურად, ქალაქის ჩაბარება შესთავაზეს.

მეორე დღეს კაპუის ალაყაფი გაიღო და ფულვიუს ფლაკუსი ერთი ლეგიონითა და ცხენოსანთა ესკადრონებით შეიჭრა მასში. მან ძლიერი ყარაული დააყენა კარიბჭეებთან, რომ ქალაქიდან არც ერთი კაცი არ გასულიყო, და მოითხოვა იარაღის დაყრა. რომაელებმა პირველად ჩაიბარეს დატყვევებულ კართაგენელთა გარნიზონი მათი მეთაურებით, ბოსტარითა და ჰანონითურთ. ყველას ბორკილები დაადეს და მონებად აქციეს. ფულვიუსს, მისი ბრძანებისამებრ, სასწრაფოდ მიართვეს 70 გირვანქა ოქრო და 3 200 გირვანქა ვერცხლი. შემდეგ მან ტყვეობის ბორკილები დაადო კაპუის 53 სენატორს; აქედან 28 გაგზავნეს ტ ე ა ნ უ მ შ ი, ხოლო 25 — კ ა ლ ე ს შ ი (ორივე კამპანიის ქალაქია).

პროკონსულები კაპუის სენატორთა დასჯაზე სხვადასხვა აზრისანი იყვნენ. ფულვიუსი მოითხოვდა დაუყოვნებლივ დაესაჯათ ისინი სიკვდილით, ხოლო აპიუს კლავდიუსი აცხადებდა მათ დასჯაზე თავი შეეკავებინათ მანამ, სანამ ამ საკითხს რომში არ გაარჩევდნენ და მასთან დაკავშირებით სენატიდან რაიმე ბრძანება არ მოვიდოდა.

როდესაც ფულვიუსი დარწმუნდა იმაში, რომ მისი კოლეგა მას არ უთმობდა, ღამით, 2 000 მხედრის თანხლებით სასწრაფოდ გაქუსლა ტეანუმში. დილით მივიდა იქ და ბრძანება გასცა მის წინაშე მოეყვანათ დატყვევებული კაპუელი სენატორები. მისივე ბრძანებით ისინი სასტიკად გაჯოხეს, შემდეგ თავები დააყრევინეს. აქედან ფულვიუსი გაეშურა კალესისაკენ. და აი, როცა ის მოსამართლის სკამზე იჯდა და ის იყო სამარცხვინო ბოძებზე მიკრული კაპუელი სენატორებისათვის სიცოცხლე უნდა მოესწრაფებინათ, რომიდან მოვარდა აქაფებულ ცხენზე ამხედრებული შიკრიკი, რომელმაც პროკონსულს გადასცა სენატის წერილობითი ბრძანება. ფულვიუსი მიხვდა, რომ წერილში ნაბრძანები იყო განწირულთა დასჯის გადადება. ამიტომ წერილი გაუხსნელად ჩაიდო ჯიბეში და ლიქტორებს უბრძანა განეგრძოთ თავისი საქმე. როცა ყველა კაპუელ სენატორს თავები გააგდებინეს, ფულვიუსმა გახსნა წერილი და გამოაცხადა ის, რასაც მოელოდა: დასჯილები შეწყალებულები იყვნენ. ის იყო პროკონსული ტრიბუნიდან წამოდგა, ხალხის რიგები გაიპო და გამოიჭრა კამპანიელთა შორის არაჩვეულებრივი სიმამაცითა და პატიოსნებით სახელგანთქმული ც ე რ ი ნ უ ს ვ ი ბ ე ლ ი უ ს ტ ა ვ რ ე ა. ის აღშფოთებული მივარდა პროკონსულთან

და შესძახა: „უბრძანე, მეც მომკვეთონ თავი, რათა შენ შესაძლებლობა გექნეს დაიკვეხო, რომ სიცოცხლეს გამოასალმე კაცი, გაცილებით შენზე უფრო ღირსეული“. — „შენ ჭკუაზე არ უნდა იყო, ტავრეა. მე რომ შენი სურვილი შევასრულო, ამის საშუალებას არ მაძლევს სენატის ახლახან მიღებული ბრძანება“,—უპასუხა მას ფულვიუსმა. მაშინ გაშმაგებულმა კამპანიელმა შეპყვირა: — „მაშ, როცა ჩემი სამშობლო მტრების ულუფად იქცა, როცა ჩემი მეგობრები და ნათესავები დაიღუპნენ, როცა მე ჩემივე ხელით დავკალი საკუთარი ცოლ-შვილი, რომ საძულველი მტრის შეურაცხყოფისაგან მეხსნა, მე წართმეული მაქვს შესაძლებლობა გავინაწილო თანამოქალაქეების მწარე ბედი; დაე, ჩემმა გაბედულებამ მიხსნას საზიზღარი სიცოცხლისაგან“. ამ სიტყვებით ტავრეამ იძრო კაბის ქვეშ დამალული ხანჯალი, მძლავრად ჩაიცა გულში და უსულოდ დაეცა გულქვა რომაელის ფეხებთან.

ამგვარად, 80 კაპუელი სენატორი გამოესალმა სიცოცხლეს. 300-მდე წარჩინებულ მოქალაქეს საპატიმროებში ამოჰხადეს სული. კაპუის მოსახლეობის უმრავლესობა მონებად გაჰყიდეს. რომში დიდხანს იყო ბჭობა იმის შესახებ, თუ როგორ მოქცეოდნენ თვითონ ქალაქს: დაენგრიათ ის, თუ დაეტოვებინათ მკაცრი ქვეშევრდომობის პირობებში. ბოლოს დადგინდა ეს უკანასკნელი აზრი. კაპუა დაუნგრეველი დარჩა, მაგრამ მას წაერთვა ყოველგვარი თვითმმართველობის უფლება — აღარც სენატი, აღარც სახალხო კრება; მისი ოლქები მთლიანად რომის სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს. კაპუის ყოველგვარი საქმეების საწარმოებლად რომიდან ყოველწლიურად იგზავნებოდა სპეციალურად არჩეული პრეფექტი.

კაპუის დაცემამ და დასჯამ როგორც მტრებზე, ისე მეგობრებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ცხადი ხდებოდა, ჰანიბალს უნარი აღარ შესწევდა დაეცვა თავისი მოკავშირენი. ამიტომ ამ უკანასკნელებმა დაიწყეს ფიქრი რომთან შერიგებაზე. ჰანიბალი რომიდან გამობრუნებისთანავე ცდილობდა გაექარწყლებინა კაპუის დაცემით გამოწვეული საყოველთაო შთაბეჭდილება. ის შეიჭრა იტალიის უკიდურეს სამხრეთის რაიონებში და უეცრად დაეცა ქ. რეგიუმს. მაგრამ მისი აღება მაინც ვერ შესძლო.

რომი თანდათან თავისკენ მძლავრად ეზიდებოდა წარმატებათა სადავეებს. ამ მხრივ მის ყველაზე დიდ მონაპოვარს, კაპუის დაცემის შემდეგ, წარმოადგენდა ტარენტუმის ხელახალი აღება.

ტარენტუმის დაბრუნება. მარცელუსის აღსასრული

ეს მოხდა 209 წელს, როცა კონსულის ტოგა მეხუთედ მოისხა მოხუცმა ფაბიუს მაქსიმე კუნქტატორმა. მან შეუთვალა თავის კოლე-

გას ქვინტუს ფულვიუს ფლაკუსს (კონსული მეოთხედ) და პროკონსულ მარცელუსს რადაც არ უნდა დასჯდომოდათ ხშირი თავდასხმებით შეებოჭათ ჰანიბალი მანამ, სანამ თვითონ ჩაიგდებდა ხელში ტარენტუმს.

ფაბიუსმა ალყა შემოარტყა ტარენტუმს. ხუთი დღის ალყის შემდეგ მოახერხა „ციხის შიგნიდან გატეხვის“ გზით ჩაეგდო ქალაქი ხელში. ტარენტუმში ჰანიბალს დატოვებული ჰყავდა ბრუტიელთაგან შემდგარი გარნიზონი. წყაროთა ცნობით, ამ გარნიზონის უფროსს ძლიერ უყვარდა ქალაქში მცხოვრები ერთი ახალგაზრდა ქალი, რომლის ძმაც ფაბიუსის არმიაში მსახურობდა. სარდალმა შეიტყო ეს ამბავი და ქალის ძმა, სათანადო ინსტრუქტირების შემდეგ, საიდუმლოდ შეგზავნა ქალაქში. აქ მან თავისი დის მეოხებით მოახერხა თავდავიწყებამდე მისული გარნიზონის უფროსის გადმობირება. შეთანხმდნენ შეტევის დღისა და კედლის იმ ნაწილის დანიშვნაზე, სადაც რომაელებს ქალაქში გადასვლა უნდა მოეწყოთ. მართლაც, დანიშნული დღისათვის ფაბიუსმა არმიიდან გამოჰყო ძლიერი რაზმები და მოღალატე კომენდანტის მიერ ნაჩვენებ კედელთან ჩაასაფრა. როცა მთელი ქალაქის გარშემო როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან, რომაელებმა ძლიერი საბრძოლო ყიჟინით იერიშები მიიტანეს და ალყაში მოქცეულნი მათ წინააღმდეგ თავდაცვითი ომით გაერთვნენ, ფაბიუსმა, ქალაქიდან სათანადო ნიშნის მიღებისთანავე, კედელი გადალახა და ქალაქში შეიჭრა. დრო იშოვნა აკროპოლისში ჩაკეტილმა რომაულმა გარნიზონმა, რომელიც ქუჩებში საბრძოლველად სასწრაფოდ გამოიყვანა მისმა უფროსმა მარკუს ლივიუსმა. სულ მალე ტარენტუმი, ბრწყინვალე და მდიდარი ქალაქი, რომაელთა ძარცვა-ნგრევის კერძად იქცა. ფაბიუსმა ჯარისკაცებს უფლება მისცა მთლიანად გაეძარცვათ ქალაქი. უზარმაზარი დავლა დაგროვდა. 3 000 ტალანტი (=4 500 000 მან.) შეემატა რომის ხაზინას. ტარენტუმის 30 000 მცხოვრები რომაელებმა მონებად აქციეს. ერთადერთი, რაც ფაბიუსს ტარენტუმიდან არ გაუტანია, იყო ღმერთთა ქანდაკებანი; „დავუტოვოთ ტარენტუმელებს მათი განრისხებული ღმერთებიო,“—დაცინვით უთქვამს მოხუც კუნქტატორს. მაგრამ მან მაინც წაიღო ჰერაკლეს[1] უზარმაზარი ქანდაკება და დიდებული ტრიუმფის შემდეგ კაპიტოლიუმის ტაძარში თავისი, ცხენზე ამხედრებული ქანდაკების გვერდით დადგა.

მარკუს ლივიუსი ცდილობდა ფაბიუსისათვის წაერთმია ტარენტუმის აღების პატივი; „ტარენტუმის აღების მიზეზი — ეს მე ვარ“, —

---

[1] ჰ ე რ ა კ ლ ე (ბერძნებთან), იგივე ჰ ე რ კ უ ლ ე ს ი (რომაელებთან) — ბერძენთა უდიდესი მითოლოგიური გმირი.

უთქვამს მას სენატის სხდომაზე. „შენ მართალი ხარ: რომ შენ ტარენტუმი არ დაგეკარგა, მე მისი ხელახლა აღება აღარ დამჭირდებოდა“ — სიცილით უპასუხნია ჭკვიან მოხუცს.

ჰანიბალი იგერიებდა მასზე დადეგნებულ ფულვიუსისა და მარცელუსის ჯარებს და გამწარებით მიიწევდა ტარენტუმის გადასარჩენად. ის სულ რამდენიმე კილომეტრზე მიუახლოვდა ქალაქს, როცა მისი დაცემის ამბავი შეიტყო. „რომაელებს ჰყავთ თავისი ჰანიბალი; ჩვენ დავკარგეთ ტარენტუმი იმავე გზით, რა გზითაც ავიღეთ ის,“—წამოიძახა მძიმედ ჩაფიქრებულმა ჰანიბალმა.

მაგრამ უკვე სისხლისაგან დაცლილმა ფინიკიელმა ამ წლებში კიდევ შესძლო რამდენიმე გამარჯვების მოპოვება. ჯერ კიდევ ტარენტუმის აღებამდე, 210 წელს, მან აპულიაში სასტიკად გაანადგურა რომაელთა დიდი არმია, რომელსაც პროკონსული გ ნ ე უ ს ფ უ ლ ვ ი უ ს ც ე ნ ტ უ მ ა ლ უ ს ი სარდლობდა. ბრუციუმში მყოფ ჰანიბალს მისმა მსტოვრებმა აცნობეს, რომ ფულვიუსი მზად იყო თავდასხმა მოეწყო აპულიის ქალაქ ჰ ე რ დ ო ნ ე ა ზ ე, რომელიც კანეს ბრძოლის შემდეგ კართაგენელებს ემორჩილებოდა. მსტოვრები იმასაც იტყობინებოდნენ, რომ ჰერდონეის მცხოვრებნი კაპუის დაცემის შემდეგ მერყეობდნენ და დღეს ან ხვალ თუ საჭირო ზომები არ იქნებოდა მიღებული, რომაელებს გაუღებდნენ კარს. ამიტომ ჰანიბალი სრულიად მოულოდნელად, ისე რომ ამის შესახებ ხმამ გავრცელებაც კი ვერ მოასწრო, არაჩვეულებრივი სისწრაფით გაჩნდა აპულიაში, სწორედ იმ დღეს, როცა ფულვიუსი ქალაქზე თავდასასხმელად აწყობდა ჯარებს.

ფულვიუსი მოულოდნელად მოვარდნილ მტერს მედგრად დახვდა. სასტიკ, თავგანწირულ შეტაკებათა მოწინავე რიგებში დაჰქროდა ჰანიბალი და მოაგონებდა თავისიანებს, რომ ამ ორი წლის წინ ამავე ოლქში მათ გაანადგურეს სხვა ფულვიუსი და ახლა მისი თანამოსახელეც გაჰყვება მის კვალს. რომაელთა ლეგიონერები ჩვეულებრივი მხნეობითა და ხელოვნებით ამსხვრევდნენ კართაგენელთა მძლავრ იერიშებს. ჰანიბალმა ნიშანი მისცა და სწრაფად დაიძრენ ნუმიდიელ მხედართა ესკადრონები. და მაშინ, როცა რომაულ ლეგიონთა საბრძოლო დროშები დაუხრელად მიაპობდნენ მოწინააღმდეგის რიგებს, ზურგიდან მოისმა ცხენების თქარათქური და გამაყრუებელი ყიჟინა. რომაელები ალყაში მოექცნენ. ეს იყო „მცირე კანე“. სალტეში მოქცეულთაგან ცოცხალი აღარავინ გადარჩენილა. 13 000 რომაელი დაეცა ბრძოლის ველზე, მათ შორის თვით პროკონსული ფულვიუსი და თერთმეტი სამხედრო ტრიბუნი. კართაგენელებს დიდძალი დავლა ჩაუვარდათ ხელში.

ჰანიბალმა, იცოდა რა ჰერდონეა რომაელთა მხარეზე გადასვლას აპირებდა, მისი მოსახლეობა აჰყარა და სამხრეთში, ქ. თერიუმში გადაასახლა, ხოლო თვით ქ. ჰერდონეა ცეცხლს მისცა.

რომში ახალი გლოვა და ვაი-ვიში გამოიწვია ჰერდონეას მარცხმა. მარცელუსი, რომელიც ამ დროს მეოთხედ იყო კონსულად არჩეული, სამნიუმიდან წერდა სენატს: ნუ გეშინიათ, მე, რომელსაც შემიძლია გავანელო ჰანიბალის საბრძოლო ცეცხლი, სულ მალე ავიღებ დაღუპულ რომაელთა სისხლსო.

208 წელს მარცელუსი მეხუთედ აირჩიეს კონსულად. მას გადაწყვეტილი ჰქონდა სადმე გენერალურ ბრძოლაში ჩაეთრია თავისი დიდი მოწინააღმდეგე და მისი განადგურებით საბოლოოდ დაემკვიდრებინა უპირველესი სარდლისა და უმაღმაცესი მეომრის სახელი.

მარცელუსმა შეიერთა მეორე კონსული, ქ ვ ი ნ ქ ც ი უ ს კ რ ი ს პ ი ნ უ ს ი, და გაეშურა აპულიაში ჰანიბალთან შესახვედრად. ქ. ვ ე ნ უ ზ ი უ მ ი ს მახლობლად რომაელები სამ კილომეტრზე მიუახლოვდნენ კართაგენელთა ბანაკებს და თვითონაც დაბანაკდნენ.

მოწინააღმდეგეთა შორის ტყით დაფარული მაღლობი იყო აღმართული. ჰანიბალმა აქ ჩაასაფრა მსუბუქად შეიარაღებულ მეომართა რაზმები.

ორივე კონსული, მარცელუსი და კრისპინუსი, 220 ცხედრის თანხლებით თვითონ გაეშურნენ მაღლობის დასაზვერავად. როგორც კი ისინი ხეობაში შევიდნენ, უეცრად მათ გარს შემოერტყნენ ჰანიბალის მეომრები. საშინელ შეტაკებაში მარცელუსი მძიმედ დაიჭრა გვერდში და ცხენიდან გადმოვარდა. ის ერთ ხანს კიდევ მხნედ იგერიებდა მტრის თავდასხმებს, მაგრამ მალე მას მკერდში რამდენიმე სათხედი მოხვდა და გულგანგმირული დაეცა დახოცილ თანამებრძოლთა გვამებზე. ორგან მძიმედ დაიჭრა მეორე კონსულიც, კრისპინუსი. დაიჭრა, აგრეთვე, მარცელუსის ჯვილიც, რომელიც მამაცურად იბრძოდა მამის გვერდით. მათ მცირერიცხოვანი რაზმით ძლივს დააღწიეს თავი ბრძოლის ველს. 40 იტალიელი დარჩა საბედისწერო ხეობაში, 15 ლიქტორი და 18 ცხენოსანი ჩაიგდეს კართაგენელებმა ტყვედ. რამდენიმე დღის შემდეგ მძიმე ჭრილობებისაგან გარდაიცვალა კრისპინუსი. ამგვარად, ამ მცირე შეტაკებაში ორივე კონსული დაიღუპა, რაც მანამდე რომის ისტორიამ არც კი იცოდა.

ჰანიბალი დიდხანს დასცქეროდა მის წინ გაშხლართულ ვეება ვაჟკაცს, რომაელთა დიდებასა და იმედს, რომის „მახვილად" წოდებულ მარცელუსს. ჰანიბალმა ხელიდან წააძრო მას გერბიანი ბეჭედი და შემდეგ ხოტბა შეასხა ღირსეული მოწინააღმდეგის მეომრულ სიმამაცეს, მაგრამ გაჰკიცხა როგორც დაუკვირვებელი სარდალი. მან დაფ-

ნის გვირგვინით შეამკო მარცელუსის თავი, კონსულის ძოწეულ მანტიაში შეახვია მისი გვამი და დიდის პატივით დასდო კოცონზე. მისი ფერფლით ავსებული ძვირფასი ურნა ჰანიბალმა ოქროს გვირგვინით შეამკო და ასე გაუგზავნა მის შვილს, ახალგაზრდა მარცელუსს, რომელმაც, თვითონ დაჭრილმა, ვერ მოახერხა ბრძოლის ველიდან ღირსეული მამის გაყვანა, როგორც ეს შესძლო ახალგაზრდა სციპიონმა ტიცინუსის ბრძოლაში.

ახლა ვნახოთ რა ხდებოდა ესპანეთში, საიდანაც ჰანიბალი ამ სახლიანი ათი წლის მანძილზე ელოდებოდა იტალიაში ახალი არმიის ჩამოსვლას. მანამდე იგი იძულებული იყო სამხრეთ იტალიაში ჩაკეტილიყო და მასზე მისეული მამაცი „მგლის ნაშიერნი" მოეგერიებინა.

ესპანეთის ამბები. სციპიონი

217 წლიდან ძმები სციპიონები, პუბლიუსი და გნეუსი, ესპანეთში წარმატებით ებრძოდნენ ჰასდრუბალ ბარკას.

სციპიონებმა რამდენიმე გამარჯვების მოპოვებისათვის რომაული დიპლომატიის ასპარეზი აფრიკაში გადაიტანეს. აქ იმ დროს რომაელთათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. კართაგენის სამხრეთით მდებარე ნუმიდია, საიდანაც კართაგენელები საუკეთესო კავალერიას ღებულობდნენ, 215 წლისათვის ორ ნაწილად იყო გათიშული: აღმოსავლეთში განაგებდა მეფე გ ა ლ ა, ხოლო დასავლეთში — ახალგაზრდა მთავარი ს ი ფ ა ქ ს ი. სიფაქსმა უარი განაცხადა კართაგენელთა წინაშე ქედის მოხრაზე და ურთიერთობა გააბა რომაელებთან.

სციპიონების მიერ გაგზავნილი ელჩები, ცენტურიონები, გამოცხადდნენ სიფაქსთან და მოუწოდეს მას კართაგენის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, სამაგიეროდ რომთან მეგობრობისა და მასთან სრული მხარდაჭერის პირობა დაუდეს.

214 წლის გაზაფხულზე სიფაქსი შეიჭრა კართაგენელთა სამფლობელოებში. მან სასტიკად დაამარცხა კართაგენის სახელდახელოდ შეკრებილი არმია. ამგვარად, კართაგენს ახალი საშიშროება მიადგა კარს. სენატმა სასწრაფოდ გამოიძახა ჰასდრუბალი ესპანეთიდან.

ჰასდრუბალ ბარკა ესპანური ჯარებით გაჩნდა აფრიკაში და შეუდგა სიფაქსის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია აღმოსავლეთ ნუმიდიის მეფის გალას შვილმა მ ა ს ი ნ ი ს ა მ, რომელიც მაშინ 17 — 18 წლისა იყო. მასინისა, რომელმაც შემდეგ რომისა და აფრიკის ურთიერთობათა საქმეში დიდი როლი ითამაშა, ცნობილი იყო როგორც ახოვანი, შესანიშნავი სილამაზის, ფიზიკური ძალღონისა და შეუდარებელი სიმამაცის მქონე კაცი. გადმოგვცემენ, რომ მას დღეღამეების განმავლობაში მშიერ-მწყურვალს შეეძლო ცხენით ჯირითი,

მთელი დღის განმავლობაში ერთ ადგილზე გაუნძრეველად დგომა ან ჯდომა. ის ბერძნულ კულტურაზე იზრდებოდა და კართაგენში დიდი ხნის ცხოვრებით ჯერჯერობით მისდამი პატივისცემასაც ინარჩუნებდა. ამჯერად მისთვის, აღმოსავლეთ ნუმიდიის უფლისწულისათვის, ხელსაყრელი არ იყო სიფაქსის გაძლიერება და ამიტომ ის მრავალრიცხოვანი შესანიშნავი კავალერიით სიამოვნებით დადგა ჰასდრუბალ ბარკას საბრძოლო დროშის ქვეშ.

სიფაქსი სასტიკად დამარცხდა და იძულებული გახდა ისევ კართაგენის მბრძანებლობას დამორჩილებოდა.

212 წლის მიწურულში ჰასდრუბალი თავისი არმიისა და მასინისას თანხლებით დაბრუნდა ესპანეთში. აქ მან ნახა, რომ მოწინააღმდეგეს ამ სამი წლის მანძილზე კიდევ მეტი წარმატებებით უწარმოებია დასავლეთისაკენ წინსვლა. მას ხელში ჩაუგდია ქ. საგუნტი და 20 000 კელტიბერი თავის საბრძოლო დროშათა ქვეშ დაუყენებია.

211 წელს სციპიონებსა და ბარკიდებს შორის გადამწყვეტი ბრძოლები მოხდა. ამ დროისათვის კართაგენელებს ესპანეთში სამი არმია ჰყავდათ. ერთ მათგანს სათავეში ედგა თვით ჰასდრუბალ ბარკა, ხოლო დანარჩენ ორს, რომლებიც ერთიმეორის გვერდით იდგნენ, სარდლობდნენ მაგონი და ჰასდრუბალ გისკონის-ძე.

სციპიონებმა თავისი არმია ორად გაინაწილეს. ისინი ითვალისწინებდნენ მოწინააღმდეგის არმიათა ერთდროულ და ცალ-ცალკე განადგურებას. პუბლიუსი, რომელსაც ჰყავდა არმიის ორი მესამედი ნაწილი, გაეშურა მაგონისა და ჰასდრუბალ გისკონის-ძის წინააღმდეგ, ხოლო გნეუსი დანარჩენი ჯარებით — ჰასდრუბალ ბარკასკენ.

როგორც კი გნეუს სციპიონი ჰასდრუბალ ბარკას არმიას მიუახლოვდა და დაბანაკდა, მისმა ესპანელმა მოკავშირეებმა სასწრაფოდ დაიწყეს ბანაკის დატოვება: ჰასდრუბალს დროზე გაუგზავნია მათთან მათივე თანამოძმენი და შეუთვლია სასწრაფოდ დაეტოვებინათ რომაელთა ქვეშევრდომობა, კვლავ კართაგენელთა არმიას შეერთებოდნენ, თუ სურდათ დიდი ჯილდოები მიეღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ მალე, რომაელთა უეჭველი განადგურების შემდეგ, სასტიკად დაისჯებოდნენ. გნეუსმა ვერ შესძლო შეეჩერებინა ბარბაროსები, რომლებიც ასე ადვილად ღალატობდნენ როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. ისინი სარდლის შეკითხვაზე მხოლოდ იმას პასუხობდნენ, რომ ჩვენ არავის მხარეზე არ გვსურს ვიომოთ, ჩვენ ჩვენს სახლებში მივდივართო. 20 000 კელტიბერმა დასტოვა მისი არმია. ამის შემდეგ გნეუს სციპიონს ფიქრიც აღარ შეეძლო ჰასდრუბალთან გენერალური ბრძოლის გამართვაზე. ის სასწრაფოდ შეუდგა უკან დახევას აღმოსავლეთისაკენ. კართაგენელები ფეხდაფეხ მისდევდნენ მას.

ამავე დროს მაგონისა და ჰასდრუბალ გისკონის-ძის მახლობლად დაპანაკებულმა პუბლიუს სციპიონმა შეიტყო, რომ მოწინააღმდეგეს-თან შესაერთებლად 7 500 ესპანელი მეომრით მოემართებოდა მათი ბელადი ინდიბილისი. პუბლიუსმა ბანაკის გასამაგრებლად მცირე გარნიზონით დასტოვა ლეგატი ტიტე ფონტეუსი, თვითონ კი ღამით მთელი არმიით გაეშურა ინდიბილისთან შესახვედრად, რათა გაენადგურებინა ის, სანამ მოწინააღმდეგეს შეუერთდებოდა. მართლაც, სწრაფად მიმავალი პუბლიუსი წინ შეეყარა მას და მაშინვე გაუმართა ბრძოლა. მაგრამ კარგად დაწყებული საქმე მალე უკუღმა დატრიალდა. პუბლიუსმა ანგარიში ვერ გაუწია იმას, რომ მაგონი და ჰასდრუბალ გისკონის-ძე ფეხდაფეხ მისდევდნენ მას. მალე რომაელთა არმიას ძლიერად დაარტყეს კართაგენელებმა. პუბლიუსი თავის ლეგიონებთან ერთად მაინც არ ჰკარგავდა მხნეობას. კართაგენელთა არმია შედრკა კიდეც და ის იყო მტკიცედ შეკრული რომაული კოჰორტების შეტევისაგან დაშლილი მათი რიგები უკანდასახევად ემზადებოდნენ, რომ პუბლიუსის არმიის ფლანგებს მძლავრი იერიშებით თავს დაესხა ნუმიდიური კავალერია, რომელსაც მასინისა სარდლობდა. კართაგენელები გამხნევდნენ და ახალი ენერგიით მიესივნენ მტერს. რომაელთა არმია რკინისებურ ალყაში მოექცა. პუბლიუსი პირადი სიმამაცითა და მხნეობით ცდილობდა თავისიანთა სიმტკიცის შენარჩუნებას. მაგრამ როცა გმირი რომაელი სარდალი მარჯვენა გვერდში მტრის შუბისაგან სასიკვდილოდ დაიჭრა, ცხენიდან უსულოდ გადმოვარდა და მისი სიკვდილის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა, რომაელებმა საბოლოოდ დაჰკარგეს გამარჯვების იმედი. მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მოახერხა სალტის გარღვევა, მაგრამ მრავალი მათგანი გაქცევისას ნუმიდიელმა მხედრებმა აჰკაფეს. მხოლოდ მცირე რაზმებმა მოახერხეს თავის გადარჩენა, ისიც უკვე ჩამომდგარი ღამის წყალობით.

გამარჯვებული მაგონი და ჰასდრუბალ გისკონის-ძე თავიანთი არმიებით გაეშურნენ მთავარსარდლისაკენ და შეუერთდნენ მას. გნეუს სციპიონმა არაფერი იცოდა მისი ძმის უბედურების შესახებ, მაგრამ საშინელი ეჭვები აღეძრა, როცა დაინახა, რომ მტრის სამივე არმია გაერთიანებული იდგა მის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ, კარგი ამბავი რომ ყოფილიყო, პუბლიუსი არ დაუშვებდა მოწინააღმდეგის ჯარების ასეთ მოულოდნელად გაერთიანებას. საშინელი წინათგრძნობებით შეპყრობილ გნეუს სციპიონს მაინც არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ კვლავ განეგრძო უკანდახევა მდ. იბერისაკენ. ერთი ღამის განმავლობაში მან მოახერხა შორს ჩამოეტოვებინა მტრის ბანაკები, მაგრამ დღის ბოლოს წამოეწივნენ ნუმიდიელ მხედართა რაზმები და სწრაფი თავდასხმებით დაუწყეს მას აფორიაქება.

ერთ-ერთ მაღლობზე რომაელებს წამოეწივნენ მტრის ქვეითი ჯარებიც. მაღლობი, სადაც რომაელებს თავდაცვა უნდა მოეწყოთ, ურომლისოდაც მტრის გამკლავება შეუძლებელი იყო, წარმოადგენდა მთლიანად შიშველსა. და კლდოვან ადგილს. ასე რომ მათ არ შეეძლოთ არც სანგრების გათხრა, არც მიწაყრილებითა და ხეებით თავდაცვითი ზღუდეების მოწყობა. ამიტომ გნეუსმა ბრძანება გასცა აეგოთ ბარიკადები ყველაფრით, რაც ხელში მოხვდებოდათ, აღალით, სურსათის ტომრებით, ამუნიციით, ქვითა და სხვ. მაგრამ, რასაკვირველია, ასეთი თავდაცვა დიდხანს ვერ შეაჩერებდა მრავალრიცხოვანი მტრის იერიშებს. კართაგენელები შეიჭრენ მოწინააღმდეგის პოზიციებში. რომაელთა უმრავლესობა, მიუხედავად მათი ჩვეულებრივი სიმედგრისა და სიმამაცისა, მთლიანად გაიყლიტა, მხოლოდ მცირე რაზმებმა გაასწრეს სიკვდილს და შეუერთდნენ პუბლიუსის პირველ ბანაკს, სადაც თავს აფარებდა ლეგატი ტიტე ფონტეუსი.

ბრძოლაში დაიღუპა თვით გნეუსი. ეს მოხდა მე-29 დღეს მისი ძმის, პუბლიუსის დაღუპვის დღიდან.

რომაულ არმიათა ნაშთები შეაერთა და შეამჭიდროვა გნეუს სციპიონის აღზრდილმა მხედარმა ლ უ ც ი უ ს მ ა რ ც ი უ ს მ ა. მან შესანიშნავი ორგანიზებულობით გადმოიყვანა გადარჩენილი მეომრები მდ. იბერის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ის ცდილობდა რადაც არ უნდა დასჯდომოდა რომიდან ახალი ჯარების ჩამოსვლამდე შეენარჩუნებინა უკანასკნელი პლაცდარმი პირენეის ნახევარკუნძულზე — ოლქი იბერსა და პირენეის მთებს შორის.

ამრიგად, რაღაც ერთი თვის მანძილზე ესპანეთში საბრძოლო მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. რომაელებმა, დიდ არმიებთან და მამაც სარდლებთან ერთად, მთლიანად დაჰკარგეს ის შესანიშნავი პოზიციები, საიდანაც უმოკლეს ხანში უნდა მოესპოთ კართაგენელთა ბატონობა ესპანეთში და ამით საბოლოოდ აღეკვეთათ იტალიაში მრისხანე ლაშქრობის განმეორების საფრთხე. ყველაფერი პირაღმა შეტრიალდა. იტალიის ცის თაღზე კვლავ დაეკიდა თავზარდამცემი პუნიკური „დამოკლეს მახვილი“.[1]

211 წლის შემოდგომაზე, კაპუის დაცემის შემდეგ, ესპანეთში და-

---

[1] „დამოკლეს მახვილი“ — ყოველ წუთს მოსალოდნელი საფრთხე, გადმოცემის თანახმად, სირაკუზის ტირანმა დ ი ო ნ ი ს ე უ ფ რ ო ს მ ა (V ს. ძვ. წ.) მდიდრული ნადიმის დროს თაეის ტახტზე დასვა მისი უახლოესი პირი დ ა მ ო კ ლ ე, რომელიც შუადამ შესტრფოდა ტირანის ბედს და შურით ივსებოდა მის მიმართ. განცხრომაში მყოფმა დამოკლემ ზემოთ აიხედა და დაინახა მის პირდაპირ, ჭერზე, ერთ ღერო ცხენის ძუაზე ჩამოკიდებული ბასრი მახვილი. შიშით შეპყრობილი დამოკლე ყოველ წამს მოელოდა ძეის გაწყვეტას და მომაკვდინებელი მახვილის თავში დაცემას.

კარგული მდგომარეობის აღსადგენად ორი ლეგიონით — 12 000 ქვეითი და 1 100 ცხენოსანი მეომრით — გაიგზავნა პროპრეტორი გ ა ი უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს ნ ე რ ო ნ ი, რომელმაც სახელი გაითქვა კაპუის ალყისა და აღების დროს. მან მარციუსისაგან შეიერთა ესპანეთში განადგურებულ არმიათა ნაშთები და კვლავ გადალახა მდ. იბერი. ის ცდილობდა დაებრუნებინა ყველა ოლქი, რომლებიც სციპიონებს ეჭირათ მათს დაღუპვამდე. მაგრამ ნერონმა ეს ვერ შესძლო. ის მხოლოდ ხელს უშლიდა კართაგენელთა შემდგომ წინსვლას აღმოსავლეთისაკენ. მოხერხებული ჰასდრუბალი ყოველ გადამწყვეტ მომენტში ადვილად ახერხებდა მამაცი. მაგრამ გულუბრყვილო ნერონის მოტყუებას და მის წარმატებათა გაბათილებას. ასეთ მაგალითად წყაროებში მოტანილია ამბავი, რომელიც მოხდა იბერის დასავლეთ სანაპიროს მახლობლად, ე. წ. „შავი ქვის“ ხეობაში. აქ ნერონმა მოახერხა ხეობაში ჩაეკეტა ჰასდრუბალის არმია ისე, რომ მას გასასვლელი არსაით ჰქონოდა. მაშინ ჰასდრუბალმა მოლაპარაკება გამართა რომაელ სარდალთან. თუ მოვრიგდებით და არმიას ამ ჩიხიდან გამომაშვებინებ, ესპანეთს სულ მივატოვებთ და აფრიკაში დავბრუნდებითო, — ჰპირდებოდა ცბიერი ფინიკიელი. ნერონის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ მან ცერ შენიშნა, რომ სანამ ჰასდრუბალი რამდენიმე დღის მანძილზე მოლაპარაკებას აჭიანურებდა, ღამეების განმავლობაში ხეობიდან თითო-თითოდ და რაზმეულებად მთელი კართაგენული არმია გაიპარა. რა თქმა უნდა, ასეთი სარდალი ესპანეთიდან მოსალოდნელ საფრთხეს ვერ აღკვეთავდა.

ჰანიბალის მიერ რომის წინააღმდეგ მოწყობილი პროვოკაციული ლაშქრობის შემდეგ განსაკუთრებით ნათელი შეიქნა, რომ ის ამიერიდან ნაკლებ საშიში იყო. მას, სისხლისაგან დაცლილს, აღარ შეეძლო კანეს განმეორება. ახლა რომისათვის ყველაზე საშიში ესპანეთის ფრონტი იყო და სწორედ იქ უნდა მომხდარიყო ძირითად ძალთა კონცენტრაცია, რომელსაც სათავეში უნდა ჩასდგომოდა ყველაზე უფრო ნიჭიერი და პოპულარული სარდალი. ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი ღირსეული რომაელი, რომლისთვისაც სვებედნიერ ფორტუნას უნდა მიენიჭებინა რომის გადარჩენის ხელმძღვანელობა საშინელი ფინიკიური „პანდორასაგან?“[1]

---

[1] პ ა ნ დ ო რ ა — ბერძნული მითოლოგიით: როცა პრომეთემ ზევსს ცეცხლი მოსტაცა და ხალხს მიუტანა, განრისხებული ზევსის ბრძანებით ჰეფესტომ (მჭედელი ღმერთი) შექმნა ქალწული, რომელსაც ღმერთებმა თავის მხრივ ყველამ რაღაც მისცეს (აქედან: „პან დორა“, რაც ყველასაგან ბოძებულს ნიშნავს): ათინამ — ქალური მოხერხებულობა, აფროდიტემ — სილამაზე, მომხიბვლელობა და ცნობისმოყვარეობა, ჰერმესმა — გაბედულება და ცბიერება. ამის შემდეგ, ზევსის სურვილით, პანდორა გაჩნდა პრომეთეს ძმასთან, ეპიმეთესთან, რომელიც გაფრთხილებული იყო (პრო-

210 წლის ბოლოს ესპანეთის პროკონსულის, მთავარსარდლის არჩევისათვის მარსის ველზე შეიკრიბა რომის ხალხმრავალი კომიციები. კონსულმა გახსნა სახალხო კრება და მოუწოდა კანდიდატებს. მაგრამ ვერავინ ბედავდა მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე თავისი თავის წამოყენებას. როგორც წყაროები გადმოგვცემენ, არც სენატს, არც კონსულებს ესპანეთის პროკონსულის კანდიდატურად არავინ ჰყავდათ გათვალისწინებული. აჩოჩქოლებული ხალხი კარგახანს მოუთმენლად უცქერდა ცარიელ ამაღლებულ ადგილს, სადაც უნდა მდგარიყვნენ თეთრ ტოგაში გახვეული კანდიდატები[1]. უეცრად იქ გამოჩნდა მაღალი, მშვენიერი, მამაცური შესახედაობის გრძელხუჭუჭთმიანი, ჭკვიანი გამომეტყველების ახალგაზრდა კაცი. ეს იყო 25 წლის პუბლიუს კორნელიუს სციპიონი. მან მტკიცედ განაცხადა სურვილი ესპანეთის პროკონსულობისა და მთავარსარდლობის მიღებაზე.

ახალგაზრდა სციპიონი კარგად ნაცნობი და საკმაოდ პოპულარული კაცი იყო რომში. იგი ადრიდანვე იპყრობდა ყურადღებას როგორც მამაცი მეომარი, რომელმაც თავი გამოიჩინა ტიციენუსის შეტაკებაში, სადაც გაშმაგებულ მტერს ხელიდან გამოგლიჯა მძიმედ დაჭრილი მშობელი. შემდეგ ახალგაზრდა სამხედრო ტრიბუნი სციპიონი რომაელთა შორის ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც კანეს კატასტროფისას შეინარჩუნა არაჩვეულებრივი სიმტკიცე, მხნეობა და წინდახედულობა; ამასთან, ხალხი მას იცნობდა როგორც უაღრესად განათლებულს, ელინურ კულტურაზე აღზრდილს, ნამდვილი რომაული სიამაყისა და სიმტკიცის განსახიერებას, ყველას მიმართ ზედმიწევნით თავაზიანს, მეგობართა თაყვანისცემისა და მშვენიერ ქალთა ტრფობის საგანს, მაგრამ ამ უკანასკნელთა მიმართ ზედმიწევნით თავდაჭერილსა და ზომიერს; სულგრძელ რაინდსა და თავის „ბედის ვარსკვლავის“ უტყუარობაში განუზომლად, რელიგიურ-მისტიკურად თვითდარწმუნებულს; თუმცა ის არ იყო სამხედრო გენია, რომელიც, თუნდაც მის უმაღლეს მწვერვალზე ყოფნის დროსაც ვერ გასწორებია ჰანიბალის უბადლო ტა-

---

მეთესაგან) არაფერი მიეღო ზევსისაგან საჩუქრად. მაგრამ ეპიმეთე წინდაუხედავი და გულმავიწყია. მას არ ახსოვს ძმის დარიგება. მან მიიღო პანდორა, რომელმაც ეპიმეთეს სახლში თავი მოჰხადა რაღაც ყუთს. საიდანაც ელვის სისწრაფით ამოფრინდნენ უთვალავი უბედურებანი, ავადმყოფობანი, მწუხარებანი და გავრცელდნენ ხალხში. როცა პანდორამ ყუთს ხუფი ისევ დაჰხურა, მასში მოემწყვდა იმედი. ამგვარად, პანდორა ყოველგვარი უბედურების სიმბოლოდ იქცა.

[1] ლათინური სიტყვა candidatus თეთრ ტანსაცმელში ჩაცმულს ნიშნავს. წარმოსდგება სიტყვისაგან candidus, რაც ქათქათა თეთრს ნიშნავს. რომში უმაღლესი მაგისტრატურის დასაკავებლად დასახელებულ პირს, კანდიდატს, თეთრი ტოგა (toga candida) უნდა ჰქონოდა მოსხმული.

ლანტს. მაგრამ სციპიონის კარიერას ეს ხელს ვერ შეუშლიდა, რადგან რომმა ჯერ კიდევ არ იცოდა თავისი პირმშო გენიალური სარდლები. ამჯერად ყველას ისევ ახალგაზრდა სციპიონი სჯობდა.

სციპიონმა მანამდე მხოლოდ სამხედრო ტრიბუნისა და ედილის თანამდებობები გაიარა, რადგან იგი უმაღლესი მაგისტრატურის მიღებისათვის ჯერ ისევ მცირეწლოვანი იყო. ამიტომაც მოხდა, რომ, როცა ჯერ კიდევ 212 წელს მას ედილად არჩევისას ხალხი მხარს უჭერდა, მაგრამ ტრიბუნები უარს ეუბნებოდნენ ასაკის, ცენზის არასაკმარისობის გამო, მან განაცხადა: „თუ ქვირიტებს სურთ, რომ ედილი ვიქნე, მაშინ მე საკმაოდ ასაკოვანი ვყოფილვარ ამ თანამდებობისათვის“.

ახლაც, როცა ის თავის თავს ესპანეთის პროკონსულობისა და მთავარსარდლობის კანდიდატურად აყენებდა, აქა-იქ გაისმა კიდეც წინააღმდეგობის ხმები: თუ მხედველობაში იმას არ ვღებულობთ, რომ სციპიონების გვარი საშინელი ტრაგედიების სიმბოლოს წარმოადგენს, ის მაინც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალი კანდიდატურა უმაღლესი მაგისტრატურისათვის უასაკოაო. მაგრამ სახალხო კრებამ ერთიანად მისცა ხმა სციპიონის დანიშვნას.

ამგვარად, სციპიონი გაეშურა ესპანეთში, საიდანაც ჰანიბალმაც სწორედ 25 წლის ასაკში მყოფმა დაიწყო თავისი სახელოვანი სამხედრო ისტორია. ორივემ, დიდმა სარდლებმა და დიდმა მტრებმა, 25 წლის ასაკში დაიწყეს თავისი საშხედრო კარიერა, ორივემ უცხო ქვეყანაში, ორივემ ესპანეთში.

სციპიონმა 209 წლის დასაწყისში 30 გემისაგან შემდგარი ფლოტით ესპანეთში ჩაიყვანა ახალი არმია, რომელიც 10 000 ლეგიონერისა და 1000 ცხენოსნისაგან შედგებოდა. მას თანაშემწედ თან ახლდა მ ა რ კ უ ს ი უ ნ ი უ ს ს ი ლ ა ნ უ ს ი, გამოცდილი სარდალი და პროპრეტორი (რომელსაც უნდა შეეცვალა ნერონი) და ფლოტის ადმირალი, სციპიონის უახლოესი მეგობარი გ ა ი უ ს ლ ე ლ ი უ ს ი.

ტარაკონიის მახლობლად, მდ. ებროს (იბერი) ჩრდილოეთით თავი მოიყარა ყველა რომაულმა ჯარმა. სციპიონის ხელქვეით დაახლოებით 32 000 მეომარი დადგა.

გაზაფხულზე სციპიონმა მდ. იბერის სანაპიროების დასაცავად 3 000 ქვეითისაგან და 300 ცხენოსნისაგან შემდგარი ჯარით დასტოვა სილანუსი. თვითონ კი 25 000 ლეგიონერითა და 2 500 ცხენოსნით დაიძრა ახალი კართაგენისაკენ.

ახალ კართაგენს, როგორც ბარკიდთა ბატონობის ცენტრალურ დასაყრდენს ესპანეთში, უდიდესი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. აქ იყო ხაზინა, საომარ საჭურველთა არსენალი, სურსათ-სანოვაგის საწყობები, მექანიკური მანქანები და ესპანელ

ტომთა მძევლები. იგი წარმოადგენდა შესანიშნავ ნავსადგურს, საიდანაც ყოველთვის შეიძლებოდა აფრიკასთან ან ხმელთაშუა ზღვის სხვა ქვეყნებთან მოხერხებული ურთიერთობა. ყველაფერ ამას ისიც ემატებოდა, რომ ეს ქალაქი რჩებოდა ბარკიდთა ძლევამოსილების ურყევ სიმბოლოდ.

სციპიონი შვიდი დღის ლაშქრობის შემდეგ მიადგა ახალ კართაგენს. ქალაქი მდებარეობდა მაღლობ ადგილზე, რომელიც ზღვაში იყო შეჭრილი და კონტინენტს ვიწრო ყელით უკავშირდებოდა. სციპიონმა ჩრდილოეთიდან სწორედ ამ ყელზე დაიბანაკა და ამგვარად გადაუჭრა მას ხმელეთიდან მისასვლელი. ამავე დროს ლელიუსის მეთაურობით ზღვიდან ქალაქს მტკიცედ შემოეკრა საზღვაო ფლოტი.

კართაგენელთა სამი არმიიდან არც ერთი არ იდგა ახალი კართაგენის მახლობლად. სწორედ ამიტომ აირჩია სციპიონმა ასეთი გაბედული ნაბიჯი ნაცვლად იმისა, რომ მთიან ქვეყანაში ედევნა კართაგენელებისათვის. ქალაქს იცავდა მხოლოდ 1 000 კაცისაგან შემდგარი გარნიზონი, ვიღაც მაგონის (არა ჰანიბალის ძმა) მეთაურობით. მან სასწრაფოდ შეაიარაღა მოქალაქენი; 2 000 კაცი რომაელთა სახმელეთო ბანაკის პირისპირ დააყენა; გარნიზონიდან 500 მეომარი აკროპოლისში ჩააყენა, ხოლო 500 კიდევ — ქალაქის აღმოსავლეთით მდებარე მაღლობზე; დანარჩენ მოქალაქეებს უბრძანა მზად ყოფილიყვნენ და მიშველებოდნენ იქ, სადაც ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქნებოდა.

სციპიონმა დილით, ბრძოლის დაწყების წინ, მისთვის ჩვეული მჭერმეტყველებით წარმოსთქვა სიტყვა და ბრძანება გასცა დაეწყოთ შეტევა როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან. ქალაქი არაჩვეულებრივი სიმამაცითა და თავგანწირვით შეეგება რომაელთა იერიშებს. კედლებიდან ისრების სეტყვა მოდიოდა, ამიტომ იერიშზე გადასული ლეგიონების წინ მიმავალ სციპიონს წინ მიუძღოდა და ფარებით იფარავდა სამი ახალგაზრდა მეომარი. მაგონის ბრძანებით ქალაქის ალაყაფის ჯარი გაიღო, გაიჭრნენ და მტერს შეებნენ მცირერიცხოვანი რაზმები. მაგრამ ცხარე შეტაკებაში რომაელებმა უკუაქციეს ისინი და აიძულეს ისევ კედლებისათვის შეეფარებინათ თავი. დაიწყეს საიერიშო კიბეების მიდგმა, მაგრამ ქალაქის მაღალ კედლებზე გადასვლა დამცველთა თავგანწირული წინააღმდეგობის მეოხებით შეუძლებელი შეიქნა. ასევე უშედეგო იყო იერიშები ზღვიდან.

სციპიონი დაჭრილ და დაქანცულ მეომრებს ახალ-ახალი რაზმებით სცვლიდა და იერიშებს ერთი წუთითაც არ ასუსტებდა. ამით მას სურდა, რომ ქალაქის დამცველთა მთელი ყურადღება კონცენტრირებული ყოფილიყო იმ პუნქტებზე, რომლებზეც ასეთ თავგანწირულ შეტევებს

აწარმოებდა. ამავე დროს მას გაგებული ჰქონდა, რომ ქალაქის დასავლეთით არსებული ყურე თითქმის დაბალ ტბას წარმოადგენდა და რეგულარულად. ყოველ ნაშუადღევს, ჩრდილოეთიდან მოვარდნილი ქარის მეოხებით წყლის უკუქცევის დროს კიდევ უფრო თხელ ფონად იქცეოდა. სციპიონმა სწრაფად მოისაზრა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. მან შეარჩია 500 მამაცი მეომარი და მათი თანხლებით წყლის უკუქცევისას შევიდა ზღვაში; წყალი წელამდე და ზოგან მხოლოდ მუხლამდე სწვდებოდათ. სციპიონმა ასე მიიყვანა ისინი ქალაქის იმ კედელთან, რომელიც დაცვისაგან სრულიად მიტოვებული იყო. სარდალმა სთქვა: აქ ჩვენ თვითონ ნეპტუნმა[1] მოგვიყვანაო, და ბრძანა იერიში. ისინი დაუბრკოლებლად გადავიდნენ კედელზე.

ამგვარად, სციპიონი შეიჭრა ქალაქში. მტრის მოულოდნელად შემოჭრამ თავზარი დასცა ქალაქის დამცველთ. რომაელმა სარდალმა ისარგებლა საერთო დაბნეულობით და ელვის სისწრაფით დაესხა ზურგიდან მტრის იმ ნაწილებს, რომლებიც ალაყაფის კარებს იცავდნენ. სულ მალე შიგნიდან და გარედან ერთდროული დარტყმისა და ქალაქის დამცველთა დამარცხების შედეგად ყურთამდე გაიღო კარიბჭეები. ქალაქში ნიაღვარივით შეიჭრენ რომაელთა კოჰორტები. დაიწყო საშინელი ხოცვა-ჟლეტა. შიშით ზარდაცემული მოსახლეობა ორი მიმართულებით გარბოდა — ქალაქის აღმოსავლეთით გამაგრებული მაღლობისაკენ და აკროპოლისისაკენ, სადაც 500 მეომრითა და საკუთარი ოჯახით თავს აფარებდა მაგონი. სციპიონმა ჯარების ერთი ნაწილი მაღლობის ასაღებად გაგზავნა, თვითონ კი დანარჩენებით დაიძრა აკროპოლისის წინააღმდეგ. მაგონი ერთ ხანს კვლავ მედგარ წინააღმდეგობას ეწეოდა, მაგრამ როცა დაინახა, რომ ქალაქის ყველა პუნქტი და აღმოსავლეთის სიმაღლეც უკვე მტერს ეჭირა, დანებდა სციპიონს. ბრძოლა შეწყდა. მაგრამ ეს მოხდა მაშინ, როცა ქალაქის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკვე მოისრა; რომაელებმა თითქმის ყველა მოზრდილი მამაკაცი, ბრძოლისა და შრომისუნარიანი მოქალაქე, სიცოცხლეს გამოასალმეს; მდიდარი და მშვენიერი ქალაქი მთლიანად გაძარცვეს და დაანგრიეს, უზარმაზარი დოვლათი ჩაიგდეს ხელთ. მათ ხელში გადავიდა მტრის 80 სამხედრო და 63 სატვირთო გემი, რომელთაგან უმრავლესობა დატვირთული იყო სურსათ-სანოვაგით, საბრძოლო საჭურველით, სპილენძით, რკინითა და საიალქნე ტილოს ქსოვილებით. დაისაკუთრეს ქალაქის არსენალები, ასეულობით სხვადასხვა სახის საფორტიფიკაციო მანქანები, კატაპულტები, ბალისტები,

---

[1] ნეპტუნი (რომაელებთან) იგივე პოსეიდონი (ბერძნებთან)—ზღვათა მბრძანებელი ღმერთი, ზევსის (იუპიტერი) ძმა.

74 საბრძოლო დროშა. სციპიონმა ჩაიბარა 276 ოქროს თასი, რომელთაგან არც ერთი ერთ გირვანქაზე ნაკლებს არ იწონიდა; მრავალი ვერცხლის თასი, სულ 18 300 გირვანქის წონისა. ყველაფერი ეს რომის ხაზინისათვის გასაგზავნად აღნუსხა და ჩაიბარა გ ა ი უ ს ფ ლ ა მ ი ნ ი უ ს მ ა, ტრაზიმენის ტბასთან დაღუპული კონსულის შვილმა, რომელიც სციპიონის არმიაში ქვესტორად მსახურობდა. უამრავი სურსათ-სანოვაგის საწყობებიც რომაელთა ფურაჟს შეუერთდა.

ახალი კართაგენის 10 000 მოქალაქე ტყვედ ჩავარდა. სციპიონმა მათი ნაწილი გაათავისუფლა, ხოლო 2 000 ხელოსანი რომის სახელმწიფოს მონებად გამოაცხადა. მათ ევალებოდათ თავიანთი ოსტატობა მოეხმარათ სციპიონის სამხედრო საჭიროებისათვის. დანარჩენი ახალგაზრდა მცხოვრებნი და ქალაქის მონები რომაელმა სარდალმა გემებზე გადაიყვანა და მით საზღვაო ეკიპაჟი გააძლიერა. ის დიდის თავაზიანობით და პატივისცემით ეპყრობოდა იმ ესპანელი ტომების მძევლებს, რომლებიც აგრეთვე რომაელთა ხელში ჩავარდნენ.

ახალი კართაგენის კომენდანტობა სციპიონმა ჩააბარა ფლოტის უფროსს, გაიუს ლელიუსს, თვითონ სახმელეთო არმია დასასვენებლად ბანაკებში დააბრუნა. მეორე დღეს მან შეკრიბა ჯარები, მსხვერპლი შესწირა ღმერთებს, შეაქო და მადლობა გადაუხადა ჯარისკაცებს და შეუდგა მათ დაჯილდოვებას. პირველ რიგში უხვად დააჯილდოვა ისინი, ვინც პირველად გადალახეს ქალაქის კედლები ხმელეთიდან თუ ზღვიდან; გადასცა მათ კედლის გადალახვისათვის სპეციალურად დაწესებული ოქროს გვირგვინები. ყველაზე დიდი ჯილდო და სარდლის ქება-დიდება წილად ხვდა გაიუს ლელიუსს, რომელიც სციპიონმა ამ ბრძოლაში დამსახურებისათვის თავის სწორად ეღიარა; ამიტომაც ის შეამკო ოქროს გვირგვინით და თან 30 ხარიც აჩუქა.

შემდეგ სციპიონმა ბრძანა, რომ მის წინ მიეყვანათ ესპანელი მძევლები, სულ 300-მდე კაცი. მან ტკბილი სიტყვით აუწყა, რომ რომაელები ძალდატანებით არ ჩარიცხავდნენ მათ თავიანთ რიგებში კართაგენელებთან სამრად; რომაელებს არ სურთ ესპანელთა დაჩაგვრა და დამორჩილებაო. თან ბრძანება გასცა ესპანელ ტყვეებს მოქცეოდნენ დიდის პატივით, განსაკუთრებით კი მათ შორის მყოფ ქალებს. ამავე დღეს მიეწერება გადმოცემა: სციპიონს მიჰგვარეს არაჩვეულებრივი სილამაზისა და მომხიბვლელობის მქონე ტყვე ესპანელი ქალწული. მან სარდლის კითხვაზე უპასუხა ვისი შვილი იყო ის და, სხვათა-შორის, ისიც გამოირკვა, რომ ეს ქალი საცოლე ყოფილა ერთი წარჩინებული კელტიბერის ა ლ უ ც ი უ ს ი ს ა. სციპიონმა სასწრაფოდ მოიწვია ქალის მშობლები და საქმრო. დაუბრუნა მათ ქალი და სამაგიეროდ დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ ალუციუსი რომაელთა მეგობარი

უნდა გამხდარიყო. მოულოდნელი სიხარულით აღტაცებულმა მშობლებმა, სანამ სასიძო თავის ბედნიერებას სციპიონისადმი უსაზღვრო თაყვანისცემით გამოხატავდა, სარდლის ფერხთა წინაშე ოქროთი სავსე ჭურჭელი დასდვეს. სციპიონმა აიღო ის, მოიხმო ალუციუსი და გადასცა მას შემდეგი სიტყვებით: „იმ მზითევს, რომელსაც შენი სიმამრი თავის ქალს გამოატანს, მიუმატე ეს ოქროც, როგორც მზითევი პირადად ჩემგანო“. საერთო აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ამგვარად. სციპიონი მახვილის გვერდით ესპანეთში მოხერხებულად იყენებდა რომაულ დემაგოგიასა და დიპლომატიას. ეს მშვენივრად შეეძლო ესწავლა მას, თუნდაც თავისი ძლიერი მოწინააღმდეგისაგან: ჰანიბალიც ხომ ასეთივე პოლიტიკით უდგებოდა გალებსა და იტალიკებს!

ასეთი დიპლომატიისა და რაინდული სცენების გათამაშებით სციპიონს მალე გაუვარდა სახელი მთელს ესპანეთში. თვით ალუციუსი ავრცელებდა ხმებს, რომ ესპანეთში გამოცხადდა „ღმერთების მსგავსი ჭაბუკი, რომელიც ყველას ამარცხებს იარაღით, ასევე სულგრძელობითა და ქველმოქმედებითო“. თვითონ ალუციუსი 1 500 მხედრით გამოცხადდა სციპიონის სამსახურში.

რამდენიმე დღის შემდეგ სციპიონმა გამარჯვების მახარობლად რომში გაგზავნა გაიუს ლელიუსი, რომელსაც თან გაატანა დატყვევებული მაგონი და 15 კართაგენელი სენატორი. ახალი კართაგენის დაცემის ამბავმა და სციპიონის ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი სახალხო ზეიმი გამოიწვია რომში. სციპიონი დიდი სარდალი შეიქნა; მას განუსაზღვრელი ვადით გაუგრძელეს ესპანეთის პროკონსულობა და მთავარსარდლობა (ასეთი დარღვევა რომის კონსტიტუციამ ჯერ არც იცოდა!).

სციპიონი კიდევ რამდენიმე დღე დარჩა ახალი კართაგენის კედლებთან. იგი ერთ წუთსაც არ ჰკარგავდა ტყუილუბრალოდ; წვრთნიდა ჯარისკაცებს, აწყობდა სასწავლო ლაშქრობებს, ხელმძღვანელობდა საზღვაო ბრძოლის ხელოვნებათა სწავლას და სხვ.

მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა ძირითად ამოცანას: არ დაეშვა ჰასდრუბალის გაპრა იტალიისაკენ. სწორედ ამ მიზნით ის ახალ კართაგენში გარნიზონის ჩაყენების შემდეგ თავისი არმიით გაეშურა ისევ ტარაკონში, მდ. იბერის ჩრდილოეთით, და შეუდგა კართაგენელთა წინააღმდეგ ახალი დარტყმის სამზადისს. აქ მასთან ცხადდებოდნენ ესპანელ ტომთა ბელადები და სთავაზობდნენ კავშირს. ესპანელები ზედიზედ ტოვებდნენ კართაგენელთა ბანაკებს და რომაელთა არმიებში ერიცხებოდნენ.

ზამთრის (209—208) განმავლობაში სციპიონი ახალ არმიებს აკომპლექტებდა: მან მთელი საზღვაო ეკიპაჟები სახმელეთო ნაწილებს შეუერთა. გაზრდილი არმიებით სციპიონს სურდა ერთდროულად ორი

ამოცანა განეხორციელებინა, იბერ-პირენეის ხაზიც დაეცვა. რომ მტერი იტალიისაკენ არ გაჭრილიყო და ჰასდრუბალის სრული განადგურებით ესპანეთიც მთლიანად დაეპყრო.

208 წლის გაზაფხულზე, როცა გაიუს ლელიუსი რომიდან დაბრუნდა, სციპიონი მასთან ერთად დიდი არმიით დაიძრა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, სადაც უნდა შეხვედროდა ჰასდრუბალს. მართლაც, სამხრეთ ესპანეთში, მდინარე ბ ე ტ ი ს ი ს (დღ. გვადალკვივირი) ზემო წელზე, ქ. ბ ე კ უ ლ ი ს მახლობლად, მოხდა ბრძოლა სციპიონსა და ჰასდრუბალს შორის. კართაგენელებს შესანიშნავი პოზიციები (ტერასებად აღმართული მაღლობი) ეჭირათ. მაგრამ რომაელები რიცხობრივად სჭარბობდნენ მტერს. სასტიკმა ბრძოლამ გადამწყვეტი მიმართულება მხოლოდ მაშინ მიიღო, როცა რომაელებმა ფლანგებიდან—მარჯვნიდან ლელიუსმა, მარცხნიდან თვით სციპიონმა ძლიერად დაარტყეს კართაგენელებს. ჰასდრუბალმა შენიშნა თავისი მებრძოლების შედრკომა და, არმიის გადარჩენის მიზნით, სასწრაფოდ დასტოვა ბრძოლის ველი. ის წამოეწია წინასწარ გაგზავნილ რაზმს, რომელსაც მისი ხაზინა და სპილოები მიჰყავდა, და სწრაფი მარშით გაეშურა ჩრდილოეთისაკენ.

რომაელებმა ხელში ჩაიგდეს მტრისაგან მიტოვებული ბანაკი. ჰასდრუბალის არმიიდან ტყვედ ჩავარდა 10 000 ქვეითი და 2 000 ცხენოსანი. მათგან ესპანელები სციპიონმა სასყიდლის გარეშე გაათავისუფლა, ხოლო აფრიკელები მონებად აქცია. აღფრთოვანებული ესპანელები მას მიესალმნენ როგორც მეფეს. „ჩემთვის მთავარსარდლის სახელი, ხალხის მიერ მონიჭებული, — სთქვა სციპიონმა, — უმაღლესი და ყველაზე საპატიო ტიტულია; მეფის ტიტულს სხვა ხალხებში ძალიან დიდი პატივი აქვს, მაგრამ რომაელთათვის ის აუტანელია; ამიტომ, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე მეფური სულით ვარ დაჯილდოებული, დაე, შეინახეთ ეს თქვენს გულში, მაგრამ მე კი მეფე არ მიწოდოთ“. მართლაც, ესპანელებს ნაკლებად ესმოდათ, თუ რამდენად მიუღებელი იყო მეფის, „ტირანის“ მოხსენიება რომის რესპუბლიკური კონსტიტუციისათვის, და ამიტომ ისინი სციპიონის განცხადებას უფრო მის თავმდაბლობას მიაწერდნენ, ვიდრე რომაული პოლიტიკური წყობილებისაგან „ტირანიის“ შეზღუდულობას.

დატყვევებულთა შორის აღმოჩნდა მასინისას მცირეწლოვანი ძმისწული მ ა ს ი ვ ა. რომელსაც ბიძისაგან მალულად იარაღი აუსხამს, ცხენზე შემჯდარა და ბრძოლაში ჩაბმულა. მაგრამ პირველსავე შეტაკებაში ყმაწვილი ცხენს გადმოუგდია და რომაელების ხელში ჩავარდნილა. სციპიონმა მასივა უხვად დაასაჩუქრა, გადასცა მას ცხენი, ტანსაც-

მელი, ოქროს ბეჭედი და მისი სურვილისამებრ გაუშვა ისევ მასინისასთან.

შემდეგ სარდლის შტაბში დაიწყო ბჭობა, თუ როგორ მოქცეულიყვნენ: დასდევნებოდნენ ჰასდრუბალს, თუ განეგრძოთ ლაშქრობა სამხრეთისაკენ. ბოლოს, სციპიონმა გადასწყვიტა ხელი აეღო ჰასდრუბალის დევნაზე, რადგან მასთან ქვეყნის სიღრმეში შეჭრა, როცა მტრის ყველა სარდალს უკვე თავი მოეყარა, მეტად სახიფათოდ მიიჩნია. მას ეშვი არ ეპარებოდა, რომ იბერ-პირენეის ხაზზე დაბანაკებული რომაელები ჰასდრუბალს იტალიისაკენ არ გაუშვებდნენ. მაგრამ „ღვთაებრივი ჭაბუკი" მწარედ მოსტყუვდა.

ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით წასულ ჰასდრუბალს მალე შეუერთდნენ მაგონი და ჰასდრუბალ გისკონის-ძე. ხანმოკლე თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ მაგონი თავის არმიას გადასცემდა ჰასდრუბალ გისკონის-ძეს და თვითონ სათანადო ფინანსებით გაეშურებოდა ახალი ჯარების შესაკრებად ბალეარის კუნძულებზე (რადგან ესპანელთა იმედი ნაკლებად ჰქონდათ); მასინისა თავისი ნუმიდიური კავალერიით კვლავ განაგრძობდა რომაელებზე თავდასხმებს. ერთი სიტყვით, სამივეს ევალებოდა სციპიონის წინააღმდეგ ბრძოლა. თვითონ ჰასდრუბალ ბარკა თავისი არმიით გაიჭრებოდა იტალიისაკენ.

მართლაც, ჰასდრუბალმა 208 წლის ბოლოს სწრაფი მარშით გაიარა მდ. იბერის ზემო წელი და ბისკაის ყურის მახლობლად, იქ, სადაც რომაელთა დაცვა არც არსებობდა. გადალახა პირენეის მთები. ამრიგად, სციპიონმა ვერ გადასჭრა მასზე დაკისრებული ძირითადი ამოცანა. 207 წლის დასაწყისში ჰანიბალის ღირსეული ძმა სწრაფად მიაბიჯებდა ტრანსალპიურ გალიაზე, პირდაპირ ალპებისაკენ.

ამგვარად მოწყდა იტალიის ცის თაღზე „დამოკლეს მახვილი", კვლავ ახადა წყეულმა „პანდორამ" ხუფი საშინელებათა ყუთს.

ჰანიბალის უკანასკნელი იმედი

207 წლის გაზაფხულზე ჰასდრუბალმა იმავე გზით, რა გზითაც 11 წლის წინათ ჰანიბალმა, გადალახა ალპები და შეიჭრა ჩრდილოეთ იტალიაში. დაახლოებით 40 000 მეომარი, ჩაიყვანა ცისალპიურ გალიაში. იგი ჰანიბალის მსგავსად ვარაუდობდა, რომ ახალ-ახალ ძალებს მიიღებდა გალებისაგან ან სხვა იტალიელი ტომებისაგან. საამისოდ, დიპლომატიისა და იარაღის ძალის გარდა, ჰასდრუბალს თან მოჰქონდა 4 000 გირვანქა ოქრო. ამის მეოხებით მან შესძლო გალებინ ქვეყნიდან რამდენიმე ათასეული მეომრით შეევსო არმია. ასე რომ ჩრდილოეთ იტალიაში სამხრეთისაკენ სალაშქროდ მზად ჰყავდა 60 000 მეომრისაგან

შემდგარი არმია. გარდა ამისა, 8 000 ლიგურიელი, როგორც რომში მიღებული ცნობიდან ჩანს, დღეს თუ ხვალ შეუერთდებოდა კართაგენელებს.

მიუხედავად იმისა, რომ წინა წლის დასასრულისათვის როგორც რომმა, ასევე ჰანიბალმა იცოდნენ ჰასდრუბალისაგან პირენეის მთების გადმოლახვის ამბავი, მაინც არც ერთი მათგანი არ მოელოდა, რომ კართაგენელთა ახალი არმია ალპებს ასე მალე გადაივლიდა და იტალიაში გაჩნდებოდა. ჰასდრუბალის ასეთ სისწრაფეს უსათუოდ ხელს უწყობდა გალიაში და ალპებზე მცხოვრები ტომების მშვიდობიანი შეხვედრა, ტომებისა, რომლებიც ადრე ჰანიბალს მტრულად შეხვდნენ, მაგრამ ახლა დარწმუნებული იყვნენ, რომ რომსა და კართაგენს შორის ატეხილი ბრძოლა მათ ნაკლებად ეხებოდათ. ამიტომაც მათმა ნეიტრალობამ ხელი შეუწყო ჰასდრუბალის დაუბრკოლებლივ წინსვლას იტალიისაკენ.

მიუხედავად ამისა, რომს სრული შესაძლებლობა ჰქონდა მზად დახვედროდა ახალ დიდ საფრთხეს, რომლის ნამდვილი არსი მას მთელი სიგრძე-სიგანით ჰქონდა წარმოდგენილი. იგრძნობოდა, რომ ახლოვდებოდა ხანგრძლივი, დაძქანცველი ომების საბედისწერო ფინალი.

რასაკვირველია, რომისათვის, რომელსაც იმ წელს იარაღქვეშ 23 ლეგიონი — 140 000 მეომარი ჰყავდა, ჰასდრუბალის 50 000-იანი არმია, ბრძოლის უნარიანობითაც გაცილებით დაბალ საფეხურზე მდგომი, ვიდრე რომისა, თავისთავად დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა, მაგრამ საშიში იყო ფინიკიელ ძმათა საომარი გეგმა, რაც მათ გაერთიანებაში მდგომარეობდა. ამიტომ რომს რადაც უნდა დასჯდომოდა არ უნდა დაეშვა ჰასდრუბალის არმიის შეერთება სამხრეთში მდგომ ჰანიბალთან.

ამგვარად, ფინიკიელთა გეგმა იყო უბრალოდ, მარტივად მოფიქრებული, მაგრამ მტრისათვის მეტად სახიფათო. ასევე, მის საწინააღმდეგოდ რომაული გეგმაც იყო უბრალო და მარტივი, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო.

207 წლისათვის ახალი დიდი საფრთხის ლიკვიდაციისათვის საჭირო იყო კონსულებად გამოცდილი სარდლების არჩევა. ასეთად მაშინდელ რომში პირველ რიგში მიჩნეული იყო გ ა ი უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს ნ ე რ ო ნ ი, კაპუისა და ესპანეთის ბრძოლების გმირი, ენერგიული, მამაცი და თავგანწირული მეომარი, მაგრამ მეტად ფიცხი და ხშირად ავანტიურისტი სარდალი. სწორედ ამ სიფიცხისა და ხშირი წინდაუხედაობის გამო რომაელებმა გადასწყვიტეს ნერონისათვის კოლეგად აერჩიათ დინჯი, მოფიქრებული და შორსმხედველი კაცი. ასეთად ცნობილი იყო მ ა რ კ უ ს ლ ი ვ ი უ ს ს ა ლ ი ნ ა ტ ო რ ი, რომელმაც პირველი კონსულობის დროს (219 წ.) ლუციუს ემილიუს პავლესთან (კანესთან

დაღუპული სარდალი) ერთად სახელი გაითქვა ილირიის ომში. მაგრამ პირველი კონსულატის დასასრულს მის წინააღმდეგ პავლეს მიერ აღძრული საქმისადმი სენატისა და სახალხო კრების მსარდაჭერის გამო განაწყენებულმა სალინატორმა დასტოვა რომი. ამის შემდეგ იშვიათად თუ გამოჩნდებოდა რომის ქუჩებში სამგლოვიარო თალხებში გახვეული და წვერ-ულვაშ გაბურძგვნილი. ის სოფელში ცხოვრობდა და სახელმწიფო საქმეებს სრულიად ჩამოშორებული იყო. ცენზორებმა არაერთხელ სცადეს კვლავ შეეყვანათ სენატორთა სიაში გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე; მაგრამ გაგულისებული სალინატორი ყოველთვის უარს ამბობდა. ბოლოს იგი ერთ-ერთი თავისი მეგვარე (ლივიუსი) ნათესავის საქმეზე იძულებული შეიქნა სიტყვა წარმოეთქვა სენატში და სახალხო კრებაზე. ამ სიტყვამ, რომელიც მას ბრწყინვალედ, დიდის ხელოვნებითა და მოსაზრებულობით წარმოუთქვამს, აღტაცება გამოიწვია ხალხში. ყველას მოაგონდა ლივიუს სალინატორი, ილირიის ბრძოლათა სახელგანთქმული გმირი და ჭკვიანი სარდალი. ნერონის გვერდით 207 წლისათვის ერთხმად აირჩიეს მ. ლივიუს სალინატორი.

კონსულებმა სასწრაფოდ დაიწყეს ახალი ჯარების შედგენა: უზარმაზარი არმიები მზად იყვნენ ფინიკიელთა წინააღმდეგ გადამწყვეტი დარტყმებისათვის. ცხრადღიანი ლოცვა-კურთხევისა და მსხვერპლშეწირულების შემდეგ კონსულებმა გაიყვანეს არმიები — თითოეულ მათგანს 40 000 მეომარი ერგო — და გაეშურენ მათდამი განკუთვნილ საბრძოლო ფრონტებზე: ნერონი სამხრეთით, ჰანიბალის წინააღმდეგ, ხოლო ლივიუსი — ჩრდილოეთით, ჰასდრუბალისაკენ. ამგვარად, გადაწყვეტილი იყო ფინიკიელთა ცალ-ცალკე განადგურება.

ჰანიბალი ბრუციუმიდან ჩრდილოეთისაკენ დაიძრა. მას წინ გადაეყარა რომაელთა არმია ნერონის სარდლობით. მაგრამ ნერონმა ჯერ-ჯერობით ვერ გაბედა მასთან შებმა. ამიტომ ის მხოლოდ თან სდევდა ჩრდილოეთისაკენ მიმავალ კართაგენელებს და მცირე თავდასხმებით ცდილობდა მათი წინსვლის შეფერხებას. ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ მოწინააღმდეგეთა არმიებმა არ მიაღწიეს აპულიის ქალაქ კ ა ნ უ ზ ი უ მ ს. აქ ჰანიბალმა დაიბანაკა. დაბანაკდნენ რომაელებიც. ჰანიბალმა აქ დაუწყო ლოდინი ძმისაგან გამოგზავნილ შიკრიკებს და ბარათს ივის შესახებ, თუ სად უნდა შეერთებოდნენ ისინი ერთმანეთს. მოუთმენლად ელოდა ძმის მალემსრბოლებს—ამას ხომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ჰანიბალი ტყუილუბრალოდ ელოდა მათ.

ჰასდრუბალმა, რომელიც ერთ ხანს მდ. პადუსის სანაპიროზე ქალაქ პლაცენციის აღებას ცდილობდა, დაინახა თუ არა, რომ აქ დიდხანს დაყოვნდებოდა, ხოლო ეს ძირითად საომარ გეგმას ჩაშლიდა, მოხსნა ალყა და დაიძრა სამხრეთისაკენ. წინასწარ გამოჰყო ექვსი შიკრიკი

(ოთხი კელტი და ორი ნუმიდიელი), ჩააბარა მათ ბარათები და სასწრაფოდ გაგზავნა ჰანიბალთან სამხრეთისაკენ. მაგრამ შიკრიკებმა ვერ მიაგნეს ჰანიბალის ადგილსამყოფელს. ისინი ტარენტუმის ოლქში მივიდნენ, როცა ჰანიბალის არმია რომაელთა არმიის პირდაპირ უმოქმედოდ იდგა აპულიაში. სრულიად შემთხვევით შიკრიკები ხელში ჩაუვარდნენ ტარენტუმის რაიონების საძარცვავად გამოსულ რომაელებს. ისინი მიჰგვარეს პრეტორს, რომელიც გაჩხრეკისას დარწმუნდა, თუ რა დიდი მნიშვნელობის ამბავთან ჰქონდა საქმე. მან ორი ესკადრონის თანხლებით სასწრაფოდ გაგზავნა ტყვეები აპულიაში, კონსულ კლავდიუს ნერონთან.

ნერონმა გახსნა ჰასდრუბალის წერილები. ის წერდა ჰანიბალს, რომ უკვე გამოვიდა „ფ ლ ა მ ი ნ ი უ ს ი ს გ ზ ა ზ ე“, უმოკლეს დროში გაივლის აპენინებს, შევა უმბრიაში და აქ, მის სამხრეთ ნაწილში, მდ. ტიბრის შუა წელთან, ქ. ნ ა რ ნ ი ა ს მახლობლად დაელოდება მას.

ნერონისათვის ყველაფერი ნათელი შეიქნა. ის მიხვდა, რომ ახლა ბედნიერი შემთხვევა მას და მის ქვეყანას საუკეთესო შესაძლებლობას აძლევდა შედარებით იოლად მოესპო ის საშიშროება, რომელთან ბრძოლაც მრავალ სახიფათო და მეტად რთულ სამხედრო-ხლართებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ნერონმა მიიღო მეტად გაბედული გადაწყვეტილება, რომელსაც, შესაძლოა, მართლაც იმ მომენტში ერთადერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მას მხოლოდ ჰანიბალის წინააღმდეგ დგომა და ჩრდილოეთისაკენ მისი წინსვლის შეკავება ევალებოდა და თანაც თავის კოლეგასთან არამეგობრული განწყობილებით იყო, სწრაფად გადაწყვიტა: სანამ ჰანიბალმა არაფერი იცოდა, კონსულთა გაერთიანებული არმიებით უნდა მოესპოთ ჰასდრუბალი. ნერონი სრული საიდუმლოების პირობებში შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას. უპირველესად რომში სენატს გაუგზავნა ჰასდრუბალის წერილები და აუწყა მას თავისი გადაწყვეტილებაც. თან უთვლიდა, რომ რომის დასაცავად კაპუიდან ჩამოეყვანათ ერთი ლეგიონი და აგრეთვე ქალაქის მთელი მოსახლეობა დაეყენებინათ ფეხზე, ხოლო ქალაქ ნარნიასთან, სადაც ჰასდრუბალი თავის ძმას პაემანს უნიშნავდა, გამოეყვანათ იქ მდგარი საპოლიციო ნაწილები და მოსახლეობაც მტერთან დასახვედრად მოემზადებინათ. შემდეგ კონსულმა ჩრდილოეთის ოლქებში, სადაც მას უნდა გაევლო, წინასწარ აფრინა შიკრიკები ბრძანებით: ადგილობრივ მცხოვრებლებს გზებზე გაემზადებინათ სურსათ-სანოვაგე, ცხენები და სხვა გამწევი საქონელი მისი არმიისათვის. ერთი სიტყვით, ყველაფერი მზად ყოფილიყო ზედმიწევნით სწრაფი, ელვისებური მარშისათვის. ამის შემდეგ ნერონმა არმიიდან ამოარჩია ყველაზე უფრო ამტანი და მამაცი 6 000 ლეგიონერი

და 1 000 მხედარი; გამოაცხადა, რომ აპირებს მოულოდნელად თავს დაესხას ლუკანიაში მდებარე ერთ-ერთ პატარა ქალაქს. თითქოსდა ამ მიზნით, იგი ღამით გავიდა ბანაკიდან და ყველასათვის მოულოდნელად გაუხვია ჩრდილოეთით, პიცენუმისაკენ. უმოკლესი გზებით, უსწრაფესი „მგლურით" დაიძრა ჩრდილოეთისაკენ კონსულ ლივიუს სალინატორთან შესაერთებლად.

ჰანიბალის პირდაპირ მტრის ბანაკი იმავე მდგომარეობაში განაგრძობდა დგომას. ლეგატის, გაიუს კაციუსის მეთაურობით რომის არმია განაგრძობდა ჰანიბალის დარაჯობას.

ჰანიბალმა არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რა ამბები ხდებოდა მის ირგვლივ.

ნერონის მიერ გაგზავნილმა ამბავმა რომში პირველად აურზაური და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. არავინ იცოდა სწორი იყო თუ არა ნერონის მიერ გადადგმული ექსტრაორდინალური ნაბიჯი. ბევრი იმ აზრისა იყო, რომ კონსულის ღონისძიება ავანტიურისტულია, რადგან მან შეასუსტა და უმეთაუროდ დასტოვა რომაული არმია მრისხანე ჰანიბალის პირისპირ. ყველაფერი დამოკიდებული ხდებოდა იმაზე, თუ რამდენხანს არ ეცოდინებოდა ჰანიბალს რა მოხდა მოწინააღმდეგის ბანაკში; და რომ გაეგო, მაშინ ხომ მოსალოდნელი იყო კანეს ტრაგედიის განმეორება ბაპულიაში ან მრისხანე ფინიკიელის დაძვრა კონსულის ფეხდაფეხ, მისი განადგურება და მტრების შეერთება. ასეთი რისკი კი კონსულმა გასწია. მაშინ, როცა ჩვენ იძულებული ვართ ომი ვაწარმოოთ მტრის ორი არმიისა და „ორი ჰანიბალის" წინააღმდეგ.

მაგრამ ნერონის გადაწყვეტილებამ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. იგი შეუსვენებლივ მიჰქროდა ჩრდილოეთისაკენ. გზადაგზა მისი არმია მთიდან დაგორებული თოვლის გუნდასავით იზრდებოდა. წინ შემხვედრი ადგილობრივი მცხოვრებლები მის არმიაში ერიცხებოდნენ და თან მისდევდნენ. ყველგან მზად ახვედრებდნენ სურსათ-სანოვაგეს, ცხენებს, გამწევ საქონელს. ნერონი კარგად გრძნობდა იმას, რომ ამ მომენტში რა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სისწრაფეს. ამიტომ ის მებრძოლებს საჭმლის მისაღებადაც არ ასვენებდა; ჭამდნენ ფეხდაფეხ; დაღლილ ცხენებს გზადაგზა ცვლიდნენ; დაქანცულ მეომრებს ცხენებზე სვამდნენ ან ურმებზე ათავსებდნენ.

ასე მივიდა ნერონი ჩრდილოეთ იტალიის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ე. წ. „გალების მიწაზე", სადაც მდინარე მეტავრასთან დაბანაკებული იყო კონსული ლივიუს სალინატორი. იქვე, მის პირისპირ უკვე დაბანაკებულიყო შუა იტალიაში შესაჭრელად გამზადებული ჰასდრუბალი.

ნერონმა წინდაწინ გაგზავნა ეჯიბი ლივიუსთან და აცნობა მას თა-

ვისი მოსვლა. თან ეკითხებოდა მას: შეერთებოდა, თუ ცალკე დაბანაკებულიყო, და თუ შეერთების თანახმა გახდებოდა, დღისით მისულიყვნენ მის ბანაკში, თუ ღამით.

კონსულები შეთანხმდნენ და ღამით შეაერთეს არმიები. ჰასდრუბალს რომ ნერონის მოსელის ამბავი მოწინააღმდეგის კარვების გამრავლებით არ შეეტყო, ლივიუსმა ბრძანა არც ერთი კარავი არ შეეშალებინათ ბანაკისათვის. ახალმოსულები უნდა მოთავსებულიყვნენ დამხვდურთა სადგომებში: ტრიბუნი — ტრიბუნთან, ცენტურიონი — ცენტურიონთან, ლეგიონერი — ლეგიონერთან, ცხენოსანი — ცხენოსანთან და ა. შ.

გათენებისას მოწვეულ იქნა სამხედრო საბჭო. ზოგნი წინადადებას აყენებდნენ ბრძოლისაგან თავი შეეკავებინათ მანამ, სანამ ახალმოსულები კარგად არ დაისვენებდნენ. მაგრამ ნერონმა, რომელმაც ნათლად დაასურათა შექმნილი მდგომარეობა, ხაზი გაუსვა იმას, რომ, თუ ბრძოლა დაუყოვნებლივ არ მოხდებოდა და მრისხანე მტრები მოტყუების ბურუსიდან გამორკვევას მოასწრებდნენ, ყველაფერი წაგებული იქნებოდა. კამათი აღარ გაგრძელებულა. ნერონის წინადადება მიღებულ იქნა, კონსულებმა ბრძანება გასცეს და ატყდა საბრძოლო ნაღარის ცემა. რომაელთა არმია საბრძოლველად ეწყობოდა.

ჰასდრუბალიც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მზად იყო შებმოდა მტერს და მასთან ანგარიშის გასწორების შემდეგ რაც შეიძლება მალე შეჭრილიყო ცენტრალურ იტალიაში. მაგრამ, როდესაც იგი ამხედრებული, მცირე ამალის თანხლებით წინ გამოვიდა და საბრძოლოდ დაწყობილი მოწინააღმდეგის რიგები დაათვალიერა, შეამჩნია, რომ ისინი გაცილებით მეტი იყვნენ, ვიდრე წინა დღეს; ამის შემჩნევა მას გაუადვილა მოწინააღმდეგეთა შეიარაღებაზე, ცხენებსა და საყვირის ხმებზე დაკვირვებამ: ბევრ რომაელს ისეთი სისტემის ფარი ეჭირა, როგორიც ლივიუსის არმიაში მანამდე არ ჰქონდათ; ცხენთაგან ბევრი დაღლილ-დაქანცული და ნაოფლარი ჩანდა; საბრძოლო საყვირთა ორმაგი ხმაც ნიშნავდა, რომ ორივე კონსული ერთად იყო. ჰასდრუბალი დარწმუნდა, რომ მტრის არმიას ახალი ჯარები შეემატნენ. ამიტომ მან არ მოისურვა გენერალური ბრძოლის რისკი გაეწია და ბრძანება გასცა ბრძოლისაგან თავი შეეკავებინათ და ბანაკში ჩაკეტილიყვნენ. ღამით ის მთელი არმიით აიყარა და მტრისაგან იდუმალ დაიძრა მდ. მეტავრას ზემო წელისაკენ, რათა მოხერხებული ფონის მონახვისთანავე გადასულიყო ნასზე და შეჭრილიყო უმბრიაში, სადაც, მისი აზრით, ელოდებოდა ჰანიბალი!

საშინელი ბნელი ღამე იყო. უძილობითა და მრავალი მტრის სიახლოვით აფორიაქებული მეომრები ძლივს მიბობღავდნენ მდინარის

ლრანტეებიან სანაპიროებზე. კართაგენელებმა დაჰკარგეს მეგზურებიც: ერთი სადღაც მიიმალა, მეორე პირდაპირ მდინარეში გადაეშვა და გაუჩინარდა. რაც უფრო ზევით მიიწევდნენ, გზა უფრო და უფრო ძნელად სავალი ხდებოდა. გათენდა. მზე შუბის ტარზე წამოიხარა, მაგრამ მეტად წყალუხვ და სწრაფ მთის მდინარეზე გადასვლა არსად ხერხდებოდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ მტრის მოწინავე რაზმებიც.

რომაელთა ბანაკში ძალე შეიტყვეს ჰასდრუბალის წასვლის ამბავი. კონსულებმა დაუყოვნებლივ ბრძანეს გამოდევნება. პირველი წამოეწივნენ მტერს ცხენოსანთა რაზმები, რომელთაც თვით ნერონი მეთაურობდა. შემდეგ, სულ ძალე, გამოჩნდნენ მსუბუქი ქვეითები პრეტორ პორციუსის მეთაურობით. ჰასდრუბალმა შეამჩნია, რომ ბრძოლისაგან უკან დახევისათვის აღარც ადგილი იყო და აღარც დრო. ამიტომ ბრძანა სასწრაფოდ გამაგრებულიყვნენ მასლობელ ბორცვზე, საიდანაც შედარებით ადვილი იქნებოდა მრავალრიცხოვანი მტრის თავდასხმათა მოგერიება. მაგრამ სწორედ ამ დროს მოაღწია ლივიუსმა მთელი ქვეითი ლეგიონებით. კონსულებმა სასწრაფოდ გამართეს საბრძოლო წყობა: მარჯვენა ფლანგზე ნერონი დადგა, მარცხენაზე — ლივიუსი: ცენტრი პორციუსმა ჩაიბარა. ჰასდრუბალმაც სასწრაფოდ დააწყო თავისი არმია: საბრძოლო დროშების წინ ჩაამწკრივა სპილოები; მარცხენა ფლანგზე, ნერონის წინააღმდეგ, დააყენა კელტი მეომრები; მარჯვენა ფლანგზე, ლივიუსის წინააღმდეგ, ესპანელი ვეტერანები, ხოლო ცენტრში — ლიგურები.

ბრძოლა გაჩაღდა არაჩვეულებრივი სიმძაფრით. ორივე მხარე გრძნობდა, რომ ამ ბრძოლაში წყდებოდა მათი ქვეყნის სვე-ბედი. ბრძოლა განსაკუთრებით ცხარე იყო ფლანგებზე. ლივიუსის ლეგიონერთა მძლავრ იერიშებს თავგამეტებით იგერიებდნენ ესპანელები, რომელთაც წინ მიუძღოდა თვით ჰასდრუბალი. ნერონმაც კარგახანს ვერ მოახერხა ოდნავი ბიჯიც წაედგა კელტების წინააღმდეგ ბრძოლაში; „ნუთუ ამისათვის გამოვიარეთ თავპირისმტვრევით ეს ამოდენა გზა!" — დაჰღრიალებდა იგი სისხლისღვრისაგან შეძრწუნებულ მეომრებს. ის ამაოდ ცდილობდა ასულიყო ბორცვზე, რომელზეც მიბჯენილი იყო კელტების მარცხენა ფლანგი. ბოლოს ნერონმა მოხსნა თავისი კოჰორტები, ზურგიდან შემოუარა ისევ რომაელთა არმიის ცენტრალურ რაზმებს, ლივიუსის მარცხენა ფლანგს, ე. ი. მთელს რომაულ განლაგებებს, და სრულიად მოულოდნელად გვერდიდან თავს დაესხა მტრის მარჯვენა ფლანგს. ამგვარად, ბრძოლის მთელმა სიმძიმემ კართაგენელთა არმიის ყველაზე ბრძოლისუნარიან ნაწილებზე, ესპანელთა და ლიგურთა მხარეზე გადაინაცვლა. ხოცვა-ჟლეტა ახალი სისასტიკით გაჩაღდა. ნერონი თანდათან მოექცა მოწინააღმდეგის ზურგშიაც. რომაელები მტრის

გარშემო ნელ-ნელა ჰკრავდნენ მარყუჟს. კიდევ რამდენიმე საათი და კართაგენელთა მარჯვენა ფლანგი გვამების გროვად იქცა; მალე მათი ცენტრიც და მარცხენა ფლანგიც დამარცხდა. კელტების უმრავლესობა, რომლებიც ბრძოლაში ყველაზე ნაკლებ თავგამოდებას იჩენდნენ, თითქმის უბრძოლველად დანებდნენ რომაელებს. დაიხოცა ყველა სპილო, რომლებიც, ბრძოლაში გაგიჟებულნი, ერთნაირ ვნებას აყენებდნენ როგორც კართაგენელებს, ასევე რომაელებს. გაცოფებულ მხეცებს მათივე მხედრები მძიმე ჩაქუჩებს სცემდნენ თავისა და კისრის არეში და ისე ხოცავდნენ (ეს ჰასდრუბალისაგან ჰქონდათ ნასწავლი).

თვით ჰასდრუბალმა ამ ბრძოლაში ყველა განაცვიფრა როგორც შესანიშნავმა სარდალმა და შეუდარებელი სიმამაცის მეომარმა. იგი სისხლში მოსვრილი მიჰქროდა ყველაზე სახიფათო ადგილებზე; იგი ყველგან იყო, სადაც კი მის მეომრებს უჭირდათ; საყვედურობდა, ეკვეხებოდა, ეხმარებოდა სულიერად დაცემულთ; უკან აბრუნებდა ბრძოლიდან გაქცეულთ; აქებდა და აქეზებდა თავდადებულთ. ასეთი იყო ის მანამ, სანამ ბრძოლა თითქმის არ შეწყდა, ხოლო როცა დაინახა, რომ მისი დამარცხება საბოლოოდ დადასტურებული იყო, დეზი ჰკრა ცხენს და გადაეშვა რომაელთა ლეგიონების შიგ შუა გულში, სადაც იბრძოდა როგორც ჰერკულესი კენტავრებით გარშემორტყმული, სანამ მტრების სათხედებისაგან სრულიად არ დაიცხრილა და სისხლისაგან არ დაიცალა. ასე გმირულად მოკვდა ჰამილკარის ღირსეული შვილი, ჰანიბალის მამაცი ძმა.

მეტავრას ბრძოლა კატასტროფის სისრულით კანეს ბრძოლას ჰგავდა. კართაგენელთა არმია მთლიანად განადგურდა. ჰასდრუბალის 50 000 მეომარი ესვენა სისხლიან ველზე. შორს, წინ, თავისიანთაგან განცალკევებით, დახოცილ რომაელთა შუაგულში ძნელი არ იყო თვით განგმირული სარდლის მონახვა. ნერონის ბრძანებით მას თავი მოჰკვეთეს და ქსოვილში გახვიეს. როგორც ჰანიბალისათვის განკუთვნილი საზარელი ძღვენი. ეს იყო სამაგიეროს გადახდა „ბარბაროსი“ ფინიკიელისადმი მის მიერ ემილიუს პავლეს, ტიბერიუს გრაკხუსისა და კლავდიუს მარცელუსის დიდებულად დაკრძალვისათვის. 5 000 ტყვე ჩაიგდეს რომაელებმა ხელში. მაგრამ კონსულებსაც ძვირად დაუჯდათ ეს გამარჯვება: დახოცილ მტერთა გროვებში 8 000 რომაელი ერია. მრავლად ჰყავდათ დაჭრილებიც. ხოლო თითქმის მთელი არმია ბრძოლის სისასტიკისა და ხოცვა-ჟლეტის საშინელებისაგან ისე იყო შეძრწუნებული, რომ ძალა აღარ შეუწევდათ დასდევნებოდნენ კელტებისა და ლიგურების იმ ბრბოებს, რომლებიც სრულიად უიარაღოდ, დაჭრილები და დაღლილ-დაქანცულნი ძლივს მილასლასებდნენ ახლოახლო ადგილებში. თვით კონსულმა ლივიუს სალინატორ-

მა უარი განაცხადა დასდევნებოდა მათ. „დაე, დარჩნენ მოწამენი და მოამბენი მტრის განადგურებისა და ჩვენი ვაჟკაცობისა“, — ამაყად განაცხადა ჭინ.

რომი დაძაბული მოუთმენლობით ელოდა ბრძოლის შედეგს. მზის ამოსვლიდან დაღამებამდე სენატორები არ შორდებოდნენ კურიებს. ფორუმი და ქუჩები სავსე იყო მღელვარე ხალხით. მოხუცები და ქალები განუწყვეტელი ლოცვა-ვედრებით „თავს აბეზრებდნენ“ ღმერთებს. გამარჯვების პირველი ხმა რომში ჩამოიტანეს ეტრურიიდან, სადაც ბრძოლის მონაწილე ორი მხედარი დაბრუნებულა სასიხარულო ამბით. მაგრამ არავის სჯეროდა, რომ გამარჯვების მოპოვება ასეთ საშიშ მტერზე ასე მოკლე დროში შეიძლებოდა. მალე მრვიდა ეჯიბი ნარნიის პრეტორისაგანაც, რომელიც წერილით ადასტურებდა ეტრურიელი მხედრების ნათქვამს. ხალხი გარს შემოეხვია ეჯიბს და მოითხოვდა აქვე, სენატში წარდგენამდე გაეხსნა წერილი. ყველაფერი მართალი გამოდგა. ხოლო როცა რომში თვით კონსულთაგან გამოგზავნილმა მალემსრბოლებმა შემოაბიჯეს და სასიხარულო ამბავი საბოლოოდ დაადასტურეს, ქალაქი აუწერელმა აღტაცებამ მოიცვა. განუწყვეტელი ძახილი: „ვიქტორია!“ (victoria—გამარჯვება) აყრუებდა რომს. ეს ჰგავდა ბერძენთა „ნიკეას“, მარათონის ველზე თავზარდამცემი მტრის, სპარსელების დამარცხების შემდეგ[1]. სენატის დადგენილებით სამდღიანი ლოცვა-ზეიმი გამოცხადდა. სამი დღის განმავლობაში რომი ზეიმობდა ისე, როგორც არასდროს. ტრაზიმენისა და კანეს სისხლი აღებული იყო. ყველა გრძნობდა, რომ ჰასდრუბალის განადგურება ჰანიბალზე ძლევის მოახლოებას ნიშნავდა. რომაელები ხედავდნენ სრული გამარჯვების ცისკარს.

ნერონი თავისი ჯარებით ბრძოლის დამთავრებისთანავე სწრაფი მარშით დაიძრა ისევ ჰანიბალის პირისპირ დაბანაკებული არმიისაკენ. იგი მეექვსე დღეს ადგილზე იყო. ამგვარად, ყველაფერი ეს, საბედისწერო ამბები კართაგენელთათვის, სულ რაღაც ორ კვირაში დამთავრდა. ჰანიბალმა არაფერი არ იცოდა. ის ელოდა ამბავს ძმისაგან და მან მიიღო იგი.

ნერონმა ბანაკში დაბრუნებისთანავე ბრძანა კართაგენელთა მოწინავე საგუშაგო პოსტებზე გადაეგდოთ ჰასდრუბალის თავი, რომელიც ბას აქამდე დიდის „მზრუნველობით“ მოჰქონდა. თან ორი აფრიკელი

[1] 490 წელს (ძვ. წ.) მ ა რ ა თ ო ნ ი ს ველზე (ატიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქში) ათენელებმა სასტიკად დაამარცხეს სპარსელთა მრავალრიცხოვანი არმია. ბრძოლის მონაწილე ერთი ათენელი მეომარი სირბილით მიეიდა ათენში და „ნიკეას“ („გამარჯვება“) ძახილით ამცნო თანამემამულეებს სასიხარულო ამბავი. ამას ათენში საყოველთაო ზეიმი მოჰყვა.

ტყვე გაათავისუფლა, რათა მათ კართაგენელთა სარდლისათვის პირადად ეცნობებინათ საშინელი ამბავი.

დიდი სარდლის კარავს გლოვის ზარი დაეცა. აუწერელი იყო ჰანიბალის მწუხარება, როცა მას კარავში შეუტანეს რომაელთაგან შემაძრწუნებელი მონაძღვენი: გასისხლიანებული ძმის თავი, რომელსაც მისთვის გამარჯვება უნდა მოეტანა. „ახლა კი ვხედავ კართაგენის ბედს!“ — შეჰყვირა ჰანიბალმა. იგი დასცქეროდა მის წინ დასვენებულ სისხლში შეღებილ ძმის მამაცურ თავს და მასთან ერთად ხედავდა დამარცხებულ სამშობლოს. მზე ესვენებოდა; საღამო ახლოვდებოდა; დგებოდა ჰანიბალის ძლიერების დაისი.

უკანასკნელი ბრძოლები. სციპიონი აფრიკაში

ჰანიბალი იტალიიდან წასვლას ჯერ კიდევ არ ფიქრობდა. მას თითქოს აღარაფრის იმედი არ ჰქონდა, რომ ისევ აღედგინა 9—10 წლის წინანდელი სიმძლავრე. მაგრამ მაინც ცდილობდა უკანასკნელი, მოგერიებითი ბრძოლები ეწარმოებინა მანამ, სანამ უკანასკნელი სისხლის წვეთები შერჩენოდა მას და მის არმიას; სანამ ვინ იცის რა „სასწაული“ მოხდებოდა და კართაგენელთა ჩამობნელებულ ცაზე კვლავ ინათებდა; იქნებ აფრიკიდან აწ დასუსტებული ბარკიდების პარტია გაძლიერებულ კონსერვატორებთან ბრძოლაში რამეს გააწყობდა და მიეშველებოდნენ; ან კიდევ, იქნებ ჰამილკარის მესამე „ბოკვერი“, მაგონი ესპანეთიდან იტალიისაკენ ახალი ლაშქრობით ჰასდრუბალის აჩრდილის როლის შესრულებას მაინც შესძლებდა.

ამ ვარაუდებითა და მათზე დაფყარებული გადაწყვეტილებებით ჰანიბალი გაეშურა უკიდურეს სამხრეთ იტალიაში, ბრუციუმისაკენ. მხოლოდ ეს ოლქიღა ემორჩილებოდა მას. აქედან იგერიებდა ის რომაელთა შემოტევებს.

მაგრამ რომაელთა შეტევები უშუალოდ ჰანიბალის წინააღმდეგ აღარ ატარებდა სისტემატურ ხასიათს. რომის მთავარ მიზანს, მისი სტრატეგიული გეგმის ძირითად ხაზს ახლა წარმოადგენდა ესპანეთის სრული დამორჩილება და ექსპედიცია აფრიკაში, უშუალოდ კართაგენის წინააღმდეგ. ამის შემდეგ სრულიად გარიყული ჰანიბალი თვითონ დაჰყრიდა იარაღს ან სულ გადაიხვეწებოდა იტალიიდან. ახალი რომაული გეგმა ძალიან ჰგავდა ჰანიბალის მიერ ადრიდანვე შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმას, რომლის ძირითად ამოცანას რომის გარიყვა და უმოკავშიროდ, ურეზერვოდ მისი დაჩოქება წარმოადგენდა.

ბედნიერი 207 წელი რომაელებმა ძლევამოსილ კონსულთა ბრწყინვალე ტრიუმფით დაასრულეს. ტრიუმფის ბოლოს, ნერონის წინადადებით, დიქტატორად დანიშნულ იქნა მისი კოლეგა ლ ი ვ ი უ ს სა-

ლ ი ნ ა ტ ო რ ი. მან კი თავის თანაშემწედ და ცხენოსანთა უფროსად დანიშნა ქვინტუს ცეციდიუსი. მომავალი წლისათვის კონსულებად არჩეულ იქნენ ლ უ ც ი უ ს ვ ე ტ უ რ ი უ ს ი და ქ ვ ი ნ ტ უ ს ც ე ც ი ლ ი უ ს ი (იგივე დიქტატორის თანაშემწე). ესპანეთის მმართველობის, პროკონსულობის ვადა გაუგრძელდა პ. კ ო რ ნ ე ლ ი უ ს ს ც ი პ ი ო ნ ს.

კონსულებმა ძლიერი არმიებით არაერთხელ სცადეს ბრუციუმიდან ჰანიბალის გამოდევნა, მაგრამ ამაოდ. საომარ მოქმედებათა ცენტრებმა იტალიიდან საბოლოოდ გადაინაცვლეს.

კართაგენი დიდად შეაშფოთა იტალიაში განცდილმა უკანასკნელმა მარცხმა და სციპიონის წარმატებებმა ესპანეთში. ამიტომ კართაგენის სელისუფლებამ ესპანეთის მთავარსარდლის პოსტზე ახალი ჯარებით გაგზავნა ჰ ა ნ ო ნ ი. მალე სციპიონმა გაერთიანებული მაგონისა და ჰანონის წინააღმდეგ გაგზავნა ლეგატი ს ი ლ ა ნ უ ს ი, რომელმაც დაამარცხა კართაგენელები და ტყვედ შეიპყრო აფრიკიდან ჩამოსული მთავარსარდალი ჰანონი. სამი დღის განმავლობაში რომაელთა მთელი კავალერია ამაოდ სდევნიდა მაგონს.

ამის შემდეგ სციპიონმა მიმართა ჰასდრუბალ გისკონის-ძეს, რომელიც თავისი არმიით გადაიხვეწა ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთში და შეუდგა აქ მდებარე ქალაქების, მათ შორის ყველაზე დიდისა და მნიშვნელოვანის გ ა დ ე ს ი ს (კადიქსი) დაცვას.

206 წელს ესპანეთში კიდევ ერთი დიდი ბრძოლა მოხდა კართაგენელებსა და რომაელებს შორის ისევ ქ. ბ ე კ უ ლ ა ს თ ა ნ, მდ. ბეტისზე. ჰასდრუბალმა და მაგონმა აქ თავი მოუყარეს 70 000 ქვეით მეომარს, 4 000 მხედარსა და 32 სპილოს. სციპიონს 40 000 მეომარი ჰყავდა. მაგრამ მისი არმია ბრძოლისუნარიანობით გაცილებით სჯობდა მოწინააღმდეგის ჭრელსა და ნაკლებ დისციპლინირებულ ჯარებს. კართაგენელთა სარდლებმა ცენტრში დააყენეს რჩეული აფრიკული ნაწილები, ფლანგებზე — ესპანელები. სციპიონმა ცენტრში განაწყო ესპანელი მოკავშირეები. ხოლო ფლანგებზე—რჩეული რომაული ლეგიონები. ჯარების ასეთმა წყობამ თავიდანვე რომაელთა სასარგებლოდ შემოაბრუნა ბრძოლის ჩარხი. წინ გაჭრილი აფრიკელთა ცენტრი რომაულ ლეგიონერთაგან შემდგარ რკინისებურ ფლანგებში მოექცა და ყველა მხრიდან მათი შემოტევის ობიექტად იქცა. რომაელთა წინსვლას ისიც უწყობდა ხელს, რომ სციპიონმა ბრძოლაში კართაგენელთა ჩათრევა მოახერხა მაშინ, როცა მათ კიდევ არ ესაუზმათ და სიცხე-პაპანაქებაში მშიერ-მწყურვალთ უხდებოდათ ბრძოლა. კართაგენელი სარდლები დამარცხდნენ და სწრაფი უკანდახევით ისევ გადესს შეაფარეს თავი.

მალე ამის შემდეგ პუბლიუს სციპიონმა და მისმა ძმამ ლუციუსმა თითქმის მთელი პირენეის ნახევარკუნძული ჩაიგდეს ხელში. კართაგე-

ნელები ჯერ კიდევ ძლიერად უკიდურეს სამხრეთ სანაპიროებს ინარ-ჩუნებდნენ. მათი არმია თითქმის სრულიად დაიშალა.

კართაგენელებს მთლიანად ჩამოშორდა ნუმიდიელი მასინისა, რომელთანაც ორი წლის წინათ მომხდარ დიდ ბრძოლაში მისი ტყვედჩავარდნილი ძმისწულის მასივას განთავისუფლების შემდეგ სციპიონს ახალი ურთიერთობა ჰქონდა. მასინისამ თანდათან აიცრუა გული კართაგენელ სარდლებზე და სციპიონს დაუახლოვდა.

ბოლოს მასინისა და სციპიონი პირადად შეხვდნენ ერთმანეთს და შეთანხმდნენ: როგორც კი რომაელი სარდალი აფრიკაში ჯარებს გადასხამდა, მასინისა მთელი ნუმიდიური მხედრებით გაჩნდებოდა მის ბანაკში და ერთიანი ძალებით შეუტევდნენ კართაგენს.

მაგონმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. ის თავგამოდებით იცავდა გადესს. აქ მან მიიღო კართაგენის სენატის ბრძანება: ფლოტით, რომელიც მას გადესთან ჰყავდა, დაუყოვნებლივ წასულიყო ჩრდილოეთ იტალიისაკენ, შეჭრილიყო ლიგურიაში, მოესყიდა ადგილობრივი ტომები, ჩაერიცხა ისინი თავის არმიაში და შეერთებოდა ჰანიბალს. ამრიგად, მას ევალებოდა განეხორციელებინა ჰასდრუბალის ამოცანა.

მაგონი გამოსაზამთრებლად გადავიდა ბალეარის კუნძულებზე და იქ შეუდგა სამზადისს მომავალ წელს იტალიაში ლაშქრობისათვის.

206 წლის ბოლოს სციპიონმა თითქმის მთლიანად დაპყრობილი ესპანეთის მმართველობა ჩააბარა პროპრეტორებს, ლუციუს ლენტულუსსა და ლუციუს მანლიუს აცედინუს, თვითონ კი ათი გემით გაეშურა იტალიისაკენ. მას გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი თავი წამოეყენებინა კონსულის კანდიდატურად მომავალი წლისათვის.

რომის გარეთ, ბელონის ტაძარში შეხვდნენ სენატორები სციპიონს. აქ მან სენატის წინაშე წარმოადგინა მთელი ანგარიში, თუ რა გააკეთა ხუთი წლის მანძილზე ესპანეთში ყოფნის დროს; ლაპარაკობდა, რომ მან გაანადგურა მტრის ოთხი ძლიერი სარდალი თავიანთი ძლიერი არმიებითურთ; რამდენი ბრძოლა მოიგო, რამდენი ქალაქი აიღო, რამდენი სიმდიდრე ჩაიგდო ხელში; მთელი ესპანეთი ძუ მგლის გერბს ემორჩილება. მაგრამ სენატმა სარდალს მაინც უარი უთხრა სასურველ ტრიუმფზე. მიზეზად ის მოიგონეს, რომ რომაულ კანონთა თანახმად ტრიუმფის უფლება ენიჭებოდათ მხოლოდ დიქტატორს, კონსულს და პრეტორს, ხოლო არავითარ შემთხვევაში პროკონსულს ან პროპრეტორს (სციპიონი ხომ პროკონსული იყო). სციპიონი იძულებული გახდა ბოლმა გულში ჩაეკლა.

სულ სხვაგვარად შეხვდა მას რომაელი ხალხი. მთელი მოსახლეობა

უდიდესი აღფრთოვანებითა და ზეიმით ეგებებოდა ესპანეთის გმირს. რომელიც დიდებამოსილი მიეშურებოდა კაპიტოლიუმისაკენ. ᲫᲘᲡ წინ მიჰქონდათ სახელმწიფო ხაზინისათვის განკუთვნილი 14 342 გირვანქა ვერცხლი და უამრავი ვერცხლის მონეტა. ქალაქის მთელი მოსახლეობა ესწრებოდა კაპიტოლიუმში დიდ მსხვერპლშეწირულებას: სციპიონი აღთქმას უსრულებდა მის მფარველ ღმერთს იუპიტერს — ას ხარს სწირავდა მას.

სციპიონისადმი ხალხის დიდი პატივისცემა კიდევ უფრო ნათელი გახდა კონსულთა არჩევნების დროს. მრავალრიცხოვანმა კომიციებმა კონსულად ერთხმად აირჩიეს სციპიონი, რომელსაც, ხალხის რწმენით, ერთადერთს შეეძლო მეტოქეობა გაეწია გენიალური კართაგენელი სარდლისათვის.

სციპიონისადმი ოლიგარქიული სენატისა და დემოკრატიული მასების დამოკიდებულების სხვადასხვაობისას ერთი რამ აშკარად იგრძნობოდა: ოლიგარქიას არ სურდა ერთი პიროვნება, ამ შემთხვევაში სციპიონი, ისე გაძლიერებულიყო, რომ თავისი ერთპიროვნული „ტირანიით“ დაესუსტებინა რომის მმართველი კონსერვატიულ-არისტოკრატიული ოლიგარქიის ძალაუფლება, რაც რომის ე. წ. რესპუბლიკური კონსტიტუციით იყო დაკანონებული. ᲮᲝᲚᲝ დემოკრატიას სურდა სახელმწიფოს მთელი ძალაუფლება სწორედ ერთი კაცის, „ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐ“ (princeps civitatis) და ნიჭიერი სამხედრო-პოლიტიკური ᲫᲝᲚᲕᲐᲬᲘᲡ ხელში ყოფილიყო კონცენტრირებული. თანდათან ბატონდებოდა აზრი, რომ ე. წ. რესპუბლიკური კონსტიტუციით გათვალისწინებული კონსულ-სარდალთა ᲮᲨᲘᲠᲘ ცვალებადობა ᲮᲔᲚᲡ უშლიდა მტრის განადგურების დაჩქარებას. საჭირო იყო ოლიგარქია შერიგებოდა მისი უმაღლესი უფლებების გამომხატველი კონსტიტუციის დარღვევას და დათანხმებულიყო რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც, სანამ სახელმწიფოს უშიშროება უზრუნველყოფილი არ იქნებოდა, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სადავეები ცენტრალიზებული ყოფილიყო ერთი პიროვნების ხელში. ᲰᲐᲜᲘᲑᲐᲚᲘᲡ დამარცხებას და კართაგენის დამორჩილებას რამდენიმე წელი მაინც დასჭირდებოდა და სენატიც უნდა შერიგებოდა ამ წლების განმავლობაში სციპიონის „თვითნებობას“ და „ტირანიას“. სციპიონისათვის ტრიუმფზე უარის თქმა პირველი სიმპტომი იყო იმ უთანხმოებისა, რომელიც შემდგომ წლებში უფრო შესამჩნევი და საგრძნობი შეიქნა ერთპიროვნულ მმართველსა და ოლიგარქიას შორის.

მეორე კონსულად არჩეულ იქნა ᲞᲣᲑᲚᲘᲣᲡ ᲚᲘᲪᲘᲜᲘᲣᲡ ᲙᲠᲐᲡᲣᲡᲘ, რომელიც იმავე დროს უმაღლესი ქურუმიც იყო.

სციპიონმ აშკარად აცხადებდა, რომ მან უმაღლესი მაგისტრატურა

იმისათვის მიიღო, რათა დაამთავროს ეს საშინელი ომი. ამისათვის ის აყენებდა გაბედულ გეგმას აფრიკაში უშუალოდ კართაგენის წინააღმდეგ ექსპედიციის მოწყობის შესახებ. მისი სურვილი, მმართველობისათვის მიეღო პროვინცია სიცილია, საიდანაც უნდა განხორციელებულიყო აფრიკაში ლაშქრობა, ადვილად შესრულდა იმის წყალობითაც, რომ მეორე კონსულს, კრასუსს, როგორც ქურუმთა უზენაესს, წესის მიხედვით უფლება არ ჰქონდა იტალიის საზღვრებს გასცილებოდა.

სციპიონის ახალ საომარ გეგმას წინ აღუდგა მოხუცი ფაბიუს მაქსიმე კუნქტატორი, რომის კონსერვატორ-ოლიგარქთა ბელადი, რომელიც კვლავ ურყევად იდგა თავის „ძველ, ფრთხილ „კუნქტატორულ“ პოლიტიკაზე. ფაბიუსმა სციპიონის წინააღმდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა სენატში. ის მოაგონებდა ყველას, რომ ჰანიბალი, რომლის ჯარებსაც ჯერ კიდევ ასდის რომის საუკეთესო შვილთა სისხლის ოხშივარი, ჯერ კიდევ უძლეველად დათარეშობს იტალიაში და სანამ ის არ დამარცხებულა, აფრიკაში ლაშქრობა დასაღუპავად არის განწირული ისევე, როგორც ეს მოუვიდა ატილიუს რეგულუსს პირველი პუნიკური ომის დროს; ამას ზედ ერთვის უმცროსი ბარკიდის, მაგონის შემოჭრის საშიშროება დასავლეთიდან. მოხუცი პატერი სციპიონის გეგმას „ახალგაზრდა შეშლილის“ ნაზრევს უწოდებდა. მისმა სიტყვამ ძლიერი ზეგავლენა მოახდინა. სენატორთა დიდი ნაწილი, რომელსაც ისედაც არ მოსწონდა სციპიონის მეტად დამოუკიდებელი ქცევა, ფაბიუსის მხარეზე დადგა.

სციპიონმაც თავის მხრივ წარმოსთქვა სიტყვა ფაბიუსისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ. იგი ასაბუთებდა თავისი გეგმის სისწორეს; ანიჭებდა მას გადამწყვეტ მნიშვნელობას ომის დამთავრების საქმეში; ამტკიცებდა, რომ აფრიკაში რომაელთა ლაშქრობა ჰანიბალს აიძულებდა დაეტოვებინა იტალია და კართაგენის მისაშველებლად გაქცეულიყო. მე ჰანიბალს ვაიძულებ ბრძოლა გამიმართოს თავისივე სამშობლოს ტერიტორიაზე. და ამ ბრძოლაში ჩემი გამარჯვების მონაპოვარი იქნება თვით კართაგენი და არა ბრუციუმის ნახევრადდანგრეული სიმაგრეები, სადაც ახლა თავს აფარებს ჰანიბალიო, — ამბობდა ახალგაზრდა სარდალი. ბოლოს, როცა მან შეიტყო, რომ სენატი კვლავ ყოყმანობდა, გამოაცხადა: თუ სენატი მას უარს ეტყვის, მაშინ მიმართავს სახალხო კრებას და მისი უეჭველი მხარდაჭერით გაიტანს თავისას. სენატი იძულებული გახდა დასთანხმებოდა: სციპიონს გადასცემოდა პროვინცია სიცილია, იქ მდგარი ორი ლეგიონი, რომელთაც კანუს ბრძოლის შემდეგ სიცილიაში ყოფნა ჰქონდათ მისჯილი. და, თუ საჭიროდ ჩასთვლიდა, მოეწყო სამხედრო ექსპედიცია აფრიკაში. მაგრამ სენატი მას უფ-

ლებას არ აძლევდა გამოეცხადებინა სავალდებულო და საყოველთაო სამხედრო გაწვევა. როგორც ეს ჩვეულებრივად შეეძლოთ კონსულებს. აგრეთვე სენატი უარს ამბობდა ფინანსების გაცემაზე ფლოტის შექმნისათვის.

მაგრამ სციპიონი ვერც ამან შეაფერხა. მთავარი იყო რომაელი და იტალიელი ხალხი. რომლებსაც სჯეროდათ ახალგაზრდა გმირის „ბედის ვარსკვლავის", მასში ხედავდნენ საშინელი. დამქანცველი და გამანადგურებელი ომების ზღვარის დამდებს, მისი ძლევამოსილად დამთავრების გაბედულ ბელადს. ამიტომ, სწორედ სახალხო ფონდებით სწრაფად აიკო 30 სამხედრო გემისაგან შემდგარი ფლოტი, რომლის ეკიპაჟიც 7 000 მოხალისე-მეომრისაგან შედგა.

ამგვარად, სციპიონის საბრძოლო დროშის ქვეშ, აღნიშნული ფლოტის გარდა, იკრიბებოდა 25 000 მეომარი. 205 წლის გაზაფხულზე ის უკვე სიცილიაში იყო და გამალებით ემზადებოდა აფრიკაში სალაშქროდ; კრებდა მოხალისეებს, წვრთნიდა ჯარებს, ამზადებდა ფლოტს. სხვადასხვა ხერხებით ცდილობდა საომარი მიზნებისათვის დაექვემდებარებინა ყველა სახის ადგილობრივი რესურსები და წამხედრო საჭურველი. ამით სურდა შეეესო დანაკლისი, რომელიც მას სენატის ოპოზიციამ მიაყენა; ასე, მაგალითად, სციპიონმა, როცა ყველა მეომარი გარკვეულ საჯარისო ნაწილებს მიაწერა, 300 კაცი, ყველაზე უფრო ახალგაზრდები და ჯანღონით სავსენი, სრულიად უიარაღონი ჩამოიტოვა; არავინ იცოდა რისთვის სჭირდებოდა მას ეს უიარაღო ამალა. სანამ მან სამხედრო სამსახურში არ მოუხმო 300 სიცილიელ მხედარს. სციპიონმა მიმართა სიცილიელებს: მე შევიტყვე, თურმე თქვენ ძალიან გაშინებთ და გაფიქრებთ აფრიკის მძიმე ლაშქრობა. თუ მართლა ეს ასეა, ახლავე აშკარად მითხარით და სიტყვას გაძლევთ ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ მოისურვებთ. მე მირჩევნია ახლავე ვიცოდე ლაშქრობისადმი თქვენი განწყობა, ვიდრე შემდეგ. თვით ლაშქრობის დროს გამოამჟღავნოთ თქვენი უკმაყოფილებაო. მაშინ ერთმა სიცილიელმა გაბედა და სთქვა: თუ ნებას მოგცემთ, მე სრულებით არ წამოვალ ომშიო. „მაშ კარგი, — სთქვა სციპიონმა, — რაკი შენ არ დაფარე და ყველაფერი ისა სთქვი, რასაც გრძნობ, მე გათავისუფლებ სამხედრო სამსახურისაგან იმის საფუძველზე, რომ მაძლევ სამაგიერო კაცს, როგელიც შენს მაგივრად მიიღებს მონაწილეობას ბრძოლაში. მაგრამ შენ მას მისცემ შენს ცხენს, შეიარაღებას და ვალდებული ხარ ასწავლო მთელი საცხენოსნო ბრძოლის ხელოვნებაო", — და მას თანმხლებ იტალიელთაგან გამოუყო ერთი კაცი. სიცილიელი აღფრთოვანებით შეხვდა სციპიონის წინადადებას. ასე, ყვნა სიცილიელმა ჩაბარა თავისი შეიარაღება. ცხენები იტალიელ

მოხალისეებს და შეუდგნენ მათ გაწვრთნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სიცილიელები ვერ დასტოვებდნენ რომაელთა ბანაკს. ამგვარად, სციპიონი თავისი არმიის რიგებს სწმენდდა მერყევი და საეჭვო ერთგულების ელემენტებისაგან და მათ ნაცვლად არმიებს ავსებდა კარგად გაწვრთნილი, საუკეთესოდ შეიარაღებული და თავდადებული მეომრებით.

სარდალმა განსაკუთრებით ძლიერი კოჰორტები შექმნა იმ მეომართაგან, რომელთაც ბევრი სახელოვანი ბრძოლა ჰქონდათ გამოვლილი; უშეტესწილად იმათგან, ვინც მარცელუსის ვეტერანები იყვნენ. სციპიონმა იცოდა, რომ მარცელუსის მეომრები ყველაზე უფრო გაწვრთნილი, დისციპლინიანი და სირაკუზის აღების შემდეგ საფორტიფიკაციო ხელოვნების საუკეთესო მცოდნენი იყვნენ. სციპიონი სახმელეთო არმიის წვრთნასთან ერთად ზრდიდა ფლოტს ახალი გემებით. სიცილიის ყველა სოფელსა და ქალაქს ევალებოდა გარკვეული რაოდენობის სურსათ-სანოვაგე ჩაებარებინა რომაელთა საწყობებისათვის.

იმავე დროს სარდალმა გაიუს ლელიუსი საზღვაო ძალებით გაგზავნა აფრიკის სანაპიროების დასაზვერად და შესაძლებლობის შემთხვევაში გასაძარცვავად.

205 წელს კართაგენმა, შეიტყო რა სციპიონის სამზადისი აფრიკის დასალაშქრავად, უკანასკნელი ღონისძიებების გატარება სცადა კონტინენტს გარეთ საომარი მდგომარეობის თავის სასარგებლოდ გარდაქმნისათვის. კართაგენელებმა სასწრაფოდ დაიწყეს მოლაპარაკება სიფაქსთან და აფრიკის სხვა წვრილ-წვრილ მთავრებთან. აუხსნეს მათ, რომ რომაელთა შემოჭრის საშინელება მარტო კართაგენს როდი ემუქრება, იგი მთელს აფრიკას უქადის წალეკვას. ელჩები გაგზავნეს ფილიპე მაკედონელთან, აღუთქვეს მას 200 ვერცხლის ტალანტი და სამაგიეროდ სთხოვეს ჯარების გადასხმა იტალიასა და სიცილიაში; ბრძანება გაუგზავნეს იტალიაში მოქმედი ჯარების სარდლებს, რომ როგორმე დაებრკოლებინათ სციპიონი სიცილიაში, ხოლო ყველაზე მეტი, რაც იმხანად კართაგენმა გააკეთა, იყო ის, რომ ბალეარის კუნძულებზე მყოფ მაგონს გაეგზავნა 25 გემი, 6 000 ქვეითი და 2 000 ცხენოსანი მეომარი, ფული დამხმარე ჯარების დასაქირავებლად და ბრძანა დაძრულიყო იტალიისაკენ და რაც შეიძლება მალე შეერთებოდა ჰანიბალს.

მაგრამ კართაგენელების ამ ღონისძიებათაგან არც ერთს რეალური შედეგი არ გამოუღია.

გ. ლელიუსი მიადგა აფრიკის სანაპიროს კართაგენიდან შორს დასავლეთით, ქ. ჰიპოს რეგიუსთან. აქ მასთან გამოცხადდა მასინისა, რომელმაც დაწვრილებით აუწყა აფრიკაში შექმნილი მდგომარეობა, სიფაქსის შეკავშირება კართაგენთან და აღუთქვა: როგორც კი სციპიონი აფრიკაში გადავა, თვითონ მაშინვე გაჩნდება ნუმიდიური ცხენოსნე-

ბით მის დასახმარებლად. ასეთი ამბებითა და ძდიდარი ნაძარცვით ლელიუსი დაბრუნდა სიცილიაში.

იმავე 205 წელს რომაელებმა აღმოსავლეთით ზავი დასდეს ფილიპე მაკედონელთან. ასე დაედო ზღვარი ე. წ. პირველ მაკედონურ ომს, რომელიც ათი წლის მანძილზე (215 — 205) მეტად ზანტად და უშედეგოდ მიმდინარეობდა. ამრიგად, კართაგენმა ფორმალურად დაჰკარგა მოკავშირე, რომელსაც ფაქტიურად მისთვის არასოდეს არავითარი მოკავშირეობა არ გაუწევია.

ამ წელს ერთხელ კიდევ იფეთქა აჯანყებებმა ესპანელ ტომებში. რომლებმაც ისარგებლეს სციპიონის წასვლით და თავისუფლების მოპოვება სცადეს. მაგრამ ამბოხებები სასტიკი შეტაკების შემდეგ ჩაქრობილ იქნა: მათი ბელადები—მ ა დ ო ნ ი უ ს ი და ი ნ დ ი ბ ი ლ ი ს ი რომაელებმა სიკვდილით დასაჯეს; 30 ესპანელი ტომისაგან მძევლები ჩაიბარეს. ესპანეთში პროვინციული მმართველობა დამყარდა. კართაგენმა საბოლოოდ დაჰკარგა პირენეის ნახევარკუნძულზე ფეხის მოკიდებისა და ოდინდელი ძალაუფლების აღდგენის იმედი.

205 წლის ზაფხულზე მაგონი 30 გემისაგან შემდგარი ფლოტით. 12 000 ქვეითი მეომრითა და 2 000 ცხენოსნით მიადგა ჩრდილოეთ იტალიის, ლიგურიის სანაპიროებს. აქ მან, მისელისთანავე ხელთ იგდო ქ. გენუა.

რომაელებმაც სასწრაფოდ მიმართეს კონტრღონისძიებას იტალიაში შემოჭრილი მტრის ახალი ძალების წინააღმდეგ. პრეტორმა მ. ლივიუსმა ეტრურიაში დაბანაკებული ჯარები გადაიყვანა ჩრდილოეთ იტალიაში და იქ შეუერთდა მეორე პრეტორს გნეუს ლუკრეციუსს. ამგვარად, რომაელთა ორი ძლიერი არმია მზად იყო შეჯახებოდა მაგონის შედარებით მცირერიცხოვან ჯარებს, თუ კი ის ოდნავ მაინც შეეცდებოდა ჰასდრუბალის ცდის განმეორებას — სამხრეთისაკენ ჰანიბალთან შესაერთებლად გაჭრას.

204 წლის გაზაფხულზე ლილიბეუმთან მზად იყო 52 სამხედრო და 400 სატრანსპორტო გემი. 35 000 მეომარი იდგა ფლოტის გემბანებზე. მათ შორის იყვნენ: სციპიონის ერთგული, ესპანეთში მის მხარდამხარ მებრძოლი ვეტერანები, სახელოვანი მარცელუსის ნაწრთობი ვაჟკაცები, კანეს საბედისწერო ბრძოლას გადარჩენილი ლეგიონერები, რომლებიც ათ წელზე მეტ ხანს იხდიდნენ იტალიიდან გასახლებისა და უპატიურობის სამარცხვინო სასჯელს და ახლა აფრიკაში საოცნებო ლაშქრობით ცდილობდნენ ძველი პატივის დაბრუნებას. ყველა მოუთმენლად ელოდა იალქნების აშლას. დილას სციპიონმა, ყოველგვარი მზადყოფნის შემოწმების შემდეგ მსხვერპლი შესწირა „ყოვლისმძლე ღმერთებს“. შეჰვედრა მათ ანიზრახულის წარმატებით დაგვირგვინე-

ბა, მსხვერპლად დაკლული ცხოველის შიგნეული ზღვაში ისროლა ნეპტუნის სადიდებლად და ლაშქრად გასვლის სიგნალი მისცა. უამრავი მაყურებელი გამაყრუებელი ღრიანცელით აცილებდა ზღვადგასულ მოლაშქრეებს, ზურგის ქარი სწრაფად მიაქროლებდა ფლოტს აფრიკისაკენ. შუადღისას ქარი ჩადგა და სქელი ნისლი ჩამოწვა ზღვაზე. წინსვლა გაჭირდა. ღამეც ჩამოდგა და წინ, ადმირალის გემის ანძაზე მოციმციმე სამი ლამპარი ძლივს უჩვენებდა გზას უკან მიმდევართ. მაგრამ დილით მზის სხივებმა და კვლავ ამოვარდნილმა ქარმა სრულიად გაფანტეს ნისლი. მესამე დღეს, მზის ამოსვლისას, ჰორიზონტის მთელ სამხრეთულ ხაზზე გამოჩნდა აფრიკის სანაპირო. სციპიონმა ხელი გაიშვირა წინ წამოზიდული უახლოესი კონცხისაკენ და იკითხა რა ერქვა მას. „მშვენიერი“, — უპასუხეს მეზღვაურებმა; „ეს კარგი ნიშანია. მიმართეთ იქითკენ გემები!“ — ბრძანა სარდალმა.



რომაული სამხედრო ინსიგნიები (ნიშნები):

1—მეფეროშე; 2—ლეგიონის არწივი; 3—კავალერიის შტანდარტი; 4. 5, 6—კოპორტების ნიშნები; 7—სამხედრო საყვირი „ლოკოკინა“; 8—მოხრილი ბუკი; 9—სასიგნალო საყვირი; 10—ფლეიტა; 11—საომარი დაფდაფები. 12—სამაკური; 13—[illegible] ბუკი; 14—პატარა დროშა წარწერით: SPQR (Senatus Populusque Romanus).

რომაული არმია და ფლოტი მიადგა აფრიკის სანაპიროს, კართაგენ-უტიკას შორის მდებარე ოლქში, და სწრაფად დაიწყეს მასზე გადასვლა.

50 წელი გავიდა რეგულუსის აფრიკული ლაშქრობიდან. კართაგენს მას შემდეგ თავის მახლობლად აღარ უხილავს ესოდენ ძლიერი რომაული არმია. ახლა იგი გრძნობდა უდიდეს საფრთხეს, რომელსაც აღარ უნდა მოჰყოლოდა ისეთივე შედეგი, როგორითაც კართაგენელები ყოველთვის ამაყობდნენ რეგულუსის განადგურების შემდეგ. კართაგენის ცის თაღი შეარყია ძახილმა: „იარაღისაკენ!“ და მთელი მოსახლეობა ფეხზე დადგა. კართაგენის მაშინდელი მთავარსარდალი ჰასდრუბალ გისკონის-ძე ადრევე გრძნობდა სციპიონის აფრიკული ლაშქრობის სიახლოვეს. მას მზად ჰყავდა 20 000 ქვეითი, 6 000 ცხენოსანი და 140 სპი-

ლო. მაგრამ კართაგენი ასეთი ძალებით რომაელთა მრავალრიცხოვანი არმიის წინაშე თავს მშვიდად მაინც ვერ იგრძნობდა. ამიტომ ჰასდრუბალს არაფერი დაუზოგავს, რათა თავის მხარეზე გადმოებირებინა მეფე სიფაქსი. ჰასდრუბალის დახმარებით სიფაქსმა შესძლო გაეძევებინა მასინისა[1] და მთელი ნუმიდია თავისთვის დაემორჩილებინა. ჰასდრუბალს სიფაქსის მხარდაჭერის შენარჩუნებისათვის საკუთარი ოჯახის პატივიც არ დაუზოგავს. მან სიყვარულით დატყვევებულსა და გრძნობებს აყოლილ მეფეს ცოლად შერთო თავისი ასული ს ო ფ ო ნ ი ბ ე, მთელს აფრიკაში განსაცვიფრებელი სილამაზით, კდემამოსილებითა და

---

[1] ს ი ფ ა ქ ს ი ს, მ ა ს ი ნ ი ს ა ს ა და კართაგენის უკანასკნელ ურთიერთობაზე და მასინისას ტრაგიკული თავგადასავლის შესახებ წყაროები შემდეგნაირად გადმოგვცემენ: მასინისას ესპანეთში ყოფნის დროს აფრიკაში გარდაიცვალა მისი მამა მეფე გალა. ტახტის მემკვიდრეობის ნუმიდიური წესის მიხედვით სამეფო ეკუთვნოდა გარდაცვლილი მეფის ძმას ე ზ ა კ ლ ს; მაგრამ ეს უკანასკნელიც მოხუცი იყო და მალე გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ ატყდა დინასტიური ომი ნუმიდიის სამეფო საგვარეულოს წევრებს შორის. მასში მონაწილეობას ღებულობდა სიფაქსიც, რომელიც ცდილობდა ამ საქმეში კართაგენის მხარის დაჭერა მოეპოვებინა. სწორედ ამ დროს ესპანეთიდან დაბრუნდა მასინისა, ტახტის ყველაზე კანონიერი პრეტენდენტი. მან მოახერხა კიდეც ნუმიდიელთა უმრავლესობის მიმხრობა და სამეფო ტახტიც ხელთ იყდო. მალე სიფაქსსა და მასინისას შორის მოხდა ბრძოლა მათს სამეფოთა საზღვარზე. სიფაქსმა კართაგენელთა მხარდაჭერით მოახერხა მეტოქის დამარცხება. მასინისამ მცირერიცხოვანი რაზმით თავი შეაფარა მთებს, საიდანაც ის აწყობდა ყაჩაღურ თარეშს. სიფაქსმა სათაკილოდ მიიჩნია ავაზაკების წინააღმდეგ მთებში ხეტიალი. ამიტომ მან მასინისას საბოლოო მოსპობა დაავალა ერთ-ერთ თავის მსახურს, სახელად ბ ო კ ა რ ს და ამ საქმისათვის მას ჩააბარა 4 000 ქვეითი მეომარი და 2 000 ცხენოსანი. ბოკარს მეფე აღუთქვამდა დიდ ჯილდოს, თუ მასინისას თავს მოუტანდა და კიდევ უფრო მეტს, თუ ცოცხალს მოჰგვრიდა. ბოკარმა სასტიკ შეტაკებაში მასინისას მთელი რაზმი ამოუწყვიტა. დაჭრილმა მასინისამ ოთხი კაცის თანხლებით მოახერხა გაქცევა. ბოკარი სდევდა მანამ, სანამ ისინი მთის ერთ-ერთ მდინარეში არ გადაეშვნენ. ორი მაშინვე დაიხრჩო. დაღუპულთა შორის ბოკარმა მასინისა ჩასთვალა და უკან დაბრუნდა. მაგრამ მასინისამ გადარჩენილი ორი მხლებლის თანხლებით თავი დააღწია მდინარის ტალღებს და ერთ-ერთ მიყრუებულ გამოქვაბულს შეეხიზნა. აქ ის რაღაც ბალახებით იშუშებდა ჭრილობას. მხლებლები მძარცველობდნენ და ისე არჩენდნენ მას. და აი, როცა მთელს აფრიკაში გავარდნილი იყო ხმა მასინისა მკვდარია და მის შესახებ დაივიწყეს კიდეც, ის 50 კაცის თანხლებით, რომლებიც მას გზად შეუგროვებია, გამოჩნდა ნუმიდიაში. სრული მოულოდნელობისა და სასტიკი სიფაქსისადმი ხალხის სიძულვილის მეოხებით მან მოახერხა ტახტის დაბრუნება. მაგრამ მისი მმართველობა ისევ ხანმოკლე გამოდგა. სიფაქსმა კართაგენელთა დახმარებით კელავ სასტიკად დაამარცხა იგი. მასინისამ ძლივს დააღწია თავი დაღუპვას; რამდენიმე დღე სდევნიდა მას სიფაქსის შვილი ვ ე რ მ ი ნ ა, მაგრამ ლტოლვილი გადარჩა მისი არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალღონის მეოხებით. სწორედ ამ დროს მოადგა აფრიკის სანაპიროებს გაიუს ლელიუსი. სციპიონის ლეგატისა და მასინისას შეხვედრის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

სელის სიმშვენიერით სახელგანთქმული ქალი, რომელიც მანამდე მასინისაზე, მის შესაფერისად პირმშვენიერსა და ახოვან გმირზე იყო დანიშნული.

ამგვარად, სციპიონი უნდა შერიგებოდა სიფაქსის კავშირის დაკარგვას და ჯერჯერობით დაკმაყოფილებულიყო იმ რამოდენიმე ასეული ნუმიდიური მხედრობით, რომელიც მის ბანაკში სასწრაფოდ მოიყვანა სიფაქსზე და კართაგენზე ბრაზითა და განუზომელი შურისძიებით შეპყრობილმა მასინისამ.

ჰასდრუბალმა რომაელთა შემოვრის მეორე დღეს 1 000 მხედარი გაგზავნა მტრის დასაზვერად და ხმელეთზე მისი გადმოსვლის დასაბრკოლებლად. მაგრამ რომაელთა მოწინავე რაზმებმა დაამარცხეს ისინი; ბრძოლაში მოკლეს მათი ახალგაზრდა მამაცი ბელადი ჰანონი. სციპიონის ლეგიონებმა ხელი მიჰყვეს აფრიკის მოსახლეობის დარბევას, ძარცვას, ქალაქებისა და სოფლების აოხრებას, ადგილობრივ მცხოვრებთა დატყვევებას და მონებად ქცევას. პირველსავე დღეს 9 000 კაცს დაადეს მონობის ბორკილები.

სციპიონი ერთ კილომეტრზე მიუახლოვდა ქ. უტიკას და დაბანაკდა. მას სურდა ხელში ჩაეგდო ეს მეტად მნიშვნელოვანი ქალაქი, რომელიც გამოადგებოდა როგორც მძლავრი ბაზისი აფრიკაში შემდგომი შეტევების წარმართვისათვის. 40 დღის განმავლობაში მიჰქონდათ რომაელებს იერიშები უტიკის კედლებზე როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, როცა გამოჩნდა ჰასდრუბალის 30 000 ქვეითი და 3 000 ცხენოსანი, ხოლო სულ მალე, აგრეთვე, სიფაქსის 50 000 ქვეითისაგან და 10 000 მხედრისაგან შემდგარი არმია, სციპიონმა მოხსნა ალყა და უკან დაიხია. იგი გამოსაზამთრებლად დაბანაკდა ერთ-ერთ მოხერხებულ კონცხზე, რომელიც ვიწრო ყელით უერთდებოდა ქვეყნის კონტინენტურ ნაწილს.

მთელი ზამთრის განმავლობაში სიცილიიდან სციპიონის ბანაკისაკენ მიეშურებოდნენ სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმლითა და საჭურველით დატვირთული გემები. თვითონ სციპიონი ამ ხნის მანძილზე ათასნაირ გეგმებს აწყობდა მომდევნო წლისათვის წარმატების მოპოვებაზე. მან მოსინჯა კიდეც ნიადაგი სიფაქსის ხელახლა თავის მხარეზე გადმობირებისათვის. ეს მით უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო, რომ, მისი ფიქრით, გაქსუებულ ბარბაროს მეფეს ამდენხანს უნდა მობეზრებოდა კართაგენელი ასული, მშვენიერი სოფონიბე. 203 წლის გაზაფხულამდე მიმდინარეობდა მოლაპარაკება მოწინააღმდეგეთა შორის. სიფაქსი ორივე მხარეს, კართაგენსა და რომს, სთავაზობდა ზავის მეტად ზომიერსა და კომპრომისულ პირობებს: კართაგენელებმა დასტოვონ

იტალია, ხოლო რომაელებმა — აფრიკა. რასაკვირველია, სციპიონს, რომელსაც ეშვიც არ ეპარებოდა, რომ უმოკლეს დროში კართაგენს საბოლოოდ ძირს დასცემდა, არც უფიქრია ზავის ასეთი პირობების მიღებაზე. მაგრამ იგი მოლაპარაკებას, თუ სიფაქსის გადმობირება არ მოხერხდებოდა, იმისთვის მაინც აჭიანურებდა, რომ მოედუნებინა მოწინააღმდეგის სიფხიზლე და კარგად შეესწავლა მისი სამხედრო პოზიციები. სწორედ ამ მიზნით ყოველ კვირას იგზავნებოდნენ რომაელი ელჩები სიფაქსისა და ჰასდრუბალის ბანაკებში. ელჩებს თან მიჰყვებოდნენ თანმხლებნი, მონების ტანსაცმელში გადაცმული დახელოვნებული მსტოვრები. ისინი სწავლობდნენ მოწინააღმდეგის განლაგებათა ყოველ წვრილმანს, მანძილს სიფაქსისა და ჰასდრუბალის ბანაკებს შორის, ბანაკთა მოცულობას, მათ კარიბჭეთა და ზღუდეთა აგებულებას, კარვების განლაგებებსა და შედგენილობას, სარდალთა და უფროს მეთაურთა ადგილსამყოფელთ, გუშაგთა ცვლის დროს და სხვ.

როცა სციპიონს ყველაფერი მზად ჰქონდა, სიფაქსს შეუთვალა: ჩვენი შეკავშირების აუცილებელი პირობაა დასტოვო კართაგენელები. სიფაქსმა უარი განაცხადა. იმავე ღამეს სციპიონმა არმია ორ ნაწილად გაჰყო. ერთი ნაწილი ჩააბარა გ. ლელიუსსა და მასინისას. უბრძანა მათ სრულიად შეუმჩნევლად მიჰპარვოდნენ სიფაქსის ბანაკს და ცეცხლი გაეჩინათ მისთვის, ხოლო თვითონ არმიის მეორე ნაწილით გაეშურა ჰასდრუბალის ბანაკისაკენ. ის იქ უნდა შეჭრილიყო მაშინ, როცა სიფაქსის ბანაკში ცეცხლი იფეთქებდა.

მართლაც, შუაღამისას, როცა სიფაქსის არმიას ტკბილად ეძინა, მათ ბანაკში უკვე ნაცნობი გზებით ჩუმად შეცოცდნენ რომაელები და ცეცხლს მისცეს ხისა და ლერწმის ღეროებისაგან აგებული კარვები. სიფაქსის ბანაკი ცეცხლის ალში გაეხვია. ყველას სჯეროდა, რომ ცეცხლი შემთხვევით გაჩნდა და რომაელები, რომელთაც მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ გაუწყვეტიათ, აქ არაფერ შუაში იყვნენ. ნახევრად მძინარე და უიარაღო მეომრები ცდილობდნენ ხანძრის ჩაქრობას. საშინელი პანიკისა და დაბნეულობის პირობებში სიფაქსის მეომრები უწყალოდ ისოცებოდნენ ცეცხლითა და რომაელთა მახვილისაგან. ბანაკის კარიბჭეებში გასაქცევად მოვარდნილი გონდაკარგული ადამიანები ერთიმეორეს სრესდნენ ან მრისხანე მტრის იარაღზე ეგებოდნენ.

როცა კართაგენელმა გუშაგებმა სიფაქსის ბანაკში ხანძარი შენიშნეს, სასწრაფოდ ატეხეს განგაში. აქაც ყველა ფიქრობდა, რომ ცეცხლი შემთხვევით იყო გაჩენილი და ამიტომ ისინი ჯგუფ-ჯგუფად უიარაღოდ გამორბოდნენ სიფაქსის ბანაკის მისაშველებლად. სწორედ აქ, გზაზე სციპიონი თავისი მეომრებით ეღობებოდათ წინ და უწყა-

ლოდ ელეტდა უიარაღო და გონდაკარგულ ბრბოებს. მალე ჰასდრუბალის დაცარიელებული ბანაკიც საშინელმა ხანძარმა შთანთქა.

ამგვარად, ერთი ღამის განმავლობაში მტრის ორი არმია თითქმის სრულიად განადგურდა. მცირერიცხოვანი უიარაღო და დამწვარ-დასახიჩრებული რაზმებით ბრძოლიდან გაქცეულმა ჰასდრუბალმა და სიფაქსმა 45 000 მეომრის გვამი დასტოვეს საბედისწერო ველზე; 5 000 ტყვედ ჩავარდა; აქედან 11 კართაგენელი სენატორი და ბევრი წარჩინებული მოქალაქე. გარდა ამისა, რომაელებმა ხელთ იგდეს მტრის 174 საბრძოლო დროშა, 2 700-ზე მეტი ცხენი და 6 სპილო. ბრძოლის ველი საკვე იყო უთვალავი დამწვარი პირუტყვით. მოწინააღმდეგის ბანაკებში ნაპოვნი უამრავი საბრძოლო იარაღი სციპიონის ბრძანებით ერთ ადგილზე შეაგროვეს და ღმერთ ვულკანის[1] სადიდებლად მთლიანად დასწვეს.

სციპიონი ისევ შემოერტყა უტიკას.

საშინელმა მარცხმა კართაგენს თავზარი დასცა. სუფეტებმა შეკრიბეს სენატი, გამართეს ბჭობა. ერთნი წინადადებას აყენებდნენ გაეგზავნათ ელჩები სციპიონთან და გაემართათ საზავო მოლაპარაკება; მეორენი მოითხოვდნენ იტალიიდან ჰანიბალის გამოწვევას და მისი მეოხებით ქვეყნის დაცვას; მესამენი მომხრენი იყვნენ ახალი არმიის შეკრებისა და სიფაქსის მხარდაჭერით ომის გაგრძელებისა. ეს უკანასკნელი აზრი იქნა მიღებული. კართაგენი გამალებით შეუდგა ახალ საომარ სამზადისს. იკრიბებოდა ჯარები, რომელთა ბირთვს 4 000 დაქირავებული კელტიბერი შეადგენდა. გაგზავნეს ელჩები სიფაქსთან. ეს უკანასკნელიც, შურისძიებით აღვსილი, კრებდა ახალ ჯარებს და ემზადებოდა რევანშისათვის. ამას ხელს უწყობდა მისი მშვენიერი ცოლიც, რომელიც ცრემლისღვრით ევედრებოდა მას ასეთი განსაცდელის ჟამს არ მიეტოვებინა მისი მამა და სამშობლო.

მალე ჰასდრუბალისა და სიფაქსის გაერთიანებულ არმიაში 30 000 მეომარმა მოიყარა თავი. როგორც კი სციპიონმა მოწინააღმდეგის ახალი სამზადისის ამბავი შეიტყო, უტიკის გარშემო მცირერიცხოვანი რაზმები დასტოვა და არმიის ძირითადი ძალებით მოწინააღმდეგესთან შესახვედრად გამოვიდა.

სამი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგენი უბრალო კენწლაობით ერთიმეორის ძალღონეს სინჯავდნენ. მეოთხე დღეს გაჩაღდა ბრძოლა. სციპიონმა მარჯვენა ფლანგზე იტალიელი კავალერისტები გამოიყვანა, მოწინააღმდეგის ნუმიდიური მხედრობის პირისპირ; მარცხენა ფლანგ-

[1] ვ უ ლ კ ა ნ ი (რომაელებთან) იგივე ჰ ე ფ ე ს ტ ო (ბერძნებთან)—ცეცხლისა და სამჭედლო ხელოვნების ღმერთი.

ზე მასინისა და მისი ცხენოსნები იდგნენ კართაგენელთა კავალერიის წინააღმდეგ: ცენტრში რომაული ლეგიონები უპირისპირდებოდნენ მოწინააღმდეგის ქვეით არმიას და მის ბირთვს, კელტიბერ მოქირავნეებს. ბრძოლის დასაწყისშივე ჰასდრუბალისა და სიფაქსის ცხენოსნები, და საერთოდ მთელი ახალწვეული, ბრძოლებში გამოუცდელი ჯარები, დამარცხდნენ. რომაელთა ძლიერ შეტევებს მხოლოდ კელტიბერები იგერიებდნენ მედგრად. თანდათანობით მასინისამ და იტალიელმა ცხენოსნებმა ფლანგებ-დან და ზურგიდან შემოუარეს მათ; ალყაში მოქცეულნი რომაელებმა მთლიანად ამოჟლიტეს. ჰასდრუბალი და სიფაქსი მათი არმიის სრულ განადგურებამდე გაიქცნენ ბრძოლის ველიდან.

ამრიგად, კართაგენმა აფრიკაში უკანასკნელი არმია მიაბარა მიწას. სციპიონმა მტრის დამარცხებულ სარდლებს კავალერიითა და მსუბუქადშეიარაღებული მეომრებით გამოადევნა ლელიუსი და მასინისა. თვითონ კი რამდენიმე დღეში ზედიზედ დაიპყრო უტიკასა და კართაგენს შორის მდებარე გაშლილი ოლქები და აურაცხელი სიმდიდრით დატვირთული მიადგა ქ. ტუნესს (ტუნისი), საიდანაც კარგად ჩანდა კართაგენის ცადატყორცნილი კოშკები.

კართაგენის სენატში, სანამ მოსახლეობა დღე და ღამე ქალაქის გამაგრებაზე და თავდაცვისათვის სამზადისზე ძალღონეს არ ზოგავდა, ბჭობდნენ თუ როგორ უნდა ემოქმედნათ კარზე მომდგარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ახლაც ორი პარტია — ომისა და ზავის პარტიები — ებრძოდა ერთურთს; პირველი მოითხოვდა იტალიიდან ჰანიბალისა და მაგონის გამოწვევას, მეორე კი — მტერთან საზავო მოლაპარაკების გამართვას. ორივე წინადადება იქნა მიღებული: დაუყოვნებლივ გაგზავნეს ბრძანება ჰანიბალთან და მაგონთან რაც შეიძლება მალე დაეტოვებინათ იტალია და მიშველებოდნენ მშობლიურ ქალაქს; გადაწყდა სციპიონთან ელჩების გაგზავნაც. ეს უკანასკნელი ღონისძიება (სციპიონთან საზავო მოლაპარაკების გამართვა) დროებით შეაჩერა ერთ პატარა მასშტაბის საზღვაო ბრძოლაში კართაგენელთა წარმატებამ, მაგრამ მალე ეს საკითხი ისევ წამოჭრა ძლიერი მოკავშირის — მეფე სიფაქსის-თავზე დატრიალებულმა ტრაგედიამ.

15 დღის დევნის შემდეგ ლელიუსი და მასინისა შეიჭრენ აღმოსავლეთ ნუმიდიაში და იქიდან განდევნეს სიფაქსი. მასინისამ დაიბრუნა თავისი მამაპაპეული ტახტი. მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ ფიქრობდნენ დაკმაყოფილებულიყვნენ თავისი კანონიერი მემკვიდრეობით. ორივე მხარე ემზადებოდა უახლოეს დროში გადამწყვეტი შეტაკებისათვის. სიფაქსმა სასწრაფოდ შეკრიბა ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო; მხედრები ესკადრონებად დაანაწილა, ქვეითი მეომ-

რები — კოჰორტებად, როგორც ეს შესწავლილი ჰქონდა რომაელებისაგან.

მალე მოხდა გადამწყვეტი ბრძოლაც. დასაწყისში მოწინააღმდეგეთა ცხენოსნების შეტაკებაში სიფაქსის ესკადრონები აშკარად სჯობნიდნენ მტერს, მაგრამ როცა ლელიუსის ბრძანებით იტალიელთა კავალერია შუაზე გაიპო და გზა მისცა რომაული ქვეითების მტკიცედ შეკრულ კარეს, სიფაქსის მეომრებმა უმალვე ზურგი აქციეს ბრძოლის ველს. თვით მეფე ამაოდ ცდილობდა გაქცეულ თანამებრძოლთა შემობრუნებას; არცხვენდა მათ, პირადად უჩვენებდა სიმამაცის მაგალითს და დაჰქროდა ბრძოლის ყველაზე სახიფათო ადგილებზე. უეცრად სიფაქსის ცხენი სათხედით განგმირული დაეცა ძირს და მხედარიც ქვეშ მოიყოლია. მეფე შეიპყრეს და ცოცხლად მიჰგვარეს ლელიუსს. მასინისა სიხარულისაგან აცახცახებული დასცქეროდა ძირს დაცემულსა და შებოჭილ მოსისხლეს. მან სთხოვა ლელიუსს მიეცა უფლება, რათა ბორკილდადებული სიფაქსისა და კავალერიის თანხლებით დაეტრიალიყო ცირტასაკენ, ხოლო თვითონ ქვეითი ჯარით ნელ-ნელა გაჰყოლოდა უკან. იგი აღებულს დაახვედრებდა ცირტას.

მართლაც, მასინისა მიუახლოვდა ქალაქს და მოითხოვა დანებება. როცა მან ქალაქის მოთავეების ყოყმანი შენიშნა, დაანახვა შებორკილი სიფაქსი. მოქალაქეებმა წინააღმდეგობის გაწევა უაზრობად ჩასთვალეს და კარები გააღეს. ამგვარად, მასინისამ უბრძოლველად ჩაიგდო ხელში ცირტა; განაწყო მასში სამხედრო გარნიზონი და თვითონ ცხენზე ამხედრებული გაეშურა სამეფო სასახლისაკენ. აქ მას შემოეგება და ფეხებში ჩაუვარდა დედოფალი სოფონიბე, რომელიც თავიდანვე ორი ბარბაროსი რაყიფის, — სიფაქსისა და მასინისას ტრფობისა და მათ შორის დაუძინებელი მტრობის საგნად იყო ქცეული. ის ევედრებოდა მასინისას არ დაენებებინა მისი თავი შეუბრალებელი რომაელებისათვის, რომლებიც არ დაინდობდნენ ჰასდრუბალის ასულს; ემუდარებოდა. შეეფარებინა თვითონ მას. ხოლო თუ ამ თხოვნას არ შეასრულებდა, ნება მიეცა სიკვდილით მაინც აეცილებინა თავიდან მოსალოდნელი უპატიურობა. მასინისამ ერთგულებისა და მფარველობის ნიშნად ხელი მისცა მას. მცირედი ფიქრის შემდეგ, თუ როგორ უნდა გადაერჩინა საყვარელი ქალი რომაელთა ხელყოფისაგან, ის შეუუღლდა სოფონიბეს მანამ, სანამ ლელიუსი მოუსწრებდა. მართლაც, ლელიუსი მაშინ მოვიდა ცირტაში, როცა ქორწინება უკვე დამთავრებული იყო. გაცეცხლებულ ლელიუსს სურდა საქორწინო სარეცელიდან გადმოეთრია აფრიკის „მშვენიერი ელენე“. როგორც ძვირფასი ტყვე და სიფაქსთან ერთად გაეგზავნა ის სციპიონისათვის, მისი მომავალი ტრიუმფის დასამშვენებლად. მაგრამ მასინისას ხვეწნა-მუდარამ, რომ თვითონ მის-

თვის მეენდო სციპიონთან ამ საქმეზე მოლაპარაკება, დააშოშმინა ლელიუსი და მთავარსარდალთან გაგზავნა მხოლოდ სიფაქსი და სხვა ტყვეები. მანამდე მან და მასინისამ მთელი ნუმიდია დაიმორჩილეს და კართაგენის წინააღმდეგ ბრძოლის რეზერვში ჩააყენეს. ამგვარად, კართაგენს სამხრეთიდან მტრული გარემო შემოერტყა გარს.

პატივაყრილმა სიფაქსმა სციპიონის წინაშე მონანიება დაიწყო. ის ამბობდა: მოვიქეცი მეტად უჭკუოდ. როცა ხელი აღვმართე რომაელთა წინააღმდეგ. მაგრამ ყველა ამ ჩემი უბედურების მიზეზი არის ის, რომ მე ჩემს სასახლეში შემოვიყვანე კართაგენელი ქალი; მასთან ქორწინების ცეცხლმა შთანთქა ჩემი სამეფო-საცხოვრებელი; მან, ცბიერმა ფურიამ[1] და საშინელმა სენმა ქალური ალერსისა და თვალთმაქცობის ათასნაირი ხერხებით დამაბრმავა და მაიძულა მახვილი გამეშიშვლებინა ჩემი მეგობრის (გულისხმობდა სციპიონს) წინააღმდეგ; მაგრამ ჩემთვის, დალუპული კაცისათვის, ნუგეშად რჩება ის, რომ ეს ფურია და საშინელი სენი ახლა თავშეფარებულია ჩემი უბოროტესი მტრის სასურავქვეშ. მასინისა არ იქნება ჩემზე უფრო წინდახედული და ურყევი სოფონიბეს წინაშე, ხოლო სიახალგაზრდავით კიდევ უფრო გაუფრთხილებელია. რა თქმა უნდა, მასინისას თავშეუკავებლობა და უჭკუობა. რაც მის ახალ ქორწინებაში მდგომარეობს, ყველაზე დიდი შეცდომაა, რომელიც კი მე ოდესმე ჩამიდენია.

სიფაქსის სიტყვამ მძიმე ზეგავლენა მოახდინა სციპიონზე. იგი, გარდა იმისა, რომ ზნეობრივი საბაბიც საკმარისად ეჩვენებოდა დაესაჯა მასინისა, სიფაქსის სიტყვაში ხედავდა დედააზრს: დღეს თუ ხვალ, მოსალოდნელია, ცბიერი კართაგენელი ქალი ხელს შეუწყობს მერყევი და დაუკვირვებელი მასინისას პოლიტიკური პოზიციის შეცვლას, კართაგენელთა მხარეზე მის გადასვლას. ეს იყო ძირითადი, რამაც სციპიონს გადააწყვეტინა წაერთმია სოფონიბე მასინისასათვის. მაგრამ ეს ძირითადი არ უთქვამს მისთვის მიზეზად. სარდალმა გაიხმო მასინისა და ტკბილი სიტყვით დაუწყო დარწმუნება მის შეცდომაში, ზნეობრივ თავშეუკავებლობასა და დაუკვირვებლობაში, როგორც ერთადერთ ცუდ ნაკლში ასეთი შესანიშნავი ვაჟკაცისა, მაგრამ, რაც მთავარია. ისევე როგორც შეპყრობილი სიფაქსი და დატყვევებული მისი ქვეშევრდომები, ასევე მისი ცოლიც რომაელ ხალხს ეკუთვნის; ეით უმეტეს, რომ ეს ქალი კართაგენელია და კიდევ მეტი: ის ჩვენი ყველაზე დიდი მტრის — ჰასდრუბალის ასულია. ამიტომ სოფონიბე შენ უთუოდ უნდა დასთმო.

---

[1] ფ უ რ ი ა (რომაელებთან) იგივე ე რ ი ნ ი ა (ბერძნებთან) — შურისგებისა და სიბოროტის ერთ-ერთი ქალღმერთთაგანი.

თავზარდაცემულმა მასინისამ ისევ აღუთქვა რომაელს თავისი ერთგულება და სთხოვა მცირე ხანი მოფიქრებისათვის. იგი შევიდა თავის კარავში. კარგა ხნის ოხვრა-გოდების შემდეგ მოიხმო ერთგული მონა, რომელიც მუდამ თან ატარებდა საწამლავს. მისი ბრძანებით მონა გამოცხადდა სოფონიბესთან. მიაწოდა მას ძლიერი საწამლავით სავსე ფიალა და გადასცა მასინისას სიტყვები: „მთელი სულით და გულით მსურდა შემესრულებინა აღთქმა, რომელიც მე მოგეცი, როგორც ქმარი აღუთქვამს ცოლს; მაგრამ ისინი, ვის ხელშიც ჩვენ ვართ, ამის საშუალებას არ გვაძლევენ, ამიტომ მე მსურს შეგისრულო მეორე აღთქმა მაინც, რომ შენ ცოცხალი არ ჩაუვარდე რომაელებს. მაშ, გახსოვდეს შენი მამა, სახელოვანი სარდალი, სამშობლო და ორი მეფე, რომელთა მეუღლეც შენ იყავი, და ამიერიდან შენს ბედზე შენ თვითონ იზრუნე!“ სოფონიბემ ჩამოართვა ფიალა და სთქვა: „ვლებულობ საქორწინო საჩუქარს სრულის მადლიერებით, რაკი მასინისას სხვაგვარად არ შეეძლო შეესრულებინა ქმრის მოვალეობა ცოლისადმი. უთხარი მას: ჩემი სიკვდილი ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ ამ სიკვდილის ზღურბლზე ხელახლა არ დავქორწინებულიყავ!“ — ამ სიტყვებით მიიღო მან საწამლავი.

სციპიონმა ამ ამბის შეტყობისთანავე იგრძნო ბარბაროსი მოკავშირის ჯიუტი ხასიათი. მოსალოდნელი იყო, რომ თავზეხელაღებული ავანტიურისტი სულ მიატოვებდა რომაელთა ბანაკს. მაგრამ სციპიონმა მასინისას ყველაზე სუსტი ადგილიც იცოდა — მისი განუზომელი პატივმოყვარეობა. ამიტომ მან საზეიმოდ შეჰკრიბა არმია და მის წინ მასინისას უწოდა ნუმიდიის მეფე; შეასხა მას ქება-დიდება და თავზე დაადგა ოქროს გვირგვინი, გადასცა ოქროს თასი, კურულის სავარძელი, სპილოს ძვლის სკიპტრა, სხვადასხვა ფერით შემკული ტოგა და მოქარგული ტუნიკა. აქვე დააჯილდოვა სციპიონმა სხვებიც, მათ შორის ლელიუსიც ოქროს გვირგვინით შეამკო.

საკვირველი მაინც არ არის, რომ ეს მრისხანე რომაელი მთავარსარდალი ამდენ ანგარიშს უწევდა ამ პატარა ბარბაროს მეფეს: ის ყოველთვის ითვალისწინებდა ნუმიდიური კავალერიის სიძლიერეს; უმრავლეს შემთხვევაში მის გადაჭწყვეტ მნიშვნელობას კართაგენელებსა და რომაელებს შორის ბრძოლაში.

ბორკილდადებული სიფაქსი და სხვა მისი თანამებრძოლები ლელიუსმა რომში ჩაიყვანა. აქ, სციპიონის წარმატებისა და აფრიკელი მეფის განადგურების აღსანიშნავად, ოთხდღიანი ლოცვა-ზეიმი გამოცხადდა. სენატმა მიიღო მასინისას ელჩები და აღიარა ის ნუმიდიის მეფედ. სიფაქსი დილეგში ჩააგდეს. მას სიკვდილამდე კიდევ ერთი

მოვალეობა აწვა კისრად: მონაწილეობა უნდა მიეღო სციპიონის მომავალ ტრიუმფში.

კართაგენში საბოლოოდ გაიმარჯვა ზავის პარტიამ. 30 კართაგენელი სენატორი გამოცხადდა გუნესთან დაბანაკებული რომაელი სარდლის კარავში. დაემხნენ სციპიონის წინაშე და ითხოვეს საზავო მოლაპარაკების გამართვა. სციპიონს სჯეროდა თავისი სრული გამარჯვების სიახლოვისა, მაგრამ მას კარგად ახსოვდა მისი წინამორბედის—რეგულუსის ბედიც. ამიტომ მიიღო კართაგენელთა წინადადება და წაუყენა მათ ზავის შემდეგი პირობები: კართაგენელებს რომაელებისათვის უნდა დაებრუნებინათ ყველა სამხედრო ტყვე, ემიგრანტები და გაქცეულები; გამოეყვანათ ჯარები იტალიიდან; რომის სასარგებლოდ ხელი აეღოთ ესპანეთზე და ყველა კუნძულზე, რომლებიც კი არსებობდნენ იტალიასა და აფრიკას შორის; ნუმიდიის მეფედ ეცნოთ მასინისა; მთელი ფლოტი, გარდა 20 გემისა, ჩაებარებინათ რომისათვის; გადაეხადათ 800 000 საწყაო ხორბალი და სამხედრო კონტრიბუცია 5 000 ტალანტის რაოდენობით; დაენიშნათ ორმაგი ხელფასი რომაელი ჯარისკაცებისათვის. სციპიონმა ამ პირობებზე მოსაფიქრებლად სამი დღის ვადა მისცა კართაგენს, და თუ ის თანხმობას განაცხადებდა, დასდებდა მასთან. დროებით ზავს, ხოლო ზავის საბოლოოდ გაფორმებისათვის ,კართაგენს ელჩები უნდა გაეგზავნა რომში.

ელჩებს კრინტიც არ დაუძრავთ! რომაელის ასეთი მძიმე მოთხოვნების წინააღმდეგ. კართაგენი ცდილობდა გაეჭიანურებინა მოლაპარაკება, სანამ ჰანიბალი აფრიკაში ჩამოვიდოდა. ელჩები გაგზავნილ იქნენ რომში ზავის სათხოვრად. ზავის ჩამოგდების დაჩქარების სურვილის გამოსახატავად თან გაიყოლეს 200 იტალიელი სამსედრო ტყვე ემიგრანტი.

ამ დროს ძმები ბარკიდები თავიანთი უკანასკნელი ძალებით იბრძოდნენ იტალიის მიწაზე. ჩრდილოეთ იტალიაში, კელტ-ინსუბრთა ოლქში, მაგონს, რომელმაც ვერ შესძლო სამხრეთისაკენ გაპრა და ჰანიბალთან შეერთება, გენერალური ბრძოლა გაუმართეს პრეტორმა პ უ ბ ლ ი უ ს ქ ვ ი ნ ტ ი ლ ი უ ს ვ ა რ უ ს მ ა დ ა პ რ ო კ ონ ს ულ მ ა მ ა რ კ უ ს კ ო რ ნ ე ლ ი უ ს მ ა. მთელი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგენი არაჩვეულებრივი სიმძაფრით ებრძოდნენ ერთურთს. მიუხედავად იმისა, რომ რომაელები რიცხობრივად ორჯერ აღემატებოდნენ მტერს, მაგონმა მაინც მოახერხა მათი პირველი რიგების გარღვევა. ამაოდ ცდილობდა რომაელი პრეტორი და მისი მამაცი შვილი კავალერიით მტრის ფლანგებიდან შემოვლას. მაგონის მხედრობამ წარმატებით უკუაქცია რომაელი ცხენოსნები. მან გადამწყვეტ მომენტში გამოიყვანა სპილოებიც და ის იყო გამარჯვების სასწორმა კართაგენელთა მხრისაკენ იწყო გადახრა,

რომ ამ დროს ბარძაყში მძიმედ დაჭრილი მაგონი ძირს დაეცა. მამაცი სარდლის დაცემამ თავზარი დასცა არმიას. რომაელებმა ისარგებლეს ბედნიერი შემთხვევით. როცა სისხლისაგან ნახევრად დაცლილი და გრძნობადაკარგული მაგონი არმიის ზურგისაკენ გაატარეს, კართაგენელებმა საბოლოოდ დაჰკარგეს გამარჯვების იმედი და დაიწყეს ბრძოლის ველიდან გაქცევა. 5 000 კართაგენელი დაეცა მკვდარი. არანაკლები ზარალი ნახეს რომაელებმაც. დაღუპულთა შორის იყო სამი სამხედრო ტრიბუნი და 22 წარჩინებული მხედარი.

ამ ბრძოლის შემდეგ ლიგურიის ზღვის სანაპიროზე დაბრუნებულმა მაგონმა მიიღო კართაგენის სენატის ბრძანება დაუყოვნებლივ აფრიკაში გადასვლის შესახებ. მან ჩასვა თავისი არმია გემებში და დასტრვა იტალიის სანაპიროები. მაგრამ მაგონმა ვერ მიაღწია მშობლიურ მხარეს. ის ჭრილობისაგან გარდაიცვალა გზაში (203 წ.). დარჩა უკანასკნელი ბარკიდი, ჰანიბალი.

კროტონთან დაბანაკებულმა ჰანიბალმა 204—203 წლებში უკანასკნელი მძაფრი ბრძოლები გაუმართა რომაელებს. უკანასკნელი ბრძოლიდან დაბრუნებულ სარდალს კარავში კართაგენელი ელჩები დახვდნენ, რომლებმაც გადასცეს მას იტალიის დატოვებისა და აფრიკაში დაუყოვნებლივ გამოცხადების ბრძანება. მაშ, ჰანიბალს უნდა დაეტოვებინა იტალია, რომელიც მას 16 წლის განმავლობაში ფომაული პროვინციის მსგავსად ეჭირა ხელში; როგორც დამარცხებულს უნდა დაეტოვებინა ქვეყანა, სადაც მას არც ერთი დამარცხება არ უნახავს და სადაც ის მტერთან ყველა გენერალური ბრძოლის მძლეთამძლედ ითვლებოდა. თექვსმეტი წელი რომის ისტორიაში „ჰანიბალის ომის“ სახელწოდებით შევიდა. ამ რამდენიმე წლის წინათ ის რომის კედლებთან იდგა, სადაც მან ანტიკური დროის ისტორიკოსები აიძულა აღემართათ მემორიალური დაფა, რომელზეც თავიანთი „ისტორიების“ საწყის ერად ხშირად ჰანიბალის მოსვლა მოეხსენებიათ.

იგი ცრემლითა და გმინვით შეხვდა ელჩებისაგან მოტანილ ბრძანებას. „მაშ, ახლა უკვე არა გადაკვრით, არამედ აშკარად მიწვევენ ისინი, ვისაც დიდი ხანია სურთ გამიყვანონ იტალიიდან, ისინი, ვინც ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ჩემთვის მაშველი ძალების გამოგზავნაზე და ხელი შეეწყოთ ჩემი დასუსტებისათვის; მაშ, ჰანიბალი დაამარცხა არა რომაელმა ხალხმა, რომელიც მას თვითონ მრავალჯერ დაუმარცხებია და გაუნადგურებია. არამედ კართაგენის სენატმა მისდამი შურითა და უკეთურობით; და ისე სციპიონი არ გაიხარებს და არ ამაღლდება ჰანიბალის სამარცხვინო დაბრუნებით, როგორც ჰანონი, რომელმაც კართაგენის დასაღუპავად ჰანიბალის სახელის განადგურების გარდა სხვა საშუალება ვერ გამონახა!“ — წამოიძახა ბრაზმორეულ-

მა სარდალმა. შემდეგ ბრძანა დაეკლათ ყველა ცხენი და ყველა იტალიელი ჯარისკაცი. რომლებიც კი უარს იტყოდნენ აფრიკაში წასვლაზე, ხოლო დანარჩენი ჯარები ჩამსხდარიყვნენ გემებში.

გადმოგვცემენ, რომ არავინ სამშობლოდან გაძევების დროსაც ისე დაღონებული არავის უნახავს, როგორც ჰანიბალი იტალიიდან წასვლისას ყოფილა. ის წყევლა-კრულვას და შეჩვენებას უთვლიდა ღმერთებს, ადამიანთა მოდგმას, საკუთარ თავს. დიდხანს, სანამ თვალს არ მიეფარა, ცრემლმორეული გასცქეროდა ქვეყანას, სადაც ის ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ვაჟკაცი მოვიდა და საიდანაც 16 წლის სისხლის ღვრით გაჭაღარავებული და ჟამთა სიავისაგან მხრებში მოდრეკილი მოხუცი მიდიოდა.

ჰანიბალისა და მაგონის წასვლამ რომში გიჟური სიხარული, აუწერელი ზეიმი გამოიწვია. ხუთი დღის მანძილზე გრძელდებოდა ღრეობა. 120 ხარი შეეწირა კაპიტოლიუმის საკურთხევლებს. რომი და იტალია გადარჩა! სენატმა და ხალხმა ჰანიბალის წასვლის აღსანიშნავად ყვავილებითა და ბალახით შემკული ოქროს გვირგვინი მიუძღვნეს 90 წლის ფაბიუს მაქსიმე კუნქტატორს, როგორც ერთადერთ რომაელ მხედართმთავარს, რომელიც თავიდან ბოლომდე მომსწრე იყო ჰანიბალის ომის საშინელებისა, თუმცა ის მაინც ვერ მოესწრო მრისხანე მტრის განადგურებას: გარდაცვალა იმავე წელს, რა წელსაც ჰანიბალმა დასტოვა იტალია.

საზავო მოლაპარაკებისათვის ჩამოსული კართაგენელი ელჩები რომში არ შეუშვეს. სენატორები მათ ქალაქს გარეთ შეხვდნენ. კართაგენელებმა ჯერ მონანიება დაიწყეს და ომის გაჩაღება ჰანიბალს გადააბრალეს. შემდეგ ითხოვეს ზავის ის პირობები, რომლებიც დადებულ იქნა პირველი პუნიკური ომის ბოლოს, ე. წ. კატულუსის ზავის სახით. რომაელებმა უარი სთქვეს და სციპიონს ლელიუსის პირით შეუთვალეს განეგრძო ომი.

ზამა. ომის დასასრული

ჰანიბალის ჩამოსვლამ ერთხელ კიდევ დააყენა ფეხზე კართაგენის სამხედრო პარტია. დავიწყებას მიეცა უკანასკნელი დამარცხებანი; ისევ აკიაფდა გამარჯვების იმედი. კართაგენელებს ბრმად სჯეროდათ ჰანიბალის გენიისა და ვერ გრძნობდნენ, რომ მისი ნიჭი ფუჭი იყო მოვლენათა მსვლელობის კანონზომიერებათა წინაშე, რაც რომაელთა სასარგებლოდ ვითარდებოდა.

აფრიკაში დროებითი სიწყნარე დაირღვა. მოწინააღმდეგეებმა კვლავ იარაღს მოავლეს ხელი. ორ დიდ ბუმბერაზს უნდა გადაეჯვარედინებია

მაჰვილები, ორ ბუმბერაზს, რომელთაგან ერთის ვარსკვლავი ზენიტს უახლოვდებოდა, მეორისა კი — ესვენებოდა.

ჰანიბალი ჩვეული ენერგიითა და სისწრაფით შეუდგა საომარ სამზადისს. იგი კართაგენში ჯერ არ იყო გამოცხადებული. ქ. ჰ ა დ რ უ მ ე ტ უ მ შ ი იდგა და იქ უყრიდა თავს ჯარებს. მისი საბრძოლო დროშის ქვეშ 50 000 მეომარმა მოიყარა თავი. ეს იყო უკანასკნელი რესურსები, რასაც კართაგენის სიძლიერე ერქვა და რაზედაც დამოკიდებული იყო მისი სიკვდილ-სიცოცხლე.

სციპიონიც, როგორი დარწმუნებულიც არ უნდა ყოფილიყო თავის „ბედის ვარსკვლავში" (როგორც წყაროები ამას ხშირად აღნიშნავენ), მაინც დიდის პასუხისმგებლობით გრძნობდა როგორ მოწინააღმდეგესთანაც ჰქონდა საქმე. მან იცოდა, რომ ეს არ იყო მეფე სიფაქსი, არამედ იყო ჰანიბალი, გენიალური სარდალი და უმამაცესი მეომარი, ათასჯერ რომაელთა სისხლში განბანილი; მას თან მოსდევენ მისივე თანატოლი, მრავალ ბრძოლაში ნაწრთობი მეომრები, რომელთაც საკუთარი ხელით დაუსამარებიათ რომაელი კონსულები, პრეტორები და სხვა სახის ბელადები, შემკულნი მრავალი ჯილდოთი. გვირგვინებით. ახლა რომის უმაღლესი მოხელეების წკეპლათა კონების საერთო რიცხვი იმდენი არ შეგროვდება, რამდენიც ის შეუძლია წარმოადგინოს ჰანიბალმა, რომაელ სარდალთა გამანადგურებელმა. ამიტომ სციპიონიც დიდის ენერგიით ემზადებოდა მოწინააღმდეგესთან შესახვედრად. დამხმარე ჯარები ჩამოვიდნენ იტალიიდან. მასინისამ მოიყვანა მრავალრიცხოვანი პირველხარისხოვანი ნუმიდიური კავალერია. სციპიონის არმიაც რიცხობრივად ჰანიბალისას უტოლდებოდა.

ამრიგად, 100 000 კაცმა მოიყარა თავი ადამიანთა ახალ სასაკლაოზე. ეს მოხდა 202 წლის 19 ოქტომბერს, ქ. ზ ა მ ა ს თ ა ნ. გადმოგვცემენ, რომ ამ დღეს მზის დაბნელება მომხდარა. და ეს დღე კართაგენელთათვის დაბნელდა.

ბრძოლის წინა დღეებში რომაელებს ხელში ჩაუვარდათ კართაგენელი მზვერავები. სციპიონმა ისინი ჩამოატარა თავის ბანაკებში, დაათვალიერებინა ყველაფერი და გაუშვა ისევ ჰანიბალთან. ჰანიბალმა მათგან შეიტყო, რომ მოწინააღმდეგეს უზარმაზარი საუკეთესოდ გაწვრთნილი არმიები ჰყავს; მათთან არის მასინისაც, რომელსაც 10 000 ნუმიდიელი ახლავს, ის ნუმიდიელები, რომლებითაც თვით ჰანიბალი მუდამ ამაყობდა და მათი მეოხებით სასწაულებს ახდენდა იტალიაში.

ჰანიბალი გრძნობდა, რომ მისი და მისი ქვეყნის აღსასრული მოახლოვებული იყო. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ჰანიბალს გამარჯვების რწმენა ჰქონდა დაკარგული. მან გადასწყვიტა ეცადა საზავო

შოლაპარაკება სციპიონთან, სანამ არმია ცოცხალი ჰყავდა და ზავის უკეთეს პირობებს მიაღწევდა.

მან გაგზავნა კაცი რომაელთა ბანაკში და სციპიონთან შეხვედრა ითხოვა. რომაელმა თანხმობა განაცხადა. და აი, სრულიად მარტონი, მხოლოდ თითო თარჯიმანის თანხლებით, ერთმანეთს შეხვდა ძველი დროის ორი დიდი სარდალი: ახალგაზრდა, ჯან-ღონიერი „მგლის ნაშიერი“ და უკვე ბრჭყალებდაცვეთილი და წელში გატეხილი ფინიკიელი „მელკარტი“. ისინი დიდხანს მდუმარედ და განუზომელი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ერთურთს. ბოლოს, ჰანიბალმა მიმართა ბედნიერ მეტოქეს: რადგან მე, რომელსაც გამარჯვება მუდამ ხელთ შეპყრა, მაინც ბედმა მარგუნა პირველმა ვითხოვო ზავი, ვხარობ. რომ ამ საკითხზე საუბარი შენთან მიხდება. ბედისწერა მე მაიძულებს დავთმო იმ კაცის წინაშე, რომლის ხალხიც მე ყოველთვის დამიმარცხებია. ბედმა იმაშიც მწარედ დამცინა, რომ სულ პირველი რომაელი კონსული და სარდალი, რომელთანაც მე ბრძოლაში ჩავები, მამაშენი იყო და ახლა მე უიარაღოდ ზავის სათხოვრად ვცხადდები მისი შვილის წინაშე. კარგი იქნებოდა ღმერთებს ჩვენი წინაპრებისათვის ჩაეგონებინათ, რომ მათთვის და ჩვენთვის საკმარისი ყოფილიყო ჩვენ-ჩვენი იტალია და აფრიკა; ვეძებდით სხვისას და ხშირად ამ ძებნაში საკუთარის გადარჩენისათვის გვიხდებოდა ბრძოლა. ასე მოგვიდათ თქვენ იტალიაში და ასე მოგვდის ახლა ჩვენ აფრიკაში. თქვენ, რომაელები მშობლიური ქალაქის კედლებთან ხედავდით მტრის სამხედრო დროშების ფრიალს, ხოლო ახლა კართაგენში ჩვენ გვესმის მტრის სამხედრო ბანაკის ხმაური. მართალია, კართაგენელებს ზავის თხოვნა გვიხდება თქვენთვის. რომაელებისათვის ხელსაყრელ პირობებში, მაგრამ გახსოვდეს, სციპიონო, ჟამთა სიავის, ულმობელობა და ბედის ტრიალი. ამის ცოცხალი მაგალითი ახლა შენს წინ დგას ჰანიბალის სახით. ჩემი ცხოვრების გზაზე ბედნიერება და უბედურება ერთმანეთს სცვლიდნენ, ამიტომაც მე მეტ უპირატესობას ვანიჭებ ჭკვიანურ განსჯას, ვიდრე ბედისწერას. მაგრამ მე მაშინებს შენი ახალგაზრდობა და დღემდე ურყევი ბედის წყალობა; ერთმაც და მეორემაც შეიძლება შენ იმდენი გაგაბედვინოს, რასაც ჭკვიანური განსჯა არ დაგანებებდა. ძალიან ცოტას ფიქრობს ბედზე ის, ვისთვისაც მას ჯერ ერთხელაც არ უღალატნია. მეც მიღიმოდა ბედის ვარსკვლავი; მე ხომ შენი ქალაქის წინაშე ვიდექ და შიშის ზარს ვცემდი მას, მაგრამ ახლა ჩემი ქალაქის წინ ვდგავარ და ვცდილობ გადავარჩინო ის იმ საშიშროებისაგან, რომლითაც მე რომს ძრწოლას ვგვრიდი. ამიტომ გირჩევ ნუ ენდობი ბედს, ფორტუნას; ენდე ჭკუას; მოიგონე ატილიუს რეგულუსის ბედი. ჩვენ თქვენს სასარგებლოდ უარს ვამბობთ ყველა იმ ტერიტორიაზე, რომლე-

ბისთვისაც ომი გვიწარმოებია. თქვენი იყოს სიცილია, სარდინია, ესპანეთი და ყველა კუნძული აფრიკასა და იტალიას შორის; ჩვენ კი, კართაგენელები, ჩავიკეტებით ჩვენს აფრიკაში.

სციპიონი კართაგენელი სარდლის პესიმისტურმა განწყობამ საბოლოოდ დაარწმუნა თავის სრულ უპირატესობაში. მან უარყო ჰანიბალისაგან საზავო პირობების მიღება და გადაჭრით მოითხოვა ბრძოლის გამართვა.

სარდლები დაბრუნდნენ თავიანთ არმიებთან და მიმართეს მათ სიტყვებით: ყველაფერი იარაღმა უნდა გადასწყვიტოს. დაე, აღიჭურვოს ყველა მებრძოლი ურყევი სიმამაცით და სიმტკიცით. ეს არის უკანასკნელი ბრძოლა, სადაც საბოლოოდ წყდება ორი ძლიერი სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ამ ბრძოლაში გამარჯვებული საბოლოოდ იმარჯვებს, დამარცხებული — სამუდამოდ დასამარდება. ეს არის ბრძოლა მსოფლიოზე გაბატონებისათვის და არა მარტო იტალიის ან აფრიკისათვის. ხვალ დაღამებამდე გაირკვევა ვინ უნდა უკარნახოს კანონები მსოფლიოს ხალხებს — რომმა თუ კართაგენმა.

დილით, 19 ოქტომბერს, სარდლებმა გამოიყვანეს არმიები ბრძოლის ველზე.

ჰანიბალმა ფრონტის წინა ხაზზე 80 სპილო ჩაამწკრივა. მათ შემდეგ პირველ რიგში განალაგა კელტების, ლიგურების, ბალეარელების და მავრიტანების დაქირავებული ჯარები, სულ 12 000 კაცი; მეორე რიგში ჩააყენა ახალწვეული კართაგენელები და აფრიკელები, ხოლო სულ ბოლოს, მესამე რიგში, ცოტა დაშორებით, იტალიის ბრძოლებში ნაცადი ვეტერანები, რომლებზეც ამყარებდა ძირითად იმედებს სარდალი. ესენი ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყვნენ გადამწყვეტ მომენტში, როცა პირველი რიგები შესუსტდებოდნენ. ფლანგებზე კავალერია განალაგა: მარჯვნივ — კართაგენელები, მარცხნივ — ნუმიდიელები.

სციპიონმა მთელი ქვეითი არმია ჩვეულებრივი სამრიგოვანი (ჰასტატები, პრინციპები, ტრიარიები) წყობით განალაგა, მაგრამ ისე, რომ ცენტურიებს შორის რამდენიმე ნაბიჯის ინტერვალები დასტოვა. ეს იმისათვის, რომ ბრძოლის დაწყებისას მოწინააღმდეგის სპილოებს მათზე გზა მისცემოდათ და ამგვარად თავიდან ყოფილიყო აშორებული რომაელთა რიგების დანგრევა. წინა ხაზზე დატოვებულ დისტანციებში ჩაყენებულ იქნენ მსუბუქადშეიარაღებული მეომრები (კელტები), რომელთაც ბრძოლის გახსნისას, თუ სპილოთა შემოტევისაგან გაუჭირდებოდათ, სწრაფად შეეფარებინათ თავი მათ უკან მდგარი რიგებისათვის, გზა მიეცათ მხეცებისათვის და შემდეგ გვერდიდან დაეშინათ მათთვის ისრები და სათხედები. სციპიონმა მარჯვენა ფლანგზე დააყენა იტალი-

ური კავალერია გ. ლელიუსის მეთაურობით, ხოლო მარცხენაზე — ნუმიდიელთა მხედრობა მასინისას სარდლობით.

ერთი შეხედვით იგრძნობოდა სციპიონის აშკარა უპირატესობა მისი დიდი მტრის იმდროინდელ სიძლიერესთან შეფარდებით. მას ჰყავდა პირველსარისხოვანი შესანიშნავად გაწვრთნილი წმინდა რომაულ-იტალიური არმია, რომელმაც მშვენივრად იცოდა, თუ რისთვის იბრძოდა ის ამ უცხო ქვეყანაში. ყველას შესანიშნავად ესმოდა ერთიმეორის; ყოველ მებრძოლს ერთი მიზანი და მისწრაფება ჰქონდა. გარდა ამისა, სციპიონის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა მასინისა თავისი მრავალრიცხოვანი ნუმიდიური კავალერიით.

ჰანიბალის არმია ჭრელი, მრავალხალხოვანი და სხვადასხვა მიზნებისათვის მებრძოლი მეომრებისაგან შედგებოდა. ერთიმეორის ნაკლებად ესმოდათ ერთიანებრძოლო დროშის ქვეშ მდგარ კართაგენელს, აფრიკელს, ესპანელს, კელტს, ბალეარელს, ლიგურს და მავრს. ისინი ერთიმეორისათვის თითქმის ყოველთვის უცხონი იყვნენ. საერთო მიზნად მათ მხოლოდ ერთი რამ ჰქონდათ: ნადავლი და საძხედრო ქირა. მაგრამ გამარჯვების ეს მეტად საეჭვო საწინდარი ახლა, როცა კართაგენი დაღუპვის კარზე იყო მისული, მეტად ცუდი სტიმულის მიმცემი იქნებოდა დაქირავებულ მეომართა სიმედგრისა და თავგანწირულობისათვის. ერთადერთი ნაწილი, რომელსაც ამ ბრძოლაში მტრის განადგურებისათვის სიცოცხლე არ უნდა დაეზოგა, იყვნენ, მკვიდრი კართაგენელები, მაგრამ თუგინდ ყურადღება იმასაც არ მივაქციოთ, რომ ფინიკიელები თავისი ბრძოლისუნარიანობით რომაელებს ვერასდროს გაუტოლდებოდნენ, ის ხომ ცნადი იყო, რომ ეს კართაგენელები ახალწვეული მეომრები იყვნენ; მათ უმრავლესობას მხოლოდ რამდენიმე დღის წინ მიეტოვებინათ სავაჭრო დუქნები, ბაზრები, საწვრილმანოსავაჭროები და არშინის ნაცვლად ხელში მახვილი აეღოთ. ნამდვილად ერთადერთი სამხედრო ძალა, რომლისაც ჰანიბალს ისე სწამდა, როგორც საკუთარი თავისა და მკლავისა, იყვნენ მხოლოდ მისი თანამებრძოლი მრავალ ბრძოლაში სისხლით თანაზიარი მეგობარი-ვეტერანები. მაგრამ ისინი ხომ მას მხოლოდ რამდენიმე ასეულიღა შერჩა.

ჰანიბალს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა თავისი მრავალფეროვანი ჯარებისათვის ყველასათვის შესადარისი სიტყვებით მიემართა, რომ მოწინააღმდეგის ბანაკიდან ატყდა საყვირებისა და საბრძოლო ზინზილაკების გამაყრუებელი ზრიალი. რომაელები თავზარდამცემი ყიჟინითა და იარაღის ზათქით მიეჭრენ კართაგენელებს. ჰანიბალმა წამსვე უპასუხა კონტრიერიშით. გამაყრუებელი ღრიანცელით დამფრთხალი სპილოები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც მარცხენა ფლანგზე იდგნენ, უკანვე გაბრუნდნენ და არიგდარიეს კართაგენელთა წინა რი-

გები. ამ შემთხვევით კარგად ისარგებლა მასინისამ, რომელმაც თავისი მხედრობით მაშინვე დაარტყა მოწინააღმდეგის კავალერიას და გაჰფანტა ის. სპილოთა ნაწილი მაინც შეიჭრა რომაელთა მსუბუქადშეიარაღებულ რიგებში. მაგრამ, როგორც სციპიონი ითვალისწინებდა, ველიტები სწრაფად დაიფანტნენ ცენტურიებში, გზა მისცეს სპილოებს და გვერდებიდან დაუშინეს მათ. ხმაურისაგან და ჭრილობებისაგან დაგიჟებული მხეცები უკანვე გაბრუნდნენ და ისევ მიაწყდნენ კართაგენელთა რიგებს, ახლა მათ მარჯვენა ფლანგს და ისიც დაშალეს. ამით მშვენივრად ისარგებლა აქ მდგარმა გ. ლელიუსმა და იტალიური მხედრობით უკუაქცია კართაგენელთა კავალერია. ამგვარად, ჰანიბალის არმიის ორივე ფლანგი, ცხენოსანი ჯარები უკვე დამარცხებული და დაფანტული იყვნენ. მისი ქვეითი არმიის პირველი რიგები ბრძოლაში ფლანგებგაშიშვლებული ჩაებნენ. პირველი შეტაკებისთანავე იგრძნო-



ბრძოლა ზამასთან.

ბოდა რომაულ ლეგიონთა აშკარა უპირატესობა. მხოლოდ გულისგამაწყალებლად და სასოწარკვეთილების მომგვრელად ისმოდა ჰანიბალის ძალმართა სხვადასხვა ენაზე აღმოხდენილი საბრძოლო შეძახილი. თავზარდამცემად სჩექდა რომაელთა ერთენოვანი და ერთხმივი ოლიმპიური საბრძოლო გრგვინვა. რომაელებმა პირველი დარტყმისთანავე აიძულეს ჰანიბალის მოწინავე დაქირავებულთა რიგები უკან დაეხიათ. მაგრამ ისინი მაინც დიდხანს მედგრად იგერიებდნენ მოწინააღმდეგის გაშმაგებულ იერიშებს. ჰანიბალის არმიის მეორე რიგი, კართაგენელები და აფრიკელები, აგვიანებდნენ ბრძოლაში ჩაბმას. ეს მოწინა-

ვეებმა ღალატად მიიჩნიეს და ბრძოლის საშინელებათაგან თითქმის ჭკუიდან გადასულებმა ახლა თვით მათკენ მიმართეს იარაღი. ამიტომ მეორე რიგს, კართაგენელებსა და აფრიკელებს, თითქმის ორივესთან — რომაელებთან და საკუთარ დაქირავებულებთან — ერთდროულად მოუხდათ ბრძოლაში ჩაბმა. მაგრამ მათ სასწრაფოდ მოსპეს ეს მოულოდნელი და უცნაური დაბნეულობა: ორივე ფლანგზე მირეკეს და უკან ჩამოიტოვეს მწყობრიდან გამოსული მოქირავნეები და არაჩვეულებრივი თავგანწირულებით შეებნენ რომაელებს. ბრძოლა ახალი სიმძაფრით გაჩაღდა. მეომრებს ფეხი უსხლტებოდათ სისხლის ღვართქაფისაგან ატალახებულ მიწაზე. დაღლილ-დაქანცულნი, მუსლმოკვეთილნი, იარაღის ხშირი ქნევისაგან მკლავმოწყვეტილნი ძლივს დაბობღავდნენ დახვავებულ გვამებზე და საჟურველზე; ბორძიკობდნენ, ეცემოდნენ, ისრისებოდნენ, შემზარავი ბღავილით ეგებებოდნენ სიკვდილს. შედრკნენ რომაელთა მოწინავე რაზმები: ჰანიბალის ნატყორცნმა შუბმა ძირს დასცა სციპიონის ცხენი. ელვის უსწრაფეს მოართვეს მარქაფი რომაელ სარდალს. მოახტა მყისვე. მოწინავეთა არეულობა გადაედო მომდევნო რიგებს. მაგრამ სციპიონმა სულიერად დაცემული პირველი რიგი სასწრაფოდ გაიწვია ბრძოლის ველიდან და მეორე და მესამე მწკრივები, პრინციპები და ტრიარიები, ახალი ენერგიით ჩაბა ბრძოლაში. ჰანიბალმა, როგორც კი ეს შენიშნა, სასწრაფოდ მოუხმო უკანასკნელ რეზერვებს, ნაცად ვეტერანებს. სისხლის ღვრა ახალ ფაზაში შევიდა. საშინელი ხელჩართული ხოცვა-ჟლეტა გაგრძელდა დიდხანს, აუწერელი სისასტიკით, დაუნდობლობით, თავდავიწყებით. აქ უკვე აღარ იბრძოდნენ ადამიანები. მხოლოდ მხეცადქცეული სულდგმულნი სჩეხდნენ და გლეჯდნენ ერთმანეთს. ჯერ კიდევ არ ჩანდა საით უნდა გადახრილიყო გამარჯვების სასწორი. მაგრამ, როცა მასინისამ და ლელიუსმა დაამთავრეს მოწინააღმდეგის კავალერიის სრული განადგურება და კართაგენელთა ქვეით არმიას ზურგიდანაც შემოუტიეს, ყველაფერი გარკვეულ იქნა: საშინელი ბატალია კართაგენელთა მარცხით დამთავრდა. კართაგენის 20 000 მეომარი ესვენა ბრძოლის ველზე; თითქმის ამდენივე ტყვედ ჩავარდა. რომაელებს ხელში ჩაუვარდათ 11 სპილო და 132 საბრძოლო დროშა. დიდი იყო რომაელთა მსხვერპლიც.

ჰანიბალი მცირე რაზმების თანხლებით ჰადრუმეტუმისაკენ მიჰქროდა. ერთხანს მას თავგამეტებით მისდევდა მასინისა თავისი ნუმიდიელებით. მისი სურვილი იყო შეეპყრო ჰანიბალი და ცოცხლად გადაეცა ის სციპიონისათვის. წამოეწია კიდეც დაღლილ ლტოლვილებს. ჰანიბალმა უეცრად ცხენი შემოაბრუნა და მდევარს შუბი სტყორცნა. მასინისას ცხენი დაეცა. ის კვლავ მოახტა მარქაფს და ახალი ენერგიით

გამოედევნა. ჰანიბალმა ერთი მოიხედა და ისევ გაისროლა. დაჭრილი მასინისა ცხენიდან გადმოეშვა.

ასე დამთავრდა სახელოვანი ბრძოლა ზამასთან, უკანასკნელი ბრძოლა ამ ომში. სციპიონი და მისი თანამებრძოლები, ასევე ყველა ძველი მეისტორიე, განცვიფრებული და აღტაცებული იყვნენ ჰანიბალით, რომელმაც ამ ბრძოლაშიც ყველაფერი გააკეთა, რაც კი საჭირო იყო გამარჯვებისათვის: ჯარების განლაგება, მათი ხელმძღვანელობა, პირადი სიმამაცე და თავგანწირულობა. მაგრამ ის მაინც გრძნობდა, რომ ძირმომპალი კართაგენის სიძლიერე სწორედ ამ ბრძოლაში უნდა მიჰბარებოდა მიწას. ასეც მოხდა. ჰანიბალი პირველად დამარცხდა. მან ძლევამოსილების კვერთხი გადასცა ბედნიერ რომაელს. ჰორიზონტს მიეფარა ჰანიბალის „ბედის ვარსკვლავი" და მასთან ერთად კართაგენის სიძლიერეც. აფრიკაში დაღამდა. ზენიტში ბრწყინავდა რომაელი იუპიტერი.

ჰანიბალი ჰადრუმეტუმში დაბრუნდა და შეუდგა თავისი არმიის ნაფლეთების შეგროვებას. აქედან ის თანამოქალაქეთა მიწვევით მივიდა კართაგენში. 36 წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც ჰანიბალმა, 8—9 წლის ბიჭმა, მშობლიური ქალაქი დასტოვა. ახლა ის დაბრუნდა და თავის ხალხს აშკარად გამოუცხადა: ამდენი სახელოვანი გამარჯვების მიუხედავად მტერთან უკანასკნელ შეხვედრაში წაგებულია არა მარტო ერთი ბრძოლა, არამედ მთელი საომარი კამპანია და ხსნის იმედი არსაიდან არ არის, გარდა იმისა, რომ რადაც უნდა დაგვიჯდეს მივაღწიოთ ზავის დადებას. ამას ამბობდა ჰანიბალი, კართაგენელთა შორის რომის ყველაზე დიდი მოსისხლე მტერი. ზავი აუცილებელი იყო კართაგენის გადარჩენისათვის.



სციპიონ უფროსი.

გამარჯვებულმა სციპიონმა ხელში ჩაიგდო მოწინააღმდეგის ბანაკი და გაძარცვა ის. დიდძალი ნადავლით დატვირთული რომაელები მივიდნენ უტიკაში, სადაც მათ ელოდებოდა 150 გემით იტალიიდან ჩამოსული პუბლიუს ლენტულუსი.

უტიკიდან სციპიონმა რომში გაგზავნა გ. ლელიუსი, რომელსაც იქ უნდა ეცნობებინა ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი. შემდეგ მან, მტერზე ახალი შიშის დაცემის მიზნით, ლეგიონები ჩააბარა ლეგატ ოქტავიუსს და გაგზავნა კართაგენისაკენ ხმელეთის გზით, ხოლო თვითონ თავისი ფლოტი შეუერთა ლენტულუსის გემებს და ახალი დიდი საზღვაო ძალებით გაეშურა კართაგენის ყურესაკენ. როგორც კი რომაელთა ფლოტი ქალაქს მიუახლოვდა, იქიდან გამოვიდა ზეთის ხილის რტოებით შემკული კართაგენული ხომალდი. მასში იჯდა 11 წარჩინებული კართაგენელი, რომელთაც საზავო მოლაპარაკება უნდა გაემართათ სციპიონთან. მიუახლოვდნენ რომაელი სარდლის გემს და ბაქანზე გადმომდგარ სციპიონს მწვანე რტოების რხევით სთხოვეს დაზავებაზე მოლაპარაკება. მათ უპასუხეს: სციპიონი მიეშურება ტუნესში და იქ შეუძლიათ ამ საკითხზე გამოცხადება. სციპიონი გადავიდა ნაპირზე და დაუწყო თვალიერება კართაგენს, უფრო იმ მიზნით, რომ მეტი ძრწოლა დატრიალებულიყო ქალაქში. შემდეგ ისევ გაიწვია ოქტავიუსი და მთელი არმია უტიკაში, ხოლო იქედან გაეშურნენ ტუნესში. გზად მიმავალთ უეცრად თავს დაესხა სიფაქსის შვილი ვერმინა, კართაგენელთა დაგვიანებული მშველელი, რომლის არმია უმეტესწილად ცხენოსნებისაგან შედგებოდა. მაგრამ უბედური მეფის მამაცი მემკვიდრე მალე დამარცხდა, მისი ჯარები განადგურდა და თვითონაც ძლივს დააღწია თავი სიკვდილს.

სციპიონი მთელი არმიით ტუნესთან დაბანაკდა. აქვე ელოდებოდა მას კართაგენელთა ბრწყინვალე ელჩობა 30 კაცის შემადგენლობით. გაიმართა საზავო მოლაპარაკება. ყველა რომაელი, მათ შორის სციპიონიც, მოწადინებული იყვნენ ბრწყინვალე გამარჯვების ღრეობა კართაგენის ნანგრევებზე გადაეხადათ. მაგრამ სციპიონი კარგად სჯიდა: მართალია, კართაგენელებს ამჯერად არმია აღარ ჰყავთ, მაგრამ ძნელია კართაგენის კედლების აღება! მით უფრო, რომ მის დაცვას ახლა თვით დიადი ჰანიბალი ხელმძღვანელობს! მისი აღებაც რომ შესაძლებელი გახდეს, ვინ იცის რამდენხანს გაჭიანურდება ალყა (როცა რომაელებმა უტიკაც ვერ აიღეს ამდენხანს). ხოლო სციპიონი უკვე მეათე წელია, რაც უმაღლეს იმპერიუმს ინარჩუნებს და სად არის გარანტია, რომში მისი „ტირანიისადმი“ მტრულად განწყობილი პარტია არ მიაღწევს მის შეცვლას ახალი კანდიდატურით, რომელიც მიითვისებს მის გამარჯვებათა ნაყოფს? ამიტომ, სანამ გვიან არ არის, საჭიროა მიიღოს დამარცხებული მოწინააღმდეგის შემოთავაზება და უკარნახოს ძლევამოსილის ნება-სურვილები.

სციპიონმა კართაგენელებს ზავის ასეთი პირობები წაუყენა: კართაგენს უფლება რჩება ჰქონდეს ავტონომია, მართოს თავისი თავი სა-

კუთარი კანონებით, ფლობდეს აფრიკის იმ ოლქებს, რომლებსაც ის ფლობდა ომის დაწყებამდე, ხოლო რომაელები შეწყვეტენ ამ ოლქთა აოხრებას. აი ყველაფერი, რაც კართაგენს რჩებოდა. სამაგიეროდ კართაგენელები ვალდებული არიან: გადასცენ რომაელებს ყველა სამხედრო ტყვე, გაქცეულები, ემიგრანტები; გადასცენ რომს მთელი საზღვაო ფლოტი. გარდა 10 გემისა; ჩააბარონ მას ყველა სპილო და ამიერიდან აეკრძალოთ ახალი სპილოების გაწვრთნა; ეკრძალებათ ომების დაწყება და წარმოება რომის დაუკითხავად როგორც აფრიკაში, ასევე აფრიკის გარეთ; მასინინასა უნდა დაუბრუნონ ყველა ოლქი, რომლებიც მას ეკუთვნოდა და დასდონ მასთან სამოკავშირო ხელშეკრულება; სურსათი და ხელფასი მისცენ აფრიკაში მყოფ რომაელ მეომრებს მანამ, სანამ ზავის რატიფიკაციას არ მოახდენს რომის სენატი; სამხედრო კონტრიბუციის სახით რომს გადაუხადონ 10 000 ვერცხლის ტალანტი (=18 000 000 მან. ოქროთი). 50 წლის განმავლობაში ყოველ წელიწადს 200 ტალანტი: სციპიონის არჩევით რომაელებს უნდა ჩაბარდეს 100 კართაგენელი მძევალი, ასაკით ყოველი მათგანი არაუმცირეს 14 წლისა და არაუმეტეს 30 წლისა. ბოლოს, დაზავება მაშინ შევიდოდა ძალაში, როცა კართაგენელები დააბრუნებდნენ იმ გემებს, რომლებიც მათ ამას წინათ წაართვეს რომაელებს.

ელჩები დაბრუნდნენ კართაგენში და სახალხო კრების წინაშე წარმოსთქვეს სციპიონის ზავის პირობები. მისმა ასეთმა სიმძიმემ საშინელი ჩოჩქოლი გამოიწვია ხალხში. ბევრი მომხრე იყო მისი უარყოფისა და ომის განგრძობისა. ასეთი აზრის მოთავე იყო გ ი ს კ ო ნ ი, რომელიც ხმამაღლა გაჰყვიროდა რიმაელებთან საზავო მოლაპარაკების შეწყვეტასა და ომის გაგრძელებას ბრაზმორეული ჰანიბალი მივარდა მასთან და კინწის კვრით ჩამოაგდო ტრიბუნიდან. ხალხი აღშფოთებით შეხვდა ჰანიბალის ასეთ მოქმედებას სახალხო კრების წინაშე. დარცხვენილმა სარდალმა გულისტკივილით განაცხადა: „ცხრა წლის ბავშვმა დაგტოვეთ თქვენ და ახლა დავბრუნდი ოცდათექვსმეტი წლის შემდეგ. სამხედრო ხელოვნება, რომლის შესწავლას მე ბავშვობიდანვე მაიძულებდა კერძო და საზოგადოებრივი მდგომარეობა, როგორც ვფიქრობ, საფუძვლიანად შევისწავლე, ხოლო რაც შეეხება კანონებს, სამართალს და ადათ-ჩვეულებებს, მე უკვე გადამავიწყდა და ამ საქმეში თქვენ უნდა იქნეთ ჩემი მასწავლებლები". ასეთი მობოდიშების შემდეგ მან სახალხო კრებას დაუსურათა ის უკიდურესად მძიმე მდგომარეობა, საიდანაც ერთადერთ გამოსავალს ზავი წარმოადგენდა. მით უმეტეს, — ამბობდა ჰანიბალი, — კონსული ტიბერიუს კლავდიუსი უზარმაზარი არმიითა და ფლოტით უკვე სიცილიაშია ჩამოსული და თუ საჭიროდ ჩასთვლის

დღეს თუ ხვალ აფრიკაშიც გაჩნდებაო. ამიტომ საჭიროა ზავი, თუნდაც ისეთი, როგორსაც სციპიონი აყენებს.

ჰანიბალის წინადადება მიღებულ იქნა.

სციპიონმა ჩაიბარა კართაგენელთაგან წართმეული გემები და, მასზე დატაცებული ქონების საფასურად, 25 000 გირვანქა ვერცხლი. შემდეგ მან ზავის სრულ რატიფიკაციამდე სამთვიანი დაზავება გამოაცხადა. ამ დროის განმავლობაში კართაგენს ეკრძალებოდა ყოველგვარი ელჩობის გაგზავნა რომელი ქვეყნისაკენაც არ უნდა ყოფილიყო ის, გარდა რომისა. ხოლო თუ საიდანმე, რომელიმე უცხო ქვეყნიდან ელჩობა მივიდოდა კართაგენში, ის იქიდან ვერ გავიდოდა, სანამ რომაელთა ბელადი მათი ჩამოსვლის მიზეზებს და მიზანს არ შეიტყობდა.

ზავის რატიფიკაციისათვის რომში გაიგზავნა კართაგენელთა ელჩობა, რომელსაც ჰანიბალის დაუძინებელი მტრები ჰანონი და ჰასდრუბალ „თხა“ (haedus) მეთაურობდნენ. ამ ელჩობას სციპიონმა თან გააყოლა თავისიანებიც: ლ. ვეტურიუს ფილონი, მ. მარციუს რალუსი და ლუციუს სციპიონი (სარდლის ძმა).

რომის სენატმა ქალაქის გარეთ, ბელონის ტაძარში მიიღო კართაგენელთა დესპანები და სციპიონის ეჯიბნი. აქ ვეტურიუს ფილონმა დაწვრილებით აუწყა რომაული იარაღის დიდი გამარჯვება დიდ ომში, კართაგენელთა სრული მარცხი და სიფაქსის შვილის ვერმინას განადგურებაც კი. სენატის ბრძანებით, სანამ კართაგენელ ელჩებს მოუსმენდნენ, ეს აღმაფრთოვანებელი ამბები ფილონმა გამოაცხადა რომის ფორუმზე შეკრებილ მრავალრიცხოვან სახალხო კრებაზე. აუწერელი სიხარული! ომი დასრულდა! კართაგენი, ჰანიბალი განადგურებულია! ყურთამდე გაიღო ყველა ტაძრის კარები. სამი დღე და ღამე გრძელდებოდა ღრეობა, ნადიმი, ზეიმი, რელიგიური რიტუალი, მისტერიები; უთვალავ სამსხვერპლო ცხოველთა სისხლით ამთავრებდნენ რომაელები უთვალავ ადამიანთა სისხლით ნაყიდ გამარჯვებას.

უმაღლეს მაგისტრატთა არჩევნების შემდეგ (კონსულებად არჩეულ იქნენ გ. კორნელიუს ლენტულუსი და პ. ელიუს პეტუსი) სენატის ახალ სხდომაზე მიიღეს კართაგენელი ელჩები. კარგა ხნის ბჭობის შემდეგ სენატმა მიიღო ზავი იმ სახით, როგორც შედგენილი ჰქონდა სციპიონს[1]. მეორე დღეს ზავი დაამტკიცა რომის სახალხო კრებამ.

გამოიყო ოთხი კაცისაგან შემდგარი კოლეგია, რომელიც უნდა გაჰ-

[1] როცა კართაგენელ ელჩებს ზავის ერთგულად შესრულებაზე უნდა დაეფიცებინაო, ერთმა რომაელმა სენატორმა შესძახა მათ:—„რომელი ღმერთებით უნდა დაიფიცოთ თქვენ, როცა წინა შეთანხმების დროს ყველა ისინი მოატყუეთ!“ — „იმ ღმერთებით, რომლებიც ასე სჯიან შეთანხმებათა სიწმინდის ჩვენებრ დამრღვევთო“—მშვიდად უპასუხა ჰასდრუბალ „თხამ“.

ყოლოდა კართაგენელთა ელჩობას და მისი თანდასწრებით კართაგენის ხელისუფლებას მოეხდინა ზავის რატიფიკაცია.

ამის შემდეგ დაკმაყოფილებულ იქნა კართაგენელ ელჩთა თხოვნა შეეშვათ ქალაქში და ნება მიეცათ შეხვედროდნენ აქ, რომის საპატიმროებში ჩაყრილ ტყვე თანამემამულეებს. სენატის სპეციალური დადგენილებით დამარცხებულებს ნება მიეცათ აეროერჩიათ 200 ტყვე, რომლებიც კართაგენში ზავის რატიფიკაციის შემდეგ უსასყიდლოდ იქნებოდნენ გათავისუფლებული.

201 წლის გაზაფხულზე კართაგენში ზავის რატიფიკაციის შემდეგ ყველაფერი დასრულდა. კართაგენელებმა მეორე დღესვე სციპიონს ჩააბარეს მთელი ფლოტი (ათი გემის გარდა), სამხედრო ტყვეები (4 000 კაცი), გაქცეული მონები, ემიგრანტები, სპილოები. სარდლის ბრძანებით ცეცხლს მისცეს კართაგენის ფლოტი, სულ 500 გემი. კართაგენელები ქალაქის კედლებიდან მოთქმა-გოდებით გასცქეროდნენ ცადატყორცნილ ხანძრებს, რომელიც მათ უკანასკნელ დიდებას შეუბრალებლად ნთქავდა.

სციპიონმა სასტიკად დასაჯა გაქცეულნი. მოღალატენი. იმათგან ლათინებს ყველას თავები დააყრევინა, ხოლო რომაელები ჯვარზე გააკრა.

დასრულდა ომი, და კართაგენი, უძლიერესი მსოფლიო სახელმწიფო. უბრალო. კოლონიალურ მოხარკე ქალაქად გადაიქცა. გადმოგვცემენ, როცა ზავის თანახმად კართაგენის მოსახლეობა დიდის ვაივაგლახით და ცრემლებს ფრქვევით აგროვებდა პირველი წლის გადასახადს. ჰანიბალი მას მწარე ირონიით შეხვდა. მისი მოსისხლე მტრის ჰასდრუბალ „თხის“ აღშფოთებულ კითხვაზე. თუ რა აცინებდა მას ასეთი საყოველთაო მწუხარების დროს. ჰანიბალმა უპასუხა: რომ შეიძლებოდეს ადამიანის სულის ისე დანახვა, როგორც მისი სახისა, მაშინ ადვილად შენიშნავდით, რომ ჩემი სიცილი. თქვენი გაკიცხვის საგანი. გამოწვეულია არა სიხარულით. არამედ ის წარმომდგარია სულის სიღრმიდან. რომელიც მე აუარებელ მწუხარებათაგან თითქმის სრულიად დაგკარგე. ყოველ შემთხვევაში ეს სიცილი უფრო სამართლიანია, ვიდრე თქვენი ამყამინდელი. ნაგვიანევი და მეტად უადგილო წუწუნი და სამარცხვინო ცრემლები. სამწუხარო და სატირალი თქვენ გქონდათ მაშინ, როცა შესაძლებლობა გაქონდა და ეს ერთიანი შეთანხმებულობით არ ვიყენებდით მძვინვარე მტრის წინააღმდეგ: უნდა გეტირათ მაშინ, როცა ამ შეუთანხმებლობისა და შინაური მტრობის წყალობით მტერმა იარაღი წაგვართვა, ფლოტი დაგვიწვა და საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება ჩამოგვართვა. მაგრამ არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ შეუძლია მშვიდად იყოს: თუ არ ჰყავს მტერი ქვეყნის გარეთ, მაშინ


I
II
III
IV
ბალტიკა
ბალტიკა
ბალტიკა

ᲗᲐᲡ ᲞᲝᲣᲚᲝᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲔᲡᲮᲛᲘᲡ, ᲫᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲔᲪᲔᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲫᲐᲚ-ᲦᲝᲜᲘᲡ ᲡᲘᲛᲫᲘᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲐᲡᲔ ᲛᲝᲒᲕᲓᲘᲝᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲪ. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲔᲠᲗᲣᲠᲗᲡ ᲕᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗ; ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲘᲠᲐᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ; ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘ ᲘᲦᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲕᲘᲐᲜ, ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲫᲚᲔᲕᲐᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲐᲛᲐᲧᲐᲓ ᲛᲘᲐᲑᲘᲯᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲐᲞᲔᲜᲘᲜᲖᲔ. ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲐᲛᲑᲘᲗ ᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲠᲝᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲨᲕᲠᲔᲔᲑᲡ. ᲣᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲫᲚᲔᲕᲐᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲝᲥᲠᲝᲡ ᲔᲢᲚᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲨᲔᲑᲛᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲝᲗᲮᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲛᲔᲠᲐᲜᲘ, ᲘᲯᲓᲐ ᲓᲐᲤᲜᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲙᲣᲚᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲪᲘᲞᲘᲝᲜᲘ. ᲛᲘᲡ ᲔᲢᲚᲡ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲮᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲕᲐᲠᲘ, ᲒᲐᲯᲐᲥᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲮᲕᲐᲓ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘ; ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲔᲚᲔᲑᲘ. ᲬᲘᲜ ᲛᲘᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲜᲐᲓᲐᲕᲚᲘ, ᲘᲐᲠᲐᲦᲘ, 123 000 ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ. ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲐᲢᲝᲠᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲣᲫᲦᲝᲓᲜᲔᲜ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲧᲕᲔᲔᲑᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲬᲘᲜ ᲛᲔᲤᲔ ᲡᲘᲤᲐᲥᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲚᲔ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲔᲚᲝᲓᲐ.

ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲝᲚᲘᲣᲛᲨᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ. ᲡᲪᲘᲞᲘᲝᲜᲛᲐ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲣᲬᲕᲓᲔᲜᲔᲚᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ ᲐᲕᲘᲓᲐ. „ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲐᲤᲠᲘᲙᲔᲚᲡ!“, „ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲐᲤᲠᲘᲙᲔᲚᲡ!“ ᲒᲠᲓᲒᲕᲘᲜᲐᲕᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ. ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲡ, ᲙᲐᲠᲗᲐᲒᲔᲜᲘᲡ ᲛᲫᲚᲔᲡ, ᲠᲝᲛᲐᲔᲚᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ „Ა Ფ Რ Ი Კ Ე Ლ Ი“ ᲣᲬᲝᲓᲐ. ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲞᲘᲠᲖᲔ ᲔᲙᲠᲐ ᲞᲣᲑᲚᲘᲣᲡ ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘᲣᲡ ᲡᲪᲘᲞᲘᲝᲜ ᲐᲤᲠᲘᲙᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ.

თავი მეოთხე

კართაგენი და რომი მეორე და მესამე პუნიკურ ომებს შორის

კართაგენი ომის დამთავრების შემდეგ

კართაგენი მეორე პუნიკური ომიდან აფრიკის უბრალო, მეორეხარისხოვან და რომის მოხარკე ნახევრადკოლონიურ ქალაქად დაქვეითდა. რომი ფხიზლად ადევნებდა თვალს კართაგენში მომხდარ ყოველგვარ ცვლილებას, მის პოლიტიკოსთა ყოველ ნაბიჯს, რომელიც კი მიმართული იქნებოდა დაცემული ქვეყნის ძლიერების აღდგენისაკენ. კართაგენის მორჩილების მუდმივი უზრუნველყოფისათვის რომმა აღვირი ახსნა ნუმიდიის მეფე მასინისას, რომელიც ერთგული კერბერივით[1] დარაჯობდა მიწაზე გართსმულ ქალაქს. ძალიან ხშირად მასინისა შეიჭრებოდა კართაგენელთა საზღვრებში, აოხრებდა, სძარცვავდა მის სოფელ-ქალაქებს და სრულიად დაუსჯელად მდიდარი ნადავლით დატვირთული ბრუნდებოდა უკან. იგი მთელ რიგ ოლქებს, მანამდე კართაგენელთა ძალაუფლების ქვეშ მყოფთ, ითვისებდა და მათ ხარჯზე თავის სამფლობელოთა საზღვრებს ზრდიდა. კართაგენს უფლება არ ჰქონდა შებრძოლებოდა გათავხედებულ თავდამსხმელს. რომთან დადებული ზავი ხომ უკრძალავდა მას რომის ხელისუფლების ნებართვის გარეშე ომის წარმოებას ვისმესთან. თუნდაც ეს ომი სამართლიანი, თავდაცვითი ხასიათის ყოფილიყო. ამიტომ რომში ზედიზედ ცხადდებოდნენ კართაგენელი ელჩები და ხვეწნა-მუდარით „თავს აბეზრებდნენ" სენატს შეეწყნარებინათ დაღუპვის კარზე მისული მათი ქალაქი ან მიეცათ თავდაცვის უფლება, ან აელაგმათ თავგასული ნუმიდიელი. ცხადია, ეს საჩივრები ისევ რომის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. რომი თვითონ აძლევდა ნუმიდიის მეფეს უფლებას გაეფართოვებინა თავისი სამფლობელოები და ვის ხარჯზე უნდა მომხდარიყო ეს, თუ არა ისევ კართაგენის გავლენის სფეროთა ხარჯზე. ამიტომ სენატი დამარცხებული მტრის სამართლიან თხოვნას ჩვეული დიპლომატიური ხრიკებით იშორებდა თავიდან. აფრიკაში „საქმის ადგილზე შესწავლის მიზნით"

---

[1] კ ე რ ბ ე რ ი (ბერძნული მითოლოგიით) ქვესკნელის, საიქიოს კარებზე დარაჯად მდგარი ძაღლი-ურჩხული.

ერთიმეორეს სცვლიდნენ რომაული კომისიები; „არკვევდნენ“, „სწავლობდნენ“, აჭიანურებდნენ, ორჭოფობდნენ, თაღლითობდნენ, მოწინააღმდეგეებს „შეარიგებდნენ“ და არასოდეს არც ერთ მხარეს გადაჭრით არაფერს ეტყოდნენ; აფრიკიდან წავიდოდნენ და კართაგენსაც ახალი თავდასხმებისა და აოხრების საშიშროების ქვეშ დასტოვებდნენ.

ბუნებრივი იყო, რომ უზომოდ დამცირებული და გასასრესად გამზადებული „ჭიაც ბოლოს გაიქნევდა“. კართაგენში ჯერ კიდევ არ ჩამქრალიყო პატრიოტული გრძნობის ცეცხლი. ჯერ ისევ ოპტიმისტური თვალით უცქეროდნენ მომავალს ერთ დროს ძლიერი სამხედრო პარტიის თანმიმდევარნი, რომელთაც სათავეში ჰანიბალ ბარკა ედგა. ჰანიბალი ჯერ კიდევ ცოცხლობდა და მისი სიცოცხლის მიზნად უცვლელადვე რჩებოდა რომის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა. „ჰანიბალის ფიცი“ ძალაში რჩებოდა. ის კარგად ხედავდა სახალხო მასების აღშფოთებას, რაც გამოწვეული იყო ასეთ ძვირფასი დროს ოლიგარქიული ხელისუფლების უმოქმედობითა და დაბნეულობით. საჭირო ხდებოდა მთელი სახელმწიფო აპარატისა და მმართველობის სისტემის გადახალისება დანგრეული ქვეყნის აღდგენისა და გაჯანსაღებისათვის. ამის შესაძლებლობა მით უფრო რეალური ჩანდა, როცა ამ დროს რომი იძულებული იყო ისევ კელტებთან ომით დაკავებულიყო და აღმოსავლეთის ქვეყნებთან მოსალოდნელი დიდი ომების პერსპექტივის წინაშეც დამდგარიყო.

კართაგენის ოლიგარქები გრძნობდნენ ჰანიბალის ავტორიტეტის სიძლიერეს, მისდამი ფართო საგარეო პოლიტიკის გაშლის მომხრე სავაჭრო-ფინანსური პარტიებისა და საერთოდ სახალხო მასების მხარდაჭერას და სახელმწიფოს მართვის ხელისუფლების დაკარგვის საშიშროებას. ამიტომ მათ ზავის დადებისთანავე გაიბრძოლეს ბრძოლა ჰანიბალთან. ცდილობდნენ მისი ავტორიტეტის დაცემას: ადგენდნენ „საქმეებს“; ბრალს სდებდნენ სახელმწიფო ღალატშიც, რომ მან კანესთან გაშარჯვების შემდეგ, თითქოს, რომის აღების შესაძლებლობა განზრახ გაუშვა ხელიდან; თითქოს მან იდუმალ მიითვისა იტალიაში დაგროვილი ქონების დიდი ნაწილი და სხვა ბევრი ამდაგვარი.

მაგრამ მათ ვერ შესძლეს ჰანიბალის ავტორიტეტის შელახვა. პირიქით, მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა თვითონ გაიტეხეს სახელი და საბოლოოდ დაჰკარგეს მოსახლეობის უმრავლესობის ნდობა. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ 195 წელს კართაგენის სახალხო კრებამ ჰანიბალი უმაღლესი მაგისტრატის განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვა.

დიდმა მხედართმთავარმა ახლა თავი გამოიჩინა როგორც საუკეთესო შინასახელმწიფოებრივმა მოღვაწემაც. იგი დაუყოვნებლივ შეუდგა

ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერის აღდგენისათვის ბრძოლას, ფინანსური და ადმინისტრაციული რეფორმების გატარებას. პირველ რიგში მან ლახვარი ჩასცა ოლიგარქთა მმართველობას, რომელიც მუდამ ხელს უშლიდა სახელმწიფოს ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნას და მის ნიადაგზე მთელი მატერიალური შესაძლებლობების კონცენტრაციას საქვეყნო საქმეთა წარმატებით განხორციელებაში. ჰანიბალმა თავისი პოლიტიკური რეფორმით გააუქმა კონსერვატორ-ოლიგარქთა ძირითადი დასაყრდენი ბირთვი, ე. წ. ასოთხის საბჭო, რომელიც მანამდე კონტროლს უწევდა და მთელი სისასტიკით ცხოვრებაში ატარებდა იგივე ოლიგარქიული სენატისაგან დადგენილ კანონებს. ფლობდა ქვეყნის მატერიალურ რესურსებს, თვითნებურად განაგებდა სამოქალაქო და სამოსამართლო საქმეებს. ჰანიბალმა მეტი უფლებით, აქტიურობითა და ინიციატივით აღჭურვა სახალხო კრება. მისი მხარდაჭერით გამოსცა კანონი, რომლითაც ერთსა და იმავე კაცს არ შეეძლო ორ წელს ზედიზედ ყოფილიყო მოსამართლედ. შემდეგ მან ხელი მოჰკიდა სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობის მოწესრიგებას. ფინანსური რეფორმებით ზღვარი დაუდო უმაღლეს მოხელეთაგან და თავგასულ დიდკაცთაგან სახელმწიფო ხაზინის გაქურდვას. განიავებას და უყაირათობას. დაწესდა მკაცრი კონტროლი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალზე. მოწესრიგებულ იქნა საგადასახადო სისტემა. ყოველგვარი გადასახადი, სავაჭრო ბაჟი, მიწის ნაკვეთისა თუ სხვა მრავალი საწარმო-სახელოსნოს გამოსაღები თავს იყრიდა სახელმწიფო ხაზინაში. ქვეყანა ნელ-ნელა ფეხს იდგამდა, ეკონომიურად და მორალურად ძლიერდებოდა. კართაგენის ქუჩებში აღარ ისმოდა მოთქმა-გოდება, რასაც მანამდე რომისადმი ყოველწლიურად დაწესებული კონტრიბუციის გადახდა იწვევდა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა.

მაგრამ ოლიგარქიას არ ეძინა. მისი წარმომადგენლები სისტემატურად აგზავნიდნენ წერილებს რომში და ატყობინებდნენ მას, რომ ჰანიბალი რომის წინააღმდეგ ახალ ომს ამზადებს; იგი, როგორც გარეული მხეცის ბორკილება არ შეიძლება, ისე არ მოიშლის რომისადმი უკიდურესი მძულვარებით აღსავსე მტრობას; ის ურთიერთობას აბამს სირიის მეფე ანტიოქე III-თან, უგზავნის ელჩებს ან თვითონ საიდუმლოდ ღებულობს მის დესპანებს და ორივენი ერთად ადგენენ რომის დამხობის ახალ გეგმებს. ჰანიბალი აღშფოთებულია კართაგენელთა სასოწარკვეთილი დაცემულობითა და რუტინით. ამიტომ ის აშკარად გაიძახის, რომ მხოლოდ ახალ ძლიერ საბრძოლო ყიჟინასა და იარაღის ჟღარუნს შეუძლია კართაგენის გამოღვიძებაო.

რომაელებმა დროზე მიაქციეს ყურადღება აღნიშნულ ამბებს. გა-

დაწყვეტილ იქნა კართაგენს წართმეოდა მისი აღორძინებისათვის თავგამოდებული ბრძოლისა და შრომის მოთავე. ამის გასამართლებელ საბაბს და საბუთებს თვით კართაგენი იძლეოდა.

194 წელს კართაგენში ჩავიდა რომის კომისია თითქოსდა კართაგენსა და ნუმიდიას შორის ატეხილი უთანხმოების მოსაწესრიგებლად. ჰანიბალს არ გასჭირვებია შეეტყო რა იყო რომაელთა ჩამოსვლის ნამდვილი მიზანი; იგი მიხვდა, რომ ტყვის ბორკილებით უნდა შესულიყო იმ საძულველ ქალაქში, სადაც ძლევამოსილების ტრიუმფით შესვლა ვერ მოახერხა. ამიტომ მან სასწრაფოდ მოიფიქრა გაქცევის გეგმა.

ეჭვი რომ არავის შეჰპარვოდა, ჰანიბალი მთელი დღის განმავლობაში სამსახურებრივ ტანსაცმელში გამოწყობილი დადიოდა ქალაქის ქუჩებში და ჩვეულებრივი გულისყურითა და სიმშვიდით ხელმძღვანელობდა ამა თუ იმ საზოგადოებრივ საქმეთა წარმოებას. ხოლო როგორც კი დაღამდა, ორი მსახურის თანხლებით გავიდა კართაგენის კედლებიდან, მოახტა ცხენს და გაქუსლა თავისი კერძო მამულისაკენ, რომელიც მდებარეობდა კართაგენიდან და ტუნესიდან სამხრეთისაკენ, ზღვის სანაპიროზე, ქ. ტ ა პ ს ი ს მახლობლად. აქ ჩაჯდა გემში, რომელიც მას საჭიროებისათვის მუდამ მზად ჰყავდა და სასწრაფოდ გაეშურა აღმოსავლეთისაკენ. დილით ის მიაღწია კართაგენის ერთ-ერთ პატარა კუნძულს კ ე რ კ ი ნ ა ს, მასზე გადავიდა მცირე ხნის შესვენებისა და სამგზავრო თადარიგისათვის.

კუნძულის მცხოვრებნი დიდის ამბით შეხვდნენ სარდალსა და გმირს, რომელმაც აუწყა თავისი მგზავრობის გეზი: კართაგენი მას აგზავნის თავის მეტროპოლიაში, ფინიკიის დიდ ქალაქ ტიროსში. მაგრამ ჰანიბალს აფიქრებდა აღმოსავლეთიდან აფრიკისაკენ მიმავალი და ამჯერად კერკინის ყურესთან შეჩერებული კართაგენელი სავაჭრო გემი, რომელსაც შეეძლო კართაგენში ჩაეტანა კუნძულზე ჰანიბალის ყოფნის ამბავი. ამიტომ მან ზღვის პირზე გამართა დიდი მსხვერპლშეწირულება და ნადიმი, რომელზეც კართაგენელთა გემის ეკიპაჟიც მიიპატიჟა. ზაფხულის სიცხიანი დღე იყო და ჰანიბალმა თითქოს იმ მიზნით, რომ მონადიმეები მზეს არ შეეწუხებინა, კართაგენელებს მათ გემზე იალქნები და ბაგირები აახსნევინა და კარვები გამართა. ღრეობა შუაღამემდე გაგრძელდა. ჰანიბალმა შეუმჩნევლად დასტოვა უგრძნობლად მთვრალი თანამესუფრენი, ჩაჯდა თავის ხომალდში და ზღვის უსაზღვრო სივრცეში გაუჩინარდა.

მეორე დღეს ნაბახუსევმა კართაგენელმა ვაჭრებმა ძალიან გვიან გამოიღვიძეს, დათენთილები შეუდგნენ კარვების აყრას და გემზე იალქნების გაბმას. ამას კარგა დიდი დრო დასჭირდა. ჰანიბალის გემი კი უკვე შორს მიაპობდა ზღვის ტალღებს, მიჰქროდა ტიროსისაკენ.

კართაგენში გვიან შეიტყვეს ჰანიბალის გაქცევის ამბავი. ეს მაშინ, როცა გადაწყდა რომისადმი მისი გადაცემა და ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად დაუწყეს მას ძებნა. არავინ იცოდა სად უნდა ეძებნათ ის. ზოგი იმასაც კი ფიქრობდა, რომ თვით რომაელებმა საიდუმლოდ მოჰკლესო. სწორედ ამ დროს კართაგენის პორტში შევიდა კუნძულ კერკინადან ჩამოსული გემი. ყველაფერი ცხადი შეიქნა, მაგრამ უკვე გვიან იყო. გაცოფებულმა რომაელებმა კართაგენის სენატს კატეგორიულად მოსთხოვეს სასტიკად დაესაჯათ ჰანიბალი, რომელიც მანამ არ მოისვენებს, სანამ მთელ მსოფლიოს არ აამხედრებს რომის წინააღმდეგ საომრად. ჰანიბალის გაქცევით განაწყენებულმა, მაგრამ მისი გადაკარგვით წელში გამართულმა ოლიგარქიულმა ხელისუფლებამ სიამოვნებით მიიღო რომაელი ელჩების ბრძანება: ჰანიბალი სახელმწიფოს მტრად და სამშობლოდან გაძევებულად იქნა გამოცხადებული. მისი სახლი ნანგრევებად აქციეს, ხოლო დანარჩენ ქონებას კონფისკაცია უყვეს.

ამასობაში ჰანიბალმა მშვიდობიანად მიაღწია ფინიკიის სანაპიროებს. ქ. ტიროსის მცხოვრებლები ფეხზე დადგნენ, დიდი ზეიმით შეხვდნენ სახელოვან ნაშიერსა და ნათესავს. ტიროსიდან ჰანიბალი გაეშურა მცირე აზიისაკენ. ქ. ეფესოში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა სირიის მეფე ანტიოქე III.

რომი ისევ გალებისა და ესპანელების წინააღმდეგ

რომსა და იტალიას კართაგენზე გამარჯვება მეტად ძვირად დაუჯდათ. მრავალწლიანმა გამანადგურებელმა ომებმა ნანგრევებითა და ნაცარტუტით მოჰფინა მთელი აპენინის ნახევარკუნძული. მრავალი ქალაქი და სოფელი სამუდამოდ აღიგავა პირისაგან მიწისა. იტალიის მეურნეობა მოიშალა და გაპარტახდა. ურიცხვი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ფინიკიურმა მახვილმა, შიმშილმა, გაჭირვებამ, ეპიდემიამ. ომამდე (220 წ.) არსებული 270 000 რომაელი მოქალაქისაგან ომის დამთავრებას (201 წ.) 200 000 რომაელი მოესწრო. გარდა ამისა, 300 000-მდე იტალიელმა შეესწირა სიცოცხლე რომის მსოფლიო ჰეგემონობისათვის ბრძოლის საქმეს. განსაკუთრებით დაზარალდა სამხრეთ იტალიის ნაყოფიერი ოლქები, სადაც კანეს ბრძოლიდან ცამეტი წლის განმავლობაში შეუწყვეტლივ მძვინვარებდა სასტიკი ბრძოლები. იტალიის მშვენიერ ველებს და დასახლებულ პუნქტებს ერთნაირად სპობდნენ შეუბრალებელი ფინიკიელები და „მოკავშირეთა“ ღალატით გამძვინვარებული რომაელები. მეტად ძნელი ხდებოდა ომში მიღებული ჭრილობების მოშუშება.

ამიტომაც რომისათვის შედარებით ძნელი და მძიმე უნდა ყოფილიყო ის ახალი ომები, რომლის საჭიროებაც კართაგენთან ზავის დადების შემდეგ გარდაუვალი შეიქნა.

მეორე პუნიკური ომის დასასრულს რომისათვის სრულიად ნათელი იყო: 1) მართალია, კართაგენი დამარცხდა, მაგრამ სანამ ცოცხალია „აფრიკის ლომი" (ჰანიბალი) და სანამ კართაგენი ნანგრევებად არ ქცეულა, ხოლო მთელი მისი „წყეული" მოსახლეობა იტალიის მეურნეობაში მონებად არ დაფანტულა ან მთლიანად არ ამოჟლეტილა, აფრიკიდან რომის წინააღმდეგ ბრძოლის მომწოდებელი ყიჟინა ყოველთვის მოსალოდნელია; 2) მსოფლიოში გაბატონებისათვის რომს უცილობელი ომების ჩატარება ელის აღმოსავლეთის ძლიერ სახელმწიფოებთან, პირველ რიგში მაკედონიასთან, რომელიც დახმარების ხელს უწვდის ყველას, ვინც რომზე იარაღს აღმართავს, შემდეგ სირიის წინააღმდეგ, სადაც ახლა თავს აფარებს რომის დასაძახობად ახალ საბრძოლო გეგმებში ჩაფლული ჰანიბალი; 3) საჭირო იყო, რომ რომს გადამჭრელი ზომები მიეღო დასავლეთით ესპანური ტომებისა და ჩრდილოეთით კელტური სამყაროს მიმართ. ყველაზე პირველად რომს სწორედ ეს უკანასკნელი ამოცანა უნდა გადაეჭრა: კელტების განადგურებისა და ჩრდილოეთ იტალიის საბოლოოდ დაპყრობის საკითხი.

201 წელს კართაგენთან ზავის რატიფიცირებისთანავე გაჩაღდა ბრძოლები ჩრდილოეთ იტალიაში გალებსა და რომაელებს შორის.

197 წელს მდ. პადუსზე რომაელებმა დაამარცხეს ინსუბრები.

193 წელს ქ. მუტინასთან, ბონონიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მოხდა დიდი ბრძოლა რომაელებსა და ბოიებს შორის. ბოიები დიდხანს არაჩვეულებრივი სიმამაცითა და თავგანწირულობით იბრძოდნენ. თითქმის არც ერთ მათგანს არ სურდა ბრძოლის ველიდან ცოცხლად გასვლა. რომაელებმა დიდი მსხვერპლის გაღებით მიაღწიეს გამარჯვებას.

II საუკუნის 70-იანი წლებისათვის ლიგურიისა და ვენეციის დამორჩილების შემდეგ რომმა საბოლოოდ დაიმკვიდრა ჩრდილოეთ იტალია და ამგვარად თავის სამფლობელოთა ჩრდილოეთი საზღვარი საბოლოოდ მიიტანა ალპების მთებამდე.

იმავე წლებში რომაელებმა სასტიკად დალაშქრეს კუნძულები კორსიკა და სარდინია, სადაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უკანასკნელად სცადეს კისრიდან გადაეგდოთ რომაული ბატონობის მძიმე უღელი. სარდალმა ტ ი ბ ე რ ი უ ს გ რ ა კ ხ უ ს მ ა 80 000 სარდინიელი ამოჟლიტა ან მონებად აქცია. მონათა სიმრავლისაგან მათი ფასი იმდენად დაეცა, რომ ისტორიას შერჩა გამოთქმა: „იაფია, როგორც სარდი".

ესპანეთში კართაგენელთა განდევნის შემდეგ რომაელებმა ორი დიდი პროვინცია შექმნეს: პირველი, ე. წ. შ ო რ ე უ ლ ი ე ს პ ა ნ ე თ ი

(Hispania ulterior), რომელშიც შედიოდა დღევანდელი ანდალუზია, გრენადა, მურსია და ვალენსია, ხოლო მეორე, ე. წ. ახლო ესპანეთი (Hispania citerior), რომელიც მოიცავდა ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ტერიტორიებს, მდ. იბერის (ებრო) მახლობელ ოლქებს, დღევანდელ კატალონიასა და არაგონიას.

197 წელს სახალხო ომების, გერილიების ცეცხლმა მოიცვა ორივე ესპანური პროვინცია. რომაელთა არმიები ზედიზედ მარცხდებოდნენ. შორეული ესპანეთის მმართველი პრეტორი ვეღარ უმკლავდებოდა ინსურიგენტების გააფთრებულ თავდასხმებს, ხოლო ახლობელ ესპანეთში პრეტორის არმია მთლიანად განადგურდა, თვით რომაელი სარდალიც ბრძოლაში დაიღუპა.

195 წელს ესპანეთში ექსტრაორდინალური ღონისძიებების გასატარებლად დიდი არმიით გაიგზავნა კონსული მარკუს პორციუს კატონი.

კატონი იმ რიგის რომაელ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც სახელმწიფოს სადავეებისაკენ თავიანთი პირადი ნიჭით, წინდახედულებით და შორსმჭვრეტელობით იკაფავდნენ გზას და არა არისტოკრატიულ-შთამომავლობითი პრივილეგიებით. რომში ამ გზით დაწინაურებულ პირს „ვიგინდარას“, „ახალ ადამიანს“ (homo novus) ეძახდნენ. ასეთივე იყო კატონიც, პირციუსების პლებეური გვარის წარმომადგენელი. მას დაწერილი ჰქონდა სამეურნეო ტრაქტატებიც. კატონი ებრძოდა რომში შემოჭრილ ფუფუნებით ცხოვრებას და თავგამოდებით იცავდა ძველი პატრიარქალური ცხოვრების უბრალოებასა და სიმარტივეს; აიდეალებდა დროგადასულ რომაულ ატრიუმს, რომლის ჭერზეც „ობობა თავის ქსელს ქსოვდა“; ბრძოლას უცხადებდა ყველას, ვინც კი ოდნავ შეეცდებოდა კონსერვატიულ-რესპუბლიკური კონსტიტუციის დარღვევას. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მეორე პუნიკური ომის პერიოდში თანდათან „მოდაში შემოდიოდა“ ცალკეულ პიროვნებათა საგანგებო უფლებებით აღჭურვა და მათი „ტირანული თავგასულობითა“ და დამოუკიდებლობით ოლიგარქიული კონსტიტუციისადმი ანგარიშგაუწევლობა. გარდა ამისა, კატონმა ადრევე ისახელა თავი ჰანიბალის თანამოლაშქრეთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ამაყად აჩვენებდა ყველას ჭრილობებისაგან დაფლეთილ მკერდს.

აი ამ კაცმა 195 წელს მიაღწია კონსულობას და გაემგზავრა ესპანეთში. აქ კატონმა დიდ სისხლისმღვრელ ბრძოლაში დიდის გაჭირვებით მოიპოვა გამარჯვება.

მან ბრძანება დაუგზავნა ყველა ქალაქს ერთ დღეს დაენგრიათ თავიანთი კედლები და სიმაგრეები. ყველა ქალაქს ცალკეულად ეგონა,

რომ ბრძანება მხოლოდ მას ეხებოდა. ყველგან, სადაც ურჩობა სცადეს, რომაული არმია გამოჩნდა. ასე, ერთ დღეს ესპანეთში ოთხასამდე ქალაქი დაინგრა. კატონი იკვეხნიდა: ესპანეთში იმდენი დღეც არ გამიტარებია, რამდენიც ქალაქი დამინგრევიაო. მან თითქმის ჩაქრო აჯანყების ცეცხლი. მაგრამ როგორც კი გავრცელდა ცრუ ხმები კონსულის წასვლის შესახებ, ისევ წამოიშალნენ აჯანყებულები. კატონმა ბეორედ დაამარცხა ისინი; ესპანეთში სისხლის ღვრა დროებით შეწყდა. სამი დღე გრძელდებოდა კატონის ტრიუმფი რომში. ესპანური ოქრო-ვერცხლით აივსო რომის საგანძურები.

მეორე მაკედონური ომი

როცა რომაულმა იარაღმა ილირიიდან ატლანტიის ოკეანემდე და ალპებიდან საჰარის უდაბნომდე ყველა ქვეყანა დაიმორჩილა, რომაულმა დიპლომატიამ საბოლოოდ გასწმინდა ნიადაგი აღმოსავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ ომების გაჩაღებისათვის. რომი უკვე ერთ-ერთი უძლიერესი მსოფლიო სახელმწიფო იყო. მას აღარ აკმაყოფილებდა ხმელთაშუა ზღვის აუზის მხოლოდ დასავლეთი ნაწილი. მისი მთავარი მიზანი, ნამდვილად მსოფლიო სახელმწიფოდ გახდომა, მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა განხორციელებულად, როცა ის აღმოსავლეთის ქვეყნებსაც დაიმორჩილებდა.

პირველი რომაული საექსპანსიო გზა საბერძნეთის გავლით მაკედონიისაკენ მიემართებოდა. საჭირო იყო ომის დაწყების საბაბი.

204 წელს გარდაიცვალა ეგვიპტის მეფე პ ტ ო ლ ე მ ა ი ო ს IV ფ ი ლ ო პ ა ტ ო რ ი. სასახლის კამარილია დიდხანს საიდუმლოდ ინახავდა მეფის გვამს. მისი სიკვდილი მხოლოდ 203 წელს შეიქნა ცნობილი. ეგვიპტის ტახტზე ოთხი წლის პ ტ ო ლ ე მ ა ი ო ს V ე პ ი ფ ა ნ ე დასვეს. ამით ისარგებლეს ფ ი ლ ი პ ე V მ ა კ ე დ ო ნ ე ლ მ ა და სელევკიდური სირიის მეფე ა ნ ტ ი ო ქ ე III-მ, საიდუმლოდ შეჰკრეს კავშირი და ეგვიპტის სამფლობელოთა დატაცებას შეუდგნენ. ანტიოქე III-მ დაამარცხა ეგვიპტელთა ჯარები, ხელში ჩაიგდო მთელი ფინიკია და პალესტინა.

ფილიპე V დაიძრა სამხრეთისაკენ და ხელი მიჰყო ეგვიპტის სამფლობელოთა ხელში ჩაგდებას ეგეოსის ზღვასა და მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროებზე. იგი, აგრეთვე, ცდილობდა მთელი საბერძნეთის, პირველ რიგში ათენის, დამორჩილებას და შავი და ეგეოსის ზღვების შემაერთებელ სრუტეთა ხელში ჩაგდებას.

მაკედონიის მეფის აგრესიულმა ღონისძიებებმა შეაშფოთა და ფეხზე დააყენა ეგვიპტის, როდოსისა და პერგამოსის სახელმწიფოები. ესენი აღმოსავლეთში ვერ ხედავდნენ ისეთ ძალას, რომლისთვისაც უნდა

ეთხოვათ დახმარება მაკედონელი „ურჩხულის“ წინააღმდეგ საბრძოლ-ველად. ამიტომ მათ მიმართეს რომს. 201 წელს რომში გამოცხად-დნენ ეგვიპტის, როდოსის და პერგამოსის ელჩები და დახმარება ითხოვეს.

სულ მალე ფილიპე მაკედონელის წინაშე წარსდგნენ რომაელი დეს-პანები და კატეგორიულად მოსთხოვეს შეეწყვიტა საომარი მოქმედება ეგვიპტის, ათენის, პერგამოსისა და როდოსის წინააღმდეგ; დაებრუნე-ბინა მათთვის ყველა წართმეული მიწა და ყოველგვარი სადავო საკი-თხები გადასცემოდა მესამე მხარეს, ე. ი. რომს.

მაგრამ მაკედონელმა გვირგვინოსანმაც კატეგორიულად უარჰყო რომაელთა მოთხოვნა. ამას მოჰყვა ომის გამოცხადებაც. ასე დაიწყო ე. წ. მ ე ო რ ე მ ა კ ე დ ო ნ უ რ ი ო მ ი (200—197).

ომის დაწყების პირველ ორ წელს ფილიპეს წარმატებები ჰქონდა მძიმე პუნიკური ომებიდან ახლახან გამოსულ მოწინააღმდეგესთან, რო-მელიც იმავდროულად ბრძოლებს აწარმოებდა გალებთან.



ფლამინინუსი.

ორი წლის განმავლობაში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რომაელთა სასარგებ-ლოდ საქმე ერთი ნაბიჯითაც არ წაწეუ-ლა წინ. მათ მხოლოდ იგივე პოზიციები ეჭირათ, რაც ბრძოლის დაწყებისას ჰქონდათ. მაკედონიის მეფე კი ახალი ძალებით გადამწყვეტი შეტევებისათვის ემზადებოდა. 198 წლის დასაწყისში ის შეიჭრა რომაელთა ძალაუფლების ქვეშ მყოფი ილირიის ჩრდილოეთ ოლქებში. მდგომარეობა მეტად სერიოზული შეიქ-ნა. საჭირო იყო განსაკუთრებული ღო-ნისძიებების მიღება.

198 წელს ბალკანეთში ახალი არმია გადასხა კონსულმა ტ ი ტ ე ქ ვ ი ნ კ ც ი-უ ს ფ ლ ა მ ი ნ ი ნ უ ს მ ა. ეს იყო 30 წლის ენერგიული, ნიჭიერი სარდალი და მოხერხებული დიპლომატი. მას ყველა იცნობდა როგორც სახელოვანი მარცელუსის სკოლაგავლილ მამაც მებრძოლსა და სციპიონის მსგავსად ბერძნული კულტურის დიდ თაყვანისმცემელს — „ჰელინოფილს“.

197 წელი რომაელთა წარმატებებით დაიწყო. ფლამინინუსის დიპ-ლომატიამ სწრაფად მიიმხრო სპარტის ტირანი ნაბისი და მაკედონელთა ადრინდელი მოკავშირე ბეოტია. ამგვარად, რომაელებმა სამხრეთ და

ჩრდილოეთ საბერძნეთში ახალი ძლიერი პლაცდარმები შექმნეს მაკედონიისაკენ სალაშქროდ.

ფილიპე გამალებით ემზადებოდა. მან არმიაში გაიწვია სრულიად ახალგაზრდა, უწვერულკაშო ჭაბუკები და ღრმადმოხუცებულები. სულ 26 000 ბეომრისაგან შემდგარი არმიით ჩავიდა თესალიაში. აქვე დაახლოებით ამდენივე ძალებით გამოცხადდა ფლამინინუსი.

მოწინააღმდეგეებს ერთიმეორისაგან ჰყოფდა მაღალი ბორცვები, რომელთაც „კინოსკეფალე", ე. ი. „ძაღლის თავები" ეწოდებოდათ. ეს ბრძოლა (197 წ.) კინოსკეფალეს ბრძოლის სახელით შევიდა ისტორიაში.



ბრძოლა კინოსკეფალესთან.

წვიმიანი და ნისლიანი დილა გათენდა. მოწინააღმდეგეთა ორივე მხარეს ავანგარდული ნაწილები გამოეყვნენ და მაღლობის დასაკავებლად გაემართნენ. აქ უეცრად შეეჩეხენ ერთიმეორეს; ბრძოლაც გაჩაღდა. მათ თანდათან ემატებოდნენ ახალ-ახალი ძალები. ფილიპეს იმ დღეს გენერალური ბრძოლა არ სურდა, მაგრამ როდესაც ფლამინინუსმა მაღლობებისაკენ მთელი არმია დასძრა, თვითონაც იძულებული შეიქნა მთელი ძალებით გამოსულიყო. პირველ ხანებში მაკედონელთა მარჯვენა ფლანგმა, რომელსაც თვით მეფე სარდლობდა, ძლიერი

დარტყმებით არავდარია და უკუაქცია ფლამინინუსის მარცხენა ფლანგი. მაგრამ მაკედონელთა არმიის მარცხენა ფრთა, რომელიც ბრძოლაში გვიან, არაორგანიზებულად ჩაება, პირველი შეტაკებისთანავე დამარცხდა. რომაელები დაედევნენ გაქცეულთ და ზურგში მოექცნენ ფილიპეს სარდლობით მედგრად მოიერიშე მტრის ნაწილებს. იმავდროულად ფლამინინუსმა ბრძოლაში ჩააბა სპილოებიც. მაკედონელებმა დაჰკარგეს გამარჯვების იმედი და გაქცევა დაიწყეს. ფილიპემ ტემპეის ველს მიაშურა. მან მოკლულთა სახით 8 000 მეომარი დაჰკარგა; 5 000 მაკედონელი ტყვედ ჩავარდა. რომაელებმა 7 000 კაცი დაჰკარგეს.

კინოსკეფალეს ბრძოლაში მარცხმა ფილიპე აიძულა ხელი აეღო რომთან ომის გაგრძელებაზე და ფლამინინუსს ზავი შესთავაზა. ფლამინინუსი დათანხმდა.

ზავის პირობები ასეთი იყო: ფილიპე ხელს იღებდა ყველა დაპყრობილ ტერიტორიაზე ევროპასა თუ აზიაში და რჩებოდა მხოლოდ მაკედონიის საზღვრებში; ის რომს გადასცემდა მთელს საზღვაო ფლოტს, გარდა ექვსი ხომალდისა; უნდა მოეხდინა სახმელეთო არმიის დემობილიზაცია, გარდა 5 000 მეომრისა; სამხედრო კონტრიბუციის სახით უნდა გადაეხადა 1 000 ტალანტი (დაახლოებით 2 000 000 მან. ოქროთი), აქედან ნახევარი — დაუყოვნებლივ, ნახევარიც — თანაბარი დაყოფით ათი წლის განმავლობაში; გარდა ამისა, რომის ნებართვის გარეშე ფილიპეს ეკრძალებოდა ყოველგვარი ომის გამოცხადება და წარმოება, რომელ ქვეყანასთანაც არ უნდა ყოფილიყო ეს. ამგვარად, რომაელებმა მაკედონია ჩააყენეს დაახლოებით იმავე პირობებში, რა მდგომარეობაშიაც აღმოჩნდა კართაგენი მეორე პუნიკური ომის შემდეგ.

ახლა დაისვა საკითხი საბერძნეთის შესახებ. რა პირობებში უნდა ჩამდგარიყო საბერძნეთი მაკედონელთა განდევნის შემდეგ? რომისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რომ საბერძნეთი უბრალო ქვეშევრდომ პროვინციად გამოეცხადებინა. მაგრამ ფლამინინუსს, რომელიც მაკედონელთა წინააღმდეგ საბერძნეთის განთავისუფლების დროშით იბრძოდა და თვითონაც, უაღრესი პატივმოყვარეობით შეპყრობილი „ჰელინოფილი", ამ ლოზუნგის განხორციელებაზე ოცნებობდა, კარგად ესმოდა, თუ რა უნდა მოჰყოლოდა საბერძნეთის ხელაღებით დამონებას. ფლამინინუსი სრული გამოხატულება იყო რომის დიპლომატიის ნაცადი პრინციპებისა. საბერძნეთში შეჭრა რომის აღმოსავლური პოლიტიკის პირველი ნაბიჯი იყო და მაშინვე უხეში ძალადობით ჰელინური კულტურის აკვანთა ფეხქვეშ გათელვა სამუდამოდ დასცემდა რომის როგორც „განმათავისუფლებლის" ავტორიტეტს. ამიტომ მოხერხებულ დიპლომატს ჩვეულებრივი რომაულ-დიპლომატიური კომედია უნდა გაეთამაშა და მით მოედუნებინა თავისუფლებისმოყვარე

ბერძნების სიფხიზლე; ამავე გზით აემაღლებინა რომის ავტორიტეტი აღმოსავლეთის ხალხების თვალში, რომისა, როგორც „მფარველისა ჩაგრულთა, შეურაცხყოფილთა და დამონებულთა“. ეს ახლა საჭირო იყო კიდევ უფრო თუნდაც იმიტომ, რომ ანტიოქე III-მ უკვე გადასხა ჯარები თრაკიაში, ევროპაში. იგრძნობოდა, რომ ის ანგარიშს არ უწევდა რომის პრეტენზიებს აღმოსავლეთის მიმართ. და მისთვის შეტად ხელსაყრელი იქნებოდა, თუ საბერძნეთში რომისადმი მტრულად განწყობილი პოზიციები დახვდებოდა; ასეთ პოზიციებს კი სწორედ საბერძნეთის დამოკიდებულების სრული მოსპობა გამოიწვევდა.

ამიტომ გადაწყდა, რომ გამოცხადებულიყო საბერძნეთის „განთავისუფლება“. რომის კომისიის წევრები ძირითადში ეთანხმებოდნენ ფლამინინუსს. მხოლოდ მოითხოვდნენ. რომ რომაული გარნიზონები დარჩენილიყვნენ კორინთოში, ქალკიდაში და დემეტრიადაში, ე. ი. იმ ქალაქებში, რომელთაც ფილიპე მაკედონელი „საბერძნეთის ბორკილებს“ უწოდებდა. მაგრამ ეტოლიელები ფლამინინუსისაგან მოითხოვდნენ არ დაეშვა ასეთი რამ. „ნუთუ ბერძნებს, — ამბობდნენ ისინი, — შეუძლიათ ატარონ ბორკილები, თუგინდ უფრო ახალი და ლამაზი, მაგრამ უფრო მძიმე, ვიდრე ძველი. მაკედონური; ეს ნიშნავს იმას, რომ ბერძნებს ფეხებიდან ახსნათ ბორკილები. მაგრამ დაადოთ ისინი კისერზე“.

ფლამინინუსმა კატეგორიულად უარჰყო დეცემვირთა წინადადება და საქვეყნოდ გამოაცხადა საბერძნეთის თავისუფლება.

ეს მოხდა 196 წელს კ ო რ ი ნ თ ო ს ყ ე ლ ზ ე (ისთმოსი), სადაც იმ დღეს ე. წ. ისთმოს ასპარეზობანი მიმდინარეობდა და საბერძნეთის ყველა კუთხიდან უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. ფლამინინუსის ბრძანებით გაისმა საყვირების ხმა. შეწყდა ასპარეზობა; ჩამოვარდა სიჩუმე. რომაელი ჰეროლდი აცხადებდა: რომის სენატი და სარდალი ტიტე ქვინკციუს ფლამინინუსი, მაკედონელებისა და მათი მეფის ფილიპეს დამარცხების შემდეგ, უცხადებენ თავისუფლებას ყველა ბერძენს, მთელს მათ ქვეყანას; ამიერიდან ისინი თავისუფალი არიან უცხოელთა გარნიზონებისაგან; სრული თავისუფლება ენიჭებათ გადასახადთა ნებაყოფლობითი გადახდისა და საკუთარი მართვა-გამგეობისა, ეძლევათ ავტონომია.

დიდი ხანი გავიდა, რაც საბერძნეთმა დამოუკიდებლობა დაჰკარგა (145 წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც მაკედონიამ დაიპყრო იგი). თავისუფლებისმოყვარე ხალხი აღარც კი მოელოდა რომაელებისაგან ასეთ „წყალობას“. ამიტომაც იყო, რომ ხალხმა მოითხოვა ჰეროლდს კვლავ გაემეორებინა თავისი ნათქვამი. როდესაც ეს შესრულდა, იფეთქა საყოველთაო სიხარულისა და აღტაცების ცეცხლმა. ხალხი სიხარულით ეხვეოდა ფლამინინუსს, ართმეკდნენ ხელს და გულში იკრავდნენ.

„განმათავისუფლებელი“ ძლივს გადაურჩა აღტაცებული ბრბოსაგან გასრესას. ვერავინ გრძნობდა, რომ მეტად ხანმოკლე იქნებოდა რომისა და საბერძნეთის მეგობრობის „თაფლის თვე“.

სირიული ომი

რომაელები საბერძნეთიდან ჯარების გაყვანას მაინც არ ჩქარობდნენ. ამის ერთ-ერთი დიდი მიზეზი იყო ანტიოქე III-ის მიერ ჯარების გადასხმა ევროპის კონტინენტზე.

ანტიოქე III სირიის დიდი სახელმწიფოს მმართველი დინასტიის — ს ე ლ ე ვ კ ი დ ე ბ ი ს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მან ჯერ აღმოსავლური ლაშქრობებით გაითქვა სახელი და „დიდის“ ტიტულიც კი მოიპოვა. მისი სიძლიერე განსაკუთრებით აღიარებულ იქნა მას შემდეგ, რა ქ. რ ა ფ ი უ მ თ ა ნ (სამხრეთ პალესტინაში) სასტიკად დაამარცხა ეგვიპტელთა ჯარები. ეს მოხდა იმ წელს, როცა დასავლეთიდან აღმოსავლეთში ჩამოვიდა ტრაზიმენის ტბასთან რომაელთა დიდი მარცხის ამბავი.

ამის შემდეგ ანტიოქე ნაკლებ ანგარიშს უწევდა რომის სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებას და მუდამ მტრული თვალით უცქერდა ეგვიპტეზე რომაულ მფარველობას. ეგვიპტისა და მცირე აზიის წვრილ სახელმწიფოთა სამფლობელოებზე მისი თავდასხმები ვერ შეაჩერა ვერც პუნიკური ომიდან რომის ძლევამოსილად გამოსვლამ და ვერც ამ უკანასკნელის წარმატებებმა საბერძნეთში.

198 წელს ანტიოქემ ისევ დაამარცხა ეგვიპტელთა ჯარები და თავის სამფლობელოთა საზღვარი სუეცის ყელამდე მიიტანა. მცირეწლოვანი ეგვიპტელი მეფის პტოლემაიოს V-ის რეგენტები, ეგვიპტეში სირიელთა შემოჭრის შიშით შეპყრობილნი, იძულებული გახდნენ ეცნოთ ანტიოქეს ბატონობა მთელს სირია-ფინიკიაზე და პალესტინაზე და ზავი დასდეს მასთან. კავშირისა და მშვიდობიანობის შენარჩუნების მიზნით შვიდი წლის ეგვიპტელ მეფეს დაანიშვნინეს ანტიოქე III-ის ქალიშვილი კლეოპატრა.

ანტიოქე, ეგვიპტესთან მშვიდობიანობის ჩამოგდების შემდეგ, 197 წელს 200 გემისაგან შემდგარი ფლოტითა და დიდი სახმელეთო არმიით დაიძრა მცირე აზიისაკენ. ის ხელთ იგდებდა მცირე აზიის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროებს, თან ჰელესპონტისაკენ (დარდანელი) მიეშურებოდა.

მაშასადამე, ანტიოქე სწორედ იმ ტერიტორიებს უპოტინებდა ხელს, რომელთა მიზეზითა და საბაბით რომი ფილიპე მაკედონელს ებრძოდა. პერგამოსისა და როდოსის მმართველები, რომლებიც ამას წინათ მაკედონიის მეფეს უჩიოდნენ, ახლა რომაელებს ანტიოქენ აგრესიის წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდნენ.

ანამ რომაელები ყოყმანობდნენ, ანტიოქემ ხელში ჩაიგდო მცირე აზიის თავისუფალი ქალაქები: ეფესო, აბიდოსი, ლამპსაკი, ტროადის ალექსანდრია, სმირნა და სხვები. ხოლო სანამ ამ ქალაქთა ელჩები რომში საჩივლელად მგზავრობდნენ, მეფემ გადალახა ჰელესპონტი, ხელში ჩაიგდო თრაკიის ხერსონესი და შეიჭრა თვით თრაკიის სიღრმეშიც.

ამგვარად, აღმოსავლეთის ჰორიზონტზე ახალი დიდი ომის საშიშროება შეიქმნა. რომს არ შეეძლო გულგრილად ეცქირა აღმოსავლეთში მოპოვებულ პოზიციათა დაკარგვის საფრთხისათვის.

თრაკიაში ანტიოქესთან გამოცხადდნენ რომაელი ელჩები ლუციუს კორნელიუს ლენტულუსის მეთაურობით, მაგრამ მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

195 წელს ეფესოში ანტიოქესთან გამოცხადდა ჰანიბალი. მეფემ პირველად დიდის პატივით მიიღო და დაიახლოვა რომაელთადმი სიძულვილისა და ბრძოლის უბადლო გმირი.

ჰანიბალმა რომის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი გრანდიოზული გეგმა დაუსახა ანტიოქეს: დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნათ ემისარები კართაგენში და მოემზადებინათ აჯანყება რომის წინააღმდეგ; შემდეგ ჰანიბალი ანტიოქესაგან ჩაიბარებდა 100 გემს, 10 000 ქვეით მეომარს და 1000 მხედარს; ამ ძალებით ის ჩავიდოდა კართაგენში და დაიწყებოდა ახალი პუნიკური ომი რომის წინააღმდეგ. ჰანიბალი ითვალისწინებდა ესპანელი ტომების იმდროინდელ დიდ აჯანყებას, მათთან შეერთებას და დიდი არმიებით იტალიის ლაშქრობათა განმეორებას; როცა ჰანიბალი რომს დასავლეთიდან რისხვად დაატყდებოდა, ანტიოქეც აღმოსავლეთიდან დაიძრებოდა და ამგვარად რომი ორმხრივი დარტყმების ქვეშ გაისრისებოდა.

მაგრამ ჰანიბალის ახალ გეგმას განხორციელება არ ეწერა. ანტიოქე და მისი ახლობლები უკვე ნაკლებად ენდობოდნენ უცხოელს. ეს პატივმოყვარე ადამიანები ეშვის თვალით უცქერდნენ „მეტიჩარა" ფინიკიელის ცხოველმყოფელ მოქმედებას და შიშობდნენ „არ მიეთვისებინა" მას რომზე გამარჯვების პატივი. რის მოპოვებაშიც მათ ეშვი ოდნავადაც არ ეპარებოდათ. ასეთი ინტრიგანული განწყობილების ატმოსფეროში დიდი სარდალი უბრალო სამხედრო მრჩევლისა და უმნიშვნელო ბრძოლათა მეთვალყურის მოვალეობამდე დააქვეითეს.

ანტიოქე უფრო მეტ იმედებს ამყარებდა რომის წინააღმდეგ აზიისა და საბერძნეთის წვრილ სახელმწიფოთა შემოკრებაზე და აღმოსავლეთში ძლიერი კოალიციის შექმნაზე. ჯერ მისი ჰარამხანა საშუალებას აძლევდა, რომ პოლიტიკური მნიშვნელობის ქორწინებებით გადმოებირებინა მეზობელი მმართველები. როგორც ვიცით, ჯერ ერთი ქალიშვილი ცოლად შეროო ეგვიპტის მეფეს. მეორე აღუთქვა პერგამოსში

ახლად გამეფებულ ევმენ II-ს, ხოლო მესამე — კაპადოკიის მეფე არიარათეს. ასეთივე გზებით ის ცდილობდა გალატებისა და მცირე აზიის თავისუფალ ქალაქთა მიმხრობას და ფილიპე მაკედონელის კვლავ წაქეზებას.

ანტიოქემ საბოლოოდ უარყო რომის ულტიმატუმი ევროპიდან გასვლისა და მცირე აზიის თავისუფალ ქალაქთა დატოვების შესახებ. ის აღარ უწევდა ანგარიშს იმასაც, რომ რომთან კავშირში იყო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა უმრავლესობა: მაკედონია (რომაელებმა ფილიპეს უკვე დაუბრუნეს მძევლები), ათენი, აქეიის კავშირი, როდოსი, პერგამოსი და მცირე აზიის თავისუფალი ქალაქები. ანტიოქე საბერძნეთში ლაშქრობისას იმედებს ამყარებდა მხოლოდ ეტოლიაზე, ბეოტიასა და ევბეაზე.

დაიწყო ე. წ. სირიული ომი (192 — 189).

ანტიოქემ დაასწრო არმიის გადასხმა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, დიდი არმიით მიადგა კუნძულ ევბეაზე მდებარე ქ. ქალკიდას და მცირე წინააღმდეგობის შემდეგ აიღო იგი. რომაელთა სახელდახელოდ გაგზავნილმა რაზმმა არამც თუ დახმარება აღმოუჩინა ქალაქს, არამედ თვითონაც სრულიად განადგურდა ანტიოქეს ჯარებისაგან.

შემდეგ სირიელებმა ხელში ჩაიგდეს თრაკიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე მდებარე დიდი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობის ქალაქი ამფიპოლისი და სხვა ქალაქები. რომაელთა ჯერ კიდევ მცირე ძალები რეალურ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ მტრის წინსვლას.

რომში საეჭვოდ არავის მიაჩნდა, რომ აზიაში მეტად საპასუხისმგებლო ლაშქრობის ხელმძღვანელობა წილად უნდა რგებოდა იმ კაცს, რომელიც ჰანიბალის მძლეველის სახელით იყო ცნობილი. მაგრამ პუბლიუს სციპიონს, რომელიც უკანასკნელად 194 წელს იყო კონსულად, კონსტიტუციის თანახმად ათი წლის ვადის გასვლამდე უფლება არ ჰქონდა კვლავ წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა ამ უმაღლეს თანამდებობაზე. მართალია, კონსერვატიული კონსტიტუციის ეს მუხლი მეორე პუნიკური ომის პერიოდში ხშირად ირღვეოდა, მაგრამ ამჯერად სციპიონის მოწინააღმდეგეებმა შესძლეს კვლავ მოქმედებაში მოეყვანათ ეს „ახირებული“ კანონი.

მაგრამ მოეწყო ისე, რომ არც რესპუბლიკური კონსტიტუცია „დაზიანებულა“ და აღმოსავლეთის ექსპედიციის მთავარსარდლობის საკითხიც ისე გადაიჭრა, როგორც რომის საზოგადოებრიობის ფართო წრეები მოითხოვდნენ.

190 წლისათვის კონსულებად აირჩიეს პუბლიუს სციპიონის ძმა ლუციუსი და მისი უახლოესი მეგობარი გაიუს ლელიუსი.

აღმოსავლეთის ფრონტი წილად ხვდა ლუციუსს. ყველამ იცოდა, რომ ლუციუს სციპიონი. როგორც სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე, საშუალო სიმაღლეზეც კი არ იდგა. ამიტომაც მას პროკონსულის, თანაშემწის რწმუნებებით დაუნიშნეს ძმა პუბლიუსი, რომელიც ფაქტიური ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო აზიური ლაშქრობისა. ასეც მოხდა. აზიის წინააღმდეგ რომაელთა პირველ ლაშქრობას სახელოვანი სციპიონ აფრიკელი უძღოდა წინ.

190 წლის გაზაფხულზე ძმები სციპიონები საბერძნეთში ჩამოვიდნენ და იქ მყოფი ჯარებიც შეიერთეს. მათ ჩამოსვლამდე რომაელებსა და ეტოლიელებს შორის ჯერ კიდევ გრძელდებოდა შეტაკებანი. ეტოლიელთა სასტიკი წინააღმდეგობა გამოწვეული იყო რომის ახალი კატეგორიული მოთხოვნით: ან გადაეხადათ დიდი სამხედრო კონტრიბუცია (რისი გადახდაც მათ არ შეეძლოთ), ან უსიტყვო მორჩილება გამოეცხადებინათ. სციპიონმა ექვსთვიანი დროებითი ზავი დასდო ეტოლიელებთან, საბერძნეთში სამხრეთ იტალიიდან გადმოყვანილი გარნიზონები ჩააყენა და დანარჩენი ძალებით ჰელესპონტისაკენ დაიძრა.

რომაელებს ლაშქრობისას ხელს უწყობდნენ. ყოველნაირად ამარაგებდნენ და თრაკიულ-ბარბაროს ტომთა თავდასხმებისაგან იცავდნენ მაკედონელები. ამგვარად, ფილიპე პირნათლად ასრულებდა მორჩილი ქვეშევრდომის როლს. ასევე, რომაელთა სარდლობას ჰელესპონტზე გადასვლისას შეეძლო დაყრდნობოდა ბითინიის მეფე პრუსიას, რომელიც ახლა რომაელთა „მოკავშირედ და მეგობრად“ აცხადებდა თავს.

მაგრამ სციპიონისათვის ყველაზე უფრო მტკიცე გარანტია აზიაში გადასვლისა და იქ გამარჯვების მოპოვებისათვის პირველ რიგში ისევ ანტიოქე III-ის მოუსაზრებლობა და წინდაუხედაობა იყო. აზიელი ხელმწიფე არც კი ცდილა თავისი მრავალრიცხოვანი არმიები ჰელესპონტისა და მცირე აზიის სანაპიროებზე ჩაესაფრებინა და ამით წინააღმდეგობა გაეწია რომაელთა ჯარების გადმოსხმისათვის. პირიქით, მან გარნიზონებიც კი გამოიყვანა საბერძნეთიდან, თრაკიის ხერსონესიდან და ამრიგად კიდევ უფრო გასწმინდა ნიადაგი მტრის წინსვლის დასაჩქარებლად.

როცა რომაელებმა სრულიად დაუბრკოლებლად გადალახეს ჰელესპონტი და აზიის მიწაზე გადავიდნენ, ანტიოქემ ელჩები გაგზავნა სციპიონთან მოსალაპარაკებლად. ის ითხოვდა ზავს; გადაიხდიდა საომარი ხარჯების ნახევარს; რომს დაუთმობდა ყველა ევროპულ სამფლობელოს და მცირე აზიის ბერძნულ ქალაქთა მნიშვნელოვან ნაწილს. მაგრამ სციპიონმა უარჰყო მეფის ნაგვიანევი წინადადებანი. ახლა გვიან იყო, რადგან „მერანმა უკვე იგრძნო აღვირი და თვით მხედარიც“. მან ზავის დადება შესაძლებლად ჩასთვალა იმ შეპოხვევაში, თუ ანტი-

ოქე რომის სასარგებლოდ გადაიხდიდა საომარ სარჯებს მთლიანად და დასთმობდა არა მარტო ევროპას და ბერძნულ ქალაქთა ნაწილს, არამედ მთელს მცირე აზიასაც. ანტიოქემ ვერც ანგარებით მოიგო რომაელი სარდლის გული: ამაოდ აღუთქვამდა ის სციპიონს თავისი ყოველწლიური შემოსავლის ნახევარს.

მოლაპარაკება შეწყდა. ანტიოქე თითქმის იძულებით და უხალისოდ შეუდგა საომარ სამზადისს. მისი ახალი დიდი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ვერ გაითვალისწინა მოწინააღმდეგის სუსტი მხარე — რეზერვებისა და ზურგის სიშორე (რასაც კარგად ითვალისწინებდნენ რომაელები კართაგენელებთან ბრძოლაში); ვერ გაითვალისწინა ამ მხრივ თავისი უპირატესობა: მას შეეძლო გაეძლო ხანგრძლივი, გაჭიანურებული ომისათვის და ყველაფერი ამის გაუთვალისწინებლობის გამო დიდი ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, როცა მან დააჩქარა გენერალურ ბრძოლაში ჩაბმა.

190 წლის შემოდგომაზე მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ მცირე აზიის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ქ. მ ა გ ნ ე ზ ი ა ს მახლობლად, გაშლილ ველზე.

ანტიოქეს არმია 70 000 მეომრისაგან შედგებოდა; მათ შორის: 36 000 ქვეითი, 12 000 მხედარი, 54 სპილო და მრავალი, ბასრი ცელებით შეიარაღებული საბრძოლო ეტლი. რომაელთა ძალები რიცხობრივად მოწინააღმდეგის არმიის ნახევარსაც არ შეადგენდნენ. ისინი ბერძნების, მაკედონელებისა და პერგამოსის მეომრებთან ერთად სულ 30 000-მდე კაცს ითვლიდნენ.

ანტიოქემ თავისი არმია ორად გაჰყო. პირველ რიგში იდგნენ მსუბუქადშეიარაღებული მეომრები და ცელებით აღჭურვილი ეტლები. მეორე რიგში — ცენტრში იდგნენ მძიმედშეიარაღებული ფალანგები, ხოლო ფლანგებზე — შესანიშნავად შეიარაღებული, მტკიცე აბჯრებში ჩასმული მხედართა ესკადრონები. ორივე რიგს შორის ჩამწკრივებული იყო 54 სპილო, იმ დროის საბრძოლო „ტანკები“.

სციპიონი ამ დღეს ავად იყო და ლეგინადჩავარდნილს არ შეეძლო ბრძოლისათვის ეხელმძღვანელა. მის მაგივრად, მისივე გეგმით, სარდლობდა გ ნ ე უ ს დ ო მ ი ც ი უ ს ა გ ე ნ ო ბ ა რ ბ ი. მან მარცხენა ფლანგზე, რომელიც მდ. სიპილას ეყრდნობოდა, მხოლოდ მცირერიცხოვანი ცხენოსანთა რაზმები განალაგა; ცენტრში, როგორც ყოველთვის, ლეგიონები იდგნენ: განსაკუთრებით ძლიერი იყო რომაელთა მარჯვენა ფლანგი, სადაც იდგა მთელი კავალერია და მსუბუქადშეიარაღებულ მებრძოლთა სქელი რიგები; აქ სარდლობდა პერგამოსის მეფე ე ვ მ ე ნ II, რომაელთა ერთგული მოკავშირე.

რომაელთა მარჯვენა ფლანგმა ბრძოლა მაშინ დაიწყო, როცა ანტიოქემ ძლიერად შეუტია მოწინააღმდეგის მარცხენა მხარეს. ევმენმა ცელებით შეიარაღებული ეტლებისაკენ სახელდახელოდ გაგზავნა მსუბუქი მეომრები, რათა გადაეჭრათ მათთვის ჭაჭნები და ამგვარად უვნებელეყოთ ისინი. როგორც კი მოწინავეებმა ბრძანება შეასრულეს, ევმენმა ელვის სისწრაფით დასძრა ჯავალერია და ძლიერად დაჰკრა სირიელთა მარცხენა ფლანგს, იქ, სადაც ერთიმეორეს ერთვოდნენ ცხენოსნები და ქვეითი ფალანგიტები. ამით აზიელებს საშუალება წაერთვათ ერთდროულ შეტევაზე გადასულიყვნენ რომაული ლეგიონების წინააღმდეგ და იძულებული შეიქნენ მხოლოდ თავდაცვაზე ეფიქრათ. აღგვარად, ანტიოქეს მეთაურობით წინ გაჭრილი მარჯვენა ფლანგი, რომელმაც წარმატებით უკუაქცია რომაელთა სუსტი მარცხენა ფრთა და მოწინააღმდეგის სამხედრო ბანაკამდეც კი მიაღწია, სრულიად მოსწყდა არმიის ძირითად ნაწილებს, ქვეით ფალანგებსა და უკვე დამარცხებულ მარცხენა ფლანგს. რომაულ ლეგიონებს აღარც კი დაჭირვებიათ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის მიღება. მთელს ფრონტზე დაწინაურებული მსუბუქადშეიარაღებული მეომრები, შუბისა და სათხედის მტყორცნელები, მოისპრნი და მოშურდულნი ძლიერი „ცეცხლით“ თავის აღების საშუალებას არ აძლევდნენ მოწინააღმდეგეს. არც ერთი მათი ნასროლი უქმად არ იკარგებოდა; ალალბედად გასროლილიც კი ხვდებოდა ერთად შეკრულ ხალხთა უზარმაზარ მასას, 64 კაცის სიღრმით ჩაწყობილ ურდოს. ერთ ხანს ანტიოქეს ფალანგები ორგანიზებულად იხევდნენ უკან, მაგრამ როცა გამაყრუებელი ბრძოლის ყიჟინითა და ჭრილობებით გაშმაგებული სპილოები ისევ თავისიანთა რიგებში შეიჭრენ, მათი წყობაც დაიშალა და მეფის მთელი არმია უწესრიგოდ გაიქცა. ანტიოქემ 50 000 კაცი შესწირა ასე წინდაუხედავად გამართულ ბრძოლას. რომაელებმა მხოლოდ 300 ქვეითი და 24 ცხენოსანი მეომარი დაჰკარგეს.

ანტიოქემ ზავი ითხოვა და თანხმობა განაცხადა იმ პირობებზე, რასაც ბრძოლის დაწყებამდე უცხადებდა სციპიონი. ზავის საბოლოოდ გაფორმებამდე მეფეს უნდა ერჩინა აზიაში დაბანაკებული რომაული ჯარები. ასე გაგრძელდა წელიწადნახევარი. ანტიოქეს რომაელ მეომართა გამოკვება და დასაჩუქრება 3 000 ტალანტი (დაახლოებით 4 500 000 მან.) დაუჯდა.

ბოლოს, 188 წ. როგორც იქნა აზიაში ჩამოვიდა ათი კაცისაგან შემდგარი რომაული კომისია. ზავი საბოლოოდ გაფორმდა ქ. აპამეიაში. ანტიოქე ვალდებულებას კისრულობდა ხელი აეღო ყველა ევროპულ და მცირე აზიურ სამფლობელოზე; სამხედრო კონტრიბუციის სახით 12 წლის განმავლობაში რომის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა 15 000

ტალანტი (დაახლოებით 22 500 000 მან.); უნდა ჩამორთმეულიყო მთელი ფლოტი და ამიერიდან ეკრძალებოდა 10-ზე მეტი სამხედრო გემის შენარჩუნება; ეკრძალებოდა სპილოების ყოლაც. გარდა ამისა, ზავის განსაკუთრებული მუხლით რომი მოითხოვდა ყველა მისი აქტიური მტრისა და პირველ რიგში ჰანიბალის გადაცემას.

რომაელებმა თავიანთ მოკავშირეთაგან უხვად დააჯილდოვეს პერგამოსის მეფე ევმენი. მას გადაეცა თითქმის ყველა ის მცირეაზიური სამფლობელო, რომლებსაც მანამდე ანტიოქე ფლობდა (თრაკიის ხერსონესი, ლიდია, ფრიგია, კარია, პამფილია და ეფესო). რომის მეორე მოკავშირეს, როდოსს, გადაეცა ლიკია და კარიის ნაწილი. „გათავისუფლებულად" ცხადდებოდა ბევრი მცირე აზიური ქალაქი.

ცხადია, ყველა ეს ახლადდასაჩუქრებული „მოკავშირენი" რომის ყურმოჭრილ ვასალებად და აღმოსავლეთში რომაული იარაღის შემდგომ წინსვლათა პლაცდარმებად გადაიქცნენ.

მაგნეზიის ბრძოლით სელევკიდთა იმპერიამ მომაკვდინებელი დარტყმა მიიღო. ძნელი დასაჯერებელია წყაროებში მოტანილი ცნობა, რომ ასეთ მარცხს ანტიოქე მეტად უცნაური სიტყვებით შეხვედროდეს: „მადლობელი ვარ რომაელებისა, რომლებმაც მიხსნეს ამხელა სახელმწიფოს მმართველობისაგან". მაგნეზიის ბრძოლა სიგნალი შეიქნა სელევკიდური სირიის იმპერიაში შემავალი დამორჩილებული ხალხებისათვის. მის სხვადასხვა კუთხეში იწყება ძლიერი აჯანყებები, ცხადდებიან დამოუკიდებელი სახელმწიფოები[1]. მალე ზავის დადებიდან ანტიოქე თვითონ შეიქნა ასეთი აჯანყების მსხვერპლი (187 წ.).

ამგვარად, რომაელთა პირველი ლაშქრობა აზიაშიც დიდის წარმატებებით ჩატარდა. აღმოსავლეთში რამდენიმე წლით წონასწორობა დამყარდა. მაგრამ მალე რომს კვლავ უნდა აესხა იარაღი ისევ მაკედონიის წინააღმდეგ. მანამდე კი რომში სციპიონისა და ჰანიბალის სახელებთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ამბები მოხდა.

3Ე სციპიონისა და ჰანიბალის უკანასკნელი დღეები

> გმირების სიკვდილი მზის ჩასვლას
> ჰგავს და არა ბაყაყის სიკვდილს,
> რომელიც გაჭინთვით გასკდა.
>
> მ ა რ ქ ს ი

187 წელს რომის ქუჩები ბრწყინვალე ტრიუმფით გაიარეს ძმებმა სციპიონებმა, „აფრიკელმა" და „აზიელმა" (ასე ეწოდებოდა ლუციუს სციპიონს ამიერიდან). მაგრამ სულ მალე მათს ბრწყინვალებას და დიდე-

[1] ამავე ბრძოლის შედეგით ისარგებლეს სელევკიდთა მონარქიაში შემავალი სომხეთის მმართველებმა ა რ ტ ა ქ ს ი ა მ და ზ ა რ ი ა დ რ ე მ და სომხეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

ბამოსილებას ზღვარი დაუდეს ძლიერმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც შეშფოთებული იყვნენ სციპიონთა გვარის არნახული გაძლიერებითა და მათი, ნებსით თუ უნებლიეთ, დიქტატურისაკენ სწრაფვით. ოლიგარქიული კონსტიტუციის თავგამოდებული დამცველები, მარკუს პორციუს კატონის მეთაურობით, ენერგიულ ბრძოლას იწყებენ სციპიონთა „ტირანობის“ წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი პუბლიუსის მიმართ, რომელიც თითქოს მეფედ გრძნობდა თავს რომაელთა შორის.

პუბლიუს სციპიონის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ არაპირდაპირი გზით დაიწყეს. მისი სახელის გატეხვის მიზნით, პირველად იერიში მიიტანეს მის ძმაზე, ლუციუსზე. სახალხო ტრიბუნებმა სენატისა და ხალხის წინაშე აღძრეს საქმე. ლუციუს სციპიონს ბრალად ედებოდა მეფე ანტიოქესათვის წართმეული ფულადი თანხებისა და ძვირფასი ნივთების მითვისება. ლუციუსი ამაოდ იმართლებდა თავს. მას დიდძალი ფულადი ჯარიმა დააკისრეს გადასახდელად. ხოლო როცა ბრალდებულმა უარი განაცხადა უსამართლოდ დაკისრებული ჯარიმის გადახდაზე, სახალხო ტრიბუნმა მისი შეპყრობა ბრძანა.

სწორედ ამ დროს ფორუმზე გამოჩნდა ბრაზმორეული პუბლიუს სციპიონი. მან მცველებს ხელიდან გამოსტაცა ძმა. ამას მოჰყვა საშინელი ალიაქოთი. ხალხი ორ პარტიად გაიყო; ერთნი სციპიონებს უჭერდნენ მხარს, მეორენი კი იერიშზე მიდიოდნენ მათ წინააღმდეგ.

ვინ იცის ეს საქმე როგორ დამთავრდებოდა, რომ მასში არ ჩარეულიყო სახალხო ტრიბუნი ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსი, რომელიც სციპიონების დაუძინებელ მტრად და მათ წინააღმდეგ თავგამოდებული ბრძოლის ერთ-ერთ აქტიურ მეთაურად ითვლებოდა. ეს იყო შემდგომში სახელოვანი ძმები გრაკხუსების მამა, მაღალი კულტურის მქონე და სამართლიანობით განთქმული რომაელი. მან ჯერ დაჰგმო პუბლიუს სციპიონის ასეთი თვითნებობა სახალხო კრების წინაშე, მაგრამ იქვე „ვეტო“ დაადო თავისი კოლეგის, სახალხო ტრიბუნის განკარგულებას და ბრძანა ხელი არ ეხლოთ ლუციუსისათვის. „მართალია, — განაცხადა მან, — მე სციპიონებთან ისეთივე მტრობაში ვრჩები, როგორც მანამდე და არც მსურს მათგან სამადლოს გადახდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ მოგცემთ ნებას, რომ იმ საპყრობილეში, სადაც სციპიონ აფრიკელი ჩვენი მტრების მეფეებსა და მხედართმთავრებს მიერეკებოდა, ახლა მისი ღვიძლი ძმა ჩაამწყვდიოთ![1]

---

[1] უეჭველია, სციპიონებისადმი გრაკხუსის ასეთ დახმარებაში დიდი როლი ითამაშა წმინდა პირადმა და ოჯახურმა ინტერესებმაც. ამასთან დაკავშირებით წყაროები გადმოგვცემენ, რომ გრაკხუსს მეტად მოსწონდა პუბლიუს სციპიონის ქალიშვილი

ლუციუსი გათავისუფლებულ იქნა, მაგრამ მისი ქონების კონფისკაცია, დადგენილი ჯარიმის ასანაზღაურებლად, მაინც მოახდინეს. იქ ვერ იპოვნეს ვერაფერი ისეთი, რაც მართლაც ჩრდილს მიაყენებდა სციპიონთა პატიოსნებას. ლუციუსის ქონება არც კი ეყო დაწესებული ჯარიმის ასანაზღაურებლად და მის შესავსებად მისმა ნათესავებმა, მეგობრებმა და კლიენტებმა შეაგროვეს ფული. გადმოგვცემენ: ლუციუსს რომ მის ახლობელთაგან შეკრებილი ფული მთლიანად აეღო, ის უმდიდრესი კაცი შეიქნებოდა, მაგრამ დაკმაყოფილდა მხოლოდ იმის აღებით, რაც დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებისათვის დასჭირდებოდა.

მალე ამის შემდეგ იერიში მიიტანეს თვით პუბლიუს სციპიონზეც. მას მოსთხოვეს სენატორებისათვის წარედგინა ანგარიშები თუ როგორ გამოიყენა აზიური ლაშქრობის წინ აკრებილი გადასახადები; განსაკუთრებით კი ლაშქრობის შედეგად მოპოვებული ნადავლი. სციპიონმა მართლაც წარადგინა ანგარიშსწორების დავთრები, მაგრამ შემდეგ ბრაზმორეულმა ნაკუწებად აქცია ისინი სენატორთა წინაშე და მრისხანედ განაცხადა, რომ მისთვის აღმაშფოთებელია ანგარიში ჩააბაროს რაღაც 4 000 000 სესტერციუსზე[1], როცა მან სახელმწიფოს ხაზინაში შეიტანა 400 000 000 სესტერციუსი.

კორნელია, მაგრამ მათ შეუღლებას აბრკოლებდა გრაკხუსებსა და სციპიონებს შორის არსებული პოლიტიკური მტრობა. ბოლოს, სწორედ ამ დღეს, როცა გრაკხუსმა ტყვეობიდან გაათავისუფლა ლუციუსი, ხოლო საღამოს, კაპიტოლიუმში სპეციალურად მოწყობილ ვაჭშამზე მან პუბლიუს სციპიონს მისი ქალის ხელი სთხოვა, სციპიონი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დათანხმდა. სახლში დაბრუნებისთანავე სციპიონმა განაცხადა თავის მეუღლეს ემილიას (ეს იყო კანეს ბრძოლაში დაღუპული ლუციუს ემილიუს პაველს ქალი), რომ მან სასიძოს სიტყვა მისცა ქალიშვილის მოთხოვნებზე. ემილიამ მკაცრად უსაყვედურა ქმარს: ჩვენი კორნელიას ბედის გადაწყვეტაში ჩემთვის, დედისათვის უნდა გეკითხა, ხოლო შენ ისე აჩქარებულხარ, თითქოს მას, ტიბერიუს გრაკხუსს ატანდე ცოლად. „სწორედ გრაკხუსს აღვუთქვი ცოლად ჩვენი კორნელია!“ — სიხარულით შესძახა სციპიონმა.

ეს კორნელია დედა იყო სახელოვანი ძმების ტიბერიუსისა და გაიუს გრაკხუსებისა. კორნელია ისტორიულ ტრადიციაში დახატულია, როგორც შესანიშნავი თვისებებისა და ზნეობის რომაელი მატრონა. როცა ის ნაადრევად დაქვრივდა, უარი განაცხადა ხელმეორედ გათხოვებაზე, მან უარი თქვა ცოლად წაპყოლოდა თუნდაც ეგვიპტის მეფეს. კორნელია მთელ თავის სიცოცხლეს და შესაძლებლობას შვილების აღზრდას ანდომებდა. ერთხელ ის სტუმრად მოხვედრილა რომელიღაც წარჩინებულ და სიმდიდრით განთქმულ რომაულ ოჯახში. აქ დიასახლისს მისთვის დიდის ამბით უჩვენებია ყველა თავისი აუარაცხელი სიმდიდრე. მეორედ ეს ქალი თვით მოხვედა გრაკხუსების ოჯახში და სთხოვა კორნელიას ახლა მას ეჩვენებინა მისი საუნჯენი. კორნელიამ დაუძახა თავის ვაჟებს — ტიბერიუსს და გაიუსს, მიუთითა მათზე თავის სტუმარს და უთხრა: „აი, ჩვენი საუნჯე!“

[1] რომაული სესტერციუსი უდრიდა 4 გირვანქა ვერცხლს.

ამის შემდეგ ორმა წელმა განვლო და პუბლიუს სციპიონს ისევ მისწვდნენ ყელში. სახალხო ტრიბუნებმა კვლავ აღძრეს „აფრიკელის“ „ანგარებით გასვრილი“ საქმე სახალხო კრების წინაშე. გამოჩნდა სციპიონი თავისი უამრავი მეგობრითა და კლიენტით გარშემორტყმული. ყველა განცვიფრებით შესცქეროდა ტრიბუნაზე ამავალ გმირს, რომელსაც რატომღაც ამ დღეს სადღესასწაულო ტანსაცმელი ჩაეცვა და თავი ტრიუმფატორის გვირგვინით შეემკო. სამარისებურ სიჩუმეში სციპიონმა მშვიდარე ხმით განაცხადა: „ქვირიტებო. სწორედ ამ დღეს მე აფრიკაში დავამარცხე ჰანიბალი და კართაგენელები და რადგან ამ დღეს დრო არ არის არავითარი დავისა და განხეთქილებისათვის, ამიტომ მე აქედან ახლავე მივეშურები კაპიტოლიუმში, სადაც უნდა ვილოცო და მსხვერპლი შევსწირო ყოვლისმძლე იუპიტერის, იუნონასა და მინერვას წინაშე, მადლობა გადავუხადო მათ, რომ ამ დღეს, ისე როგორც სხვა მრავალ დღესაც, ძალა და უნარი მომცეს, წარმემართა სახელმწიფო საქმეები შესაფერისი ხელოვნებით. თქვენც ქვირიტებო, წამოდით ჩემთან ერთად და სთხოვეთ ღმერთებს, რათა მათ თქვენს სათავეში ყოველთვის დააყენონ ჩემი მსგავსი ადამიანები“.

ეს სთქვა და ამაყად გაეშურა კაპიტოლიუმისაკენ. ხალხი გაიპო და გზა მისცა. დემაგოგიამ გასჭრა: სულ ბალე მთელი სახალხო კრება თან გაჰყვა ამაგმოსილ გმირს. ფორუმზე მხოლოდ სახალხო ტრიბუნები დარჩნენ. ისინი ამაოდ აცხადებდნენ პროტესტს ამ მოულოდნელი და უცნაური ამბის გამო.

რა თქმა უნდა, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. კიდევ რამდენჯერმე დანიშნეს სასამართლო გამოძიება „სციპიონთა საქმეზე“. ამაყი სარდალი იძულებული შეიქნა დანებებოდა მტრების დაჟინებით შემოტევებს, საბოლოოდ ჩამოშორებოდა სახელმწიფო საქმეებს და თვით რომსაც, სადაც ის თავისი არსებობით საშინელი ფსიქოზის ატმოსფეროს უქმნიდა ბოწინააღმდეგე პარტიას.

სციპიონი 184 წელს გადასახლდა თავის მამულში, ქ. ლ ი ტ ე რ ნ უ მ შ ი, კამპანიის ოლქში, ქ. კ უ მ ი ს მახლობლად. აქ ატარებდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს; ახმარდა მათ საყვარელი ბერძნული ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნებისა და მეცნიერების შეთვისებას და გარდასულ დიდებულ დღეთა მოგონებებით იკლავდა უკანასკნელ მწარე დღეთაგან გულში ღრმად ფესვგადგმულ ბოღმას. მას ნუგეშს თუ მოჰგვრიდა ისეთი რამ, როგორსაც წყაროები გადმოგვცემენ: ერთ დღეს თავისი ვილის აივანზე მდგარმა სციპიონმა შენიშნა, თუ როგორ მიუახლოვდა მისი მამულის სანაპიროებს რამდენიმე ხომალდი, მათგან სასწრაფოდ გადმოხტნენ მეკობრეები და მიაშურეს ვილას. სციპიონმა სასწრაფოდ გასცა განკარგულება და მთელი მისი

კლიენტელა, მონები და მეგობარ-ნათესავები წამსვე საბრძოლო მზადყოფნაში ჩააყენა. მაგრამ მეკობრეებმა მშვიდობიანობის ნიშანი აჩვენეს და სციპიონს მასთან მიახლოების ნება სთხოვეს. როცა სციპიონმა ამის ნება დართო, ისინი მისცვივდნენ, დაემხნენ მის წინაშე, ხელით ეხებოდნენ და ელოლიავებოდნენ მის ხელებს, მკერდს, ტანსაცმელს. ჩვენ მხოლოდ გვსურდა გვეხილა დიდი სარდალი, ესპანეთის, აფრიკისა და აზიის გმირი; კაცი, რომელსაც უძლეველი ჰანიბალის მძლეს უწოდებენო, — განაცხადეს მათ და უკანვე გაბრუნდნენ. აი, კიდევ როგორი ამბებით შეეძლო ენუგეშებინა თავი სციპიონს.

სციპიონი გარდაიცვალა 183 წელს, 52 წლის ასაკში. ანდერძში ის მოითხოვდა დაეკრძალათ იქვე, ლიტერნუმში, და არავითარ შემთხვევაში რომში.

* * *

იმავე წლისათვის ფინალს უახლოვდებოდა ჰანიბალის მრავალფეროვანი სიცოცხლეც[1].

როგორც ითქვა, ანტიოქე აზიელის სამეფო კარზე ჰანიბალის ახალ გრანდიოზულ გეგმებს ეჭვის თვალითა და უნდობლობით დაუწყეს ცქვერა. სირიულ ომში მას სრულიად უმნიშვნელო ბრძოლის უბნები ჰქონდა ჩაბარებული, სადაც მის ბრწყინვალე ნიჭს კვლავინდებურად აღარ შეეძლო გაელვება. 183 წლის ზავით ანტიოქეს რომაელებისათვის უნდა გადაეცა ჰანიბალი. მაგრამ როცა ზავის ეს მუხლი იწერებოდა, ჰანიბალს სირია უკვე დატოვებული ჰქონდა.

იგი მივიდა კუნძულ კრეტაზე. მან კარგად იცოდა კრეტელ ხელისუ-

---

[1] ტიტე ლივიუსთან დაცულია ერთი ცნობა ჰანიბალისა და სციპიონის უკანასკნელი შეხვედრის შესახებ ანტიოქე III-ის სასახლის კარზე, სადაც 194 წლის მახლობლად სციპიონი ერთ-ერთ ელჩად ყოფილა სირიაში. ამ ცნობის მიხედვით დიდ სარდლებს შემდეგი შინაარსის დიალოგი ჰქონიათ:

ს ც ი პ ი ო ნ ი: ვის სთვლი შენ ყველაზე დიდ სარდლად მსოფლიოში?

ჰ ა ნ ი ბ ა ლ ი: ყველაზე დიდი სარდალი იყო ალექსანდრე მაკედონელი, რომელმაც მცირერიცხოვანი ჯარებით მოსპო მტრის ურიცხვი არმია და გაიარა ისეთი ქვეყნები, რომელთა გავლაც სხვებს წარმოუდგენლად მიაჩნდათ.

ს ც ი პ ი ო ნ ი: რომელ სარდალს აყენებ მეორე ადგილზე?

ჰ ა ნ ი ბ ა ლ ი: მეორე ადგილი ეკუთვნის პიროსს.

ს ც ი პ ი ო ნ ი: მესამე?

ჰ ა ნ ი ბ ა ლ ი: ეს მე ვარ.

ს ც ი პ ი ო ნ ი: (სიცილით) რომელ ადგილზე დააყენებდი შენს თავს მე რომ არ დამემარცხებინე?

ჰ ა ნ ი ბ ა ლ ი: მაშინ მე ჩემს თავს დავაყენებდი უფრო მაღლა, ვიდრე ალექსანდრე, პიროსი და ყველა სხვა დანარჩენი სარდლები.

ფალთა ანგარებისმოყვარეობა, ფულისადმი სიხარბე. და იმ მიზნით, რომ როგორმე გადაერჩინა შავი დღეებისათვის გადანახული ოქრო-ვერცხლი, ასეთ ხერხს მიმართა: რამდენიმე ამფორა (ყუთი) ტყვიით გაავსო, თავზე ოქრო-ვერცხლი გადააფარა და ამ სახით, კრეტის ხელისუფალთა თანდასწრებით, დაალაგა არტემიდეს სახელობის ტაძარში; თან გამოაცხადა, რომ მათ შენახვას ანდობს ადგილობრივ ხელისუფლებას და ღმერთებს. სინამდვილეში კი მთელი მისი საუნჯე ინახებოდა ბრინჯაოს ქანდაკებებში, რომლებიც უწესრიგოდ და თითქოს უყურადღებოდ ეყარა მისი სახლის შესასვლელში.

მალე რომაელები კრეტაზეც გამოჩნდნენ; ჰანიბალის გარშემო ჯაშუშები აფუსფუსდნენ. სრულიად მოულოდნელად ჰანიბალი გაუჩინარდა, ისევ აზიაში გადავიდა და ბითინიისაკენ გაეშურა. აქ ის გამოცხადდა მეფე პრუსიასთან, რომელსაც სამსახური შესთავაზა და მფარველობაც სთხოვა. პრუსიას მაშინ ომი ჰქონდა მეზობელი პერგამოსის ხელმწიფესთან, ევმენთან. ამიტომ სახელოვანი ფინიკიელი მან დიდის სიამოვნებით მიიღო და საომარ საქმიანობაშიც ჩააბა. აქ ჰანიბალმა უკანასკნელად მიიღო ბრძოლაში მონაწილეობა. ერთ-ერთ საზღვაო შეტაკებაში მან მწყობრიდან გამოიყვანა თვითონ მეფე ევმენის საომარი გემი, ხოლო დანარჩენი ეკიპაჟები საშინლად დააფრთხო და გაჰფანტა სრულიად ახალი, უჩვეულო ხერხით: მისი ბრძანებით ბითინიელებმა მოწინააღმდეგის გემებზე შხამიანი გველებით სავსე ქოთნები გადაისროლეს. ეს იყო მისი უკანასკნელი ბრძოლა და უკანასკნელი შხამის გადმონთხევა რომაელთა წინააღმდეგ (ევმენი ხომ რომის ქვეშევრდომი იყო).

ამავე 183 წელს ბითინიაში გამოცხადდა რომაელთა ელჩობა, რომელსაც სათავეში ედგა პირველი მაკედონური ომის სარდალი ფლამინინუსი. მან კატეგორიულად მოსთხოვა პრუსიას დაუყოვნებლივ გადაეცა მისთვის ჰანიბალი. პრუსიას, უმწეო ჯუჯა მეფეს, არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია რომის ესოდენ დიდი ავტორიტეტისათვის. პირიქით, მას უკანასკნელ დღეებში გადაწყვეტილი ჰქონდა კიდეც გაეცა ჰანიბალი და ასეთი ბინძური გზით დაემსახურებინა რომაელთა მეგობრობა და გამოესყიდა ის დანაშაული, რაც გამოიხატებოდა მისგან რომის მფარველობის ქვეშ მყოფი პერგამოსის წინააღმდეგ ომის დაწყებაში. პრუსიამ და ფლამინინუსმა დაუყოვნებლივ გაგზავნეს ძლიერად შეიარაღებული რაზმები ჰანიბალის შესაპყრობად.

ჰანიბალი მანამდე მიჩენილ ერთ-ერთ კოშკში ცხოვრობდა. მას გათვალისწინებული ჰქონდა მოსალოდნელი საფრთხე და კოშკიდან ყოველი საიდუმლო გასასვლელი საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი. მაგრამ აჯერად ჰანიბალმა ვეღარ დააღწია თავი სიკვდილის კლანჭებს.

როცა მსახურმა მოახსენა და თვითონაც ნახა, რომ სახლი შეიარაღებულ რაზმთა ალყაში იყო მოქცეული, ხოლო ყველა გასასვლელი მტკიცედ ჩაკეტილი, სასწრაფოდ აავსო ფიალა ძლიერი საწამლავით, რომელსაც ის მუდამ თან ატარებდა, და წამოიძახა: „ამჯერად კი ვიხსნათ შემდგომი საფრთხისა და ზრუნვისაგან რომაელი ხალხი, რომელიც ასე დიდხანს ელოდება მოხუცი მტრის სიკვდილს“: ამ სიტყვებით დასცალა საწამლავით სავსე ფიალა და სიკვდილთან ერთად შეხვდა რომაელებს.

ასე მოკვდა ჰანიბალი 64 წლის ასაკში, იმავე 183 წელს, როცა მისი დიდი მტერი სციპიონი, ჰანიბალისავე მსგავსად, უცხოეთში გარდაიცვალა[1].

ჰანიბალმა მტკიცედ შეასრულა აფრიკის უდაბნოში ბავშვობისას წარმოთქმული მხურვალე ფიცი („ჰანიბალის ფიცი!“). რომის ისტორიამ არ იცოდა ჰანიბალზე უძლიერესი და უსასტიკესი მტერი, რომელთან ბრძოლაში რომი გაჭაღარავდა. 50 წლის მანძილზე ელავდა ჰანიბალის მახვილი რომის უმტკიცეს ბეგთარზე; 16 წლის განმავლობაში ის იტალიას შიგ მკერდში ურევდა ტიკინუს-ტრებიას, ტრაზიმენისა და კანეს ბრძოლათა ცეცხლში ნაწრთობ იარაღს. არასოდეს, კანეს მწვერვალიდან ზამას უფსკრულისაკენ დაქანებულსაც კი, სულიერი მხნეობა არ დაუკარგავს. იგი ყოველთვის და ყველგან ახალი ენერგიით მიისწრაფოდა ერთი მიზნისაკენ — რომის დამხობისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ მას ერთნაირ უნდობლობას უცხადებდნენ სამშობლოშიც და უცხოეთში, და თითქმის მუდამ მარტო იყო ამ უთანასწორო ბრძოლაში, მაინც ყველგან, მსოფლიოს ყველა კუთხეში[2] ეძებდა მომაკვდინებელ იარაღს რომის წინააღმდეგ. იგი ისე იყო ამ ბრძოლაში გართული, რომ ვერც კი ამჩნევდა: მისი ასეთი თავგადადებული ცდა მხოლოდ და მხოლოდ დასაღუპად განწირული აგონია იყო; ჰანიბალი ცდილობდა ისტორიის მძიმე ჩარხის უკუღმა მოტრიალებას; ცდილობდა უკვე დიდი ხნის დახავსებული და გახრწნილი მონათმფლობელური კართაგენის აღორძინებასა და გაახალგაზრდავებას. ვერ ხედავდა, რომ კართაგენის ბრძოლა რომის წინააღმდეგ ეს იყო დრომოჭმულის ჭიდილი მომავალ სივაჟკაცესთან, ვერ ამჩნევდა, რომ მიხრწნილ ბერიკაცს ძალა არ შესწევდა ძირს დაეცა ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი. ამიტომაც, ერთი ჰანი-

---

[1] იმავე 183 წელს აგრეთვე უცხოეთში დაიღუპა იმ დროს ცნობილი ბერძენი სარდალი ფილოპემენი.

[2] პლუტარქეს ცნობით, ჰანიბალი ყოფილა სომხეთშიც. იქ მას მეფე არტაქსიასათვის აუგია სატახტო ქალაქი არტაქსატა.

ბალის ნიჭს, რაგინდ გენიალურიც არ უნდა ყოფილიყო, არ შეეძლო წინ გადასდგომოდა ისტორიის კანონზომიერ წინსვლას. ჰანიბალის პირადი ტრაგედიის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ის უდროო დროს მოევლინა თავის ქვეყანას, სახელდობრ მაშინ, როცა კართაგენი უკვე სწურავდა თავის თავს; ჰანიბალობის მარცვალი უკვე გამოფიტულ ნიადაგზე ითესებოდა და ნაყოფი არ მოჰქონდა. ჰანიბალი გამხმარ ხეზე ამოსულ უკანასკნელ ყლორტს ჰგავდა, რომელსაც უნიადაგობისაგან აღარ შეეძლო ცხოველმყოფელობის შენარჩუნება და, მით უმეტეს, მისი გადაცემა და დაბრუნება მშობლისადმი.

39 მესამე მაკედონური ომი

მაგნეზიის ბრძოლიდან 20 წლის შემდეგ რომაელებს ისევ მოუხდათ ახალი დიდი ომის გაჩაღება აღმოსავლეთში. პირველმა და მეორე მაკედონურმა ომებმა ვერ გადასჭრეს ის წინააღმდეგობანი, რომლებიც არსებობდნენ რომსა და მაკედონიას შორის. ეს წინააღმდეგობანი კიდევ უფრო მძაფრი შეიქნა, როცა ფილიპე V-მ რომისადმი ანგარიშგაუწევლად ხელახლა ჩაიგდო ხელში თესალიის უდიდესი ნაწილი და თრაკიის სამხრეთ სანაპიროები. „მზე ჯერ კიდევ არ ჩასულა უკანასკნელად", — ამაყად გაიძახოდა მაკედონელი მეფე თეოკრიტეს[1] სიტყვებს და გაბედულად მიიწევდა წინ.

179 წელს ფილიპე გარდაიცვალა და მაკედონიის ტახტზე დაჯდა მისი ძე პერსეოსი, რომელიც სასწრაფოდ შეუდგა რომთან ბრძოლის სამზადისს.

დაიწყო მესამე მაკედონური ომი, რომელიც სამი წელიწადი (171 — 168) გაგრძელდა.

რომაელები ჯერ ბალკანეთზე არც კი გადასულიყვნენ, რომ პერსეოსს მისმა მოკავშირეებმა და მეგობრებმა ზურგი აქციეს. ბითინიის მეფე პრუსია ჩაურევლობის, ნეიტრალიტეტის პოზიციაზე დადგა. სირიის ახალი მეფე ანტიოქე IV (სელევკოს IV-ის ძმა) ეგვიპტესთან ტრადიციული ომებით გაერთო და მაკედონიისთვის დახმარებაზე სრულებითაც არ ფიქრობდა; როდოსი, სანამ გვიან არ იყო, ისევ რომაელთა მხარეზე გადაბარგდა. ასევე ბერძენ მოკავშირეთა უმრავლესობა, რომაული შურისგებით შეფიქრიანებული, ჩამოშორდა მაკედონიას. ჯერ-ჯერობით მხოლოდ თრაკიული ტომების, ოდრისების ბელადი კოტისი და ილირიელი გენციუსი, გარყვნილი და ლოთი მთავარი, ინარჩუ-

[1] თეოკრიტე — III საუკუნის (ძვ. წ. აღ.) სირაკუზელი პოეტი.

ნებდნენ მაკედონიისადმი მხარდაჭერას. ასევე, პერსეოსისადმი ერთგულად რჩებოდნენ ბასტარნებიც.

რომაელთა ძლიერება ომის დაწყებისთანავე იზრდებოდა. გარდა ახლახან ჩამოთვლილი ქვეყნებისა, — მასინისა აფრიკიდან ზედიზედ გზავნიდა ნუმიდიურ კავალერიას, სპილოებს, სურსათ-სანოვაგესა და საომარ საჭურველს; ბერძნული სამყაროს უდიდესი ნაწილი, მათ შორის აქეიის კავშირი, რომის მხარეზე იდგა; მცირე აზიიდან დამხმარე ძალებს შეადგენდნენ პერგამოსისა და კაპადოკიის სამეფოები და სხვა თავისუფალი ქალაქები; ყველა ამათ შეეძლოთ ზურგიდან დასხმოდნენ მაკედონიას.

171 წლის გაზაფხულზე კონსულმა პ უ ბ ლ ი უ ს ლ ი ც ი ნ ი უ ს კ რ ა ს უ ს მ ა 50 000 მეომრისაგან შემდგარი არმია გადაიყვანა საბერძნეთში. რომის არმიაში იტალიელების გარდა ირიცხებოდნენ ნუმიდიელები, კელტები, ლიგურები, ბერძნები და პერგამოსელები. ეგეოსის ზღვას მიაშურა 40 გემისაგან შემდგარმა რომაულმა ფლოტმა გ ა ი უ ს ლ უ კ რ ე ც ი უ ს ი ს სარდლობით.

პერსეოსს რომაელთა ამ სამხედრო ძალების წინააღმდეგ შეეძლო გამოეყვანა 45 000-მდე მეომარი.

პირველი ბრძოლა მოხდა თესალიაში, ქ. ლ ა რ ი ს ა ს მახლობლად. რომაელები დამარცხდნენ. მათ 4 000 კაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით, ხოლო 6 000 იტალიელი ცხენოსანი ტყვედ ჩავარდა.

პერსეოსი თითქოს არც მოელოდა გამარჯვებას; თუნდაც იმიტომ, რომ მან ასეთი „იღბლიანობის" მიუხედავად საზავო მოლაპარაკების გაჭართვა სთხოვა რომაელებს. ის მათ სთავაზობდა 197 წელს ფილიპესთან დადებული ზავის აღდგენას. მაგრამ პერსეოსმა უარი მიიღო.

მიუხედავად მაკედონიის მეფის საერთო დაბნეულობისა, ომის პირველი წლები რომაელთა სასარგებლოდ მაინცარ წარმართულა. აშკარად იგრძნობოდა სარდლობის უნიჭობა, უმოქმედობა და ზნეობრივი დაცემულობაც კი. ორი წლის განმავლობაში რომაელთა არმიაში სრული დემორალიზაცია და უდისციპლინობა სუფევდა. სარდლები, უფროს მეთაურთა შემადგენლობა ქრთამისათვის დეზერტირობის უფლებასაც კი აძლევდნენ ჯარისკაცებს. რომს თითქოს ბედი სწყალობდა, რომ მათ წინააღმდეგ იდგა პერსეოსი და არა, თუნდაც, ენერგიული ფილიპე.

168 წლისათვის რომში ერთ-ერთ კონსულად აირჩიეს ლ უ ც ი უ ს ე მ ი ლ ი უ ს პ ა ვ ლ ე, კანეს ბრძოლაში მოკლული ემილიუს პავლეს შვილი. ის ამ დროს უკვე სამოც წელს მიღწეული კაცი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ გამოირჩეოდა ენერგიულობით, სიმამაცით, ჯანღონის სისავსითა და გონებრივი გამჭრიახობით.

ემილიუს პავლეს საბრძოლო ასპარეზზე ჩასვლისთანავე ძირფეს-

ვიანად გარდაქმნა არმიისა და სარდლობის დეზორგანიზებულობისა და უმოქმედობის სამარცხვინო სურათი. აღდგენილ იქნა მკაცრი სამხედრო დისციპლინა და წესრიგი.

მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქ პ ი დ ნ ა ს თ ა ნ, მაკედონიაში. მათ ბანაკებს ერთიმეორისაგან ჰყოფდა მდინარე ლევკოსი. საიდანაც ორივე მხარე სარგებლობდა წყლით.

გათენდა 22 ივნისი. იმ დღეს არც ერთი სარდალი არ ფიქრობდა გენერალური ბრძოლის გამართვას. მაგრამ დღის ბოლოს მოწინააღმდეგენი სრულიად შემთხვევით ჩაებნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ეს შემდეგნაირად მოხდა.

● ბზე უკვე დასავლეთისაკენ იყო დახრილი, როცა რამდენიმე რომაელმა მდინარეზე წყლის სასმელად ცხენები გარეკეს. ერთმა ცხენმა გასცურა მდინარე და მეორე ნაპირზე გავიდა. ის ხელში ჩაიგდეს პერსეოსის არმიაში მომსახურე თრაკიელმა ბერმრებმა, რომლებიც იქ გუშაგებად იდგნენ. რომაელმა მეომრებმაც გასცურეს მდინარე, ცხენიც დაიბრუნეს, შეტაკებისას ერთი თრაკიელიც მოჰკლეს და უკანვე გამობრუნდნენ. მაგრამ მათ თან დაედევნა თრაკიელთა ძლიერი რაზმი. მდინარის ნაპირზე ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. ორივე მხრიდან ემატებოდნენ მეომრები. ბრძოლა უფრო სასტიკი ხდებოდა. სწორედ მაშინ პერსეოსმა ბრძანება გასცა და მთელი მისი ქვეითი არმია შეტევაზე გადავიდა.

ემილიუს პავლეც თითქოს ამას ელოდა (იმასაც ამბობდნენ, რომ რომაელებმა თვით სარდლის მითითებით გადეხეს ცხენი მდინარის მეორე ნაპირზე, რათა მაკედონელები ბრძოლაში გამოეწვიათო, მაგრამ ეს დაბეჯითებით არავინ იცოდა. თვით გულჩათხრობილი მხცოვანი სარდალიც ამის შესახებ არაფერს ამბობდა). ის უკვე საბოლოოდ რაზმავდა არმიას; თავშიშველი და უჯავშნოდ დაიარებოდა ლეგიონების წინ; ყველა მეომარს თავის ადგილს უჩვენებდა, ყველას ამხნევებდა და ახალისებდა.

რომაელთა მოწინავე ხაზს პირველნი მიეჭრენ ყორნისფერ კაფტანებში გადაცმული თრაკიელ ბრვე ვაჟკაცთა რიგები. ლეგიონებმა საპასუხო დარტყმის გამართვაც ვერ მოასწრეს, რომ გრიგალივით მოვარდნენ მაკედონური ფალანგები; სისხლისფერ ზღვას ჰგავდა ძოწეულის ხიტონებში შემოსილ ფალანგიტთა არმია. შედრკნენ რომაელთა მოწინავენი. შედრკა მრავალ ბრძოლაში ნაცადი სარდალიც; არასოდეს ასეთი შიში არ მიგრძვნიაო, — თვითონ აცხადებდა ემილიუს პავლე შემდგომში. მაგრამ მან მალე დასძლია მისთვის უჩვეულო გრძნობა, ოშახიანად დასჭყიტა და შეუტია გააფთრებულ იერიშზე გადმოსულ მტერს.

ბრძოლა დასაწყისშივე არაჩვეულებრივად სასტიკი და სისხლისმღვრელი შეიქნა. რომაელთა მოწინავე კოპორტა, რომელიც მთლიანად საბელური ტომის, პელიგნებისაგან შედგებოდა, თავგანწირვით ცდილობდა გაერღვია ფალანგების მტკიცედ შეკრული რიგები, მაგრამ ამაოდ. მაშინ მათმა მეთაურმა სალიუსმა მოწინააღმდეგის სქელად შეკრულ რიგებში ისროლა კოპორტა. საბრძოლო დროშა და ბრძანა მისი უკანვე გამოხსნა. ძალიერი თავდავიწყებით გადაეშვნენ პელიგნები მტრის შუბების ტყეში დროშის დასაბრუნებლად. ისინი მახვილებით სჩეხდნენ მაკედონელთა შუბებს; ფარებს თავში სცემდნენ მათ, მაგრამ მიზანს მაინც ვერ აღწევდნენ. მაკედონელები მათ თავიანთ გრძელ შუბებზე



ბრძოლა პიდნასთან.

აგებდნენ და უკან ისროდნენ. პელიგნთა კოპორტა მთლიანად განადგურდა. რომაელებმა უკვე დაიწყეს უკან დახევა. გამხნევებული მტერი კვალდაკვალ მისდევდა და ავიწროებდა მათ. რამდენიმე ათეული მეტრიღა დარჩა რომაელთა ბანაკამდე. ლეგიონებმა მიაღწიეს ბანაკის მახლობლად მდებარე ბორცვს. აქ მაკედონელები ახალ იერიშზე გადავიდნენ. გაცოფებულ ემილიუს პავლეს მთლიანად შემოეგლიჯა კონსულის ტოგა. მან, სისხლში მოსვრილმა, ჩამოუქროლა შემდრკალ არმიას და კონტრშეტევაზე გადასვლა ბრძანა. მართლაც დრო იყო: მაკედონელთა ფალანგებს უკვე დაეკარგათ თავიანთი უპირატესობა, რაც მათს ერთიანობასა და მონოლითურ სიმტკიცეში მდგომარეობდა. დევნისას მათი რიგები დაშლილიყო და რაზმეულებად მიეშურებოდ-

ნენ „დამარცხებული" მტრის საბოლოოდ გასანადგურებლად, მაგრამ ჩანდა, რომ ემილიუსი ახლა იწყებდა ბრძოლას.

რომაელები რაზმეულებად შეიჭრენ დაფანტულ მაკედონელთა დისტანციებში. გაჩაღდა მრავალი ჯგუფობრივი ბრძოლა. რომაელები, რომელთაც უკვე ნაპოვნი ჰქონდათ მანძილი მანევრირებისათვის, ყოველი მხრიდან გარს ერტყმოდნენ დაქსაქსულ ფალანგიტთა რაზმებს და უწყალოდ სჩეხდნენ. პერსეოსის ქვეითი არმია მთლიანად ნადგურდებოდა. ვინც გაქცევა მოახერხა, ზღვის სანაპიროს მიაშურა, მაგრამ აქ წინ გადაეღობნენ რომაელი მეზღვაურები, რომლებიც სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ პრეტორ ოქტავიუსის ადმირალობით.

კატასტროფა კიდევ უფრო გარდუვალი გახადა მაკედონიის მეფის სრულმა უმოქმედობამ და სიმხდალემ. კავალერიას, რომელსაც თვით მეფე უდგა სათავეში, ბრძოლაში არც კი მიუღია მონაწილეობა. ის მდინარის მეორე ნაპირიდან უცქერდა ფალანგების განადგურებას და პირველი გაიქცა ბრძოლის ველიდან.

20 000 მაკედონელის დაჩეხილი გვამი ეყარა მიწაზე. 11 000 ტყვე ჩაიგდეს ხელში რომაელებმა.

ასე გადაწყდა მაკედონიის ბედი ბრძოლაში, რომელიც ერთი საათიც კი არ გაგრძელებულა. რაღაც კვირა იყო გასული ემილიუს პავლეს მთავარსარდლად არჩევიდან და ალექსანდრე მაკედონელის საშშობლო უკვე რომაელთა ფეხქვეშ იყო გართხმული. წინააღმდეგობის გაწევაზე არავინ ფიქრობდა. პერსეოსი მხოლოდ საკუთარი სიცოცხლისა და ხაზინის გადარჩენაზე ზრუნავდა. ის პიდნადან გაიქცა სატახტო ქალაქ პელაში. გზადაგზა მას თითქმის ყველა ერთგული მსახური ჩამოშორდა. ძლივს გადაურჩა ბრაზმორეულ მეომრებს. მხოლოდ იმის წყალობით, რომ სამეფო ტანისამოსი და დიადემა მოიხსნა და უბრალო ტანსაცმელში შემოსილმა მიაღწია პელას, აქ მან დახოცა ერთგული ხაზინადარები, გასწმინდა სახელმწიფო საგანძური, რომელიც 6 000 ტალანტისაგან (დაახლოებით 9 000 000 მან.) შედგებოდა და გაიქცა სამხრეთისაკენ თავისი ოჯახის, სამი ერთგული მსახურისა და 500 მეომრის თანხლებით. ეს უკანასკნელნიც მას მისდევდნენ არა იმდენად ერთგულების გამო, რამდენადაც იმ ფულის მიღების სურვილით, რომელსაც მათ აღუთქვამდა პატივდაკარგული გვირგვინოსანი. სასყიდლის მიღების შემდეგ ქ. ამფიპოლისში პერსეოსი ამ უკანასკნელმა ამალამაც დასტოვა.

ბოლოს, ლტოლვილმა მეფემ, თავის ცოლშვილთან ერთად, ძლივს მიაღწია კუნძულ სამოთრაკიას (ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ რაიონში). აქედან ფიქრობდა თრაკიაში გაქცევას, მის მოკავშირე კოტისთან. სწორედ ამ გეგმის განხორციელების ცდის დროს ის მისივე ანგარების-

მოყვარეობის მსხვერპლი შეიქნა. პერსეოსი მოელაპარაკა ვიღაც კრეტელ ოროანდს, რომელსაც თავისი ხომალდით უნდა გაეპარებინა ის და მისი ოჯახი რომაელებით გავსებულ ზღვაში. ღამით ოროანდმა დატვირთა გემი პერსეოსის ხაზინითა და სიმდიდრით. მეორე ღამით, გამგზავრების დათქმულ ვადაზე, პერსეოსი ცოლითა და შვილებით მივიდა ზღვის სანაპიროზე, მაგრამ იქ არც ოროანდი, არც გემი და არც სამეფო საჭურველი აღარ დახვედრია.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა პერსეოსმა გადასწყვიტა დანებებოდა საბედისწერო ხვედრს. ის თავისი ოჯახით ჩაბარდა პრეტორ ოქტავიუსს, რომელმაც ისინი დაუყოვნებლივ გაგზავნა ემილიუს პავლესთან.

შავი ტანსაცმლით შემოსილი, სულიერად დაცემული მეფე რომაელ სარდალს მიჰგვარეს. პავლემ ხელი გაუწოდა ტყვეს. მაგრამ, როცა პერსეოსმა მის წინაშე მუხლებზე დაცემა სცადა, ასეთ სულმოკლეობასა და სიმდაბლეს დამსწრენი და პირველ რიგში ემილიუსი ზიზღით შეხვდნენ. უბედურო, — შესძახა ემილიუსმა, — შენი მოქცევით არა მარტო შენს თავს არცხვენ, არამედ ამცირებ ჩემს გამარჯვებასაც, რადგან შენ თავს ვერ იჭერ როგორც კეთილშობილი გმირი და ღირსეული მოწინააღმდეგე რომაელი ხალხისა; შეუდრეკელი ნებისყოფა და სიმამაცე მტერსაც აიძულებს უცქიროს სვედავსილს პატივისცემით. ხოლო სულმოკლეობა, თუნდაც ის ბედნიერ კაცს ჰქონდეს, მაინც განუზომელ ზიზღს იწვევს რომაელებშიო. პერსეოსმა სთხოვა ემილიუს პავლეს ეხსნა ის სამარცხვინო ტრიუმფისაგან. რომაელმა სარდალმა დაცინვით მიუგო: ტრიუმფში გატარების სირცხვილისაგან თავდასახსნელი საშუალება შენ ყოველთვის გქონდა და ახლაც შენს ხელში არისო. ამით ის ანიშნებდა თვითმკვლელობაზე. მაგრამ მაკედონელ მეფეს არც ამის გამბედაობა ეყო და სრული მორჩილება გამოუცხადა საშინელ ბედს.

რომის მცხოვრებნი ცირკში დიდ სანახაობაზე იყვნენ შეკრებილნი; იქ გამოცხადდნენ ემილიუს პავლეს შიკრიკები, რომლებმაც ჩამოიტანეს სასიხარულო ამბის მაუწყებელი დაფნის ფოთლებით შემკული ეპისტოლე. ხალხი დიდი ზეიმით შეხვდა ახალ დიდ გამარჯვებას. საყოველთაო დღესასწაული და მსხვერპლშეწირულება ჯერ არც კი დამთავრებულიყო, რომ კიდევ ახალი გამარჯვების ამბავი მოვიდა: რომაელებმა დაამარცხეს და შეიპყრეს მაკედონიის მოკავშირე ილირიელი მეფე გენციუსი.

სენატის დადგენილებით გაიგზავნა ბრძანებები, რომლის მიხედვით ემილიუს პავლეს უნდა მოეწესრიგებინა ახლადდაპყრობილი და საერთოდ აღმოსავლეთის ქვეყნების საქმეები.

მაკედონიის სამეფო ოთხ ნაწილად იქნა გაყოფილი. ამიერიდან ისინი სრულიად იზოლირებული იყვნენ ერთმანეთისაგან. ჩამოერთვათ ურთიერთ შორის ვაჭრობის უფლება (jus comercii). ქორწინების უფლება (jus connubii) და სხვ. დანგრეულ იქნა ყველა ციხე-სიმაგრე და აღიკვეთა ახალი შეიარაღების ყოველგვარი შესაძლებლობა. მოსახლეობას ყოველწლიურად მძიმე ხარკი უნდა ეხადა რომისათვის.

ასევე სამ ნაწილად გაიყო ილირია. ისიც სასტიკი რეპრესიების ქვეშ დააყენეს და მძიმედ დახარკეს.

რომაელებმა სასტიკად დასაჯეს საბერძნეთის ის ოლქებიც, რომლებიც მაკედონიის მიმართ ოდნავი სიმპათიით იყვნენ განწყობილნი. 1 000-ზე მეტი წარჩინებული აქეელი მძევლებად გაირეკეს რომისაკენ. მათ შორის იყო ცნობილი ისტორიკოსი პოლიბიოსიც.[1]

ყველაზე მეტი სისასტიკით რომაელები მოეპყრნენ ეპირს. დანიშნულ დღეს რომაული კოჰორტები შეუდგნენ ეპირის ქალაქებისა და სოფლების ძარცვას, დანგრევას და მოსახლეობის მონებად გარეკვას. 70-მდე ქალაქი დაინგრა; 150 000 ეპირელი მონებად გაჰყიდეს. აურაცხელი სიმდიდრით გაივსო რომის სახელმწიფო ხაზინა და ლაშქრობის მონაწილეთა პირადი საჭურჭლე.

168 წლის სექტემბერში რომის კარიბჭე მქუხარე ტრიუმფით გაიხსნა. წინ მოჰქონდათ აუარებელი ძვირფასი, ბერძნულ-მაკედონური ხელოვნებით ნაკეთები ნივთი, ჭურჭლები, თასები, ლარნაკები, სკულპტურები, იარაღი, ყველაფერი ოქრო-ვერცხლითა და კეთილშობილი ქვებით მოოქვილი; შემდეგ მოჰყავდათ 120 სამსხვერპლო ხარი, მოოქროვილი რქებითა და გვირგვინებით მორთული; კვლავ ძვირფასი ნივთები; მათ მოსდევდა მეფე პერსეოსის ეტლი, რომელზეც ელაგა მისი იარაღი, სამეფო ტანსაცმელი და დიადემა; მას მისდევდნენ პერსეოსის ორი ვაჟი და გოგონა, თავიანთი აღმზრდელების, პედაგოგებისა და სეფეწულების თანხლებით; ყველა ისინი თვალცრემლიანი ემუდარებოდნენ შემწეობას ჟივილ-ხივილით მოვარდნილ „მგლის ნაშიერთა“ ხროვას. უფლისწულებისა და მათი ამალის უკან ძლივს მოაბიჯებდა შავი ტანსაცმლით შემოსილი სვედავსილი პერსეოსი თავისი მეუღლითა. შემდეგ გამოჩნდა გვირგვინთა ტბორე; აზიისა და საბერძნეთის ქალაქთაგან მორჩილების ნიშნად გამოგზავნილი 300 ოქროს გვირგვინი მოჰქონდათ ტრიუმფატორის ეტლის წინ. მოოქროვილ ეტლში, რომელსაც ოთხი

---

[1] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი ამნისტიის ჭიღების შემდეგაც აღარ დაბრუნებულა საბერძნეთში. ის დარჩა რომში, დაუახლოვდა სციპიონ უმცროსის მოწინააღმდეგეს, წერდა თავის „მსოფლიო ისტორიას“ და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ოეთრი მერანი მოაქანებდა, იდგა ახოვანი ემილიუს პაელე; ძლევამოსილ ჭარმაგ რომაელს შვენოდა ოქრომკერდით ნაქარგი ძოწეულის მანტია, ქაღარა თავზე ტრიუმფატორის გვირგვინი (corona triumphalis) და ხელში დაფნების კონა. დაფნის გვირგვინებით იყო შემკული ყველა მისი ვეტერანი, რომლებიც საბრძოლო ჰიმნების გრგვინვით მისდევდნენ სარდლის ეტლს.

პერსეოსი გადაასახლეს ქალაქ ალბაში, ფუცინოს ტბის მახლობლად. აქ საშინელ პირობებში მყოფმა მეფემ კიდევ დიდხანს იცოცხლა. ბოლოს მან სიცოცხლე დაასრულა შიმშილით. იმასაც გადმოგვცემენ, რომ რომაელი გუშაგები მას ძილის საშუალებას არ აძლევდნენ და ამგვარად სრულიად ნიათგამოცლილი მეფე გარდაიცვალა. იქვე დაიხოცნენ მისი ოჯახის წევრებიც, გადარჩა მხოლოდ ერთი უფლისწული, ალექსანდრე, რომელმაც კარგად აითვისა ლათინური კულტურა და კარგა ხანს ალბას მმართველის მწერლად მსახურობდა.

. . .

პიდნას ბრძოლა გარდატეხის პუნქტი იყო რომის აღმოსავლური პოლიტიკისა და დიპლომატიის თანდათანობით შეცვლაში. ამის შემდეგ რომმა შესცვალა გაქნილი „მამაშვილური“ დამოკიდებულება იმ ქვეყნებთან, რომლებიც მანამდე „მოკავშირეების და მეგობრების“ სახით ესაჭიროებოდა მსოფლიოში გაბატონების მძლავრი მეტოქეების, მაკედონიისა და სირიის წინააღმდეგ ბრძოლაში. რომმა მალე შესცვალა „მამობრივი პროტექტორატის“ შემპარავი დამოკიდებულება აშკარა დამპყრობლურ-მბრძანებლური პოლიტიკით პერგამოსის, ბითინიის, როდოსისა და ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების მიმართ. ამიერიდან ამ წვრილ სახელმწიფოებს მხოლოდ ნომინალური ავტონომია შერჩათ და ისიც რამდენიმე წლით. მალე მათ რომაულ-პროვინციული მმართველობის სისტემაში უნდა ამოეყოთ თავი. ამიტომ სრულიად არ არის შემთხვევითი პოლიბიოსის აზრი, როცა ის პიდნას ბრძოლის დღეს რომაელთა მსოფლიო ბატონობის დასაწყისად სთვლის. უკვე მზად იყო მძლავრი ფუნდამენტი, საიდანაც რომს ამიერიდან შეეძლო უფრო აშკარად და გაბედულად ეწარმოებინა ძლიერი შეტევები აზიის მიმართულებით, მის სიღრმეში.

კიდევ უნდა მოიხაზოს რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი, რომლებმაც პიდნას ბრძოლის შემდეგ დიდი როლი შეასრულეს აღმოსავლეთში რომაელთა საბოლოოდ დამკვიდრების საქმეში.

იმ დროს, როდესაც რომაელები პერსეოსის წინააღმდეგ იბრძოდნენ, სირიის მეფე ა ნ ტ ი ო ქ ე IV წარმატებით ეომებოდა ეგვიპტეს. 168 წლისათვის, სწორედ მაშინ, როდესაც პიდნას ბრძოლა რომაელთა გა-

მარჯვებით დამთავრდა, ანტიოქე IV-ის ჯარები უკვე ეგვიპტეში იყვნენ. შეჭრილი და ქ. ალექსანდრიის კარიბჭესთან იდგნენ. ყოველდღე მოსალოდნელი იყო ეგვიპტის მცირეწლოვანი მეფის პ ტ ო ლ ე მ ა ი ო ს VI ფ ი ლ ო მ ე ტ ე რ ი ს ტახტიდან ჩამოგდება. ეგვიპტელებმა დახმარებისათვის ისევ რომს მიმართეს. მალე ეგვიპტეში ჩამოვიდა რომაელი ელჩი გ ა ი უ ს პ ო პ ი ლ ი უ ს ი, რომელმაც ანტიოქეს კატეგორიულად მოსთხოვა გასცლოდა ეგვიპტეს და მეორედ აღარ გაებედნა მისი საზღვრების გადალახვა. შემკრთალმა ანტიოქემ მოფიქრების დრო ითხოვა. მაგრამ პოპილიუსმა თავისი კვერთხით მეფის გარშემო წრე შემოხაზა და უბრძანა ეფიქრა ამ წრეში მდგომარეს. საშინლად დაბნეული ანტიოქე იძულებული გახდა მაშინვე დათანხმებულიყო რომაელის კატეგორიულ მოთხოვნაზე და სამუდამოდ დაეტოვებინა ეგვიპტე. რომელსაც. როგორც ეტყობოდა, უკვე რომის „მფარველობის“ ხელი ედო.

ამის შემდეგ სირიის მმართველთ არასოდეს აღარ უცდიათ ხმის ამაღლება რომის წინააღმდეგ.

პიდნას ბრძოლიდან 20 წლის შემდეგ ბალკანეთმა უკანასკნელად გაიბრძოლა რომის ბატონობის კლანჭებში. 149 წელს მაკედონიაში გამოჩნდა თვითმარქვია ვინმე ა ნ დ რ ი ს კ ე, რომელიც პერსეოსის შვილად, ფილიპედ აცხადებდა თავს. თრაკიის მთავრობის დახმარებით მან მოახერხა მაკედონიის ხელში ჩაგდება და თავისი თავის მეფედ გამოცხადება. ცრუფილიპეს წარმატებებს ძირითადად ხელს უწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა, მოსახლეობისა, რომელიც განუზომელი სიძულვილით იყო განწყობილი რომაული კირთების წინააღმდეგ. თვითმარქვია შეიჭრა თესალიაში. პირველ წელს რომაელები რამდენჯერმე დამარცხდნენ აჯანყებულებთან ბრძოლებში. ბოლოს, 148 წელს პრეტორი ქ ვ ი ნ ტ უ ს ც ე ც ი ლ ი უ ს მ ე ტ ე ლ უ ს ი დიდი არმიითა და ფლოტით შეიჭრა ბალკანეთში და სასტიკად დაამარცხა აჯანყებულნი. ცრუფილიპე შეპყრობილ იქნა და ტრიუმფში გატარების შემდეგ საშინელი წამებით მოჰკლეს.

იმავე წელს (148) რომმა მაკედონია პროვინციად გამოაცხადა. ამგვარად, მაკედონიამ საბოლოოდ დაჰკარგა დამოუკიდებლობა. მაკედონიის პროვინციაშივე შევიდა ეპირი და ილირიის სამხრეთი ნაწილი, ე. ი. ის აერთიანებდა ბალკანეთის ჩრდილოეთ ოლქებს, ადრიატიკის ზღვიდან ეგეოსის ზღვამდე.

იმავე წლებში, როცა რომაელებს ერთდროული ბრძოლები უხდებოდათ ბალკანეთში (ცრუფილიპე), აფრიკასა (მესამე პუნიკური ომი) და ესპანეთში, ბერძნებმაც უკანასკნელად სცადეს თავისუფლების მოპოვება. ამ ბრძოლას სათავეში ედგა აქეიის კავშირი, ცენტრით ქ. კორინთოში. ორი წლის განმავლობაში გააფთრებით იბრძოდნენ ბერ-

. ძნები. ბოლოს, 146 წელს კორინთოს ყელზე მომხდარ გენერალურ ბრძოლაში ისინი საბოლოოდ დამარცხდნენ და მინებდნენ გამ-ძვინვარებულ მტერს. თავიანთი გამარჯვება რომაელებმა საბერძნეთის დიდებული კულტურის ცენტრთა დანგრევითა და აოხრებით დაასრულეს. განსაკუთრებით დიდი ტრაგედია თავს დაატყდა ქ. კორინთოს. რომაელებმა კორინთოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მამაკაცები, მთლიანად ამოჟლიტეს; დანარჩენები მონებად აქციეს.

საბერძნეთიც რომის პროვინციად გამოცხადდა ა ქ ე ი ა ს სახელწოდებით.

საბერძნეთის ტრაგედია, კორინთოს დანგრევა 146 წელს მოხდა; იმ საშინელ წელს, როცა კართაგენიც დაინგრა.

თავი მეხუთე

მესამე პუნიკური ომი

ომის დასაწყისი

მივუბრუნდეთ კართაგენს. რომელიც დავტოვეთ რომაელთა მკაცრი კონტროლისა და ზათგანვე აღვირახსნილი ნუმიდიელი მეფის, მასინისას, განუწყვეტელ თავდასხმათა შიშის ქვეშ.

„დამოკლეს მახვილის“ ქვეშ მყოფი კართაგენი მაინც ახერხებს ფეხზე წამოდგომასა და წელში გამართვას. ჩრდილოეთ აფრიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით აღმოსავლეთის მიმართულებით, ვიდრე კირენაიკამდე, მის საკუთრებელოებს შეადგენდა. ისევ ფეხს იდგამდა და ფართოდ იშლებოდა კართაგენელთა საყვარელი საქმიანობა: ვაჭრობა, რომელიც ფინანსიური სიმდიდრის უტყუარ ბაზას ქმნიდა. მდ. ბაგრადის ნაყოფიერ ველთა შესანიშნავად ბოწესრიგებული სოფლის მეურნეობა პროდუქტთა სიუხვით ავსებდა კართაგენის ბეღლებს. ომის არარსებობამ კართაგენის მოსახლეობა მრავალრიცხოვანი გახადა; იგი 700 000 მცხოვრებს ითვლიდა. ეკონომიურადაც და რიცხობრივადაც კართაგენი ომამდელ დონეს აღარ ჩამორჩებოდა. ის, დაცემული და განადგურებული, ფენიქსისებურად აღორძინდა.[1]

რომაელები შიშით და ძრწოლვით უცქეროდნენ მოსისხლე მტრის ხელახლა აყვავებას. აფრიკაში ისევ მზადდებოდა ნიადაგი სასტიკი შურისგებისა; საფლავიდან დგებოდა ჰანიბალის აჩრდილი. რომში თანდათან ფეხს იკიდებდა რწმენა, რომ კართაგენის მხოლოდ მორჩილებაში ყოლა საკმარისი არ იყო. ახალი პუნიკური ომების საშიშროებანი ზანამ არ მოიხსნება, სანამ კართაგენი სრულიად არ იქნება აღგვილი პირისაგან მიწისა. ამიტომაც რომაელებს საკმარისად აღარ მიაჩნდათ მარტო მასინისა, რომელიც რომაელთა თანაგრძნობითა და მხარდაჭერით 50 წლის მანძილზე აფორიაქებდა კართაგენის საზღვრებს.

რომაული კომისიები უფრო სისტემატურად ჩნდებიან აფრიკის

---

[1] ფ ე ნ ი ქ ს ი ძველეგვიპტური მითოლოგიის ზღაპრული ფრინველი, რომელიც სიკვდილის მოახლოებისას თავის ბუდეში დაწვებოდა და ფერფლისაგან კვლავ აღსდგებოდა.

ჰორიზონტზე და უხეშად ერევიან კართაგენის საგარეო თუ საშინაო საქმეებში. პიდნას ომის შემდეგ რომის საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები, რაც დამორჩილებულ ქვეყანათა მიმართ მკაცრ და აშკარა ავრესიულ ომში მდგომარეობდა, პირველ რიგში კართაგენისადმი იყო მიმართული.

153 წელს კართაგენსა და მასინისას შორის ახალი უთანხმოების „მოსაგვარებლად" აფრიკაში გაგზავნილ იქნა მოხუცი მარკუს პორციუს კატონი. კატონის განცვიფრებასა და შეშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ბან კართაგენი აღორძინებული იხილა: ქალაქის გარშემო შესანიშნავად მოწყობილი მეურნეობანი; ქუჩები ჯანსაღი მოსახლეობის სიმრავლეს ვერ იტევს; ყველგან სიმდიდრე და სიუხვე შეინიშნება; სამხედრო არსენალები საჭურველით არის სავსე; დოკები სავსეა გემთმშენებლობისათვის საჭირო მასალით. ერთი სიტყვით, კართაგენი საომრად გამზადებულ ქვეყანას ჰგავდა და არა დაცემულსა და დაკნინებულ ქალაქს.

კატონი

რომში დაბრუნებისთანავე კატონმა სენატის წინაშე წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მოუწოდებდა კართაგენის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ომის დაწყებას, მის სრულ განადგურებას, დანგრევას. ის აცხადებდა: დამარცხებებმა უფრო კართაგენელთა უჭკუობა მოსპეს, ვიდრე მათი სიძლიერე; ჩვენ, რომაელებმა ისინი გამოცდილ ჯარისკაცებად და პოლიტიკოსებად ვაქციეთ; ნუმიდიელებთან კენწლაობა კართაგენელებისათვის სასწავლო ვარჯიშია, რომლის შემდეგ, ხელსაყრელი დროის შერჩევისთანავე, ისევ ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრებენო. კატონი ხაზს უსვამდა აფრიკის ხელში ჩაგდების ეკონომიურ სარფიანობასაც. გადმოგვცემენ, როცა ის სენატში შევიდა, ამოკალთავებული ტოგა დაუშვა და იატაკზე საუკეთესო აფრიკული ლეღვები დაჰყარა. ყველა განცვიფრებით ათვალიერებდა მსხვილ, ლამაზ და გემრიელ ხილს. მაშინ კა-

ტონს უთქვამს: ქვეყანა, სადაც ეს ლეღვები მოდის. მხოლოდ სამი დღის სავალზეა რომიდანო.

ამის შემდეგ კატონი ხშირად გამოდიოდა კართაგენის წინააღმდეგ ომის დაწყების მოწოდებით. როგორი შინაარსის სიტყვითაც არ უნდა გამოსულიყო, ყოველთვის მას ასეთი ლოზუნგით დააბოლოვებდა: „ს ხ ვ ა, მ ე ვ ფ ი ქ რ ო ბ, კ ა რ თ ა გ ე ნ ი უ ნ დ ა დ ა ი ნ გ რ ე ს! („ceterum censeo, Carthaginem delendam esse“).

მართალია, რომში იყო კართაგენთან მშვიდობიანობის შენარჩუნების პარტიაც, რომლის ბელადი, ს ც ი პ ი ო ნ ნ ა ზ ი კ ა (სციპიონ აფრიკელის სიძე), საპასუხო დევიზით აძთავრებდა თავის სიტყვებს: „ჩემი აზრით, კართაგენი არ უნდა დაინგრესო“,—მაგრამ ეს მიმდინარეობა თანდათან უთმობდა აგრესიულად განწყობილი მმართველი პარტიის მოთხოვნებს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სავაჭრო გზების, ბაზრების, სიმდიდრის წყაროთა და მონათა ახალი კონტინგენტების ხელში ჩაგდებას.

ასე რომ რომში II საუკუნის 50-იან წლებში კართაგენის სრული გაცამტვერებისათვის ახალი ომის დაწყება საბოლოოდ გადაწყდა. საჭირო იყო მხოლოდ საბაბი. ესეც გამონახულ იქნა.

როგორც აღვნიშნეთ, 201 წლის ზავის მიხედვით კართაგენს აკრძალული ჰქონდა რომის დაუკითხავად ეწარმოებინა საგარეო პოლიტიკა. ამიტომაც იყო, რომ რომის ჩაურევლად მას უფლებაც კი არ ჰქონდა მოგერიებითი ხასიათის ომი ეწარმოებინა მასინისას ავაზაკური თავდასხმების თავიდან ასაცილებლად. რომი ყოველთვის მასინისას მხარეს იჭერდა, ხოლო კართაგენს თავის დასაცავად ხელის გაქნევასაც უკრძალავდა. ასე გაგრძელდა მთელი ნახევარი საუკუნე. ბოლოს, უკვე ძალ-ღონეზე მოსულმა და გულმოცემულმა ქალაქმა გაბედა გადამჭრელი ნაბიჯის გადადგმა ნუმიდიელების თავდასხმათა აღსაკვეთად. კართაგენის ხელისუფლების სათავეში ისევ მოექცა დემოკრატიულ-პატრიოტული პარტია, რომელიც ხალხის ფართო მასების მხარდაჭერით მზად იყო აქტიური წინააღმდეგობა გაეწია მომხდურთათვის. ამ პარტიის სათავეში იდგნენ ბარკას მეომარი გვარის წარმომადგენელნი, ჰ ა ს დ რ უ ბ ა ლ ი და კ ა რ თ ა ლ ო ნ ი. ისინი სასწრაფოდ შეუდგნენ ახალი არმიის ჩამოყალიბებასა და გაწვრთნას. კართაგენელთა ახალ არმიაში იყვნენ ნუმიდიელი ცხენოსნებიც, რომელთაც სათავეში ედგათ სიფაქსის შვილიშვილი ა რ კ ო ბ ა რ ზ ა ნ ი. ჰასდრუბალის წინადადებით და სახალხო კრების დადგენილებით კართაგენიდან განდევნეს მასინისას 40-მდე მომხრე. კრებამ შეჰფიცა, რომ აღარასოდეს არ მისცემდნენ მათ უკან დაბრუნების უფლებას.

იმავე წელს (151 წ.) მასინისამ ახლად ჩამოვარდნილი კონფლიქტის მოწესრიგება რომს მიანდო. აფრიკაში ჩამოსულმა რომაელთა კომი-

სიამ კართაგენის ხელისუფლებას მოსთხოვა დაუყოვნებლივ ჯარების დაშლა და ფლოტის ასაგებად გამზადებული მასალის დაწვა. ოლიგარქია მზად იყო შეესრულებინა ეს ბრძანება, მაგრამ სახალხო კრებამ კატეგორიულად უარჰყო იგი. რომაელი ელჩები ძლივს გადაურჩნენ გამძვინვარებული ხალხისაგან დაგლეჯას. უკან, იტალიაში გაბრუნებულებს მასინისამ გააყოლა თავისი შვილი გ უ ლ უ ს ა, რომელმაც რომის სენატს დაწვრილებით აუწყა კართაგენის საომარი სამზადისი და მოუწოდა კართაგენის წინააღმდეგ ახალი ომის დაწყებისაკენ. სრულიად ფორმალურ ხასიათს ატარებდა კართაგენში დეცემვირთა ახალი კომისიის ჩასვლა, რამაც ერთხელ კიდევ „დაადასტურა" კართაგენელთა გამალებული საომარი სამზადისი. კატონი დაჟინებით მოითხოვდა ომის დაუყოვნებლივ გამოცხადებას.

რომაელებს ომის დაწყების საბაბი უკვე ხელთ ჰქონდათ. 150 წელს მასინისამ გულუსას შეთაურობით კართაგენში გაგზავნა ყველა იქიდან განდევნილი თავისი მომხრე. მაგრამ მათ კართაგენელებმა კარიბჭე ჩაუკეტეს და ქალაქში არ შეუშვეს; რამდენიმე მათგანი უკან დაბრუნებისას ისრებით დახოცეს. მაშინ მასინისამ დასძრა თავისი არმია. ჰასდრუბალმაც გამოიყვანა ახლადორგანიზებული ჯარები. სასტიკ ბრძოლაში კართაგენელები დამარცხდნენ და ზავი ითხოვეს. საზავო მოლაპარაკების ხელმძღვანელობა და მასინისასთან შერიგების მოწყობა კართაგენელებმა სთხოვეს ს ც ი პ ი ო ნ ე მ ი ლ ი ა ნ ს, რომელიც მაშინ ესპანეთის ფრონტებიდან (იქ მაშინ რომაელებს ომი ჰქონდათ აჯანყებულ ესპანელებთან) იყო წამოსული მასინისასთან საომარი სპილოების სათხოვრად. ის მახლობელი ბორცვიდან ხედავდა ხსენებულ ბრძოლას კართაგენელთა და ნუმიდიელთა შორის.

სციპიონმა (რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი) სიამოვნებით იკისრა შუამავლის როლი. ჯერ ჰასდრუბალი ჯიუტობდა მიეღო მასინისას მიერ წაყენებული ის მოთხოვნა, რომელიც კართაგენელთა რიგებში მებრძოლ ნუმიდიელთა გადაცემას გულისხმობდა. მაგრამ, როცა მასინისამ მოლაპარაკების შეწყვეტა მოითხოვა და ისევ იარაღს მიმართა, კართაგენელი სარდალი იძულებული შეიქნა მიეღო ნუმიდიელი მეფისაგან წაყენებული ყველა პირობა: ჩაებარებინათ იარაღი, უიარაღო კართაგენელთა არმიას, თავის სარდლებთან ერთად დაჩოქილებს გაეარათ ნუმიდიელთა გადაჯვარედინებულ შუბებს ქვეშ, გაეცათ მოღალატე ნუმიდიელები, კართაგენში დაებრუნებინათ იქიდან განდევნილები, 50 წლის განმავლობაში გადაეხადათ 5 000 ტალანტი (ყოველწლიურად 100 ტალანტი). ასეთი ზავის მიღების შემდეგ უიარაღო კართაგენელებს უფლება ეძლეოდათ დაბრუნებულიყვნენ თავის ქალაქში. მაგრამ მასინისამ ეს უკანასკნელი პირობაც არ შეასრულა: უკან გაბ-

რუნებულ უიარაღო ხალხს თავისი ცხენოსნები დაადევნა და თითქმის მთლიანად ამოაჟლეტინა. ამგვარად, სციპიონმა ყველაფერი ისევ მასინისას სასარგებლოდ გადასჭრა.

მიუხედავად ამ ბრძოლაში კართაგენის საავალალო ბედისა, რომს ხელთ ჰქონდა სასურველი საბაბი მისთვის ომის გამოცხადებისათვის: კართაგენმა დაარღვია 201 წლის ზავი, რაკი ის რომის დაუკითხავად ჩაება ბრძოლაში რომისავე მოკავშირე ნუმიდიასთან!

რომი გამალებით შეუდგა არმიების შეკრებასა და ფლოტის მომზადებას.

კართაგენი თითქოს გამოერკვა მისგან ჩადენილი „დანაშაულისაგან". რომისა და ნუმიდიის მოსალოდნელი ორმხრივი დარტყმის თავიდან აცილების მიზნით კართაგენის ხელისუფლებამ „ხელი დაიბანა" მომხდარი ამბის მონაწილეობისაგან და მისთვის მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ ჰასდრუბალსა და კართალონს დააკისრა. სპეციალური დადგენილებით ორივეს სიკვდილი მიუსაჯეს, ხოლო რომში სასწრაფოდ ელჩობა გაგზავნეს.

კართაგენელი ელჩები ბოდიშს იხდიდნენ რომის სენატის წინაშე, ყველაფერს ჰასდრუბალსა და კართალონს აბრალებდნენ და მომავალში სრულ მორჩილებას აღუთქვამდნენ. მაგრამ როცა ერთ-ერთმა სენატორმა მათ ჰკითხა: როგორ მოხდა, რომ თქვენ დამნაშავე ჰასდრუბალსა და კართალონს სიკვდილი მიუსაჯეთ არა ომის დაწყებამდე, არამედ ახლა, დამარცხების შემდეგ და ელჩებიც ახლა ჩამოხვედით და არა ადრე, ომის დაწყებამდეო, — კართაგენელები დაიბნენ და აღარ იცოდნენ რა ეპასუხნათ. მათ უთხრეს, რომ არადამაკმაყოფილებელია თავის მართლება, ხოლო როცა კართაგენელებმა იკითხეს: თუ მართლაც ჩვენ დამნაშავეებად ვითვლებით, რით შეგვიძლია თქვენს წინაშე ამ დანაშაულის გამოსყიდვაო, — უპასუხეს: „თუ დაკმაყოფილებთ რომაელებსო". ეს იყო და ეს, ამ ორაზროვანი სიტყვებით დასრულა სენატმა მათთან ბჭობა. მეორე ელჩობამაც ვერ გამოარკვია, რას ნიშნავდა და რაში მდგომარეობდა „რომაელთა დაკმაყოფილება". „თქვენ თვითონ კარგად იცითო" — იყო პასუხი.

კართაგენის ელჩობის უნაყოფობას და ომის დაწყების გარდუვალობას დიდად შეუწყო ხელი, აგრეთვე, აფრიკის მეორე დიდი ქალაქის, კართაგენის კონკურენტისა და მტრის, უტიკას ახალმა ნაბიჯმა. სწორედ იმავე ხანებში უტიკის ელჩები რომში გამოცხადდნენ და თავიანთი ქალაქი მას ჩააბარეს. იმავე დღეს სენატი კაპიტოლიუმში შეიკრიბა და საბოლოოდ დაამტკიცა კართაგენისადმი ომის გამოცხადება.

ასე დაიწყო მესამე პუნიკური ომი, რომელიც სამ წელიწადს (149 — 146) გაგრძელდა. ამ ომის დაწყების ყველაზე დიდი მოსურნე მარკუს

პორციუს კატონი ვერ მოესწრო კართაგენის დანგრევას. მისი აკვიატებული დევიზის განხორციელებას; ის გარდაიცვალა ომის დაწყებ-ს წელს (149).

149 წელს კონსულებად იყვნენ მ ა ნ ი უ ს მ ა ნ ი ლ ი უ ს ი და ლ უ ც ი უ ს მ ა რ ც ი უ ს ც ე ნ ზ ო რ ი ნ ი. ორივე გაგზავნილ იქნენ სიცილიაში, საიდანაც უნდა მოეწყოთ ექსპედიცია აფრიკაში. მანილიუსი სარდლობდა სახმელეთო არმიას, ცენზორინი—ფლოტს. სულ რომაელთა სამხედრო ძალები შედგებოდა 200-მდე სხვადასხვა სახის გემისაგან. 80 000 ლეგიონერისაგან და 4 000 ცხენოსნისაგან. კონსულებს მკაცრად ევალებოდათ, რომ არავითარი პირობით არ შეეწყვიტათ საომარი მოქმედება. სანამ კართაგენს საძირკველამდე არ დაანგრევდნენ.

ომის გამოცხადებისა და დაწყების ამბავი ერთდროულად მოვიდა კართაგენში. ქალაქი საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. სასწრაფოდ აირჩიეს 30 კაცისაგან შემდგარი ელჩობა, რომელსაც საგანგებოდ განუსაზღვრელი ძალაუფლება მიანიჭეს და გაგზავნეს რომში, სადაც მათ, საერთო მდგომარეობასთან შეფარდებით, თავისი შეხედულების მიხედვით უნდა ემოქმედათ და რადაც უნდა დასჯდომოდათ აღედგინათ მშვიდობიანობა.

ელჩები რომში იმ დროს ჩავიდნენ, როცა კონსულები უკვე სიცილიაში იყვნენ. სენატმა ასეთი პასუხი მისცა კართაგენელებს: საომარი მოქმედება შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ კართაგენი სიცილიაში მყოფ კონსულებს 30 დღის განმავლობაში ჩააბარებს 300 მძევალს, წარჩინებული ოჯახების შვილებს. მაგრამ იმავე წუთში საიდუმლოდ აფრინეს კაცი სიცილიაში და აცნობეს კონსულებს მტკიცედ მდგარიყვნენ რომში მიღებული ბრძანების შესრულებაზე, ე. ი. არ შეეწყვიტათ ომი.

კართაგენელებსაც უკვე ნაკლებად სჯეროდათ, რომ ომის გზაზე დამდგარი მძვინვარე მტერი უკან გაბრუნდებოდა. მაგრამ მაინც მზად იყვნენ შეესრულებინათ ყველა პირობა, რომელსაც კი რომი მოითხოვდა მშვიდობიანობის აღდგენისათვის. ამიტომ ისინი სასწრაფოდ შეუდგნენ მძევლების შეგროვებას. შემზარავი გლოვა-გოდებით ჩასვეს გემებში 300 ბავშვი და სიცილიისაკენ გაუყენეს.

კონსულებმა მძევლები გაგზავნეს რომში, ხოლო კართაგენელებს უთხრეს, რომ ყველაფერს დანარჩენს, რაც საომარი მდგომარეობის შეწყვეტისათვისაა საჭირო, ეტყვიან უტიკაში.

რომაელთა არმიები დაუბრკოლებლად გადავიდნენ აფრიკის სანაპიროზე, ქ. უტიკაში. ფლოტი განლაგდა ქალაქის ნავსადგურში, სახმელეთო არმია კი იქ, სადაც ერთ დროს დაბანაკებული იყო სციპიონ აფრიკელი.

აქ შეპირებისამებრ გამოცხადდნენ კართაგენის ელჩებიც. ისინი გაატარეს მწყობრად დალაგებულ მრავალრიცხოვან ლეგიონთა შორის. მათ უფლებაც არ მისცეს მიახლოვებოდნენ ამაღლებულ ადგილს, სადაც ლეგატებითა და სამხედრო ტრიბუნებით გარშემორტყმული კონსულები იდგნენ. ისინი შეაყენეს გაბმულ თოკთან, სადაც მათ შეეძლოთ ეთქვათ თავისი სიტყვა და მოესმინათ რომის ნება-სურვილი.

როცა ჰეროლდმა კართაგენელებს სიტყვის უფლება მისცა, მათ ვრცელად ილაპარაკეს რომისა და კართაგენის უძველეს მეგობრობაზე, კავშირზე, კართაგენის ოდინდელ სიძლიერეზე, მაგრამ ბოროტი ფორტუნასაგან მის დაცემაზე; ასევე უნდა ფიქრობდნენ დღეს ძლიერების მწვერვალზე მყოფი რომაელებიც, რომლებიც თავიანთი შეუბრალებლობით სუსტთა მიმართ შესცოდებენ ყოვლისმძლე ბედისწერის წინაშე და ისევე დაისჯებიან, როგორც ამჟამად კართაგენელები არიან დაცემულნი. მაინც ვერ გაგვიგია, რა დავაშავეთ რომის წინაშე; ნუთუ საკმარისი არ არის, რაც ჩვენ ტანჯვა-წამება და დამცირება გადავიტანეთ; ყოველგვარი თქვენი მოთხოვნა პირნათლად, უყოყმანოდ შევასრულეთ და ვასრულებთ; ჩაგაბარეთ მთელი ფლოტი, აღარ გვყავს არც ერთი სამხედრო ხომალდი. არც ერთი სპილო; ყოველთვის, როცა მოითხოვდით, მძევლებს გაბარებდით; სისტემატურად გიხდიდით ხარკს, როცა ჩვენ მის მიღებას სხვებისაგან ვიყავით ჩვეული; ასე მორჩილად და ერთგულად ვიყავით განწყობილი თქვენს მამებთან, რომლებთანაც ჩვენ ბრძოლა გვქონდა, და ისინი ამის შემდეგ ჩვენი ერთგული მოკავშირეები იყვნენ; მაგრამ თქვენთვის, მათი შვილებისათვის, რომლებთანაც ჩვენ არასოდეს ომი არ გვქონია, ხელშეკრულების რა პუნქტი არის დარღვეული, რომ ასე უეცრად, ომის გამოუცხადებლად გვესხმით თავს? თუ მასინისას დაუსრულებელი, თავხედური თავდასხმების წინააღმდეგ ხელის აღმართვა ჩვენს დანაშაულად მიგაჩნიათ, მაშინ რაღა უნდა გსურდეთ მეტი, როცა ამ ბრძოლაშიც დავმარცხდით, მასინისამაც რაც მოითხოვა, ყველაფერი წაიღო და ომის წამოწყების მოთავეებსაც სიკვდილი მივუსაჯეთ, ელჩებიც გამოგიგზავნეთ და ყველაფერი გაცნობეთ; მძევლებიც თავის დროზე ჩაგაბარეთ; ხოლო თქვენი სენატის უკანასკნელი დადგენილებით, მძევლების ჩაბარების შემდეგ, უნდა შეგეწყვიტათ ლაშქრობა ჩვენს წინააღმდეგ.

მაშინ წამოდგა კონსული მარციუს ცენზორინი და წარმოსთქვა: ომის დაწყების მიზეზი კართაგენელებმა ძალიან კარგად იცით, და ის თქვენ მოისმინეთ რომის სენატში; რაც შეეხება მძევლების თავის დროზე ჩაბარებას, ამისათვის ქების ღირსი ხართ სწორედ. მაგრამ როცა თქვენ გაიძახით, რომ მშვიდობიანობა გსურთ, რაღა საჭიროა იმდენი შეიარაღება, რომელიც კართაგენს აქვს? ამიტომ, თუ მშვიდობიანობის

აღდგენა გსურთ, დაუყოვნებლივ ჩაგვაბარეთ მთელი შეიარაღება — როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო პიროვნებათა საჭურველი.

კონსულის ამ მოთხოვნაზე კართაგენელებმა განაცხადეს, რომ ქალაქის განიარაღება მეტად საშიშია, რადგან სიკვდილმისჯილმა ჰასდრუბალმა გაქცევა მოახერხა, 20 000 მეომრისაგან შემდგარი არმია ჩამოაყალიბა, დაბანაკებულია კართაგენის მახლობლად და ხელსაყრელ დროს უცდის მასზე თავდასასხმელად და ვინ დაგვიცავს ჩვენ იარაღი რომ ჩაგაბაროთო. ამაზე კონსულებმა მიუგეს: ჩვენ თვითონ ვიზრუნებთ კართაგენის დაცვაზეო.

კართაგენელები დამორჩილდნენ. იარაღის ჩასაბარებლად ელჩებთან ერთად კართაგენში გაგზავნილ იქნენ პ. კორნელიუს ნაზიკა და გნ. კორნელიუს ესპანელი. მრავალი ორთვალა და ურემი დაიტვირთა უამრავი საჭურველით. შეგროვდა 200 000 სხვადასხვა სახის იარაღის კომპლექტი, აურაცხელი ისარი და სათხედი, 3 000 კატაპულტა, ისრებისა და ქვების მფრქვეველი მანქანები. საინტერესო და უცნაური იყო სანახაობა, როცა მტრებს თვითონ მიჰქონდათ მტრებთან საკუთარი საბრძოლო საჭურველი.

იარაღთახ და ელჩებთან ერთად კონსულთა წინაშე გამოცხადდნენ კართაგენის სენატორები, ქურუმები და წარჩინებული მოქალაქენი. ყველა გრძნობდა, რომ ეს იყო უკანასკნელი, რისი შესრულებაც შეეძლო კართაგენს.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. წამოდგა მარციუს ცენზორინი. კარგა ხანს მდუმარებდა კონსული მრისხანე გამომეტყველებით. ბოლოს მკაცრად და მტკიცედ განაცხადა: მორჩილებისათვის და ყველა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საქებარი ხართ, კართაგენელებო. მაგრამ ასეთ მძიმე მდგომარეობაში საჭიროა მოკლედ თქმა. მაშ, გამაგრდით და მოისმინეთ საბოლოო ბრძანება რომის სენატისა: კართაგენის მოსახლეობა უნდა აიყაროს და დასტოვოს თავისი ქალაქი. მათ უფლება ეძლევათ დასახლდნენ სადაც სურთ თავის ტერიტორიაზე, მხოლოდ ზღვიდან დაშორებით არანაკლები 80 სტადიონისა (15 კმ); ხოლო თვით ქალაქი კართაგენი საძირკვლამდე უნდა დაინგრეს!!!

თითქოს მეხი დასცემოდეთ თავზე კართაგენელებს. ისინი საშინელი ღრიალითა და გოდებით დაემხნენ დედამიწაზე. კარგა ხნის გმინვის, თმების გლეჯისა და პირის ხოკვის შემდეგ კიდევ ერთხელ ითხოვეს საქმის გადადება, სანამ ახალ ელჩობას გაგზავნიდნენ რომში, მაგრამ ამაზედაც უარი მიიღეს.

საშინელი ამბავი მიჰქონდათ კართაგენელ ელჩებს თავისი ქალაქისათვის. ზოგმა მათგანმა გზიდან გადაუხვია და სამუდამოდ სთქვა უარი

განწირულ ქალაქში დაბრუნებაზე. მცხოვრებლები მთელი დღეების განმავლობაში კედლებიდან მოუთმენლად გასცქეროდნენ უტიკიდან მომავალ გზას. მრავალრიცხოვანი ბრბოები მისცევიდნენ ქალაქში შემოსულ დაღვრემილ ელჩებს. პირველად სენატმა მოისმინა რომაელთა მკაცრი ბრძანება, ხოლო როცა ის ხალხს გამოუცხადეს, კართაგენი არნახული აღშფოთებისა და ღელვის გრიგალმა მოიცვა. ქალაქის მთელი მოსახლეობა საშინელი ბღავილით მივარდა სენატის შენობას. გახელებულმა ბრბოებმა იქვე დაჰგლიჯეს ისინი, რომლებიც განსაკუთრებული აქტივობით მოითხოვდნენ მძევლებისა და შეიარაღების გაცემას. სიკვდილის მსხვერპლი შეიქნენ ელჩებიც, რომელთა დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ ასეთი თავზარდამცემი ამბის მომტანი იყვნენ. ხალხი გააფთრებით დაერია ქალაქში მყოფ იტალიელებს და საშინელი წამებით დახოცეს. სასოწარკვეთილი ადამიანები ტირილითა და გულში მუშტების ცემით შერბოდნენ დაცარიელებულ არსენალებში და საღვთო ტაძრებში, ჰკიცხავდნენ ღმერთებს, რომლებმაც „საკუთარი თავის დაცვაც კი ვერ შესძლეს".

სასოწარკვეთისა და პანიკის ქარიშხალმა გადაიარა. განწირულ ქალაქს უეპველი დაღუპვის მოახლოებამ არაჩვეულებრივი სიმამაცისა და თავგანწირულობის სული შთაბერა. ყველა, როგორც ერთი, მოითხოვდა ბრძოლას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ასეთივე იყო სენატის დადგენილებაც. ქალაქი თავბრუდამხვევი ენერგიით შეუდგა თავდაცვისათვის სამზადისს. ქალაქის შიგნით სარდლად აირჩიეს ჰასდრუბალი, რომელიც დედით მასინისას შვილიშვილი იყო. იმავდროულად გაგზავნეს კაცი მეორე ჰასდრუბალთან, რომელიც თავისი არმიით კართაგენის ახლოს იდგა. სთხოვეს მას დაევიწყებინა მისადმი მიყენებული წყენა, მიეღო მთავარსარდლობა და მიშველებოდა მშობლიურ ქალაქს ასეთ მძიმე პირობებში.

კართაგენელებმა ისევ გაგზავნეს კაცები კონსულებთან და რომში ელჩობის გაგზავნისათვის 30 დღიანი დაზავება ითხოვეს. მათ სრულიად არ ჰქონდათ იმედი, რომ ამ ელჩობიდან რაიმე გამოვიდოდა, მაგრამ სურდათ დრო მოეგოთ თავდაცვის მომზადებისათვის და დაერწმუნებინათ მტრები თავიანთ სასოწარკვეთასა და სრულს უიმედობაში.

მთელი დღე-ღამეების განმავლობაში მოსახლეობა შეუსვენებლივ შრომობდა. კაცი და ქალი, მოხუცი და ბავშვი, ყველა ერთნაირად იღწვოდა მშობლიური ქალაქის გადასარჩენად. სახელმწიფო და სამონასტრო ადგილები, შენობები იარაღის სახელოსნოებად აქციეს; მრავალი შენობა დაანგრიეს და თავდაცვის მანქანების მასალად გამოიყენეს. დღე და ღამე განუწყვეტლივ სჭედდნენ საჭურველს, მახვილებს, ფარებს, შუბებს, სათხედებს, ისრებს და „საარტილერიო" მანქანებს. ქა-

ლები ნაწნავებს იჭრიდნენ მშვილდების ლარებისა და თოკებისათვის.

რომაელთა ბანაკში ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ უიარაღოდ დარჩენილ კართაგენში სრული დაცემულობა სუფევდა და დღეს თუ ხვალ იქიდან გამოცხადდებოდა კაცი, რომელიც აუწყებდა მათ ქალაქიდან გასახლების თანხმობასაც. კართაგენელთა უსასოობას ადასტურებდა რომში ახალი ელჩობის გაგზავნისა და დროებითი ზავის თხოვნაც.



კართაგენი.

რასაკვირველია. კონსულებმა ამ თხოვნასაც უარით უპასუხეს, მაგრამ კართაგენზე ლაშქრობას არ ჩქარობდნენ. ისინი, თითქოს სიამოვნებდნენ იმ საზარელი კოშმარით, რომელიც, მათი აზრით, კართაგენში საშინელი მოლოდინით იქნებოდა გამოწვეული.

ჯერჯერობით კონსულები ნუმიდიის საქმეზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე კართაგენზე, საითაც დღეს თუ ხვალ სრულიად არსებულად გაისეირნებდნენ თავისი საყვარელი საქმის შესასრულებლად: საძარცვავად, სანგრევად, მოსახლეობის დასამონებლად ან გასაყალეტად. საქმე იმაშია, რომ მასინისა უკმაყოფილო იყო რომაელთა ასე მოულოდნელად ჩამოსვლით. ის მოწადინებული იყო თვითონ ჩაეგდო კართაგენი ხელში და არ სურდა მისი დაპყრობის მონაწილე სხვა ვინმე, თუნდაც რო-

მი ყოფილიყო. უფრო მეტ უკმაყოფილებას მასინისა კიდევ იმიტომ გამოსთქვამდა, რომ რომაელებმა ჩვეულებრივად, ადრინდელად. არაფერი ჰკითხეს კართაგენის საქმეზე. ამიტომ, როცა კონსულებმა დაგვიანებით შეუთვალეს გამოცხადებულიყო მათთან ერთობლივი მოქმედებისათვის, მასინისამ საკმაოდ მკვახედ უპასუხა, რომ მაშინ გაუგზავნიდა მაშველ ძალებს, როცა ამის საჭიროებას თვითონ დაინახავდა.

რომაელებს უსათუოდ, რამდენიმე დღით მაინც, დააბრკოლებდა სურსათ-სანოვაგის საკითხიც, რადგან ადგილობრივი ოლქების ნაწილი ჯერჯერობით ჰასდრუბალს ეჭირა, ხოლო დანარჩენი რაიონებიდან პროდუქტთა მარაგი კონსულებს საკმარისად არ მიაჩნდათ.

ასე გავიდა ერთი თვე და რომაელები დაიძრენ კართაგენისაკენ. როგორი უნდა ყოფილიყო მათი განცვიფრება და შეძრწუნება, როდესაც ქალაქი თავდაცვისათვის სრულ მზადყოფნაში დახვდათ!

კართაგენი ისედაც მიუვალ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ის მდებარეობდა ზღვაში (ტუნისის ყურეში) შეჭრილ მაღალ ნახევარკუნძულზე. ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ქალაქი დაცული იყო ციცაბო კლდეებითა და ქვის მტკიცე კედლებით. დასავლეთიდან, საიდანაც ის უერთდებოდა კონტინენტს, იცავდნენ ქვის კედლები; სულ სამი კედელი ტერასების მსგავსად იყო ერთმანეთზე უფრო მაღლა აღმართული. თითოეული ამ კედლის სიმაღლე 15 მეტრს უდრიდა. ხოლო სიგანე — 8½ მეტრს. კედლებზე, ყოველი 400 მეტრის მანძილზე აღმართული იყო საგუშაგო და თავდაცვითი კოშკები. კედელთა შორის არსებობდა სამხედრო ყაზარმები, იარაღისა და სურსათის საწყობები, სპილოებისა და ცხენების თავლები. კედლების სამხრეთის დაბოლოებას მტკიცედ ეკვროდა მაღალ კლდოვან ბორცვზე აღმართული ციხე-სიმაგრე ბ ირ ს ა, აკროპოლისი, რომლის გარშემოწერილობა 3 000 მეტრს უდრიდა. ბირსას თავზე, ცენტრში, აღმართული იყო ფინიკიელთა მკურნალი ღმერთის, ე შ მ უ ნ ი ს დიდებული ტაძარი, რომელსაც ქალაქი 60 საფეხურიანი ქვის კიბით უკავშირდებოდა. სამხრეთით მიემართებოდა ზღვაში შეჭრილი ხმელეთის ვიწრო ზოლი. ქალაქს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ეკვროდა დიდი ნავსაყუდელი, რომლის ჩაკეტვა ჯაჭვებითაც შეიძლებოდა ზღვის მხრიდან. ეს ნავსადგური შედგებოდა ორი ნაწილისაგან: სამხრეთით სავაჭრო პორტი, ხოლო ჩრდილოეთით, ე. წ. კ ო თ ო ნ ი, რაც მცირე პორტს ნიშნავს. აქ თავს იყრიდნენ სამხედრო გემები. კოთონი მრგვლად იყო ხმელეთში შეჭრილი და ყოველი მხრიდან შესანიშნავად იყო დაცული. ორივე პორტს ერთიმეორისაგან კედელი ჰყოფდა ისე, რომ კოთონი, ე. ი. სამხედრო ნავსადგური, ქალაქის დაცვის შიგნით იყო მოქცეული. თვითონ კართაგენი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: სამხრეთით, ბირსასთან, — ძველი ქალაქი. მის

ჩრდილოეთით — ახალი ქალაქი. სულ ბოლოს, კიდევ უფრო ჩრდილოეთით—გარეუბანი. ე. წ. მ ა გ ა ლ ი ა. რომელიც თავისი მშვენიერი ბუნებით. კლიმატითა და ბაღებით შესანიშნავ კურორტს წარმოადგენდა.

ასეთი იყო კართაგენი როგორც ციხე-სიმაგრე, რომლის აღება მაშინ. როცა მისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობაც მზად იყო სიცოცხლე არ დაეზოგა მშობლიური ქალაქის შენარჩუნებისათვის, მეტად ძნელ საქმეს წარმოადგენდა.

კართაგენზე სისტემატური იერიშების წარმოებასა და ალყას კიდევ მეტად გააძნელებდა ჰასდრუბალის მრავალრიცხოვანი არმია, რომელიც მთლიანად ფლობდა ქალაქის გარე რაიონებს, სულ 800-მდე დასახლებულ პუნქტს. გარდა ამისა, ყველა იცნობდა კართაგენელთა არმიაში მყოფი ცხენოსანი ესკადრონების მამაც ატამანს ჰ ი მ ი ლ კ ო ნ. თ ა მ ე ი ა ს. რომელსაც დავალებული ჰქონდა პარტიზანული თავდასხმებით თავზარი დაეცა და შეეეიწროებინა რომაელთა ავანპოსტები.

მასინისაც ხომ ჯერჯერობით თავს იკავებდა რომაელებისთვის დახმარებისაგან.

კონსულებმა გაინაწილეს შეტევის უბნები. მანილიუსმა დასავლეთიდან დასცრა სახმელეთო არმია, ხოლო ცენზორინმა ფლოტით დაიწყო შეტევა სამხრეთიდან. ტუნისის ყურედან. რომაელთა პირველივე შეტევები სრული უშედეგობით დამთავრდა. განსაკუთრებით ზანტად და უნაყოფოდ მოქმედებდა მანილიუსი.

ცენზორინის არმია ჭაობიან ადგილებში იყო დაბანაკებული. კონსულმა სცადა ხმელეთის სიღრმეში გადაეყვანა არმია და შესულიყო იქვე მდებარე ტყეში, სადაც მას სურდა ხის მასალა გამოეყენებინა საიერიშო მანქანათა ასაგებად. მაგრამ წინსვლას ხელს უშლიდა ტუნისის ყურის აღმოსავლეთით ციხე-სიმაგრე, ნ ე ფ ე რ ი ს შ ი გამაგრებული ჰასდრუბალის არმია. აქედან სრულიად მოულოდნელად გამოიჭრენ ჰიმილკონ თამეიას ცხენოსანი რაზმები და ცხარე შეტაკებაში 500 კაცი მოუკლეს დამფრთხალ რომაელებს. თვითონ კი სრულიად უვნებლად გაქუსლეს უკან.

რომაელებმა მაინც მოახერხეს ტყიდან მასალის გამოტანა და საიერიშო მანქანების აგება. მოხერხდა სამხრეთის კედლის გარღვევა, მაგრამ იმ დღეს მაინც ვერ შესძლეს ქალაქში შეჭრა, ხოლო ღამით კართაგენელებმა ნაწილობრივ მოასწრეს დაზიანებული კედლის შეკეთება. გარდა ამისა, ისინი მაშხალებითა და იარაღით ხელში გამოიჭრენ კედელს გარეთ და ცეცხლი გაუჩინეს მტრის საიერიშო მანქანებს. მეორე დღეს რომაელებს აღარ შეეძლოთ მანქანების გამოყენება. მაგრამ კონსულმა მაინც ბრძანა გარღვეულ კედელში შეჭრა, მიუხედავად

იმისა, რომ აქ კართაგენელთა მრავალრიცხოვანი რიგები მზად იყვნენ უკუეგდოთ მტრის იერიში.

სასტიკი ხელჩართული ბრძოლა რომაელთა მარცხით დამთავრდა. უკან გამოქცეული ლეგიონერები ვეღარ ასწრებდნენ კედლის ნანგრევიდან გამოხტომას და იღუპებოდნენ. უთუოდ მეტი უნდა ყოფილიყო მსხვერპლი, რომ განსაკუთრებული წინდახედულობა არ გამოეჩინა სამხედრო ტრიბუნ ს ც ი პ ი ო ნ ე მ ი ლ ი ა ნ ე ს, რომელმაც ადრევე უარჰყო ქალაქში შეჭრა და თავისი კოჰორტა კედელს გარეთ, გარღვეული ადგილის ორივე მხარეს ჩაასაფრა. უკუქცეულ რომაელებზე გამოდევნებულ კართაგენელებს მისი მეომრები ეღობებოდნენ და ამრიგად არჩენდნენ დასაღუპად განწირულ თავისიანებს.

ასეთმა წინდახედულებამ კიდევ უფრო აამაღლა ახალგაზრდა სციპიონის ავტორიტეტი. მან სრულიად დაჩრდილა ჯიუტი და უხიაგი ცენზორინი და კიდევ მეტად ზანტი მანილიუსი.

სწორედ ეს ახალგაზრდა სამხედრო ტრიბუნი იყო ის სციპიონ ემილიანე, რომელიც მესამე პუნიკური ომის დაწყებამდე, 151 წელს მთიდან დასცქეროდა კართაგენელებისა და ნუმიდიელების სისხლისმღვრელ ბრძოლას, ხოლო შემდეგ ორივე მებრძოლმა მხარემ მას სთხოვა შუამავლობა და „სამართლის დადგენა", თითქოს ის ოლიმპოს მთაზე მდგარი ზევსი ყოფილიყოს, ტროელთა და ბერძენთა ომების მსაჯული.

პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანე, პიდნას ომში გამარჯვებული სარდლის ლუციუს ემილიუს პავლეს შვილი იყო. მან კორნელიუს სციპიონის გვარი მიიღო სახელოვანი სარდლის სციპიონ აფრიკელის ვაჟისაგან, რომელსაც ის ნაშვილები ჰყავდა. ამგვარად, ის ჰანიბალის მძლეველის შვილიშვილად ითვლებოდა (ემილიუს პავლეს ცოლად ხომ სციპიონის ასული ჰყავდა).

ახალგაზრდა სციპიონ ემილიანემ პირველად სახელი გაითქვა პიდნას ბრძოლაში, სადაც ის მამის სარდლობის ქვეშ არაჩვეულებრივი სიმამაცით იბრძოდა ყველაზე სახიფათო და საპასუხისმგებლო უბნებზე. შემდეგ ის ესპანეთის ფრონტებზე კრეფდა ვაჟკაცობის გვირგვინებს, ხოლო ახლა, მესამე პუნიკურ ომში იხვეჭდა უებრო მეომრისა და გამჭრიახი სამხედრო მეთაურის სახელს. კართაგენელებთან ბრძოლის მთელი მომდევნო ისტორია სავსე იყო სციპიონ ემილიანეს სიკისკასით, წინდახედულობით, შორსმხედველობით. მებრძოლები მას სთვლიდნენ ნამდვილ სარდლად. მოიგონებდნენ მის სახელოვან წინაპრებს (ორივე პავლე, სციპიონ აფრიკელი) და დაასკვნიდნენ, რომ მას, სციპიონ აფრიკელის მსგავსად, „ყოვლისმძლე იუპიტერი მფარველობდა". ყველა პატივით იგონებდა ჰომეროსის სიტყვებს, რომლებიც მოხუც კა-

ტონს ვადაუტანია ახალგაზრდა სციპიონ ემილიანეზე და მის გარშემო ზეყოფ რომაელებზე: „ის ერთია გონიერი ვაჟკაცი, დანარჩენები კი მოხეტიალე აჩრდილები არიან"[1]. ამ სიტყვებით სიკვდილის სარეცელზე მყოფი კატონი თავისი სასურველი მიზნის. კართაგენის დანგრევის განხორციელებას ანდერძად სციპიონ ემილიანეს უტოვებდა.

შუა ივლისში, აფრიკულ სიცხე-პაპანაქებასა და ჭაობიან დახშულ ადგილებში, სადაც დაბანაკებული იყო ცენზორინის არმია, გაჩნდა საშინელი ავადმყოფობანი. კონსულმა ზღვაზე გადაიყვანა არმია. აქ, საზღვაო პორტის კედლებიდან, კართაგენელები რომაელთა ხომალდებს თავზე ასხამდნენ ცეცხლმოკიდებულ კუპრს.

შემოდგომაზე ცენზორინი გაემგზავრა რომში, სადაც მას ხელმძღვანელობა უნდა გაეწია მომავალი წლის მაგისტრატთა არჩევნებისათვის. კართაგენელები კიდევ უფრო აქტიურად მოქმედებდნენ მანილიუსის წინააღმდეგ, რომელიც ახლა ორივე არმიის სარდლად ითვლებოდა. ერთ ღამეს კართაგენელებმა მოახერხეს კიდეც რომაელთა ბანაკში შეჭრა. არმია სრული განადგურებისაგან იხსნა ისევ სციპიონმა, რომელმაც ბანაკის მოპირდაპირე კარებიდან სასწრაფოდ გაიყვანა თავისი ცხენოსანი რაზმები და სრულიად მოულოდნელად ზურგიდან დაესხა მტერს. კართაგენელები იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ და ისევ კედლებისათვის შეეფარებინათ თავი.

მანილიუსი მთლიანად თავდაცვაზე გადავიდა და კართაგენზე შეტევას აღარც კი ფიქრობდა. მტრის ახალი თავდასხმის უვნებელსაყოფად მან თავის ბანაკს თხრილებს გარდა ქვითკირის კედლებიც კი შემოავლო. ამის შემდეგ ის მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, რომ ყოველ სამხედრო ტრიბუნს ზორიგეობით აბარებდა 10 000 ქვეით მეომარს, 2 000 ცხენოსანს და აგზავნიდა კართაგენის გარშემო ოლქების ასაოხრებლად, ხე-ტყის, სურსათ-სანოვაგისა და თივის შესაგროვებლად.

მაგრამ ამასაც ხშირად დიდი მსხვერპლი მოსდევდა. როგორც კი რომაელები უწესრიგოდ მოედებოდნენ ტყესა და მინდორს, სწორედ მაშინ, თითქოს მიწიდან ამოძვრებოდა ჰიმილკონ თამეია თავისი მფრინავი რაზმებით და არწივივით დაუქროლებდა მათ. ჰიმილკონი გამოსვლას ვერ ბედავდა მხოლოდ მაშინ, როცა მძარცველ ექსპედიციას მეთაურობდა სციპიონი, რომელიც სრული წესრიგისა და საბრძოლო ზზადყოფნის პირობებში ასრულებდა დაკისრებულ ამოცანას.

სციპიონმა კიდევ ბევრჯერ დაიხსნა განსაცდელისაგან მოუქნელი მანილიუსი. ამ მხრივ ყველაზე უფრო საყურადღებოა საბრძოლო

---

[1] ოდისევსის სიტყვები ტირესიოსის შესახებ, ჰომეროსი, ოდისეა, 494.

ეპიზოდი, რომელიც დაკავშირებულია ციხე-სიმაგრე ნეფერისთან. აქ თავისი არმიით დაბანაკებული იყო ჰასდრუბალი, რომელიც აქედანვე აწყობდა თარეშს რომაელთა ბანაკებზე.

სციპიონი ჯერჯერობით წინააღმდეგი იყო ნეფერისზე შეტევისა. ის ასაბუთებდა, რომ შეტევა მიუვალ ციხე-სიმაგრეზე, რომელსაც გარს არტყია ციცაბოები, ღელეები და გაუვალი ღრანტეები. ასეთ პირობებში, საკმაო საფორტიფიკაციო მოწყობილობათა გარეშე უთუოდ მარცხს გამოიწვევდა. მაგრამ სხვა სამხედრო მეთაურები, რომლებიც სციპიონის წარმატებით შურით იყვნენ აღვსილნი, მშიშრობას მიაწერდნენ მას და აქეზებდნენ კონსულს არ დაეჯერებინა სციპიონისათვის, რომელიც მას, ჩანდა, მთავარსარდლობაშიც ეცილებოდა.

კონსულმა ბრძანა და არმიამ გადალახა დახრამულნაპირებიანი პატარა მდინარე და შეუდგა ნეფერისის ციცაბოებს. ჰასდრუბალმა ზემოდან სასწრაფოდ დასძრა თავისი არმია. პირველი შეტაკებისთანავე ქვემოთ მოქცეული რომაელები დამარცხდნენ და უკანვე უწესრიგოდ გამოიქცნენ. ისინი ვეღარ ახერხებდნენ საშინელი ხრამებიდან ზემოთ ამოსვლას და მტრის ისრებისაგან უწყალოდ იხოცებოდნენ. ბრძოლაში დაიხოცა სამი სამხედრო ტრიბუნი, რომლებიც განსაკუთრებით კრიჭაში უდგნენ სციპიონს.

რომაელთა არმია სრული განადგურებისაგან ისევ სციპიონის მოსაზრებულობამ იხსნა. მან თავისი კოჰორტა და 300 ცხენოსნისაგან შემდგარი ესკადრონი ფლანგზე გაიყვანა და ისრის სეტყვა დააყარა მოწინააღმდეგეს. ჰასდრუბალი იძულებული გახდა მთელი ძალები მიემართა მის წინააღმდეგ. ამასობაში რომაელთა არმიის ძირითადმა ნაწილმა, რომელსაც თვით მანილიუსი სარდლობდა, გადაასწრო საბედისწერო ადგილს. თვითონ სციპიონმაც ორგანიზებული უკანდახევით, თუმცა დიდი მსხვერპლის გაღებით, მოახერხა სამშვიდობოზე გასვლა.

ამ ამბის შემდეგ აფრიკაში ჩამოსულმა კომისიამ რომს აცნობა სომარი მდგომარეობის ნამდვილი ვითარება, რაც რომაელთა სრულ წარუმატებლობაში გამოიხატებოდა. მაშინ სენატმა ელჩები გაგზავნა ნუმიდიაში, მასინისასთან დახმარების სათხოვნად. მაგრამ ცოცხალს ვეღარ მიუსწრეს ნუმიდიის შეფეს.

90 წლის მასინისა გარდაიცვალა. მას სამი კანონიერი მემკვიდრე დარჩა, სამივე ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებული ხასიათისა. სულთმობრძავმა მეფემ შვილებს შორის სამეფოს განაწილებაზე სათათბიროდ და რჩევის საკითხავად მიიწვია სციპიონ ემილიანე, რომლის ბაბუასთანაც (სციპიონ უფროსთან) მას ახალგაზრდობაში დიდი მეგობრობა ჰქონდა.

სციპიონი სასწრაფოდ გაეშურა ცირტაში, ნუმიდიის დედაქალაქში, მაგრამ მასინისას ცოცხალს ვეღარ მიუსწრო. მეფეს მაინც დაებარებინა შვილებისათვის, დაეჯერებინათ სციპიონისათვის.

სციპიონმა ჯერ უხვად დააჯილდოვა მასინისას მრავალრიცხოვანი უკანონო მემკვიდრეები (მათ შორის ერთი ოთხი წლისა იყო), როგორც ნაანდერძევი ჰქონდა მოხუც მეფეს; შემდეგ კი კანონიერ უფლისწულებს შემდეგნაირად გაუნაწილა სახელმწიფოს მართვის ფუნქციები: მ ი ც ი პ ს ა ს, რომელიც ყველაზე უფროსიც იყო და მჭერმეტყველიც, ჩააბარა უმაღლესი ხელისუფლება, პირველ რიგში სატახტო ქალაქი ცირტა და სამეფო სასახლის მმართველობა; მომდევნო ძმას, გ უ ლ უ ს ა ს, როგორც მამაც მეომარსა და ჭკვიან სარდალს, ჩააბარა სამხედრო საქმეების ხელმძღვანელობა; ხოლო მესამეს, უმცროს ძმას, რომელსაც სახელად მ ა ს ტ ა ნ ა ბ ა ერქვა, როგორც სამართლიანობის დიდ მოყვარულს, სამოსამართლო უწყებათა მეთაურობა გადასცა.

სციპიონმა ჩვეული თავაზიანობითა და საზრიანობით სწრაფად მოხიბლა ნუმიდიელთა სასახლის კარი. მის წინადადებაზე, კართაგენის წინააღმდეგ ნუმიდიის მონაწილეობის შესახებ, ახალგაზრდა მეფეები უყოყმანოდ დათანხმდნენ, და გულუსა საუკეთესო ნუმიდიური მხედრობით თან ეახლა რომაელთა ბანაკში დაბრუნებულ სციპიონს.

ამგვარად, ნაკლი, რომელიც ნუმიდიის დროებითი ნეიტრალიტეტით რომაელთა ბანაკში ძალზე შესამჩნევი იყო, სციპიონის მეოხებით შევსებულ იქნა. თითქოს, მკვდრეთიდან ამდგარ სციპიონ უფროსს თან ახლდა იქიდანვე მობრუნებული ახალგაზრდა მასინისა — გულუსა, თავისი შესანიშნავი მხედრობით.

სციპიონის ახალი დიდი მიღწევა იყო ისიც, რომ მან ურთიერთობა გაბა მტრის კავალერიის უფროსთან, ჰიმილკონ თამეიასთან, რომელიც ბოლოს გადმოიბირა კიდეც. როგორც ჩანს, ჰიმილკონი მეტად ჩაუფიქრებია ნუმიდიური კავალერიით რომაელთა გაძლიერებას; შესაძლოა ამას ჰასდრუბალთან მისი უთანხმოებაც დაერთო, და 148 წლის დასაწყისში რომაელთა ბანაკში ჩვენ ვხედავთ მამაც თამეიას თავისი 2 200 ლიბიელი ცხენოსნით.

ამის შემდეგ სციპიონი ჰიმილკონ თამეიას თანხლებით გაეშურა რომში. ჯარისკაცები მას დიდი ზეიმით მიაცილებდნენ ზღვამდე, თან უსურვებდნენ აფრიკაში კონსულად დაბრუნებას, რადგან მათი აზრით, მხოლოდ მას ერთს შეეძლო კართაგენის აღება.

რომი დიდი ზეიმით შეხვდა აფრიკის გმირსა და ახალ მოკავშირეს. ჰიმილკონი სენატის განკარგულებით უხვად დაჯილდოვეს: მიუძღვნეს ძოწეულის ტანსაცმელი ოქროს შესაკრავებით, საუკეთესო ცხენი ოქროს მოსართავებით, ძვირფასი იარაღის კომპლექტი და უხვად ფული.

აღუთქვეს კიდევ მეტი, თუ ის ამბერიდან რომაელებთან ერთად თავგამოდებით იომებდა კართაგენის წინააღმდეგ. ჰიმილკონმა ამაზე ფიცი დასდო და ისევ აფრიკაში დაბრუნდა.

სწორედ იმავე ხანებში (148 წლის მარტი) აფრიკაში ჩავიდნენ ახალი კონსულები: სახმელეთო არმიის სარდალი ლ უ ც ი უ ს კ ა ლ პ ურ ნ ი უ ს პ ი ზ ო ნ ი და ადმირალი ლ უ ც ი უ ს ჰ ო ს ტ ი ლ ი უ ს მ ა ნ ც ი ნ უ ს ი.

ახლად ჩამოსულმა კონსულებმა კიდევ მეტი უმოქმედობა და ბედოვლათობა გამოამჟღავნეს. მათ სრულიად შესწყვიტეს კართაგენზე შეტევები და კმაყოფილდებოდნენ აფრიკის სხვა ქალაქებზე თავდასხმით. მთელი წლის განმავლობაში სრულიად უშედეგოდ აწყვეტდნენ ჯარებს კართაგენის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ციხე-სიმაგრეებს (კლუპეა, ნეაპოლისი, ჰიპონ დიარიტი და სხვ.).

კართაგენელებს კიდევ მეტად უძლიერდებოდათ სულიერი სიმტკიცე და სიმამაცე; ეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რომაელთა ბანაკში მყოფ ნუმიდიელებს გამოეყო ერთ-ერთი მამაცი ატამანი ბ ი თ ი ა ს ი და 800 მხედრის თანხლებით გამოცხადდა კართაგენში. კართაგენელებმა ისიც იცოდნენ, რომ ნუმიდიის ახალი მეფეები, მიციპსა და მასტანაბა, მხოლოდ სიტყვით აღუთქვამდნენ რომაელებს შემდგომ დახმარებას, ჯარს, იარაღს და ფულს, ხოლო საქმით, გულუსას ჩამოსვლის შემდეგ. ასეთი დახმარება არსად ჩანდა. კართაგენელები ახლა სრულიად უშიშრად დათარეშობდნენ აფრიკაში; ყველგან, ქალაქებსა და სოფლებში, დასცინოდნენ რომაელებს, უწოდებდნენ მათ მხდალებს, მოიგონებდნენ მათ დამარცხებებს უიარაღო კართაგენზე, ნეფერისთან და აფრიკის სანაპირო ქალაქებთან. გარდა ამისა, მათ ურთიერთობა გააბეს ნუმიდიის მეფეებთან, მავრებთან და იმ დროს მაკედონიაში აჯანყებულ ცრუფილიპესთან.

მაგრამ როგორც ყოველთვის, ახლაც ასეთ წარმატებათა საფეხურზე, კართაგენელთა შორის დაიწყო პარტიათა უთანხმოება და ურთიერთ ბრძოლა. ქალაქგარეთ მყოფი არმიის სარდალმა ჰასდრუბალმა ცილისმწამებლური ქსელი გააბა შიგნით სარდლად არჩეულ ჰასდრუბალის წინააღმდეგ. ის ამ უკანასკნელს ბრალს სდებდა ღალატში. სარგებლობდა იმით, რომ ეს კაცი, როგორც მასინისას შვილიშვილი, დისწულად მოუდიოდა რომაელთა ბანაკში მყოფ გულუსას, და ასაბუთებდა, რომ ბიძა-დისწულს შორის უკვე გაბმული არის საიდუმლო-გამცემლური ურთიერთობაო. ბრალდებულმა ჰასდრუბალმა, რომელსაც სრულიად მოულოდნელად წაუყენეს ასეთი ბრალდება, განცვიფრებისა და გაშმაგებისაგან აღარც კი იცოდა რა ეპასუხნა და სანამ გონს მოვიდოდა სკამის დარტყმით სული გააფრთხობინეს.

ჰასდრუბალი-ემიგრანტი ერთპიროვნული უმაღლესი გამგებელი და მთავარსარდალი შეიქნა.

კართაგენის აღსასრული

148 წლის ბოლოს რომში ახალ მაგისტრატთა არჩევნებზე საშინელი კანგაში ატყდა. ამის მიზეზი სწორედ აფრიკაში სრული წარუმატებლობა და ომის ასე გაჭიანურება იყო. ამ კრიტიკული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ხალხი მოითხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას, რაც პირველ რიგში მთავარსარდლობის შტაბის სრულ გადახალისებასა და ენერგიული მხედართმთავრის არჩევაში მდგომარეობდა.

ერთადერთ კაცად, რომელსაც შეეძლო ფინიკიური ჩიხიდან რომის გამოყვანა და კართაგენის გაცამტვერება, მიჩნეული იყო სციპიონ ემილიანე. რომელიც მაშინ თავის კანდიდატურას ედილის თანამდებობაზე აყენებდა.

ხალხი მოითხოვდა სციპიონის კონსულად არჩევას და აფრიკაში მის გაგზავნას; ოლიგარქები წინააღმდეგი იყვნენ იმ მოტივით, რომ სციპიონს კონსულობისათვის აუცილებელი ასაკი (43 წელი) არ ჰქონდა; ის მხოლოდ 35 წლისა იყო. ხალხი კი გაიძახოდა, რომ უმაღლესი კანონმდებელი სახალხო კრებაა და რაც მას სურს იმას დაადგენსო. ერთ-ერთმა სახალხო ტრიბუნმა განაცხადა, რომ ის „ვეტოს“ დაადებს კონსულთა არჩევნებს და ამგვარად შეაჩერებს მის წარმოებას, სანამ სციპიონი კონსულად არ იქნება არჩეულიო.

სენატი იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო - და ამჯერად გაუქმებულიყო კანონი უმაღლესი მაგისტრატის ასაკის შესახებ[1]. ამგვარად, რომაელები სწორედ ისე მოიქცნენ. როგორც ერთ დროს სპარტელები, რომლებმაც საჭიროებისას კანონთა მოქმედება ასეთი სიტყვებით აიცილეს თავიდან: „დღეს დაიძინონ კანონებმა!...“[2]

სახალხო კრებამ იმ დღეს კონსულთა შორის საკომანდო პროვინციების კენჭის ყრით განაწილების წესიც კი უარჰყო და სციპიონი უშუალოდ იქნა არჩეული მთავარსარდლად კართაგენის წინააღმდეგ ომში.

სციპიონმა ახალი ძლიერი არმია და ფლოტი შეკრიბა და 147 წლის დასაწყისში გაეშურა აფრიკისაკენ.

იმავე ხანებში მანციონუსმა და პიზონმა თავისი უმაღლესი რწმუნებანი ახალი მარცხით დაამთავრეს. მაშინ როცა პიზონი უტიკის სამხრეთ

---

[1] ეს იყო ე. წ. ვ ი ლ ი უ ს ი ს კ ა ნ ო ნ ი (lex Villia annalis), რომლის ძალით კონსული 43 წელზე ნაკლები ასაკის არ უნდა ყოფილიყო.

[2] ეს მოხდა პელოპონესის ომების დროს (431—404), როცა სპარტელებმა კანონის წინააღმდეგ გამოისყიდეს ათენელებისაგან 425 წელს დატყვეეებული მეომრები.

რაიონებში მხოლოდ მძარცველობით ირთობდა თავს, მანლინუსმა ბცირე რაზმით ზღვიდან მოახერხა შეჭრილიყო კართაგენის ჩრდილოეთ ნაწილში, მაგალიაში. ყველას ეგონა, რომ ქალაქი უკვე აღებული იყო და მთელი ეკიპაჟი სრულიად უიარაღოდ (ბევრი პერანგის ამარა), მოუმზადებლად, თავდავიწყების ყიჟინითა და ძარცვა-გლეჯის სურვილით გატაცებული მიცოცავდა ციცაბოებზე და ხტებოდა კედლებზე. მაგრამ კართაგენელებმა სასტიკად დაამარცხეს უწესრიგოდ შემოცვენილი რომაელები. მანლინუსის ბევრი მეომარი დაიღუპა, ხოლო ვინც უკანვე გადმოსვლა მოასწრო—სულ 500 შეიარაღებული და 3 000 უიარაღო კაცი — მთელი ღამის განმავლობაში საშინელ ფლატებზე მიყუჟულნი უცდიდნენ შიმშილით ან მტრის ახალი თავდასხმებისაგან სიკვდილს. მანლინუსმა სასწრაფოდ აფრინა კაცი უტიკისაკენ, პიზონთან, დახმარების სათხოვრად.

სწორედ ამ დროს უტიკას მიადგა სციპიონი, რომელმაც იქვე შეიტყო მანლინუსის მძიმე მდგომარეობის ამბავი. მან ბრძანა, ყველა მეომარი დაბრუნებულიყო გემებზე და მომზადებულიყვნენ საომრად. სციპიონმა ყველა ახალგაზრდა უტიკელი ბოქალაქე არმიაში ჩარიცხა, ხოლო მოხუცებს უბრძანა სურსათ-სანოვაგის მარაგით ხლებოდნენ ფლოტს; იმავე დროს შაკრიკები გაუგზავნა პიზონს დაუყოვნებლივ წამოსულიყო საშველად; თვითონ მთელი არმიითა და ფლოტით სასწრაფოდ დაიძრა კართაგენისაკენ. მან გაათავისუფლა რამდენიმე ტყვე და წინასწარ გაგზავნა ისინი კართაგენში, რათა რომაელთა ახალი კონსულისა და მისი სამხედრო ძალთა მიახლოების შეტყობინებით თავზარი დასცემოდა ქალაქს.

მეორე დღეს კართაგენელები მზად იყვნენ უკანასკნელი დარტყმით მოესპოთ მაგალიის კლდეზე თავმოყრილ რომაელთა ბრბო. ამ დროს ზღვაზე გამოჩნდა სწრაფად მოშავალი რომაული ფლოტი. გემბანები და ანძები სავსე იყო იარაღში ჩამჯდარი მრისხანე ლეგიონერებით. კართაგენელებმა იცნეს წინ მომავალ საფლაგმანო გემის ბაქანზე ამაყად მდგარი ახოვანი პორფიროსანი.

კართაგენელებმა ვეღარ გაბედეს განზრახვის შესრულება. სციპიონმა სრულიად დაუბრკოლებლივ ვადაიყვანა განწირული თანამემამულეები და ახალი გაძლიერებული რაზმით დაიკავა მაგალიის მისადგომები; მანლინუსი რომში გაგზავნა, ხოლო მის ნაცვლად ფლოტის სარდლობა გადასცა ს ე რ ა ნ ს.

კართაგენელები ამიერიდან კიდევ უფრო სერიოზულად შეუდგნენ თავდაცვის ზღუდეთა გამაგრებას და საერთოდ ქალაქის დაცვის ორგანიზაციას.

სციპიონი ისევ უტიკაში გაეშურა პიზონის ლეგიონების ჩასაბარებლად. ამით ისარგებლეს ჰასდრუბალმა და ბითიასმა და დაიწყეს იერიშები მაგალიასთან გამაგრებული რომაელების წინააღმდეგ. მაგრამ სციპიონი ისევ შემობრუნდა და უკუაქცია მტერი.

ახალმა სარდალმა გადამწყვეტი იერიშების დაწყებამდე ხელი მოჰკიდა არმიებში სამხედრო დისციპლინისა და მორალური სიმტკიცის აღდგენას. მანამდე რომაელთა ბანაკები სავსე იყო სიმდიდრის დაგროვების მოსურნე ათასნაირი ბრბოებით, ვაჭრებით, კურტიზანკებითა და სხვ. ჩვეულებრივი მოვლენა იყო დეზერტირობა, ლოთობა, ზნედაცემულობა, მექრთამეობა, მეთაურისადმი დაუმორჩილებლობა და სხვ.

სციპიონმა, ისე როგორც მამამისმა პიდნას ბრძოლის წინ, მოკლე ხანში დაუბრუნა თავისი სახე რომაულ არმიას. ჯარისკაცებმა, რომლებიც კარგად იცნობდნენ სციპიონს, მალე იგრძნეს ახალი სარდლის სიძლიერე, მომთხოვნელობა, სიმკაცრე ურჩებისადმი და პატივისცემა წესრიგიანთა და თავდადებულთადმი. მან არმიიდან გარეკა უსაქმური და მავნე ბრბოები, ვაჭრები, როსკიპები, მაროდიორები და სხვადასხვა ჯურის ვიგინდარები.

სციპიონმა პირველი იერიშები მიიტანა მაგალიაზე, რომელიც თავის მხრივ თვითონ წარმოადგენდა მაგარ ციხე-სიმაგრეს. კართაგენელებმა რამდენჯერმე უკუაგდეს მტრის იერიშები. ბოლოს, შუაღამისას, როცა კართაგენელ გუშაგებს ეძინათ, რომაელებმა კედელთან უხმოდ მიაგორეს მისი სიმაღლე საიერიშო მანქანა. სარდლის ბრძანებით ახალგაზრდა მეომართა რაზმი სწრაფად გადავიდა კედელზე და შიგნიდან გააღო ციხის კარები. სციპიონი 4 000 მეომრით შეიჭრა მასში და ამგვარად საბოლოოდ დაიპირა მაგალია, რომელიც ჩრდილოეთიდან იცავდა კართაგენს.

კართაგენელებმა სასწრაფოდ მიიწვიეს ქალაქში ჰასდრუბალი და გადასცეს 30 000 მეომრისაგან შემდგარი გარნიზონის სარდლობა.

ფინიკიელმა სარდალმა იმით დაიწყო, რომ რომაელი ტყვეები კედლებზე გამოიყვანა, დააშიშვლა და ყოველ მათგანზე, სციპიონის ბანაკის შესახედავად, აუწერელი წამება გამართა. მისი ბრძანებით ჯალათები განწირულებს სპეციალური ინსტრუმენტებით თხრიდნენ თვალებს, აგლეჯდნენ ენას, ძარღვებს, კუნთებს, სასქესო ორგანოებს, აჭრიდნენ თითებს, ფეხის გულებს, აძრობდნენ ტყავებს და ჯერ კიდევ ნახევრად ცოცხლებს ჰყრიდნენ კედლებიდან და კლდეებიდან. ასეთი ბარბაროსობით ჰასდრუბალს, გარდა იმისა, რომ მტრისადმი განუზომელ სიძულვილს იკმაყოფილებდა, სურდა კართაგენელებისათვის საბოლოოდ მოეჭრა უკანასკნელი გზა რომაელებთან შერიგებისა

და აეძულებინა ისინი დამყარებოდნენ მხოლოდ ერთადერთ იმედს: ბრძოლას სრული თავგანწირულებით.

სციპიონმა გადასწყვიტა კართაგენი მთლიან ალყაში მოექცია და სავსებით მოეწყვიტა ის ქვეყნისაგან. მან ჯერ დაიწყო დასავლეთის ყელის გადაჭრა, საიდანაც ქალაქი ხმელეთით უკავშირდებოდა კონტინენტს. კართაგენელები ამაოდ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ სციპიონის განზრახვისათვის. ოცი დღის განმავლობაში რომაელებმა მთელი ყელის (5 კმ) სიგანეზე ფართო ღრმა თხრილი გასჭრეს და ძლიერი თავდაცვითი ზღუდეები — 4 მეტრის სიმაღლე ქვის კედლები — აღმართეს.

ამან ქალაქში საგრძნობლად შეამცირა სურსათის შემოსავალი, მაგრამ მამაცი მეზღვაურები, განსაკუთრებით კი ბითიასი, თავიანთი სწრაფმავალი ხომალდებით მაინც ახერხებდნენ ზღვიდან გაჭრას და ტუნისის ყურეში შესვლას; აქ, ციხე-სიმაგრე ნეფერისში, სურსათით დაიტვირთებოდნენ და ისევ კართაგენში ბრუნდებოდნენ. ამგვარად, ქალაქის ალყაში მოქცევა მანამ შეუძლებელი იყო, სანამ ზღვიდან მისასვლელებიც არ დაიკეტებოდა.



საიერიშო კოშკი.

და აი, სციპიონმა დაიწყო განსაცვიფრებელი გეგმის განხორციელება: უნდა აღემართა ქვის უზარმაზარი ჯებირის ხაზი, ტუნისის ყურეში შეჭრილი ვიწრო ხმელეთის ზოლიდან კართაგენის პორტამდე. ამით მას შესაძლებლობა ექნებოდა ზღვიდან მისასვლელი მოეჭრა ქალაქისათვის. რომაელები განუწყვეტლივ შრომობდნენ ამ ჯებირებზე, რომლის სიგანე ზემოთ 5½ მეტრს უდრიდა, ხოლო საფუძველი ოთხჯერ განიერი იყო.

კართაგენელები ხმამაღლა დასცინოდნენ რომაელთა ასეთ წამოწყებას, სრულიად წარმოუდგენლად მიაჩნდათ მისი შესრულება. მაგრამ, როცა მათ ნახეს, რომ სციპიონი არაჩვეულებრივი ენერგიითა და სიჯიუტით განაგრძობდა თავის საქმეს, თვითონაც რაღაც კონტრღონისძი-

ებათა გატარებას მოჰკიდეს ხელი. რომაელებს დღეებისა და ღამეების მანძილზე კართაგენიდან განუწყვეტლივ ესმოდათ რაღაც ყრუ, დაყინებითი ცემა და ხმაური. იგრძნობოდა, რომ მთელი მოსახლეობა ახალი ენთუზიაზმითა და ენერგიით შრომობდა რაღაც ახალი გეგმის განხორციელებაზე.

ასე გაგრძელდა ორი თვე, და როცა რომაელები თავის სასურველ მიზანს მიუახლოვდნენ, ქალაქში ზღვიდან მისასვლელი გადაჰკეტეს, სრულიად მოულოდნელად მიწის ქვეშიდან გამოძვრა კართაგენელთა 50 სხვადასხვა ზომისა და სახის ხომალდი და სრულიად დაუბრკოლებლად გავიდა ტუნისის ყურეში. თურმე, კართაგენელებს ახალი გვირაბი გაეჭრათ აღმოსავლეთის მიმართულებით, ტუნისის ყურესაკენ, იმ ადგილისაკენ, სადაც ზღვა მეტად ღრმა იყო და ჯებირით მისი გადაკეტვა არ მოხერხდებოდა. როცა მოსახლეობის ერთი ნაწილი გვირაბის გაჭრაზე მუშაობდა, დანარჩენები გემებს აგებდნენ.

რომაელები ასეთმა მოულოდნელობამ ისე დააბნია, რომ კართაგენელთა ფლოტი უზრუნველად მიტოვებულ მათ გემებს უეჭველად მოსპობდა. მაგრამ რომაელთა ფლოტი იმან გადაარჩინა, რომ კართაგენელები ამჯერად მხოლოდ თავისი მოხერხების, სიძლიერის სადემონსტრაციოდ და მტერზე სიცილის დასაყრელად გამოვიდნენ და ამაყად ისევ უკან გაბრუნდნენ.

სამი დღის შემდეგ კართაგენის ფლოტმა ისევ გასცურა გვირაბი. ტუნისის ყურეში რომაელთა ფლოტი სრული საბრძოლო წყობით შეხვდა მტერს. სასტიკი საზღვაო ბრძოლა, რომელმაც დილიდან შუადღემდე გასტანა, უშედეგოდ დამთავრდა. მაგრამ უკან გაბრუნებისას, გვირაბის შესასვლელთან, სადაც გემები შესვლისას ერთმანეთს ეჯახებოდნენ, კართაგენელებს რამდენიმე ხომალდი დაუზიანდათ.

როცა სციპიონს ამდენმა შრომამ უშედეგოდ ჩაუარა, არმიის ნაწილი ტუნისის ყურეში შეჭრილ ვიწრო ხმელეთზე გადაიყვანა და აქედან ძლიერი შეტევა მოაწყო კედლებზე. იმ დროს, როცა რომაელთა საიერიშო მანქანებმა კედელი ერთ ადგილზე გაარღვიეს კიდეც, კართაგენელები სრულიად შიშველნი შეიჭრენ ზღვაში, ფლანგიდან დაესხნენ მტერს და არაჩვეულებრივი თავგანწირულებით ჩაებნენ ბრძოლაში. რომაელები შეაძრწუნა შიშველი ადამიანების გაშმაგებულმა იერიშმა. ისინი შემდრკალნი და პანიკით მოცულნი უკუიქცნენ. სციპიონმა ცხენოსანი რაზმები გამოიყვანა და მით სცადა უწესრიგოდ უკანგამოქცეულთა შეკავება, როგორც იქნა მოახერხა ბანაკში ჯარების ჩაკეტვა. რომაელები მთელი ღამის განმავლობაში იარაღგამართულნი ელოდებოდნენ მტრის ახალ თავდასხმას. ამასობაში კართაგენელებმა მტრის საალყო მანქანები მთლიანად დასწვეს, ბრძოლის ველზე მიტოვებული საბრძო-

ლო დროშები და საჭურველი დაიტაცეს, ქალაქში დაბრუნდნენ, ზღუ-
დის გარღვეული ადგილი ამოქოლეს და კედელზე ხის ახალი სათავ-
დაცვო კოშკებიც აღმართეს.

მეორე დღეს სციპიონი ხელახლა შეუდგა საალყო მანქანების აგე-
ბას. ამავე დროს მისი მებრძოლები გოგირდითა და კუპრით სავსე ცეცხ-
ლმოკიდებულ „ყუმბარებს" უშენდნენ კართაგენელთა ხის კოშკებს;
რამდენიმე მათგანი დასწვეს კიდეც. სარდლის ბრძანებით კედლის გას-
წვრივ, მის სიმაღლეზე, აღმართულ იქნა აგურის მტკიცე კედელი, ხო-
ლო მის შიგნით კიდევ გავლებულ იქნა ღრმა და ფართო თხრილი. ამ-
გვარად, სამხრეთ-აღმოსავლეთიდანაც, ზღვის მხრიდან, კართაგენი სა-
ბოლოოდ მოექცა ალყაში. სციპიონმა 4 000 მეომარი გამოჰყო ახლად-
აღმართული კედლიდან ისრის სასროლად. მთელი ზაფხულისა და შე-
მოდგომის განმავლობაში მოწინააღმდეგენი ერთი სიმაღლის კედლე-
ბიდან განუწყვეტლივ უშენდნენ „ცეცხლს" ერთიმეორეს.

სციპიონმა უკანასკნელი ღონისძიება ჩაატარა დანარჩენი ქვეყნი-
საგან კართაგენის სრული მოწყვეტისათვის. შეუდგა აფრიკის იმ ცი-
ხე-სიმაგრეებისა და ოლქების ხელში ჩაგდებას, საიდანაც კართაგენი
ჯერ კიდევ ღებულობდა სურსათ-სანოვაგეს და საომარ საჭურველს.

პირველ რიგში იერიში მიიტანეს ნეფერისზე. აქ ძლიერი გარნიზო-
ნით იდგა ჰასდრუბალის ნაცვალი დიოგენე. სციპიონმა ნეფერისზე ხმე-
ლეთიდან თავდასასხმელად გაგზავნა გ ა ი უ ს ლ ე ლ ი უ ს ი (სციპი-
ონ უფროსის უახლოესი მეგობრის შვილი) და გულუსა; თვითონ კი
საზღვაო ფლოტით მიადგა მას. საიერიშო ტარანების ძლიერი დარტყ-
მებით რომაელებმა გაარღვიეს ნეფერისის ქვის გალავანი და მასში
სწრაფად შეიჭრა 3 000 მეომარი, რომლებიც სოლის მსგავსად იყვნენ
მტკიცედ დარაზმული და ამრიგად არც ერთ მათგანს არ შეეძლო ბრძო-
ლის დროს უკან დახევა. როგორც კი დიოგენემ მათ წინააღმდეგ მთე-
ლი თავისი გარნიზონი დასძრა და გალავნის მოპირდაპირე მხარე სრუ-
ლიად უყურადღებოდ დატოვა, სწორედ აქედან სციპიონმა 1 000 რჩე-
ული ლეგიონერი გადასხა და სრულიად მოულოდნელად მიუსია მოწი-
ნააღმდეგის ზურგს. აფრიკელები დააბნია მტრის ორმხრივმა შემოტე-
ვამ. გამარჯვების იმედიც სრულიად დაჰკარგეს, როცა გ. ლელიუსიც
თავისი ჯარებით სამხრეთიდან შეიჭრა ნეფერისში. დაუნდობელი ხოცვა-
ჟლეტა გაჩაღდა. ვინც კი ქალაქიდან გაქცევას ახერხებდა, გუ-
ლუსა თავისი ნუმიდიური მხედრობითა და სპილოებით უკან მისდევ-
და და უმოწყალოდ სრესდა. გარნიზონთან ერთად თითქმის ნეფერი-
სის მთელი მოსახლეობა დაიღუპა. 70 000 კაცი მოკლულ იქნა; 10 000
ტყვედ ჩავარდა და მონებად აქციეს; მხოლოდ 4 000 კაცმა უშველა
თავს.

ნეფერისის დაცემის შემდეგ დანარჩენი ციხე-სიმაგრეები, დასახლებული პუნქტები, კართაგენის ყველა სამფლობელო რომაელებს ჩაბარდნენ.

ამრიგად, კართაგენი უკვე სრულ ბლოკადაში მოექცა. სციპიონმა ის თავის ახალ მოკავშირეებს — შიმშილსა და ეპიდემიას მიუგდო საჯიჯგნად.

დადგა საშინლად მკაცრი ზამთარი, და კიდევ უფრო საშინელი და საბედისწერო იყო ის კართაგენისათვის. ქალაქში შიმშილი და შავი ჭირი მძვინვარებდა. მოსახლეობა ბუზივით იხოცებოდა. ქუჩები სავსე იყო დახოცილთა გახრწნილი გვამებით, რომელთა დაკრძალვაზე არავინ ფიქრობდა. იწყებოდა მორალური დაცემულობაც. ჰასდრუბალმა, როცა შენიშნა, რომ ქალაქის გადარჩენა აღარ შეიძლებოდა, მოლაპარაკება გამართა სციპიონთან. ის ცდილობდა გულუსას შუამავლობით მოელბო რომაელი სარდლის გული და მზად იყო ზავის ყოველგვარ პირობებზე, ოღონდ კი ქალაქი დანგრევისაგან გადაერჩინა. რასაკვირველია, სციპიონი ამაზე არ დასთანხმდებოდა, მით უმეტეს, რომ ასეთი პირობის მიღება არ მოხერხდა ომის დაწყებამდეც კი. რომს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი კართაგენის მტვრად ქცევა.

ერთადერთი, რასაც სციპიონი პასუხობდა, ის იყო, რომ, თუ კი ჰასდრუბალი ქალაქს ჩააბარებდა, სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა თვით ჰასდრუბალს, მის ცოლ-შვილს, კლიენტელას და მეგობრულად განწყობილ ათიოდე ოჯახს. ასეთი „წყალობა“ ჰასდრუბალმა კატეგორიულად უარჰყო და უპასუხა, რომ მას სურს იცოცხლოს და მოკვდეს თავის თანამემამულეებთან ერთად, ხოლო, თუ კი ბედისწერით ასეა გადაწყვეტილი, ის სხვებთან ერთად დაიმარხება მშობლიური ქალაქის ნანგრევებში.

146 წლის გაზაფხულზე, როცა შიმშილისაგან და სიკვდილისაგან დაოსებულ კართაგენს წინააღმდეგობის გაწევა თითქმის აღარ შეეძლო, რომაელებმა დაიწყეს იერიშები. განსაკუთრებით მძაფრად უტევდნენ ზღვიდან, კოთონის მხრიდან. ჰასდრუბალმა ბრძანება გასცა ცეცხლი გაეჩინათ კოთონისათვის და თავდაცვის მთელ შესაძლებლობას აქვე მოუყარა თავი. მაგრამ რომაელთა ავანგარდმა, გაიუს ლელიუსის მეთაურობით, სრულიად მოულოდნელად კართაგენის კედელი გადალახა კოთონის ჩრდილოეთით, იქ, სადაც ჰასდრუბალი სრულებით არ მოელოდა თავდასხმას. რომაელთა უეცარმა შეჭრამ თავზარი დასცა კართაგენელებს. იმავდროულად სციპიონმა ნიშანი მისცა და ყოველი მხრიდან დაუწყო გაფთრებული იერიშები. რომაელები გრძელ ფიცრებსა და ნამორებს სდებდნენ თავიანთ მიერ აგებულ კედლებსა და კართაგენის თავდაცვით ზღუდეებს შორის და თავზარდამცემი ღრიალით გადარბოდნენ მათზე.

ქალაქი რომაელებით ივსებოდა. მათ პირველ რიგში ხელთ იგდეს მოედანი და დაიძრენ აკროპოლისისაკენ, ბირსასკენ. მომაკვდავი კართაგენი უკანასკნელ წინააღმდეგობას ეწეოდა. რომაელებს ყოველი ქუჩის, უბნის. სახლის, ოთახისა თუ კუთხის ხელში ჩასაგდებად თავგანწირული ბრძოლა უხდებოდათ. ყოველი კართაგენელი ცდილობდა თავისი უკანასკნელი ამოსუნთქვა წინააღმდეგობის აგონიაში დაესრულებინა.

რომაელები სისხლის ბორევში, გვამთა გროვასა და ნანგრევებში იკაფავდნენ გზას ბირსასკენ, სადაც თავს აფარებდა სიკვდილს გადარჩენილი 50 000-ზე მეტი მცხოვრები. ექვსი დღე-ღამის შეუსვენებელი ხოცვა-ჟლეტისა და ნგრევის შემდეგ მიუახლოვდნენ აკროპოლისს. აქ ბრძოლამ კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო. ბირსას გარშემო არსებული ყოველი სახლი — ყველა ექვსსართულიანი — იერიშით ასაღები ხდებოდა; თითოეული მათგანი ცალკე სიმაგრედ იყო ქცეული. ბრძოლა წარმოებდა ქალაქის ვიწრო ქუჩებში, სახლებში, ოთახებში. კიბეებსა და სახურავებზე. რომაელები სახლიდან სახლზე ისროდნენ „ხიდებს", გადარბოდნენ სახურავებზე, ჩასაფრებულებთან ხელჩართულ ბრძოლაში ებმებოდნენ, ძირს ჰყრიდნენ და ხშირად მათზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჭდობილნი თვითონაც ძირს ცვივოდნენ. ყურთასმენა დახშული იყო შემაძრწუნებელი ღრიალით, დაჭრილ-დაკოდილთა გმინვით, ქალების კივილით, ბავშვების წიოკობით, საბრძოლო ყიჟინით, ნაღარების ამაზრზენი გუგუნით. სციპიონი ხოცვა-ჟლეტისა და ნგრევისაგან შეძრწუნებულ ჯარებს სცვლიდა და ახალ-ახალი ენერგიით აბამდა მათ ახალ საშინელებათა გასაფართოებლად.

როცა რომაელები ყოველის მხრიდან გარს შემოერტყნენ ბირსას, სციპიონმა ბრძანა ქალაქისათვის ხანძარი გაეჩინათ. ბირსაში თავშეფარებულნი ხედავდნენ, თუ როგორ დაჰფარა მშობლიური ქალაქი ცადამწვდენმა ცეცხლის ალებმა. ზეცას სწვდებოდა სახლებში ჯერ კიდევ დარჩენილი და ცეცხლის სტიქიონში მოხვედრილი ადამიანების გამაყრუებელი ღრიალი და ნგრევის გრუხუნი.

სციპიონმა ბრძანა გაეწმინდათ ბირსას მისადგომები ნაგვის ბორცვებისაგან და ამ ნაგავში ის გულისხმობდა შენობების ნანგრევებს, ნაცარტუტასა და მათში აღრეულ დახოცილ და ჯერ კიდევ სულთმობრძავ ადამიანთა გვამებს.

ბირსაში ჩაკეტილებმა ვეღარ გაუძლეს მათ გარშემო სიკვდილის შავფაფარაყრილ ჯოჯოხეთს. მეშვიდე დღეს ბირსას კიბეზე ძლივს ჩამოლასლასდნენ ალყაშემორტყმულთა ძვალტყავად ქცეული ელჩები და სიცოცხლის შენარჩუნება სთხოვეს სციპიონს. სარდალმა თანხმობა განაცხადა სიცოცხლე ეჩუქებინა ყველა გადარჩენილი კართაგენელისათ-

ვის, ხოლო უეცველი სიკვდილი ელოდათ მოღალატე რომაელებს, რომელთა რიცხვი ბირსას დამცველთა შორის 900 კაცამდე აღწევდა.

ამგვარად, აკროპოლისი დასტოვა 50 000-მა ადამიანმა, რომელთაგან 30 000 ქალი იყო. ყველა ისინი რომაელებმა განსაკუთრებულ ადგილზე გაიყვანეს, მონობის ბორკილები დაადეს და საგუშაგო რაზმებს ჩააბარეს.

900 კაცი-ღა შერჩა აკროპოლისს. მათ შორის იყო ჰასდრუბალი თავისი ცოლითა და ორი მცირეწლოვანი შვილით. ყველა ისინი გამოცვივდნენ ღმერთი-მკურნალის ტაძრის გალავანში და იქიდან ეწეოდნენ უკანასკნელ გააფთრებულ წინააღმდეგობას. ხოლო როცა შიმშილის, უძილობისა და საშინელი კოშმარისაგან სიკვდილის მოახლოება იგრძნეს, შევიდნენ ტაძარში და ჩაიკეტნენ; ზოგიც სახურავზე და სხვენზე ავიდა და იქ დაუწყო ლოდინი სიკვდილს.

და აი, როცა ტაძრის კარებზე შემაზრზენი აღსასრულის ზარმა ჩამოჰკრა, ჰასდრუბალმა ვეღარ გაუძლო და მარტოდმარტო გამოექცა სიკვდილის გარემოს. მან ძლივს გადასდგა სამოცი ნაბიჯი, რომელსაც აკროპოლისის კიბის ჩავლა მოითხოვდა; ძალადაკარგული მუხლებზე დაეცა რომაელი სარდლის წინაშე და სიცოცხლე შეჰვედრა.

სარდლის სულმოკლეობით აღშფოთებულმა ალყაშემორტყმულებმა ტაძარს ცეცხლი გაუჩინეს და თვითონაც შიგ გადაეშვნენ. ალმოდებული ტაძრის ქონგურებზე ორივე შვილის თანხლებით გამოჩნდა სადღესასწაულოდ მორთული მეუღლე ჰასდრუბალისა და გამყინავი ხმით შეჰკივლა სციპიონის ფეხებთან დაცემულ ქმარს: „ო, ბოროტო და უსინდისო ადამიანო; ო, უმხდალესო კაცთა შორის; მე და ჩემს შვილებს გულში ჩაგვიკრავს ეს ცეცხლი; ხოლო შენ, რომელ ტრიუმფს დაამშვენებ, დიადი კართაგენის დიდო სარდალო?! ო, რომ იცოდე, როგორი სასჯელი გელის მისგან, ვის ფერხთა ქვეშაც გართხმულხარ შენ!“

ამ სიტყვების შემდეგ მან ყელი გამოსჭრა შვილებს, გადაისროლა ისინი ცეცხლში და თვითონაც გადაეშვა მათთან ერთად. ასე დააგვირგვინა კართაგენელმა ქალმა მშობლიური ქალაქის ტრაგედია, მსგავსად ლეგენდარული დიდონასი, რომელმაც კართაგენის დაარსება ასევე ცეცხლში თავის დაწვით ამცნო ისტორიას[1].

---

[1] ანტიკური ლეგენდის თანახმად, დ ი დ ო ნ ა, ანუ ელიზა, იყო ფინიკიის მთავარი ქალაქის ტიროსის მეფის ასული; ეს ქალი ითვლება კართაგენის დამაარსებლად. დიდონამ, იმისათვის, რომ თავი დაეხსნა ერთ-ერთი ლიბიელი მეფის ცოლობისაგან, გაანაღა კოცონი და თავი დაიწვა მასში. რომაელმა პოეტმა ვ ი რ გ ი ლ ი უ ს მ ა თავის ნაწარმოებ „ე ნ ე ი დ ა ში“ ეს ლეგენდა დაუკავშირა ტროადან ე ნ ე ო ს ი ს გამოქცევას. მასთან, დიდონამ მიტომ დაიწვა ცეცხლში თავი, რომ ის მიატოვა ენეოსმა, მისმა საყვარელმა, რომელსაც იუპიტერის ბრძანებით უნდა დაეტოვებინა აფრიკა და წასულიყო იტალიაში.

მეტ სასჯელს, სირცხვილს და დამცირებას არც იგულისხმებდა თავგანწირული ქალი მისი შემდრკალი ბეუღლისათვის, როგორც ტრიუმფში სამარცხვინოდ გატარება და საშინელ ტყვეობაში სიკვდილი, რომლებიც ელოდა ჰასდრუბალს რომში.

კართაგენის ხაზინა, სახელმწიფო და სატაძრო საგანძურები სციპიონმა ქვესტორს გადასცა რომის ხაზინაში ჩასაბარებლად, ხოლო ქალაქი მთლიანად საძარცვავად მისცა ლეგიონებს. ზოგიერთი ძვირფასი ნივთი, რომლებიც კართაგენელებს წამოღებული ჰქონდათ სიცილიის ქალაქებიდან, ისევ მათ დაუბრუნეს[1].

სციპიონმა შეკითხვა გაუგზავნა სენატში, თუ როგორ მოქცეოდა ქალაქის გადარჩენილ ნაწილს. მოვიდა და აღსრულდა რომის სენატის ბრძანება: კართაგენი, მაგალია, ყველა მისი გარეუბანი და ციხე-ქალაქები მიწასთან იქნენ გასწორებული; ოცი დღის განმავლობაში იწვოდა ის ადგილი, სადაც რამდენიმე კვირის წინ კართაგენი იდგა; რომაელებმა დასწყევლეს და კიდით-კიდემდე გუთნით ხნული გაავლეს, რომ იქ აღარასოდეს ადამიანთა მოდგმისაგან აღარავის ეცხოვრა. კართაგენის ტერიტორიები რომის საკუთრებად ცხადდებოდა „პ რ ო ვ ი ნ ც ი ა ა ფ რ ი კ ი ს“ სახელწოდებით.

ღრმა ფიქრებში ჩაძირული და ცრემლმორეული სციპიონი დიდხანს უცქერდა თავის თანამემამულეთა და პირად ნამოქმედარს; ფერფლადქცეულ და გადახნულ ადგილს, სადაც ერთ დროს მძლავრი და აყვავებული ქალაქის სიცოცხლე სჩქეფდა, და წამოიძახა ჰომეროსის სიტყვები: „დადგება ოდესმე დღე და დაიღუპება ღვთაებრივი ტროა; მასთან ერთად დაიღუპება პრიამოსი და ხალხი შუბოსანი პრიამოსისა“.

მას მიეახლა გვერდით მდგომი მეისტორიე პოლიბიოსი და ჰკითხა, რა სურდა სციპიონს ეთქვა ამ სიტყვებით. — მე ვგულისხმობ ჩემს სამშობლოს, რომს, რომელსაც ჟამთა სიავისაგან მოელის ბედი კართაგენისა, — იყო პასუხი სციპიონისა.

. . .

ბრძოლა დამთავრდა. კართაგენმა, 700 წლის ბრწყინვალე და დიადმა ქალაქმა, შესწყვიტა არსებობა. რომს ასე უსაზღვრო სიხარულით არასოდეს უზეიმნია. რომაელები დიდის ამბით ულოცავდნენ ერთმა-

[1] მათ შორის იყო ე. წ. ფალარისის ხარის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც სციპიონმა დაუბრუნა აგრიგენტუმის მცხოვრებლებს. ამ ქანდაკებაში, რომელიც დამზადებული ყოფილა აგრიგენტუმის ტირანის ფალარისის განკარგულებით, მისივე ბრძანებით ცოცხლად სწვავდნენ დამნაშავეებს, რის გამოც ქანდაკება ხარის ზმუილის მსგავს ხმას გამოსცემდა.

ნეთს ამ დიად დღესასწაულს. სამუდამოდ ამოიძირკვა მოსისხლე მტერი; იწყებოდა ახალი ცხოვრება უშიშრად, მეტოქის გარეშე.

მართლაც, ამ დღიდან რომი ახალ ცხოვრებას იწყებდა. ის მსოფლიოზე გაბატონების ეტლს შეუჩერებლივ მიაჯირითებდა ყოველი მხრივ, და უფრო მას შემდეგ, რაც კართაგენს, ძლიერ მეტოქეს, თავისი ეტლი უკვე დაეშსხვრა მსოფლიოში გაბატონების სიძნელეებით აღსავსე გზებზე.

დამთავრდა პუნიკური ომები — ორი დიდი მონათმფლობელური სახელმწიფოს სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი მაშინდელ მსოფლიოში გაბატონებისათვის. ამ ხანგრძლივ ბრძოლაში რომის გამარჯვება და კართაგენის განადგურება სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო.

პუნიკური ომების დასაწყისშივე იჩინა თავი კართაგენის სოციალ-ეკონომიური და სამხედრო-პოლიტიკური სისტემის სისუსტემ და დრო-მოჭმულობამ, მაშინ როცა პირისპირ აღიმართა მზარდი, აღმავლობისა და გაძლიერების გზაზე მდგარი რომის სახელმწიფო. ასეთი დაპირისპირებულობა (დრომოჭმულ-წარმავლისა და მზარდ-მომავლისა) კიდევ უფრო აშკარა შეიქნა თვით ომების მსვლელობაში და შედეგიც სრულიად ლოგიკური იყო: რომაელთა ხელით ფინიკიურ-აფრიკულ მიწაზე გავლებულ ხნულში საუკუნოდ დაიმარხა ოდესღაც დიდი კართაგენის არსებობაც.

შინაარსი

დიქტორისაგან 3
შესავალი 5

რომი და კართაგენი „პუნიკური ომების“ წინ

რომი 5
კართაგენი 14

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. პირველი პუნიკური ომი

ომის პირველი წლები. ბრძოლა მილესთან 19
ლაშქრობა აფრიკაში 23
ისევ სიცილიაში 26
ბარკა. კატულესი. ზავი 28

თ ა ვ ი მ ე ო რ ე. კართაგენი და რომი პირველ და მეორე პუნიკურ ომებს შორის

აჯანყება აფრიკაში 32
სარდინიის კრიზისი 34
ჩრდილოეთ იტალია რომის ხელქვეით 37
ილირიული ომები 39
ბარკიდები ესპანეთში 41
„საგუნტის ცეცხლი“ 43

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. მეორე პუნიკური ომი

ომის დასაწყისი. პირველი ალპიური ლაშქრობა 48
ტიცინუსი და ტრებია 53
ტრაზიმენის ტბა 61
დიქტატორი — „კუნქტატორი“ 66
ანნიბალ „ნამეალი მოვალე“ 74
„ფარი“ და „მახვილი“ რომისა: დიდი დაძცველი სირაკუზისა 91
„ჰანიბალი კარიბჭეზეა!“ 103
ტარენტუმის დაბრუნება. მარცელესის აღსასრული 110
ესპანეთის ამბები. სციპიონი 114
ჰანიბალის უკანასკნელი იმედი 126
უკანასკნელი ბრძოლები. სციპიონი აფრიკაში 135
ზამა. ომის დასასრული 154

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე. კართაგენი და რომი მეორე და მესამე პუნიკურ ომებს შორის

კართაგენი ომის დამთავრების შემდეგ 168
რომი ისევ გალებისა და ესპანელების წინააღმდეგ 172
მეორე მაკედონური ომი 175
სირიული ომი 180
სციპიონისა და ჰანიბალის უკანასკნელი დღეები 186
მესამე მაკედონური ომი 193

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე. მესამე პუნიკური ომი

ომის დასაწყისი 203
კართაგენის აღსასრული 210